

ბ. ეგნატაშვილი

ახალი ქართლის ცხოვრება

თბილისი

1940

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალი
ენის, ისტორიისა და მატერ. კულტურის ინ-ტი ნ. მარის სახ.

ქართული საისტორიო ძეგლები

ეგნატაშვილი ბერი

ახალი ქართლის ცხოვრება

XVIII ს. დამდ.

I: ტექსტი

ივ. ჯავახიშვილის
წინასიტყვაობითა და რედაქციით

სსრკ მეცნ. აკად. საქართველოს ფილიალის გამომცემლობა
თბილისი 1940

დაიბეჭდა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის
საქართველოს ფილიალის განკარგულებით
თავმჯდომარე აკად. ნ. მუსხელიშვილი

წინასიტყვაობა

ცნობილია, რომ ძველი ქართული საერო საისტორიო მწერლობის ძეგლთა კრებული, რომელსაც „ქართლის ცხოვრება ეწოდება, გიორგი ბრწყინვალის მეფობის ამბების შემცველი თხზულებით თავდებოდა და ამის აქეთი ხანის საქართველოს პოლიტიკური თავგადასავალის აღწერილობა ამ კრებულში არ მოიპოვებოდა. ეს გარემოება მერმინდელ ქართველ თაობათა წარმომადგენლებს საშუალებას არ აძლევდა თავიანთი სამშობლოს ცვალებადობით აღსავსე, მაგრამ ფრიად საყურადღებო, წარსულის ნამდვილი ვითარება სცოდნოდათ.

ცხადია, თუ რამდენად საზიანო უნდა ყოფილიყო ეს გარემოება ქართველთა ეროვნული თვითშემეცნების და პოლიტიკური შეგნების გაღრმავება-გაძლიერებისათვის: თავის სამშობლოს წარსულის ცოდნა ხომ სახელმწიფოებრივად დაქსაქსულისა და კულტურულად დაქვეითების გზაზე დამდგარი საქართველოს მკვიდრთათვის უკუღმართი ვითარების გამოსწორებისათვის უაღრესად საჭირო იყო!

ამ დიდი ნაკლის შევსების თაოსნობა, როგორც ვიცით, ვახტანგ VI-ემ იკისრა: საქართველოს მერმინდელი, XIV-XVII საუკუნეების დაუწერელი ისტორიის აღდგენის აუცილებლობა პირველად მთელი სიცხადით სწორედ მან შეიგნო და ქართული საისტორიო მწერლობის ამ ოთხ-საუკუნოვანი ხარვეზის ამოვსებისათვის მუშაო-

V

ბას შეუდგა. ეს გარემოება თვით ვახტანგის სახელით დაწერილს შევსებულ ქცის ცნობილს შესავალშიც არის აღნიშნული:

„პატიოსანო და დიდებულნო ქართველნო! ჟამთა ვითარებისაგან ქართლსა შინა «ქართლის ცხოვრება» შემცირებულ იყო, ხოლო მეფემან ვახტანგ, ძემან ლეონისამან და ძმისწულმან მეფის გიორგისამან, შევკრიბენ სწავლულნი კაცნი და სხუათა წერილთა და გუჯართაგან და რომელნიმე სხუათა ენათაგანცა გამო-

ვილეთ და ესრეთ შევთხზენით და აღწერეთ“-ო (Опис. I, გვ. 10).

თუმცა ვახტანგ VI-ის ზემომოყვანილს განცხადებაში ზოგი რამე გარკვევით არ არის გამოთქმული, მაგრამ ძირითადად მაინც მისი არსებითი ნაწილის შინაარსი ნათელია. ამისდა მიუხედავად, XVIII და XIX- საუკ. მესამე მეოთხედამდე მცდარი აზრი იყო გაბატონებული, თითქოს „ქართლის ცხოვრება“ პირველად ვახტანგ VI-ის ბრძანებით და სწორედ მის დროს ყოფილიყოს შედგენილი. თვით ისეთი დაკვირვებული და იმდროინდელი ევროპული განათლებით აღჭურვილი მკვლევარიც-კი, როგორც აკად. მ. ბ რ ო ს ს ე იყო, თავდაპირველად ამ გაბატონებულმა რწმენამ შეაცდინა. შემდეგში ამ აზრისა და დებულების მცდარობა პირველად მანვე სცნო და საკმაოდ კარგადაც დაასაბუთა.

მარიამ დედოფლისეული ქ ცის ხელნაწერის აღმოჩენამ 1885 წელს დ. ბ ა ქ რ ა ძ ე ს საშუალება მისცა ქ ცის ტექსტის ზოგადს ანალიზზე დამყარებული ბ რ ო ს ს ე ს ზემოაღნიშნული მსჯელობა სრულ ჭეშმარიტებად ექცია.

ვახტანგ VI-ის განცხადების შინაარსს რომ ჩაკვირვებოდნენ, ის მცდარი აზრი, რომელმაც საქართველოს

VI

ისტორიის კვლევა-ძიებას ასე ავნო, უამისოდაც შესაძლებელი იყო თავითგან აეცილებინათ: განა იქ ნათქვამი არ არის, რომ ქ ცა უკვე ვახტანგის ხანამდე არსებობდა და მხოლოდ მის დროისათვის ამ კრებულის ხელნაწერები „შემცირებულ იყო“? ამასთანავე მას ისიც-კი აქვს გარკვევით აღნიშნული, თუ სად იყო ასეთი ნაკლებობა საგრძნობი, რომ სახელდობრ „ქართლსა შინა“, - საქართველოს დანარჩენ თემებზე-კი ის სიფრთხილით არაფერს ამბობდა. მართლაც, ცნობილია, რომ ვახტანგ VI-ისაგან შეგროვებულ ქ ცის ხელნაწერთაგან ძირითადი მხოლოდ სამი-და აღმოჩენილა. ამაზე მეტი ცალი ხომ არც ამჟამად მოიპოვება!

უნდა მაინც ითქვას, რომ მცდარი დასკვნა, ვითომც ქ ცა მთლიანად ვახტანგ VI-ის განკარგულებით ყოფილიყოს შედგენილი, ნაწილობრივ იმ გარემოებითაც იყო გამოწვეული, რომ ვახტანგ VI-ის განცხადების აზრი შუაში დამთავრებული არ არის და მისი მეორე ნაწილი, რომელიც მკითხველს ვახტანგისაგან „სწავლულ კაცთა“ შეყრასა და სხვადასხვა მასალების გამოყენებით „შეთხზვა-აღწე-

რის" ამბავს მოუთხორობს, უშუალოდ იმ ცნობას მისდევს, რომ ქართლში ქ'ცის ხელნაწერების რიცხვი ძალზე შემცირებული იყო. ვინც საქმის ნამდვილი ვითარება არ იცოდა, შესაძლებელია ეფიქრა, თითქოს ვახტანგ VI-ს, ქ'ცის ძველი ხელნაწერების სიმცირის გამო, „სწავლულ კაცთა"-თვის საქართველოს ისტორიის მთლიანად თავითგან ხელახლად დაწერა დაევალებინოს, ქ'ცის ამ რამდენიმე ცალად გადარჩენილი ხელნაწერის გამოუყენებელივ. მართლაც, არამცთუ სწორედ ასეც მოხდა და ასე დაასკვნეს, არამედ ამავე დროს თავიანთი აზრის დასკვნისას ვახტანგ VI-ის განცხადების პირველი ნაწილის შინაარსიც, რომელშიც ძველი ქ'ცის ხელნაწერების, თუმცა მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც ქართლშიც-კი

VII

არსებობაა აღნიშნული, თითქოს შეუმჩნეველი დარჩათ და მსჯელობის დროს მხედველობაში არ მიუღიათ.

საკმარისი იყო ვახტანგ VI-ის იმ ცნობას ჩაჰკვირვებოდნენ, რომ „სწავლულ კაცთ" ნაკლის შესავსებად მასალები სხვადასხვა „წერილთა და გუჯართაგან და რომელნიმე სხუათა ენათაგან" ნათარგმნი წყაროებითაგანაც-კი ამოუღიათ, რომ საქმის ვითარება ცხადი გამხდარიყო: ქ'ცის ძველი, მანამდე არსებული, ხელნაწერების უყურადღებოდ მიტოვება მათ როგორ შეეძლოთ, თუ რომ სხვადასხვა წვრილმანი და უცხო მასალების გამოყენებაც-კი საჭიროდ უცვნიათ?! მაშინ ცხადი შეიქმნებოდა, რომ ვახტანგ VI-ეს სწავლულ კაცთათვის საქართველოს ისტორიის აღწერილობაში ძველის უგულველყოფა-კი არ შეეძლო დაევალებინა, არამედ მხოლოდ მისი ნაკლის შევსება.

ქ'ცის უკვე მარიამ დედოფლისეული ხელნაწერის აღმოჩენა მეცნიერებას ამ კრებულის შემადგენელ ნაწილებად გამოყენებული ძეგლების გამოყოფისაცა და მისი თანდათან შედგენის პროცესის გამორკვევის საშუალებასაც აძლევდა. ამავე საკითხების უფრო მეტი საფუძვლიანობითა და შეუმცდარად გადაწყვეტის შესაძლებლობა 1913 წ. აღმოჩენილმა ქ'ცის უძველესმა, XV საუკ. დამლევის, ანა დედოფლისეულმა ხელნაწერმა მოგვცა.

დასასრულ, 1923 წ. აღმოჩენილმა ქ'ცის ერაჯ ჭალაშვილისეულმა ხელნაწერმა ამ საკითხის საბოლოო დასკვნისათვის უკვე სრულებით მტკიცე საფუძველი შეუქმნა, რათგან ქ'ცის ის სამივე უძველესი ხელნაწერი, რომელნიც ვახტანგ VI-ის დროსვე ყოფილა გადარჩენილი, ნაპოვნი იყო. ამის წყალობით მეცნიერებას ყველაფრის

გამორკვევისათვის საჭირო ძირითადი ძეგლები ეხლა უკვე ხელთ ჰქონდა.

უკვე მარიამ და ანა დედოფლებისეული ხელნაწერების

VIII

მთელი შედგენილობა სრული უეჭველობით ცხად-ჰყოფდა, რომ ვახტანგ VI-ის განცხადების მეორე ნაწილს შესაძლებელია მხოლოდ ქცის ძველად აუწერელი, XIV-XVII ს., ხანის ისტორიის „შეთხზვა-აღწერა“ ეგულისხმა, ხოლო გიორგი ბრწყინვალის უწინარესი ხანის ისტორიულ მოთხრობაში სხვადასხვა წყაროებითგან ამოღებული ჩანართი ცნობებით შევსების ღვაწლი ჰკუთნებოდა. მაინც იმის გადაწყვეტა დანამდვილებით, თუ როგორი მუშაობა იყო ქცის მეორე ნაწილის დასაწერად გაწეული, ძნელი იყო.

საბედნიეროდ 1906 წ. მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ მ ა აღმოაჩინა ქცის მანამდე უცნობი ხელნაწერი, რომელშიც ამ კრებულის მეორე ნაწილის დაწერის გარემოებისა და შედგენილობა-წყაროების გამოსარკვევად ძვირფასი ცნობები მოიპოვებოდა: იქ ამ ძეგლის თვით ტექსტი სწორედ იმ სახით იყო დაცული, როგორც ვახტანგ VI-ის დავალებით „სწავლულ კაცთ“ შეუდგენიათ.

სამწუხაროდ, ეს ხელნაწერი დაზიანებული აღმოჩნდა: იქ მთელი საუკუნე-ნახევრის ამბავი, 1534 წლითგან მოყოლებული – XVIII ს-ის დამდეგამდე, აკლია და ეს გარემოება ამ ძეგლის ყველაზე მნიშვნელოვანი ხანის წყაროებისა და ღირსების გამორკვევას შეუძლებლად ხდიდა.

1923 წ. ერაჯ ჭალაშვილისეული ქცის ხელნაწერის აღმოჩენის შემდგომ, ზემოაღნიშნული დანაკლისიც შეივსო, რათგან იქ ვახტანგ VI-ისაგან მოწვეულ „სწავლულ კაცთა“ ნაშრომის ტექსტი თავითგან მოყოლებული თითქმის ბოლომდის არის დაცული. ამ გარემოებამ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში საკამათოდ ქცეული საკითხის გამორკვევა და ზედმიწევნით გადაწყვეტაც შესაძლებელი გახადა. წინამდებარე წიგნი სწორედ ამ ძეგლის ტექსტის პირველს გამოცემას წარმოადგენს.

IX

უპირველესად ამ ძეგლის **სახელწოდებაა** გამოსარკვევი თავისთავადაც და იმიტომაც, რომ შემდეგში, ამ საისტორიო თხზულებაზე მსჯელობის დროს, მისი მოკლედ აღნიშვნა იყოს შესაძლებელი. ხელნაწერებში მას სათა-

ური არა აქვს და ამიტომ მისი სახელი სხვა რაიმე გზით უნდა იყოს გამორკვეული. ამ ძეგლში ბაგრატის მეფობის ამბავს წინ „სწავლულ კაცთა“ შემდეგი განცხადება უძღვის: „თუ რაცა იქმნა ჟამსა მას, ანუ რა ქმნა მეფემ ბაგრატ, ანუ რაცა იქმნა, ყოველივე ძველის ქართლის ცხოვრები დამე აღგვიწერია, ვიდრე მეფის ალექსანდრესამდე, ქვემოთ დაგვიწერია. ცხოვრება მეფის ალექსანდრესი და მის ჟამისა ყოველივე ძველთა გუჯართა და სპარსთა ცხოვრებიდამე გადმოგუიწერია“-ო (იხ. აქვე, გვ. 34, § 66). ავტორთა ზემომოყვანილი ცნობითგან ჩანს, რომ ქცის კრებულის იმ პირველ ნაწილს, რომელიც ანა და მარიამ დედოფლებისეულსა და ჭაალაშვილისეულს ხელნაწერებში გვაქვს დაცული, ისინი „ძველ ქართლის ცხოვრებას“ უწოდებდნენ. ეს გარემოება და ასეთი სახელი ცხადჰყოფს რომ „სწავლულნი კაცნი“ თავიანთ შედგენილ ნაშრომს „ახალ ქართლის ცხოვრება“-დ გულისხმობდნენ. ვახუშტი ბატონიშვილს-კი თვით ეს სახელი „ახალი ქართლის ცხოვრება“ ნახმარი აქვს თავისი წყაროების სიაში. იმ წიგნებს შორის, რომელთაგან თავისი „ქორონიკონები“ ჰქონდა ამოკრებილი, ის ასახელებს და ამბობს: ამოვიღე „ქართლის ცხოვრებათაგან ძველთა და ახალთა“-ო (II, ჩუბ. გვ. 237).

მეორე წინასწარ გამოსარკვევი საკითხი „ახალი ქართლის ცხოვრების“ შემდგენელთა ვინაობა გახლავთ. ვახტანგ VI-ის ზემომოყვანილი განცხადებითგან ჩანს, რომ ამ ძეგლის შესათხზველად „სწავლულნი კაცნი“ ყო-

X

ფილან შეკრებილნი. მაშასადამე, ეს ნაწარმოები კოლექტიურს ნაშრომს უნდა წარმოადგენდეს. მართლაც, ამ ცნობის სისწორე, როგორც უკვე „ძვ. ქართ. საისტორიო მწერლობა“-ში მქონდა აღნიშნული (I, 1916 წ., გვ. 274), თვით ამ ძეგლის ენითაც მტკიცდება. ახალი ქცის მოთხრობაში არაერთგან ავტორები თავიანთ თავზე მართლაც მრავლობითად ლაპარაკობენ, მაგ.: „გიორგი მეფის (იგულისხმება: V, ბრწყინვალის) ცხოვრება, რაც არ სწერია (იგულისხმება: ამ ძეგლში), ამისგან კიდე (ე. ი. გარდა) ვერა ვპოეთ. ეს ოდენ გვ-ეუწყა“-ო (აქვე, გვ. 5, § 9), ანდა კიდევ: „ამის ბაგრატისა და ძისა მისისა კოსტანტინესი დაეწერათ და ვპოეთ... და ქვემოთ რიგსა მისა ზედა და-გუ-იწერია და ესე ამბავნი მის-ზემოთნი გუჯართა და სპარსთა და სომეხთა ცხოვრებისა-

გან გამოვიდეთ და აღვწერე-თ. ხოლო მეფისა ალექსანდრესა და მისა მისისა მეფისა კოსტანტინესი და შემდგომი ძველთა კაცთა და სპარსთა ცხოვრებისა, ქორანიკონთა და გუჯართაგან აღ-გვ-იწერია, ვიდრე მეფისა როსტომისადმდე. ხოლო მეფისა როსტომის-აქათითუით თვალითა მნახველთა და მისთა ომებთა შინამყოფთა კაცთაგან აღ-გვ-იწერია“-ო (აქვე, გვ. 5-6, § 10).

მაგრამ ამავე ძეგლის „ახალი ქცის“ ჯანაშვილისეულს ხელნაწერში, რომელსაც ჩვენს გამოცემაში და აქაც სიმოკლისათვის B ხელნაწერი ეწოდება, ჭალაშვილისეული ხელნაწერისაგან განსარჩევად, რომელიც A ხელნაწერად არის სახელდებული, რამდენსამე ადგილას კიდევ უცნობი პირის შემდეგი შინაარსის 1779 წ. მინაწერები მოგვეპოვება: „[ა]მას ქვემო ამ წიგნში ყველა სწორედ არ უწერიათ. ღწ მიუტეოს ეგ ნატაშვილს ბერს იმდენი შურით და მტერობით სიცრუე“-ო (იხ. აქვე) გვ. 1, § 1, შენ. 2), – ან კიდევ დაზიანებული მინაწერი: „ეგ ნ ა-

XI

ტაშვილს მტერობა უმგარი (sic) სიცრუე იმას რომ იმერთა და კახთა"... (აქვე, გვ. 47, § 89, შენ. 1).

1779 ამ ორივე მინაწერთაგან ჩანს, რომ „ახალი ქცის“ აღმწერ-შემთხვევლად იმ დროს ეგ ნატაშვილი ბერი ითვლებოდა. ცხადია, რომ ასეთი რწმენა ან წერილობითს ცნობაზე, ანდა ზეპირს გარდმოცემაზე უნდა ყოფილიყო დამყარებული. მაგრამ აღსანიშნავია, რომ ვახუშტი ბატონიშვილს თავის საისტორიო ნაშრომში ეგ ნატაშვილი ბერი არსად მოხსენებული არა ჰყავს. მისი ქვემოთყვანილი სიტყვებითგან ჩანს, რომ ახალ ქცას ის კოლექტიურ ნაწარმოებად სთვლიდა. მკითხველთათვის „უწყებულება“-ში ვახუშტი ამბობს: „აღუწერიათ ცხოვრებაცა სახელითა ლევანის ძისა მეფისა ვახტანგისათი, რომელი არა საგონებელ არს მის მიერ, განა, თუმცა ბრძანებითა მისითა არს, არამედ მას თვით არღარა განუხილავს ვითარება მისი“-ო (ქცა II ნაწილი, ჩუბ. გვ. 2, ჭიჭ. 4).

მაინც ცნობა ეგ ნატაშვილის ავტორობის შესახებ რომ მცდარი არ არის, ამას „ახალი ქცის" 25 თავში შემდეგი ცხადად ტენდენციური ჩანართიც ამჟღავნებს. ბაგრატ V დიდის შესახებ იქ ნათქვამია: „მაშინ გაგზავნა ჩინებული და სარწმუნო აზნაური რუს ეგინატაანტაგანი (sic), საიდუმლოდ მიუწერა მეფემან ბაგრატ ძესა თუისსა გიორგის", თემურ-ლენგის

სპითურთ ტყვეობითგან ვბრუნდები საქართველოში, და-
მიხვდით ქართული ჯარითურთ, რომ მტრის ეს ლაშქარი
გავწყვიტოთო (იხ. აქვე გვ. 13).

ამრიგად, ერთი მხრით უცილობელია, რომ „ახალი
ქცა“ ვახტანგ VI-ისაგან შეყრილ „სწავლულ კაცთა“
მიერ შედგენილი კოლექტიური ნაშრომია, რაც ამ ძეგ-
ლის ენითაც მტკიცდება, – მეორე მხრით 1779 წ. მინა-

XII

წერში ამ საისტორიო ნაწარმოების ავტორად ეგნატა-
შვილი ბერია დასახელებული და ამის დამადას-
ტურებელი ზემოაღნიშნული კვალიც ამავე ძეგლში მკა-
ფიოდ მოჩანს. ამ ორი თითქოს ერთიმეორის საწინააღ-
მდეგო დასკვნის შეთანხმება მხოლოდ იმ გზით შეიძლება,
თუ, როგორც უკვე ჩემს 1923 წ. მოხსენებაში მქონდა
აღნიშნული, დავასკვნით, რომ „ახალი ქცა“ მართლაც
ვახტანგ VI-ის მიერ მოწვეული „სწავლულ კაცთა“
კომისიის კოლექტიურს ნაშრომს წარმოადგენს და რომ
ამ კომისიის ერთ წევრთაგანად და „ერთ-ერთ ავტორად
ეგნატაშვილი ბერიც ითვლებოდა. ის ან კომისიის მე-
თაური და ხელმძღვანელი იქნებოდა, ან მისი მდივანი
და საერთო ნამუშევარისა და კვლევა-ძიების აღმწერ-
ელი“ (იხ. „ახლად აღმოჩენილი ქართლის ცხოვრება“:
ტფილ. უნივ. მოამბე, 1923., წიგნი III, გვ. 195).

კოლექტიური ნაშრომობის გამო „ახალი ქცის მოთ-
ხრობის ენაც-კი ნაირნაირია: ზოგან უფრო სამწერ-
ლობო, ზოგან მეტად პროვინციული ენით არის დაწე-
რილი. საკუთარი სახელების მართლწერის ერთგვარობაც-
კი ამ თხზულებაში დაცული არ არის.

ამ ნაშრომის სხვადასხვა ნაწილის შინაარსიც ერთ-
მანეთისაგან ღირსებითაც განსხვავდება. ზოგი, მეტადრე
XV საუკ. ამბების შემცველი ნაწილი, დიდი შეცდო-
მებით არის სავსე, ზოგი-კი შედარებით უკეთესად არის
მოთხრობილი. უეჭველია, ასეთ შემთხვევებში მოსათხრობი
ხანისათვის წყაროების შედარებით სიმცირე-სიუხვესა
და ღირსებასაც ჰქონდა მნიშვნელობა, მაგრამ საფიქ-
რებელია, რომ ეს ამა-თუ იმ ნაწილის დამწერის ცოდნა-
ნიჭზეც უნდა იყოს დამოკიდებული.

თუმცა „ახალი ქცის“ შემდგენელ „სწავლულ კაცთ“
ერთი ხელმძღვანელი და მეთაური, ეგნატაშვილი

ბ ე რ ი, ჰყოლიათ, მაგრამ, ან ეგების იმიტომ, რომ მას ისტორიაში სათანადო განსწავლულობა და ნიჭი ვერ აღმოაჩნდა, ანდა იქნებ რაკი ვახტანგ VI-ის მეფობაში დატრიალებული დიდი პოლიტიკური უბედურების შედეგად **ეს ნაშრომი დაუმთავრებელი და განუხილველ-განუმართავი დარჩა.** ვახტანგ მეფეს საქართველოთგან რუსეთში მოუხდა გახიზნვა და ამ საქმისათვის შველა უკვე აღარ შეეძლო.

საფიქრებელია, რომ უკანასკნელი გარემოებავე უნდა ჰქონდეს ვ ა ხ უ შ ტ ს ა ც ნაგულისხმევი, როდესაც „ახალი ქ ცის“ მისგან შემჩნეულ-აღნიშნული მრავალი „წინააღმდეგნი და უსწორებლობანი“ მას იმის შედეგად აქვს აღიარებული, რომ „თუმცა ეს ძეგლი (ვახტანგ მეფის) ბრძანებითა... არის“ დაწერილი, მაგრამ „**მას თვით არღარა განუხილავს ვითარება მისი**“-ო. ამ განცხადებითგან ჩანს, რომ „ახალი ქ ცა“ ამრიგადვე დაუმთავრებელი და გაუმართავი, ჰაეხელად დაწერილი სახით, ჰქონია ამ სახელოვან ქართველ ისტორიკოსსაც ხელთ, როდესაც ის თავის კრიტიკულს საისტორიო თხზულებას სწერდა.

„ახალი ქ ცის“ მრავალი ნაკლი უკვე ვ ა ხ უ შ ტ ბ ა ტონიშვილმა შეამჩნია და აღნიშნა, მაგრამ ამ ნაწარმოებს მისგან დასახელებულსა და შესწორებულ შეცდომებზე გაცილებით მეტიც მოეპოვება. გასაკვირველი არც არის: ოთხი საუკუნის პოლიტიკური თავგადასავლის ისტორიის აღდგენა საერთოდ ეხლაც-კი ადვილს ამოცანას არ წარმოადგენს, მით უმეტეს საქართველოს თავგადასავლის, რომელსაც მტრების შემოსევის დროს წერილობითი ძეგლებისა და საბუთების მომეტებული ნაწილი დაეღუპა. ასეთ გარემოებაში შეუძლებელია პირველ ცდას ბევრი ნაკლი არ ჰქონოდა, მაგრამ ამ ძეგლის წესიერი შესწო-

XIV

რება-გამართვისათვის რომ ვახტანგ VI-ეს დასცლოდა, უეჭველია, თუ ყველა არა, ზოგი უფრო ტლანქი შეცდომები მაინც თავითგან აცილებული იქნებოდა.

უნდა ითქვას, რომ **ზემოაღნიშნულის გამო** იმ სახით, როგორც „ახალმა ქ ცა“-მ ჩვენამდის მოაღწია, **საქართველოს ისტორიაში განუსწავლელ მკითხველს ამ ძეგლის ცნობებით სარგებლობისას უადრესი სიფრთხილე სჭირდება.** შესაძლებელია გადაჭრით ამაზე მეტიც ითქვას უკომენტარებოდ და თითოეული ცნობის მკაცრი კრიტიკული განხილვისა და აწონდაწონის გარეშე, ამ თხზუ-

ლების მონათხრობის გამოყენება სიხიფათია.

რაკი „ახალი ქცის“ შინაარსის კრიტიკულ გარჩევას იმდენად დიდი ადგილი უნდა დაეთმოს, რომ ამ ძეგლის ტექსტთან ერთად მისი მოთავსება შეუძლებელია, ამიტომ ეს განხილვა ცალკე წიგნად მექნება გამოქვეყნებული, აქ-კი მხოლოდ **ზოგადად** უნდა იყოს ეგნატა-შვილი ბერისა და „სწავლულ კაცთა“ ნაშრომის ღირსება-ნაკლი აღნიშნული.

XIV–XVI ს. ს. ამბების მოთხრობა „ახალ ქცა“-ში უცხო საისტორიო თხზულებებითგან და ნაწილობრივ ქართული წყაროებისა და საბუთებითგან ამოღებული ცნობების მიხედვით არის შედგენილი. ბუნებრივია, რომ, ამ ხანის ქართული ისტორიული მასალების სიმცირის გამო, ეს ნაწილი ღირსებით ამ თხზულების ყველაზე მდარე გამოსულიყო და მის დამწერთ მრავალი შეცდომები შეჰპარვოდათ.

ლუარსაბ I-ის მეფობითგან მოყოლებული მოთხრობისათვის, სპარსულ და ქართულ წყაროებს გარდა, „ძველთა კაცთა“ ზეპირი გარდმოცემაც არის გამოყენებული (იხ. აქვე, გვ. 6, § 10). ეს გარემოება ამ ნაწილს უფრო მეტ მნიშვნელობასაც ანიჭებს და უფრო საგულის-

XV

ხმოდაც ჰხდის, რათგან აქ მაშინდელი ამბების იმდროინდელი ქართული პოლიტიკური აზროვნობა-შეფასება გვაქვს აღბეჭდილი.

„ახალთ ქცის“ მთელი უკანასკნელი ნაწილი როსტომის გამეფებითგან მოყოლებული ბოლომდე, „სწავლულ კაცთა“ განცხადებით, „თუით თვალითა მნახველთა და მისთა ომებთა შინა მყოფთა კაცთაგან“ ნაამბობის თანახმად არის აღწერილი (აქვე, გვ. 6, § 10). ამიტომაც ამ ძეგლის უკანასკნელი ნაწილი ყველაზე მნიშვნელოვანად უნდა იქმნეს ცნობილი იმავე მოსაზრებით, რომელიც ლუარსაბ I-ის დროისა და მერმინდელი ხანის ამბების მონათხრობზე გვექონდა აღნიშნული.

ამ ორი უკანასკნელი ნაწილის ღირსება თავის დროზე ვახუშტისაც შეუგნია და მას თავის საისტორიო თხზულებაში „ახალს ქცა“-ში შეტანილი მოღვაწეთა და ვითარების ზოგადი დახასიათება და პოლიტიკური მსჯელობა არაერთგან გამოუყენებია.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ საქართველოს ისტორიოგრაფიის შესწავლისათვისაც ზოგადად, მეტადრე XVI-XVII ს. ს. ისტორიისათვის, ამ ძეგლს თავისი

მნიშვნელობა ყოველთვის შერჩება.

„ახალი ქ ცის“ ტექსტი, როგორც აღნიშნული გვექონდა, ორ ხელნაწერში გვაქვს დაცული. ორივე საქ. სახ. მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებას ეკუთვნის. ერთი მათგანი A (Q207), საქ. სახ. მუზეუმის ახალი ფონდითგან) **ერაჯ ჭალაშვილისეულს ქ ცის ხელნაწერს** წარმოადგენს. ამ ხელნაწერს ყდა დაზიანებული აქვს: არც ყუა აქვს და ყდაც დაშლილია, ორივე, ყდის ზევეითიცა და ქვეითი ფიცარიც ხელნაწერს მოშორებული აქვს. იგი ქალაღდზეა დაწერილი, ქალღდის ზომა 30X19, ხოლო ნაწერის 20X13 სანტ. უდრის. ტექსტი in folio არის ნაწერი და თი-

XVI

თოეულ გვერდზე 16 სტრიქონია მოთავსებული. A ხელნაწერი სამი ნაწილისაგან შესდგება: თავი და ბოლო 1731 წ. არის დაწერილი, შუა ნაწილი-კი ძველი ქ ცის ხელნაწერს წარმოადგენს. ამ ნაწილს თავში 5 რვეული აკლია და მეექვსე რვეულით იწყება, მისი ბოლო-კი 35-ე რვეულით თავდება და ბ ა ს ი ლ ი ე ზ ო ს - მ ო ძ ღ ვ რ ი - ს ა გ ა ნ დაწერილი თამარის მეფობის ისტორიის იმ ამბის მოთხრობაზე სწყდება, სადაც რუკნადინის შემოსევისათვის მზადებაზეა საუბარი.

ჭალაშვილისეული A ხელნაწერის ეს ძველი ქ ცის ტექსტი, როგორც უკვე 1923 წ. მოხსენებაში მქონდა აღნიშნული, პალეოგრაფიულად XVI-XVII ს. ეკუთვნის, ხოლო თავში დანაკლისი 5 რვეული და ბოლოში დართული ნაწილი, რომელსაც რვეულების რიცხვადნიშნულობა თავისი აქვს, სულ 42 რვეულს შეიცავს, რომელთაგან უკანასკნელი რვეული დამთავრებული არ არის.

A ხელნაწერის დასაწყისი 5 რვეულისა და ბოლო 42 რვეულის გადამწერის ვინაობაცა და გადაწერის დროც პირველ ფურცელზეა აღნიშნული. იქ სახელდობრ სწერია: „ესე მე **ერაჯ ჭალაშვილს დამიწერია ესე წიგნი და რუსულადაც დავსწერე ესე არს რომელი ითარგმანება რუსულისა ენითა ღირს არ (sic) და ჭეშმარიტი სწერია ეგე ქორონიკონი (sic): ჩღლა: – თვესსა ივლისსა კთ: – ერაჯ ჭალაშვილი დათუნას ძე არს**“. ამას მისდევს ძველი რუსული დამწერლობით გამოყვანილი: „Герасим Давидич Лесников я писал сей (sic) книга“. შემდეგ უკვე მერმინდელი მეღნითა და ხელით სწერია: **В память Платону Иоселіани от Григорія Шадінова 21 Мая 1871 года**“.

ზემომოყვანილით უცილობლად მტკიცდება, რომ A

ყოფილა ერაჯ ჭალაშვილისაგან გადაწერილი. ამ ხელნაწერის მესამე, „ახალი ქ ცის“ შემცველი, ნაწილის გადამწერის ვინაობისა და დროის განსაზღვრას ერთგვარად ის გარემოება აძნელებს, რომ, როგორც უკვე ჩემს წინასწარ მოხსენებაში მქონდა აღნიშნული, „უზარმაზარი ბოლოდანართი ერთი ხელით არ არის ნაწერი, არამედ სამი, სულ ცოტა ორი, განსხვავებული ხელი მაინც გვხვდება. ერთი იწყება იქვე, სადაც ქ ცის ძველი ნაწილი სწყდება და ქ ცის გაგრძელების დასაწყისამდე, ანუ 24-ე რვეულის უკანასკნელ ფურცლამდე, მცირეოდენ, ალბათ შემთხვევითი მიზეზებით წარმოშობილ, განსხვავებას გარდა, ერთი, შედარებით შნოს მოკლებული, ხელით დაწერილად მოჩანს. შემდეგ, 24-ე რვეულის უკანასკნელი ფურცლის ზურგითგან მოყოლებული ხელი უფრო ლამაზი და ნაწერიც უკეთესი ხდება და ასე ამ ხელითაა 36-ე რვეულამდე დაწერილი. 36-ე რვეულითგან მოყოლებული ხელი კვლავ იცვლება და ნაწერიც თანდათან სულ უფრო და უფრო აჩქარებით, გაკრული ხელითა და უშნოდ არის გამოყვანილი 43-ე რვეულამდე, ანუ ქ ცის გაგრძელების ბოლომდე, შესაძლებელია ეს 36-43 რვეულების ხელი იმავე პირის ხელი იყოს, რომელმაც 25-35 რვეულები დასწერა, მხოლოდ ჩქარი და დაუდევარი წერის გამო იყოს დაუშნოვებული.

საბედნიეროდ ამ ხელნაწერის მესამე ნაწილის გადამწერის ვინაობაზე მისი მესამე რვეულის უკანასკნელ გვერდზე ტექტისავე ხელით წითურად რუსულადაცა ძველი დამწერლობით და ქართულადაც გამოყვანილი ცნობა მოგვეპოვება. იქ სწერია: „Господи помилуй насъ: Господи, Исусе: Христе Беже нашъ Помилуй насъ: Герасимъ Давидичъ писалъ сеи: книга: ესე წერილი რუსულ ასო არს. მე ერაჯი ჭალაშვილს დამიწერია: ესე სწერია:

XVIII

Я Герасимъ Давидичъ писалъ сеи книга: Лесников:" – მაშასადამე, ამ ხელნაწერის მესამე ნაწილიც, თუ მთლიანად პირადად მისგან არა, მაინცდამაინც ერთჯ ჭალაშვილის თაოსნობით ყოფილა იმავე 1731 წ. გადმოწერილი.

შემდეგ ეს A ხელნაწერი როგორღაც გიორგი შადი-

ნოვს ჩაჰვარდნია ხელში და მას 1871 წ. 21 მაისს იგი პლ ა ტ ო ნ ი ო ს ე ლ ი ა ნ ი ს ა თ ვ ი ს მიურთმეგვია სახ-სოვრად. როგორ აღმოჩნდა ამის შემდეგ ეს ხელნაწერი საქ. სახ. მუზეუმის წიგნსაცავში, სადაც პირველად ვნახე, გამორკვეული არ არის.

ამრიგად ირკვევა, რომ „ახალი ქცა“ ერაჯ ჭალა-შვილისეულს A ხელნაწერში ჩვენ ამ ძეგლის შედგენის ათი წლის შემდგომ შესრულებული გარდმონაწერის სახით გვქონია დაცული. ეს გარემოება ფრიად მნიშვნელოვანია და რაკი ეს ნაშრომი მხოლოდ ამ A ხელნაწერში გვაქვს თითქმის ბოლომდის შერჩენილი, ამიტომ მას ამჟამად ნუსხა-დედნის ოდენი მნიშვნელობა ენიჭება, თუმცა იგი ნამდვილად გარდმონაწერს უნდა წარმოადგენდეს.

B ხელნაწერი, რომელშიც აგრედვე დაცულია „ახალი ქცა“, საქ. სახ. მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაშია დაცული № S/4730, რომელშიც შესულია ყოფ. წერაკითხვ. გამ. საზ. ფონდითგან. ეს ხელნაწერი მ. ჯ ა ნ ა - შ ვ ი ლ ს 1906 წ. მწიგნობარ გივი მაისურაძისაგან შეუძენია. მისი აღწერილობა და „ახალი ქცის“ იქ შერჩენილი ტექსტი მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ მ ა 1907 წ. თავის „ნაშრომი“-ს I წიგნში დაბეჭდა. ხელნაწერი ქალაღზეა In. folio დაწერილი. მისი ზომა 30X19¹/₂ სანტ. უდრის, ნაწერისა-კი 21¹/₂X13¹/₂ სანტ., თითოეულ გვერდზე 16 სტრიქონია. როგორც მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ს ა ც ჰქონდა აღნიშნული, ამ ხელნაწერსაც თავი და ბოლო აკლია.

XIX

ამჟამად მხოლოდ 412 გვერდია შერჩენილი, თავდაპირველად-კი „დაახლოვებით უნდა 600-მდე ფურცელი“ ყოფილიყო.

ხელნაწერი „გადაწერილია“, მ. ჯანაშვილის დახასიათებით, „მეტად ლამაზ მხედრულით, მაგრამ სამნაირ ხელით: 376 ფურცლამდე უწერია ერთ კაცს, 410 ფურცლამდე მეორეს და დანაშთენი ორი ფურცელი მესამეს“. აქა-იქ სათაურები და სახელები წითურად არის დაწერილი (იხ. მ. ჯანაშვილის „ნაშრომის“ გვ. 12).

B ხელნაწერის შინაარსიც ორ მთავარ ნაწილად იყოფა: პირველი ნაწილი ძველი ქცის აქა-იქ შემოკლებულ შევსებულს ტექსტს შეიცავს თავითგან გიორგი ბრწყინვალის დასასრულამდე. ხოლო მეორე ნაწილი, რომელიც იწყება 373 წ გვერდითგან, ე გ ნ ა ტ ა შ ვ ი ლ ი ბ ე რ ი ს ახალ ქცა“-ს შეიცავს. სამწუხაროდ B ხელნაწერს

410 v გვერდის შემდეგ რვეულები და ფურცლები აკლია და 1543-1696 სწ. წ. საქართველოს მთელი თავგადასავალის შემცველი ტექსტი დაკარგულია. ბოლოში შერჩენილია კიდევ მხოლოდ B-ს 411 და 412 ფურცლები.

უეჭველია, B ხელნაწერის თავისა და ბოლოს დაზიანებულობის გამო, მისი დაწერილობის თარიღი არ ვიცით, მაგრამ მაინც ცხადია, რომ იგი XVIII ს. შუა წლებში, მაინცდამაინც სამოცდაათიან წლებამდე უნდა იყოს გადაწერილი, რათგან იქ რამდენიმე ადგილას კიდევბზე (იხ. აქვე). უცნობ პირს 1779 წ. თავისი კრიტიკული შენიშვნები დაურთავს.

„ახალი ქცის“ ტექსტი ამ ორი A და B ხელნაწერების მიხედვით არის აქ დაბეჭდილი იმავე სახით, როგორც დედანშია დაცული. მხოლოდ მისით სარგებლობის გასაადვილებლად მოთხრობა თავებად მაქვს დაყოფილი, მაგრამ ისე-კი, რომ ახალი თავის დასაწყის სიტყვას

XX

შავად დაბეჭდილი რიცხვი უზის წინ. მოთხრობის ერთმანერთზე ხლართივით გადაბმულობის გამო, თავების მუხლებად დაყოფვა ძნელი იყო და ამიტომ თავები მთლიანად არის დატოვებული და თითოეულ გვერდზე მხოლოდ სტრიქონების სათვალავებია აღნიშნული.

„ახალი ქცის“ ენა XVIII ს. სამწერლობო ენის ნორმებს-კი არ მისდევს, არამედ ქართლურ-კახურ სასაუბრო კილოს ანარეკლს წარმოადგენს. ეს გარემოება უეჭველია იმით აიხსნება, რომ მისი შემდგენელნი ამერელნი იყვნენ და ეს ძეგლი დაუმთავრებელი და ენის მხრითაც გაუმართავი დარჩა. მის შემდგენელთა სიმრავლის გამო, ცალკეული სიტყვებისა და სახელ-გვარების დაწერილობის ერთგვარობაც-კი არ არის დაცული, მაგ.:

შაჰთამაზის სახელი ასეც სწერია, მაგრამ ზოგან **შაჰსთამაზ**-ადაც (იხ. გვ. 74²⁶, 75¹⁻², 3, 7, 19, 20. – 76⁷, 15, 17. –

85²⁴⁻²⁵ და სხვაგან) და **შასთამაზ**-ადაც (გვ. 74³⁰, –

76²⁸, – 77¹, I¹⁰, – 78³, 19, 27, 28 და სხვაგან). აქ **ჰს** და **ს** ბგერა

ისეთივე ბგერა უნდა იყოს, რომელიც თანამედროვე ქართლურ-კახურ მდაბიო ხალხურ მეტყველებაშიც ისმის და **ჰ**-სა და **ს**-ს შუალედს თანხმოვანს წარმოადგენს

(იხ. ვ. თოფურიას „ქართლური“: კრებულში „არილი“, გვ. 129-130 და არნ. ჩიქობავას „ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი“: ტფ. უნივ. მოამბე, VII, 200 და მისივე „გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად“: კრებულში „არილი“, გვ. 66-67).

აღსანიშნავია აგრედვე დამახასიათებელი მოვლენა, რომ გ-ს მაგიერ უ სწერია და, ისმოდა ამ ხანაშიც, მაგ. **თუისი, თუითცა, ბეური, სიტყუა, ძლეუა, ლეუან** და სხ. აკად. გ ჯ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი ს ჩანაწერებით მტკიცდება, რომ ასეთი ბგერითი მოვლენა საქართველოში მაშინ უცხოელისათვისაც-კი მკაფიოდ საგრძნობი ყო-

XXI

ფილა, მაგ.: **ექუსი Ekusi, თექსუმეტი Teksumedi, წუერი Zueri, ძუალი Tsuali, – ფეტუი Petui კუერცხი Kuerzehi** და სხვ. (იხ. Reisen II, 496-500 და შემდეგი).

ქართლურ-კახური დიალექტოლოგიური თვისებები მოთხრობის ენას სხვაც არაერთი ემჩნევა, მაგრამ ამაზე შემდეგს წიგნში გვექნება საუბარი.

რაკი „ახალი ქ ცა“ დაუმთავრებელი და გაუმართავი დარჩა და A ხელნაწერი ნუსხა დედნად არის ქცეული, **ამ ძეგლის გამომცემელს უფლება არ ჰქონდა ამ ნაშრომის ენის გასწორება და გამართვა დაეწყო.** მისი მოვალეობა იყო ამ კოლექტიური ნაწარმოების კარგი და უარყოფითი თვისებები ისევე დაეცვა, როგორც ხელნაწერშია აღბეჭდილი. ეს ისტორიკოსს საშუალებას მისცემს ამ საისტორიო ძეგლის გაჩენის პროცესს უფრო ღრმად ჩაუკვირდეს, ენათმეცნიერს-კი XVIII ს. ქართულის საყურადღებო დიალექტოლოგიურს საკვლევო მასალას მიაწვდის. ამიტომაც ამ გამოცემაში დედნის დაწერილობა მხოლოდ იქ არის აღუნიშნავად შესწორებული, სადაც ცხადი წერითი შეცდომა იყო და ასეთ შემთხვევებსაც აქვე აღვნიშნავ. ამ შეცდომათაგან ნაწილი წერითი შეცდომებია, როცა ერთი ასოს მაგიერ მეორე ასოა, ანდა ასოა გამოტოვებული, ან ზედმეტია, – ნაწილი-კი მეხსიერებითია – ასოთა ადგილგადასმულობითი, მრჩობლ-დაწერილობითი ანდა მხოლოდაწერილობითი შეცდომებია.

წერითი შეცდომები:

	A-ში
გვ. 55 ¹	ვიდე
74 ¹⁴ და 195 ¹⁵	ჯარა

XXII

86 ¹⁰	თოლუას
91 ¹⁰	ჰყუერობდენ
94 ²⁶	შეიქნენ
103 ¹⁴	წვანვილი
109 ¹⁶	ქეთავან
122 ²⁹ -123 ¹	მივცემთო
126 ¹⁴	უკან და მოვიდა
177 ¹	მადამდი
179 ³	გარა
182 ⁵	ციხისა
183 ¹⁷	გონებისაებრ
189 ²⁰	განეთესა განსყიდვა
197 ²⁷	გატეხილ ჳიდი
200 ⁵	ზაალა
201 ¹⁸	რიმის
210 ¹²	რა ამათ
210 ²²⁻²³	ია-რალისა

მეხსიერებითი შეცდომები:

გვ. 69 ²²	დადიამნა
100 ⁴	ერთსა bis
135 ¹²	თავი bis
152 ²	და დასთმო
156 ⁴	შაბა და ხან
160 ²⁴	იოოთამ
177 ²²	ესე bis
181 ²	წარხვალ
181 ²¹	როსტომ მეფისა როსტომის
182 ¹⁹⁻²⁰	ეგრეთვე იყოლიეს მუტრიბნი და მრავალნი მძევალნი მათცა ეგრეთვე იყოლიეს.
188 ¹⁵	„ძისა ვახტანგისა, თეიმურაზის" შემდეგ გადამწერს გამორჩენია „ძისა', რაც ირკვევა გვ. 170 ¹⁵ -თან შედარებით.

„ახალი ქცის“ ამ გამოცემას დართული აქვს გეოგრაფიულ-ტომობრივი და პირთა სახელების სამიბლები, რომელნიც მეცნ. აკადემიის საქართველოს ფილია-

ლის ენის, ისტორიისა და მატერ. კულტურის აკად.
ნ. მარრის სახელობის ინსტიტუტის უმცროსმა მეცნიერმა
მუშაკმა მიხ. კახაძემ შეადგინა. მეორე მათგანი,
მისი მეტისმეტი სირთულის გამო, თავითგან ბოლომდე
პირადად მაქვს შემოწმებული და შესწორებული.

ამ გამოცემას კომენტარებთან ერთად უნდა ამ ძეგლის
ლექსიკონიც ჰქონოდა დართული, მაგრამ, მისი სიდიდის
გამო, აქ ვერ მოთავსდა, არამედ კომენტარებთან ერთად,
ცალკე წიგნად დაიბეჭდება.

ამ ძეგლის გადმონაწერი ტექსტი ბეჭდვის წინ დედ-
ნებს მ. კახაძემ შეადარა, რომელმაც ამასთანავე
კორექტურების გასწორების და საძიებლების შედგენის
ტვირთიც იკისრა. ყველა ამისთვის მ. კახაძეს დიდ
მადლობას ვუძღვნი. ასევე დავალებული ვარ მეცნ. აკად.
საქართველოს ფილიალის გამომცემლობის ტექნიკური
რედაქტორის შალვა ჭუმბურიძისაგან, რომელ-
მაც ამ გამოცემის ღირსებას დიდად შეუწყო ხელი, რის-
თვისაც დიდ მადლობას მოვახსენებ.

ივ. ჯავახიშვილი

XXIV

ახალი ქართლის ცხოვრება

ტექსტი

შემოკლებული და ქარაგმიანი სიტყვების განმარტება

A = საქ. სახ. მუზეუმის ხელნაწერის № Q/207

B = საქ. სახ. მუზეუმის ხელნაწერი № S/4730

ა~დ – არამედ

ვ~ა – ვითარცა

ვ~დ – ვითარმედ

კდ – კუალად, კვალად

კ~იზი – კათალიკოზი

რ~ – რამეთუ

ქ~ცა – ქართლის ცხოვრება
ღ~თივ – ღვთივ
ღ~თისა – ღვთისა
ღ~მან, ღ~თნ – ღმერთმან
ხ~ – ხოლო

შავად დაბეჭდილი ხელნაწერებში წითურად სწერია.

A კ'დ 11
B 373 v
~ე გიორგი

1. აქა დაიწყო აღმოცისკრებად ძემან მეფისამან გიორგიმ, რომელი აღეზარდა პაპა-სა მისსა დიდსა ბექას: - ხოლო ესე გიორგი იგი არს, რომელი ამა მეფის ვახტანგს უწინ მისცა ყაენმა მეფობაჲ, მე დიმიტრი თავდა-დებულისა და ძმაჲ დავით მეფისა და ვახ-ტანგ მეფისა, მეფე მესამეოც და შვიდე ბაგ-რატოანი:-¹

5

ხოლო ესე გიორგი წარავლინა ბექამან ჩო-ფანს თანა და მან მოიყუანა ყაენს წინაშე ². ხოლო მან პატივითა შეიწყენარა და წინათვე ³ დაუსახვიდა ნიშთა მეფობისათა. ამან ყაენმან წარმოავლინა მოციქული და სთხოვა შვილი, რათა მეფე ყოს. მაშინ მცირე იყო გიორგი. იგიცა მოსცეს და წარმოგზავნეს ურდოსა და ყაენმან მოსცა მეფობაჲ და ტფილისი და უჩი-

10

15

¹ B: ამის შემდგომ შავი, მქრთალი მელნით და ტე-ქსტისაგან განსხვავებული ხელით სწერია: „ქ~ტს აქეთ ჩ. ტ. დ. წელსა“.

² B-ში აქ მარცხენა კიდეზე უცნობი პირის ხელით სწერია: „[ა]მას ქვემო ამ წიგნში ყველა სწორედ არ უწე-რიათ. ღ~ნ მიუტეოს ეგნატაშვილს ბერს იმდენი შურით და მტერობით სიცრუე. მაგრა წერილის დაგდება მტე-ტობით კეთილი და უმჯობესთაგანი საქმე არ არის“.

³ A წინათთვე.

ნა საზღვარად და საქმის მოურავად დიდი გი-ორგი და მივიდეს ტფილისსა.

A კ~დ 12

5

B 374 r

10

15

20

25

A კ~დ 13

30

2

B 374 v

2. || დ ამას წელსა მიიცვალა მთავარი სამ-
ცხისა ბექად, კაცი წარმატებული ყოველსა ში-
ნა, სიკეთე აღმატებული საღ~თო-საკაცობოთა
შინა || საქმეთა და უმეტეს სამართლის მოქმე-
დებითა, ეკლესიათა და მონასტერთა მაშენებ-
ლობითა, სოფლისა კეთილად მორწმუნებითა
და გლახაკთა და ქურივ-ობოლთა უზომოთი
მიცემითა.

ხოლო საყუარელი მეუღლე მისი იყო გამ-
ცემელ ეპისკოპოზთა, მონაზონთა და ყოვლი-
სა სამღრდელოთა და საეკლესიოსა სოფლისა
ესოდენ, რომელ სადამე ესმინის კეთილი და
მოღვაწე და მეცნიერი ეპისკოპოზი, გინა მო-
ნაზონი, წინაშე მისსა მოუწოდის და მოიყუა-
ნის და მრავლითა ნიჭითა და პატივითა ამ-
ყოფის. და სავსე იყო სახლი მისი მონაზონი-
თა და ხუცითა. ამას თანა აქუნდა შეწყნარე-
ბულობა ობოლ-ქურივთა და დავრდომილთა.
ხოლო სახლსა მისსა არა დააკლდებოდა სამ-
სამი ლოცვა და ამისთუისცა წარუმართა ღ~თ-
მან დღენი ცხოვრებისა მისისანი: მტერთა
ძლევასა, მშვიდობასა და დაწყნარებასა. მიი-
ცვალა ვითარ სამეოც და ექუსისა წლისა და
დაუტევა გლოვა და მწუხარებად უზომო მკვი-
დრთა სამცხისათა. და დაიპყრეს სამცხე სამ-
თავე || ძეთა მისთა: უხუცესმან სარგის და შე-
დეგმან ყუარყუარე და უმრწემესმან შალვამ.

3. ხოლო აღესრულა მესამესა წელსა მეფე

დავით¹, გარჯილი სენთა მწარეთა || მიერ და
დაფლეს სამარხოთა მეფეთასა. და დაუტევეს
ნაცვლად მისად ძედ მისი მცირე გიორგი, ორ
წელ მეფე ქმნული.

4. შემდგომად ამისსა ინება ყაენმან ამჯედ-
რება ქუეყანასა ზედა შამისასა, ციხესა, რო-
მელსა ეწოდება რაბაშანი, რომელი აქუნდა
სულტანსა მისრელსა. წარვიდა ყოვლითა ძა-
ლითა თვისითა და თანა წარიტანა ლაშქარი
დიდი და გარე მოადგა რაბაშანს ხუთ თუე 10
და ვერა ავნო რა და ამისთუის აიყარა და
წარვიდა. და ჰყუა ექუსი არწივი დამართული
სხვათა მფრინველთა თანა და ავაზათა აქეთ,

5

	ესოდენ დიდ იყო ძალი მისი. მოვიდა ყაენი შინა და მიერიდგან არღარა სადა განილაშქრა: დღეთა მისთა იყოფოდა მშვიდობით და ნებიერად ათცამეტ წელ დამპყრობელი ყაენობისა.	15
A კ~დ 14	5. ხოლო ამან ულჯათ სულტანმან წარმოავლინა მცირე გიორგი მეფედ. და ზაალ მელიქი ვინმე სპარსი ხვარასნელი და ახრუნჩი, მამის ძმად ჩოფანისა, თანა წარმოატანა, რათა ყოველი საქართველო ერთად შეკრიბონ მეფობასა შინა გიორგისასა. და აჩინეს ამათ მკვარგძელი შანშე და ზაქარია ავაგის ასულის ხვაშაქის ნაშობი. მივიდეს ჯავახ ეთს მიერ კოხტის თავსა და აწვევდეს სარგის და ყუარყუარეს გამოსვლად და არად ინებეს გამოსვლა.	20
B 373 r	6. ხოლო ამათ ჟამთა შინა იქმნა განდგომილებად საბერძნეთს და განუდგეს ულჯათ სულტანსა ფარმანის შვილნი და ქალაქი დი-	25

¹ B-ში წითურად სწერია.

5	დისა კონისა (sic). მაშინ წარავლინა ყაენმან ჩოფან სპითა მისითა საბერძნეთს და თანა წარატანა ქართველნი და წარყუა გიორგიცა ჩოფანს. ხოლო გოგაზლა, მალუქ, შანშე და ზაქარია არა წარყუეს თანა. და აიყარნეს და ტფილის შევიდეს. და წარიტანეს თანა მეფე გიორგი საბერძნეთს. და ვერ წინააღუდგეს ფარმანიანნი ლაშქართა მათ ერთ წელ. და ყოველნი მას შინა მყოფნი ქართველნი მოსცა მეფესა გიორგის. იახლნეს ჯავახნი და თორელნი, რაოდენ ჰყუეს, და, სადაცა ილაშქრიან და შეიბნიან ციხეთა ზედა, მუნ მწნედ მბრძოლად გამოჩნდის მეფე გიორგი და მისთანა ყოველნი ქართველნი. და ესრეთ მოიმორჩილნა ყოველნი განდგომილნი და ურჩნი მისნი და მოქცევასა წელიწდისასა მივიდა შინა.
A კ~დ 15 B 375 v	7. და სთვლისა ჟამსა, ვითარ მივიდა ჩოფან წინაშე ყაენისა და მცირედი დაყო, ვითარ თვეცა ერთ, და მოკუდა ულჯათ სულტანი და დაუტევა ძე მცირე, ვითარ შვიდისა წლისა სახელით მუსაით (sic). ხოლო იგი მიასუენეს და დაფლეს ქალაქსა მას, რომელსა ეწოდებოდა
20	

ყორლოლნგი, რომელ მან აღაშენა და განავ-
რცო უმეტეს თავრეზისა და უწოდა სახლად სულ.

25

8. ხოლო ესმა რად მეფესა გიორგის სიკუ-
დილი ყაენისა და მის წილ დადგინება მუსა-
ითისა, წარვიდა ურდოსა. და მივიდა რად
ურდოსა მეფე გიორგი, განიხარა ჩოფან და
შეიტკბო სიყუარულითა დიდითა, ვითარცა
შვილი, და მოსცა ყოველი საქართველო და
ყოველნი მთავარნი საქართველოსანი და შვილ-

4

ნი დავით მეფისანი და მესხნი, შვილნი
ბექასნი. და დაიწყო მთიებმან აღმოჭვირვებად,
ხოლო მე ენა ვერ მიძრავს საკურველისა და
საშინელისა თქმად.

9. ¹ ამის გიორგი მეფის ცხოვრება, რაც 5
არ სწერია, ამისგან კიდევ ვერა ვპოეთ. ეს
ოდენ გვეუწყა: ამის გიორგი მეფის ჟამში
ჩინგიზ-ყეენტა მტერობა აღუჩნდათ და წახ-
დენ, და იმერეთს ნარინ დავითის შვილნიც
ერთმანერთზედ აღდგენ. და, რა დრო დაიცა 10
მეფე გიორგიმ, ჰერ-კახთა და სომხითის
ერისთავნი, რომელიც ჩინგიზთ მიუდგენ, კახეთს
ცივზედ მოაწვივა და ამოსწყუიტა, იმერნი და
ამერნი გაიერთა და დაიპყრა ნეზისაებრ ყოვე-
ლივე საქართველო ². 15

A კ~დ 16
B 376 r

10. || || ჟამამდე ³ ღთივ გუირგუინოსნისა მე-
ფისა გიორგისამდე ძისა თავდადებულისა მე-
ფისა დიმიტრისამდე, ეწერათ ცხოვრებანი
ქართველთანი. ხოლო ძისა მეფისა გიორგისა,
მეფისა ბაგრატისა არღარა წერებულიყო, ვიდ- 20
რე მეფისა გიორგისა ძისა ბაგრატისამდე.
ხოლო ამის ბაგრატისა და ძისა მისისა კოს-
ტანტინესი დაეწერათ და ვპოეთ ძველთა წიგნ-
თა შინა და ქვემოთ რიგსა მისა ზედა დაგუი-
წერია. და ესე ამბავნი მის-ზემოთნი, გუ- 25
ჯართა და სპარსთა და სომეხთა ცხოვრებისაგან
გამოვიღეთ და აღვწერეთ. ხოლო მეფისა აღე-

¹⁻² B-ში ეს ¹⁻² შუა მოქცეული სტრიქონები
ტექსტის ხელით დაწერილი არ არის.

³ აქეთგან B -ში იწყება მეორე ნაწილის გადამ-
წერის ხელი.

ქსანდრესა და მისა მისისა მეფისა კოსტანტინესი და შემდგომი ძველთა კაცთა და სპარსთა ¹ ცხოვრებისა ², ქორანიკონთა და გუჯართაგან აღგვიწერია, ვიდრე მეფისა როსტომისადმდე. ხოლო მეფისა როსტომის-აქათი თუით თვალითა მნახველთა და მისთა ომებთა შინა მყოფთა კაცთაგან აღგვიწერია. და, რაოდენი საეჭველი იყო, უკმარ ვყავით, ხოლო მართა || ლი აღგუიწერია ცხოვრებისა ბაგრატ მეფისითგან: –

5

B 376 v
10

11. ² ჟამსა მას ოდეს განაგებდა ლთივგურიგუინოსანი მეფეთ-მეფე ბაგრატ, ეპყრა ყოველი საქართველო საბ[რ]ძანებელსა თუისსა ქუეშე, მას ჟამსა იჯდა კათალიკოზი ელიოზ, კაცი საფერი საქმისა.

15

A კ~დ 17

12. || და ჟამსა მას გამოჩნდა კაცი ერთი თურქეთის ქვეყანასა, სახელით თემურ, ხოლო ეწოდაცა ლანგი და იყო ესე მკელობელი. და სპარსთა ენათაგან ლანგ მკელობელსა ეწოდების, ამად ეწოდა ლანგ-თემურ. და ესე ლანგ-თემურ იყო გვართ ჩინციზი, და ამისთუის ეწოდა ჩინციზი, რომე თურქეთისა ქუეყანისა მკვიდროანთა იყოფებოდა ქალი ერთი. და იყო ქალი ესე მრავლისა ერისა და ულუსისა

20

¹ B + და

² B + და

³ B-ში ზემო და მომდევნო სტრიქონს შუა ეს სათაურია წითურად ჩაწერილი: „ცხოვრება მეფე ბაგრატ ბაგრატიონისა ძმ“.

უფროსი, და იქმნა მის ზედა საქმე ესევითარი: დაორსულდა დედაკაცი იგი, და არა ესვა ქმარი. და შეუძნდა საქმე ესე ერსა და ულუსსა მისსა და შეკრბეს სრასა მის დედაკაცისასა და მიუვლინეს მოციქული და ეს ¹ რეთ ეტყოდეს: „ვინადგან მთავარ და უფალ ქმნილ ხარ ჩვენ ზედა, რასათუის შეამთხვიე თავსა შენსა საქმე საკიცხელი“. ხოლო იგი უარ-ჰყოფდა და ესრეთ ეტყოდა: „უკეთუ ირწმუნებთ

A კ~დ 18

სიტყუათა ჩემთა, უწყოდეთ რ~ ჩემთანა 10
 მამაკაცი არა ყოფილა და არცა მივდგო-
 მილვარ ჯორციელთა კაცთაგან, და, უკე-
 თუ არა სარწმუნო ხართ, დაადგინეთ ჩემთანა
 მსტოვარნი კაცნი სარწმუნონი || თქუენნი და მე 15
 ცხადად უჩვენო, ვინა მოვალს ჩემთანა". და დაა-
 დგინეს ერმან და ულუსმან მისმან მცველნი და
 იხილეს მსგავსი ნათლისა ჯელოვანება ბელია-
 რისა, რომელი მივიდა ღამე დედაკაცისა მის
 თანა და მსგავსმან განისვენა მსგავსისა თანა.
 ვითარცა სცნეს საქმე ესე, ირწმუნეს ერმან და 20
 ულუსმან მისმან, ღამე ყოელ მოვიდოდეს
 დედაკაცისა მის თანა და იყოფებოდა. და იტ-
 ყოდეს: საქმე ესე ჭეშმარიტ არს. და რაჟამს
 მიუდგა დედაკაცი იგი და იშვა მისგან წული, 25
 აღიზარდა და უწოდეს ყრმასა მას ძედ ნათ-
 ლისად და გააჯელმწიფეს და ყუეს პატრონად
 თვსად და მიერიდგან უწოდეს ჩინციზი და
 სწამს მათ ვიდრე მოაქამომდე დიდ გვარად.
 მიერითგან მეფობდენ ძენი მისნი.

¹ აქეთგან მოყოლებული B -ს დედანს აკლია ერთი ფურცელი.

5

A კ~ე 1

10

15

B 377 r

13. და ესეც ლანგ-თემურ თესლისაგან მათისა იყო და პატრონობდა ულუსსა რომელსამე ზედა. და პოვა ჟამი რამე ნებისა თვსისა და მოკლა მეფე თურქთა და მოსრნა ყოველივე ძენი მისნი და თვით დაიპყრა სრულიად თურქეთი და პატრონობდა ყოველთავე ზედა.
 || და ცხოვრება ამა ლანგ თემურისა ვრცელად (sic) წერილ არს ცხოვრებასა შინა სპარსთასა და სომეხთაცა სხვებრ რადმე აღუწერიათ და, ჭეშმარიტი რომელი არს, ღ~თნ უწყის.
14. და ამიერითგან განძლიერდა ლანგ-თემურ და პოვა ჟამი-წარმართებული საქმისა თვსისა და დაიპყრა რომელიმე ქუეყანა და წარემართებოდა საქმე მისი კეთილად, ვითარცა არს ჩვეულება || საწუთოსა ამის სოფლისა. და იყი რჯულითა სუნი.

15. წარმოემართა და მოიწია სომხითად. და
 20 მოაოხრა სომხითი და ტყუე-ყო და ჭირი დი-
 დი მოაწია მათ ზედა, რამეთუ ვრცელად ცხოვ-
 რება მათ ცხოვრებასა მათსა წერილ არს,
 რამეთუ თუისად მიიმძლავრნა იგინი და ყო
 საბრძანებელსა ქუეშე თუისსა.

16. და წარვიდეს მუნითგან და მიიწივნეს
 25 კარსა, დაიპყრნა და მოსრნა ყოველნივე, რამე-
 თუ ვერვის ძალ-ედვა წინა-აღდგომა მისი
 სიმრავლისაგან სპათასა. და დაიბანაკა და
 დაიზამთრა მუნვე. და იყო ზამთარი ფიცხელი.
 ამას ჟამსა შინა მიერთო ათაბაგიცა და პა-
 30 ტივსცა დიდად ათაბაგსა.

A კ~ე 2 17. და შემდგომად ზამთრისა || წარმოემართა

8

ქართლსა ზედა, რამეთუ ესე იყო წადილი მი-
 სი. გარდამოვლო აზოცი და მოაოხრა და იავარ-
 ყო ყოველივე ქრისტეს აქათ: ჩტ~ჟგ. ჩამოვ-
 ლო თრიალეთი და ვერა აღუდგენ წინა, რო-
 5 მელსა აწ საბარათიანოდ უწოდენ, მუნებურნი,
 B 377 v და იგინიც მოსრნა და მკუი || დრნი მის ადგი-
 ლისანი. და შემუსრნა სიმაგრენი და ციხენი
 მის ადგილისანი.

18. და ვითარცა ესმა მეფესა ბაგრატს,
 10 გამაგრდა ციხესა ტფილისისასა. და, რა ესმა
 საქმე ესე ლანგ-თემურს, უფროსად განძვინდა
 და დაუმძიმდა წინა აღდგომა მეფისა ბაგრა-
 ტისა. წარვიდა და მოადგა ციხესა ტფილისი-
 15 სასა, უბ[რ]ძანა სპასპეტთა, სპასალართა და მე-
 ბრძოლთა მისთა ყოველთავე ბრძოლა ძლიერი.
 და მრისხანებით მიეტეუნეს ციხესა ტფილისი-
 20 სასა. და გამოვიდა მეფე ბაგრატ და სრული-
 ად ქართველნი, მიეტეუნეს ურთიერთას. და
 ბრძოდეს ქართველნი ფიცხად: და იქმნა იმიერ
 და ამიერ ბრძოლა ძლიერი და მოისრა ორგ-
 25 ნითვე სიმრავლე კაცთა ფრიადი. და უფრო-
 სად მოსწყდეს სპანი თემურისანი ¹ და ვედარა
 A კ~ე 3 აღიღეს ციხე || ტფილისისა. და შემდგომად ამი-
 სა მოიპოვა ლანგ-თემურ ღონე ესევეითარი:
 და ქმნეს ჩელტები რკინისა და იფარეს სპა-
 25 თა მისთა და სიმრავლისაგან ლაშქართასა
 მიეტეუნეს ციხესა და მძლავრებით შემუსრეს

¹ B: ჯერ სწერია „სპარსთანი“, შემდეგ წაშლილია და „თემურისანი“-ა ზემოთგან დაწერილი.

და ყოველივე მყოფი ციხესა მას შინა და თუ-
ით დაიპყრა ციხე და ტყუე-ყო მეფე ბაგრატ.
ხოლო დაჰპატიჟა ლანგ-თემურ რჯული მაჰმა-
დისა, ხოლო მეფემან არა უსმინა და ჰყუა
5 პატიმრად.

მაშინ წარვიდა ლანგ-თემურ ყარაიაში
ნადირობად: მოინადირეს, შეექცეს და დახო-
ცეს მრავალი. და მიერთგან წარვიდეს ყარა-
ბაღსა და მეფე ბაგრატც (sic) თანა წაიყვანეს
10 პატიმარი, და, ვითარცა მოიწივა ბარდას, და-
ყო მუნ ჟამი რაოდენიმე.

19. მაშინ ლანგ-თემურ ყო ვინმე სარდლა-
თა ერთი მოყმეთა თუისთაგანი რჩეული და
მისცა მას ლაშქარი მრავალი და წარგზავნა
15 შიდა ქართლსა ზედა, რამეთუ თუით ლანგ-
თემურ არა მისრულიყო || შიდა ქართლსა, და
A კ ვ ე 4 უბრძანა შემუსრვა ციხეთა და ქალაქთა, მოს-
რვა პირითა მახვილისათა ყოველთავე მუნ
20 მკუიდრთა, მამაკაცისა და დედაკაცისა. და
ჟამსა მას იყო ქორანიკონი ქრისტეს აქათ:
ჩ~ ტჟგ.

20. და მოიწივნეს ლაშქარნი მი || სნი და
იავარ-ყუნეს და მოაოჭრეს ყოველივე საქართვე-
ლო, შემუსრეს და დაარღვიეს წმინდ კათო-
25 ლიკე ეკლესია მცხეთისა და მიიწივნეს მუნით
ქუაბთა-ხეუსა და შეიპყრეს მუნ მყოფნი კაცნი,
მამანი და დედანი, მღვდელნი, დიაკონნი და
მონაზონნი და შეამწყუდიეს ტაძარსა წმიდი-
სა ქუაბთა-ჯევისა ლ~თის მშობელისასა და შეუგ-
30 ზნეს ცეცხლი შინაგან ეკლესიისა და დაწვეს,

რომელიცა იყოფებოდეს ეკლესიასა მას შინა.
და ვიდრე დღეინდელად დღედმდე იხილვების
შინაგან იატაკსა ზედან წმიდისა ეკლესიისასა
და დამწვარნი სახენი მათნი დღესაცვე ზედან

	სხენან.	5
A 37 ე 5	და აღიყარნეს მუნითგან და წარვი- დენ ზედა და, სადაცა ვინ იხილეს კაცნი და შენობა, მოსრეს და აღაოხრეს ყოველვე. და მიიწივნეს რუის[ს]ა და მოიცივეს იგიცა და ია- ვარ-ყუეს და ეკლესია წმიდისა ლთაებისა ძირითურთ აღმოფხურეს და მოაოხრეს ყოვე- ლივე ქუეყანა.	10
B 379 r	და წარმოვიდეს მუნითგან და ჩამოვლეს კახეთი და იგიცა აღაოჭრეს და დაწვეს და წარვიდეს.	15
	21. და იყო მუნ ჟამ რაოდენმე, ხოლო წარ- ვიდა მუნითგან და მივიდა შაქის. და მიერთნეს ყოველნივე მკვიდრნი მის ადგილისანი, დი- დებულნი და მცირენი, კავკასიანი და ლეკნი, შირვანელნი და გილან-მაზანდარელნი (sic).	20
	22. და თანა ჰყუა მეფე ბაგრატ, ტყუედ პყრობილი და კვალად ღონე ჰყოფდა ლანგ- თემურ მიქცევად მეფისა ბაგრატისა რჯულსა ზედა მაჰმადისასა ლიქნითა და მრავალთა ნიჭ- თა ქადებითა. მაშინ გულისხმა-ჰყო წინააღ- რჩევით მეფემან ბაგრატ და მოიქელოვნა გან- ძრახვა ესევეთარი და მიჰყუა ნებასა მათსა, არა გულითა ჭეშმარიტითა, არამედ საქმისა ამისთუის, რომელი წინამდებარემან სიტყუამან გაუწყოს. და მორჩილ-ექმნა ლანგ-თემურს და მიიქცა რჯულსა ზედა მაჰმადისასა. მაშინ	25
A 37 ე 6		30
		11
B 379 v 5	ლანგ-თემურ განიხარა სიხარულითა დიდითა და შეიტკბო მეფე ბაგრატ და პატივისცა დი- დად: და უძღუნა საბოძვარი და შესამოსელი საჯელმწიფონი, საგებელ-სახ ურავი, მსგავ- სი სიდიდისა მათისა, დიდად ითუისა და მრავალსა კეთილს უყოფდა. მაშინ მრავალთა ქართველთა დაუტევეს რჯული თუისი და მი- ვიდეს რჯულსა ზედა მაჰმადისასა.	
10	23. ხოლო მაშინ დიდად მწუხარე იყო მეფე ბაგრატ და იტყოდა გულსა შინა თუისსა: „არა ვსცე ძილი თვალთა, არცა განსვენება ჳორც- თა ჩემთა, ვიდრემდის არა ვიძიო მათ ზედა შური". და საქმე ღმერთს მიანდო. და უმეტე- სადლა ზრუნვიდა დატეუებისა რჯულისა თუი-	

15 სისათვის და მიდრეკისა ქართველთათვის.
 მაშინ მოიპოვა ღონე ესევეთარი: ვინადგან
 A 3~ე 7 (sic) დიდად სარწმუნო უჩნდა ლანგ-თემურს
 და ¹ || მორჩილობდა სიტყუასა მეფის ბაგრატი-
 სასა (sic), და ჰრქუა ლანგ-თემურს „ვინათგან
 20 (sic) ვსცან კეთილად სიმტკიცე რჯულისა შენი-
 სა, აწ მეცა მოქენე ვარ, რათამცა სრულიად
 მორჩილ-ვყუნე რჯულისა თქუენისა მკვიდრ-
 B 380 r || ნი საქართველოსანი სრულიად. უკეთუ გნე-
 ბავს მოქცევა მათი სჯულსა თქუენსა ზედა, აწ
 25 მომეც სიმრავლენი სპათა თქუენთანი და წარ-
 ვალ თემთა და სამეფოთა ჩემთა და მოვხადო

¹ A: მქრთალი მეღნით მერმე დაწერილია მე-17 სტრიქონად: „დიდი იგი ყაენი რათა უქველად და“, B-ში არ არის.

12

კაცთა მყოფთა მთის ადგილისათა: მთიულთა,
 ოსთა, დვალთა, სვანთა, აფხაზთა და ყოველ-
 თავე მუნ მყოფთა და მე დავარწმუნებ რჯულ-
 სა თქუენსა".

24. და ვითარცა ესმა ლანგ-თემურს გან- 5
 ზრახვა ესე მეფისა ბაგრატისა, განიხარა სიხა-
 რულითა დიდითა და მოსცა საბოძვარი ური-
 ცხვი და სპანი ვითარ თორმეტი ათასი და სარ-
 დალი უჩინა და წარმოავლინა მეფე ბაგრატ
 საქართველოსა ზედა. 10

25. ვითარცა მოიწივნეს კერძოთა და არე-
 თა საქართველოსათა, მაშინ გაგზავნა ჩინებუ-
 ლი და სარწმუნო აზნაური რუს ეგნატაანტაგანი
 A 3~ე 8 (sic) || საიდუმლოდ მიუწერა მეფემან ბაგრატ მე- 15
 სა თუისსა გიორგის ესრეთ, ვითარმედ „მე მო-
 ვალ სპითა ლანგ-თემურისათა და თქუენცა
 B 380 v || შეიყარეთ სპანი საქართველოსანი და მზი-
 რად წინა შეგვემთხვიენით, ერთსა სიმაგრესა
 და ვიწროთა გზათა ზედა და მეცა მოვალ
 თქუენთანა და უქმნათ წინა-უკანა და მოვს- 20
 რათ პირითა მახვილისათა და ვიძიოთ შური
 პირველი, რომელ ჰყუეს მათ ჩვენ ზედა".

და ყო ეგრე, ვითარცა მიუწერა მამამან
 მისმან: და შემოიყარნა სპანი საქართველო- 25
 სანი რჩეულნი და დაუმზირდა გიორგი ერთსა
 ვიწროთა გზათა და სიმაგრეთა ზედა. რა მი-

¹ სიტყვითგან „გაგზავნა – ეგნატაანტაგანი“ – მდე A-ში უფრო მკრთალი მელნით არის შემდეგში დაწერილი, B-ს არა აქვს.

რისანი, მაშინ მიივლტოდა მეფე ბაგრატ ძისა
 თუისისა თანა. და განეწყუნეს წინა-უკმო (sic)
 და მიეტევნეს ქართველნი, ვითარცა ლომნი,
 და იქმნა ბრძოლა ძლიერი. მოსრეს და ამოს-
 წყუიტეს სრულიად თათარნი. და მოკუდა კა-
 ცი თორ || მეტი ათასი თათართაგანი და არა-
 რა ევნო სპათა საქართველოსათა. და იძიეს
 შური პირველი. || და წარვიდა თუისად მეფე
 ბაგრატ და ძე მისი გიორგი გამარჯვებული.

26. და ვითარცა მიიწია ამბავი ესე ლანგ-
 თემურისა, დიდად შეუძნდა და მწუხარე იყო
 საქმისა ამისათუის და დაიბანაკა მუნვე ზამ-
 თარსა მას. და ვითარცა მოიწივა თვე მარ-
 ტისა, შემოიკრიბა სიმრავლე ლანგ-თემურ და
 წარმოემართა კუალად ქართლად, განძვინე-
 ბული ფრიად. და დაუტეუა შაქისი და მოი-
 წივა ბარდას და მუნ დაუტეუა ბარგი სამძი-
 მარი, რომელი არა ეკმარებოდა. და დაარჩი-
 ვა მეომარი სპა და თვით წარმოემართა სიმ-
 რავლითა ურიცხუთა სპათათა და მოიწია
 მდინარესა ზედა მტკუარსა. და მტკუარსა ზე-
 და გასდუა ჳიდი ნავებითა და განვლეს მას
 ზედა. მოვიდა შირვანშა და შემოეყარა ჳა-
 რითა ლანგ-თემურს და წარმოემართა საქართ-
 ველოსა ზედა.

მას ჟამსა იყო || გაზაფხულის პირი და ცი-
 ოდა დიდათ და || მოსწვიმდა, სთოვდა.

27. და ვითარცა მოიწია ლანგ-თემურ
 საქართველოსა შიგან, დახუდენ მეფე ბაგრატ
 და ქართველნიცა შეყრილნი. და მიეტუნენ
 ერთმანერთსა და იქმნა ბრძოლა ძლიერი და

მოისრა იმიერ და ამიერ კაცი ურიცხვი და
 უფროსად თათარნი ორი ზომა მოისრა ოძსა
 მას შინა. და სპათა სიმრავლისაგან თათარ-

თასა, .და მძლე ექმნეს თათარნი, მიიქცეს და ივლტეს ქართველნი სიმაგრეთა და ხიზანთა 5
თუისთა თანა, და რომელიმე შეიპყრეს, და-
ჯოცეს და ამოსწყუიტეს და ყოველივე მოს-
რეს პირითა მახვილისათა. ხოლო ქართველ-
თა წინათვე უწყოდენ მოსვლა ლანგ-თემური-
სა და ყოველივე შელტოლვილ იყუნეს მთასა 10
კავკასიისასა. და მოჰყვნენ თათარნი თანა,
შემოვიდეს საქართველოში, მოითარემეს, მო-
აოჯრეს და დაწვეს წმინდანი ეკლესიანი და
აღაოჯრეს ქვეყნები, და ხიზანი ვერა დააჯე-
ლეს.

A კ~ე 11 და შემდგომად ამისა შეიქცა || ლანგ-თემურ
B 382 r თუისადვე. და ამისად შემდგომად წარვიდა
კვალად ყარაბაღსავე, დაყო მუნ ხანი რაოდე-
ნიმე.

28. და ჟამსა ამასვე მიიცვალა მეფე ბაგ- 20
რატ და დაჯდა მის წილად ძე მისი მეფედ
გიორგი.

მ~ფე და იყო კ~ოზი ელიოზ. და მიიცვალა კ~ოზი
გიორგი¹ ელიოზ და დაჯდა მის წილ კ~ოზი გიორგი.

და² დაიპყრა მეფემ გიორგიმ ყოველი სა-
25
ქართველო, და იმერნი და ამერნი.

¹ A: წითურად და განსხვავებული ხელით, B-ში არ არის.

² B: ამის ზემოთ სტრიქონებს შუა წითურად სხვა ხელით ჩაწერილია: „ცხორება მეფე გიორგისა, ძო“.

29. და რა ესმა ლანგთემურს დაპყრობა საქართველოსი მეფისა გიორგისაგან, იწყინა დიდად ამისთუის, რომე მეფემ ბაგრატ იძია მას ზედა შური, მომსრველმან სპათა მისთამან. 5
ამისთუის დიდად მტერ ექმნა და წარმოგ-
ზავნა სარდალი თუისი ყარალათი სპითა მრავლითა მეწინავედ და თუითცა უკანა გა-
მოუდგა. და წარმოემართნეს საქართველოსა ზედა სპითა ურიცხვითა. და გასცა საბომვა-
10
რი მრავალი სპათა თუისთა ზედა და დაი-
B 382 v ერთგულა. მოვიდა და დადგა ყარაბაღსა || და
A კ~ე 12 აღივსო ყარაბაღი სპითა. და || მოიწია სამძ-

15 ღვარსა ქართლისასა და მიუწერა მეფესა გი-
ორგისა წიგნი და მიუმცნო ესრეთ, ვითარ-
მედ „მე ვარ მეფე შენი და მოვედ ჩემ-
და და შემომრიგდი (sic) და მოგცემ საბოძ-
ვარსა მრავალსა და დიდად პატივგცემ, და
უკეთუ არა მორჩილ მექმნები, უბრძანებ ლაშ-
ქართა ჩემთა და მოვაოჯრებ სრულიად ქუეყა-
20 ნასა შენსა“.

30. და ვითარცა მიიწია მოციქული მე-
ფისა გიორგისა წინაშე, და ესრეთ უპასუხა
მეფემან გიორგიმ მოციქულსა მას, ვითარმედ
25 „მე მეფისა შენისა უმცირესი არა ვარ და არ-
ცა ძალ უც მოოხრება ქუეყანისა ჩემისა და, ვი-
ნადგან უთქუამს, უკეთუ არა აღასრულოს
საქმე ეგე, იყოსმცა დიაცი და არა კაცი“.

31. წარვიდა მოციქული იგი ლანგ-თემუ-
რისა და მიართვა ამბავი ესე და მოახსენა ქე-
30 ბა დიდი მეფისა გიორგისა, სიმძნე და სიკე-
თე მისი და სპითა მისისა. და რა ესმა სიტ-

16

B 383 r ყუა ესე ლანგ || -თემურსა, განძვინდა დიდად და
აღიყარა და წამოვიდა ლაშქრითა ურიცხვითა.

A 37 ე 13 32. და რა ესმა მეფესა გიორგის, – || მაშინ
თანა ახლდენ იმერნი და ამერნი და მესხნი და
ყოველივე საქართველო, – აღიყარა იგიცა, წარ- 5
მოვიდა და ეწყუნენ ურთიერთას და იქმნა
ბრძოლა ძლიერი. და იყო ქარი ძლიერი და
აყრიდა მტვერსა პირსა ლაშქარსა ლანგ-თე-
მურისასა და განმძნდეს ძლიერად ქართველ- 10
ნი და მიეტეუნეს, ვითარცა ცეცხლი თივასა,
და მოსრნეს და ამოსწყუიტეს სპანი მრავალ-
ნი ლანგ-თემურისანი ესრეთ, რომე ამისთანა
მარცხი და ზიანი არაოდეს შემთხვევია სპათა
ლანგ-თემურისათა და შეადრწუნეს დიდად
ლანგ-თემურ და ლაშქარნი მისნი, არამედ 15
სიმრავლისაგან ლაშქართასა ვერღარა დაიდრ-
ნეს და იდგნენ მუნვე. შეწუხდა ლანგ-თემურ
და გამოიძეა თავი, აღუძახა ლაშქართა
B 383 v თუისთა. მაშინ განმძდენ სპანი ლანგ-თე || მური-
სანი და განიწირნეს თავნი და არღარა ძალ- 20
ედვათ ქართველთა, დიდის ომისა და სიმაშ-
ვრალისაგან განდრკეს ქართველნი და ივლტ-

A კ~ე 14

ოდენ. და წარვიდენ მათათა და სიმაგრეთა.

33. ხოლო || ლანგ-თემურ მიადგა ციხესა ტფილისისასა. და განამაგრეს ციხე, რამეთუ იდგნენ რაოდენიმე ქართველნი შინაგან ციხესა და მოადგნენ გარე, აღილო ციხე და გალავნები ციხისა და გარემო სიმაგრენი ყოველივე ქართლისანი. და შეაყენა შიგან სპანი თუისნი და თუისად იპყრა. შეაყენნა შიგან

17

კაცნი ხორასნელნი და თუით აღიყარა და წარვიდა და დადგა მუხრანს. და რაოდენნიცა ნახეს სპათა მისთა ეკლესიანი, ანუ შენობანი, ყოველნივე მოაოჭრნეს.

5

34. მაშინ რომელნიმე ქართველთაგანიცა მოუვიდეს. აღიყარა და მიადგა ადგილსა ჯანიბეგისასა, რომელი იყო მთავარი ქართლისა, ჩადგა და დაუწყო მოოჭრება. და ველარა დაუდგა ჯანიბეგ და || მოუვიდა იგიცა. და დადგა ხანსა რაოდენსამე ლანგ-თემურ და მოაოჭრა სრულიად საქართველო. და ენება კვლადება მეფისა გიორგისა და ვერ შეუძლო შეპყრობა მისი.

B 384 r
10

A კ~ე 15
15

35. და რაჟამს მო || უვიდა ჯანიბეგ, აღიყარა მუნითგან, წარვიდა და მივიდა, სადა ჰქონდა ბარგი და სამძიმარი თუისი. მაშინცა არავე დასცხრა მოოჭრებისაგან საქართველოსა, წარგზავნა ხოჯა შიხალი და წარატანა თანა სპანი მრავალნი. და ერთს მჭარეს, ჯანიბეგის მამულის კერძო, გაგზავნა ამირჯან შა და გაატანნა სპა ურიცხვი და თითო-თითოს მჭარესა გააყენნა სარდლები და სპანი ურიცხვი და უბრძანა, რაოდენიცა ნახონ ურჩი და განდგომილნი თუისნი, ყოველნივე მოსრან და მოაოჭრონ ადგილიცა მისი.

20

25

B 384 v

და უბრძანა ესრეთ: „რომელნიცა შეიპყრობთ მეფესა გიორგისა და მოიყუანს ჩემთანა, მივანიჭებ წყალობასა და საბოძვარსა ურიცხვსა“.

და წარვიდენ სპასალარნი და სპანი მისნი და მოაოჭრეს ყოველი ქუეყანა და ვერ შეიპ-

18

A კ~ე 16	<p>ყრეს მეფე გიორგი. და რომელნიმე შეიპყრნეს ყმანი მეფის გიორგისანი და ჰკითხვიდნენ, თუ სადა არს გიორგი მეფე. ხოლო მათ არარა იცოდნენ, და ვერა გაიგეს რა მეფის გიორგისა. შემოიქცენ და მოვიდნენ ლანგ-თემურისა თანა და მოახსენეს ვერ-შეპყრობა მეფისა. და-ჭმუნდა ლანგ-თემურ დაჭმუნვებითა დიდითა და აღიყარნეს და წარმოვიდეს მუნითგან და მოვიდეს ყარაბაღად.</p>	5
B 383 r	<p>36. მაშინ იყო თირ სულთანი ქუეყანისა ჯალაისა, სჯულითა მაჰმადიანი. ოდეს მოვიდა ლანგ-თემურ ქუეყანასა მისსა, აღუდგა წინა ესე თირ სულტანი და მრავალი ზიანი უყო სპათა ლანგ-თემურისათა, და მერმე ვერღარა დაუდგა, წამოვიდა და მოვიდა მეფესა გიორგისა თანა. ხოლო მეფემან გიორგიმ მიუპყრო პატივი დიდი და ჰკითხევდა და უსმენდა თქმულთა მისთა.</p>	10
A კ~ვ 1	<p>37. და რაჟამს იხილა მეფემან გიორგიმ მძლავრება ესევეთარი ლანგ-თემურისა განიგულა შერიგება და მორჩილება ლანგ-თემურისა. წარავლინა კაცი და მოუწოდა კაცსა მას, რომელი მოსრულიყო რჯულითა მაჰმადიანი, სახელით ისმაილ, ესე განაგო მოციქულად ლანგ-თემურისა თანა. ხოლო რაჟამს შეიგნა საქმე ესე სულთან თაირ, ფრიად დაუშალა მისვლა და შერიგება ლანგ-თემურისა თანა. ხოლო მეფემან არა უსმინა და წარგზავნა კაცი იგი და შესთვალა სიტყუა მორჩილობისა ესრეთ, ვითარმედ „მოვალ შენ-</p>	20
B 385 v	<p>და და დაგემონები და მორჩილ ვიქმნები შენი, ვყოთ მშვიდობა და მოგცემ ხარაჯასა".</p> <p>და რა მივიდა მოციქული ლანგ-თემურისა თანა და ესმა სიტყუანი ესე, ფრიად განიხარა და სათნო უჩნდა. გააბრუნა მოციქული იგი და შეუთვალა ესრეთ, „უ კეთუ მოხვიდე წინაშე ჩემსა და შემომრიგდე, მეცა მიპატივებია დანაშაულები შენი".</p>	25
10	<p>38. მაშინ განიზრახა თუისგან და თქუა ესრეთ, ვითარმედ მატყუებს მეფე გიორგი და არა მოვალსო ჩემთანაო. და მაშინ წარმოემართა</p>	30
		19

A3~3 2 ივანე ათაბაგსა ზედა || ამისთუის, რომ მორჩი-
 ლობდა მეფესა გიორგის მორჩილებითა დი-
 დითა და რაჟამს ეწყო ლანგ-თემურს მეფე
 15 გიორგი, მაშინ ივანე ათაბაგი თან ახლდა,
 და ამისთუის დიდად მტერ იყო მისთუის.
 და წარემართა ზემო ქართლსა ზედა, ჩადგა
 და აღაოჭრა ქუეყანა და ამოსწყვიტა მრავა-
 20 ლი სული, დაარღვივნა წმიდანი ეკლესიანი,
 ხატნი და ჯვარნი. და, რაოდენნიცა შეიპყრა
 კაცნი ქრისტიანენი, დაჰკატიჟნა სჯული მაჰ-
 მადისა და, რომელიცა მორჩილ-ექმნა, თანა
 წარიყუნა; და, რომელიცა არა მორჩილ ექ-
 მნეს, მოსრა პირითა მახვილისათა.

B 386 r 25 **39.** გარდმოვლო მუნნთ და ჩამოდგა მან-
 გლის || და დადგა თვესა ორსა მუნ. და მოვიდ-
 ნენ კაცნი სჯულითა მაჰმადიანი, რომელნი
 ესახლნეს სამძღვართა ქართლისათა, რამეთუ,
 რაჟამს მოიცლიდიან ქართველნი ლანგ-თემუ
 30 რისაგან, ჩაუდგიან თათართა, რომელნი ესახ-
 ლნეს სამძღვარსა ქართლისასა მაჰმადიანი, და

20

A3~3 3 მოაოჭრებდიან. მათ შემოსჩივ || ლეს: „ქართ-
 ველთაგან მრავალი ჭირი გამოგუივილიან,
 რომელნი არიან მახლობელად ჩვენსა ქართ-
 ველნი, მათგან შეგვემთხვივა ჭირი დიდი და
 5 აოჭრება და აწ ამაზედ მოგვეკმარენით." და
 შეეწყალა ლანგ-თემურს და მოიყუნა სარ-
 დალი ერთი, რომელსა ეწოდა სახელად ამირ
 შიხ ნურადინ, და უბრძანა სპითა თუისითა
 წარსვლად. და რაჟამს წარვიდა იგი, შემ-
 დგომად ორისა დღისა უბრძანა კვალად სხვა-
 10 სა სპასპეტსა წარსვლად და მიშველებად მისა.
 და რა მივიდა იგიცა ადგილთა ქართველთასა,
 რომელნი უკმობდეს თა || თართა და თემთა
 მათთა, და იბრძოდენ დღესა ხუთსა და
 15 სძლეს სიმრავლისაგან ჯართასა სპათა ლანგ-
 თემურისათა. და აღიღეს ადგილნი და ციხე-
 ნი და სიმაგრენი, და ტყუე ვერა მოიკელეს
 და სხვანი შენობანი მის ადგილისანი მოაოჭრ-
 ნეს ყოველივე და დაწვეს და წარმოვიდეს
 20 ლანგ-თემურისა თანა.

40. და ამას ჟამსა შინა მოვიდა ელჩი

A 3~3 4

ფრანგისა, რამეთუ შეეპყრათ შვილი კეისრი-
სა || და მოართვეს იგიცა ლანგ-თემურს. ეტრფია-
ლა და შეეწყალა შმენიერება და სიჭაბუკე
მისი და მისცა საბოძვარი და სამეუფო სამო-
სელი და განუტევა თუისსა სამყოფსა.

25

41. და შემდგომად ორისა თვისა აღიყა-
რა მანგლისიდგან, და წარვიდა და მივიდა
კევსა არაგუისასა, შევიდა მას შინა დაამსხ-
ვრია და მოაოჯრა ¹ და აღილო სიმაგრენი ყოვე-

21

B 387 r
5

ლივე არაგვისა, და კაცი ვერა მოაქელა, დაწ-
ვა და წარმოვიდა. და დაიპყრა ქუეყანა სია-
სი და სხვანი ქუეყანანი მრავალნი. მაშინ
არა || ვე დააცხრო გულის წყრომა ქრისტიანე-
თა ზედა.

10

42. ხოლო მეფემან გიორგიმ კვალად და-
იპყრა ქართლი. და რა ესმა კვალად ლანგ-
თემურს, განიგულა წარმოვლინება ლაშქრი-
სა თუისისა. წარმოავლინა ძე თუისი სულ-
თან უსეინ, ფირ მაჰმად ამირ შიხი, აბუბექირ
და თავადთა მისთაგანი ჯანშა და თემურ ხა-
ჯა აღბულა, სეიდ ხაჯა, შიხ აღისშვილი და
სხვანი მრავალნი თავადნი და სპანი ურიცხვ-
ნი. და წარმოვიდნენ, მოვიდნენ და მოად-

15

A 3~3 5

გნენ ერინჯაგსა, რომელ არს ციხე, რამეთუ
მა || ს ჟამსა ეპყრა იგი მეფესა ქართლისასა.
და ადგნენ ხანსა მრავალსა და ხანსა რაო-
დენსამე შეწუხდენ ციხესა შინა მყოფნი, გა-
მოვიდეს და დაანებეს ციხე. მოვიდნენ მცველ-
ნი იგი ციხისანი და შემოეხვეწნენ. და წარ-
მოიყუანეს ციხისა თავი და უფროსი მეციხოვა-
ნე და მოჰგვარეს ლანგ-თემურს. ხოლო ძენი
ლანგ-თემურისანი წარმოემართნეს ქართლად
და მივიდნენ || მანგლის.

20

A 387 v
25

43. და რა სცნა ესე მეფემან გიორგიმ,
წარმოუგზავნა მოციქული, შემოუთვალა ხვეწ-
ნა და მშვიდობის ყოფნა და ითხოვა შერიგე-
ბა და შუამავლობა მამისა მათისაგან. ხოლო
ძეთა ლანგ-თემურისათა უსმინეს და შემოუთ-
ვალეს ლანგ-თემურს ხვეწნა ესე მეფისა გიორ-

30

	გისა. ხოლო ლანგ-თემურ უსმინა და ყო მშვი- დობა და შემოუთვალა ძეთა მისთა და იკმნო ძენი მისნი. წარმოვიდნენ და მოვიდნენ ლანგ- თემურისა თანა და ჩამოეხსნენ ქართლსა.	
A 33 6	44. და კვალად წარვიდნენ ძენი ლანგ- თემურისანი ბაღდადსა ზედა, მივიდეს და აღიღეს ბაღდადი და დაიპყრეს არაბისტანი მრავალი თემი და აღივსნეს საშოვრითა. და ინება ლანგ-თემურ თავრიზის მოდგომა და წარ- მოვიდა სანახავად ციხისა მის, რომელი პირ- ველ აღიღეს ალინჯა. და წარმოემართა სპითა ურიცხვითა და კარვებითა მრავალ-ფე- რითა, მოვიდა და ნახა ციხე ალინჯა. და წარვიდა და მივიდა ტბასა გელაქუნსა.	5 10
B 388 r	45. და სცნა რა მეფემან გიორგიმ, წარ- მოუგზავნა ძმა თუისი და ძღვენი მრავალი და მოუმცნო ესრეთ, ვითარმედ „სადაცა -გუი- ბრძანებთ, გილაშქრებთ და ვიქმნებით მორ- ჩილნი თქუენი. და ამიერითგან დააცხრვე გულისწყრომა შენი ჩვენ ზედა“. და შეეწყალა ლანგ-თემურს, აღიღო ძღვენი მისი და მიუმ- ცნო ესრეთ, ვითარმედ „მიპატივებია დანა- შაგები შენი და ამიერითგან, რომელიცა არი- ან მაჰმადიანი სამძღვარსა საქართველოსასა, ნულარა იკადრებთ რბეუად და წყინებად მათ- და და იყოს მშვიდობა ჩვენსა და თქუენს შუა“. და მუნითგან აღიყარნენ და მივიდნენ ბარდასა და დადგა მუნ.	15 20 25
A 33 7	46. და რა გამოჰჰდა წელიწადი ერთი, მოივარგა ყოველივე საქმე თუისი ლანგ-თე- მურ და განიზრახა გულსა შინა თუისსა და	30
		23
B 388 v	5 თქუთ „შარშან რომ მეფე გიორგი დამპირდა, ვნახოთ აღმისრულებს იმ პირობას, თუ არაო. და თუ აღმისრ ულებს, ვსცნა ახლა“. წარ- მოვიდა და დადგა მანგლისს. და იყო თავადი ადგილსა მას, რომელსა ეწოდება მარტია- ნა, და თავადსა მას ეწოდება სახელად ესაია. და მას პირობა დაედვა ლანგ-თემური- სათუის მისვლად მის თანა და არღარა მისუ- ლიყო. და რა მივიდა ლანგ-თემურ ¹ , შეწყუბდა	

	10	თავადი იგი და არღარა ჰქონდა ღონე მისვლის მეტი. და მოიპოვა ღონე ესე და შეეხვეწა ძესა ლანგ-თემურისსა შარუხს და ჩამოუშვა შუამავლად. წარვიდა და წარუღო ძღვნად ლარნი მრავალნი და მივიდა ძესა თანა	
	15	ლანგ-თემურისასა, ხოლო მან მიიყუანა თავადი იგი ლანგ-თემურისა თანა. და რა ნახა ლანგ-თემურ, უთხრა სიტყუანი წყრომისანი, თუ ვითარ იკადრე შენ ჩემი ურჩობაო. მაშინ მოეკმარა ძე მისი და იპატივა და შეაწყალა მამასა თუისსა და უშოვნა ხალათი. და	
A კ~ვ B 389	8 r	მოართვა ძემან ლანგ -თემურისმან აბუბექირ და შეირთო ცოლად. და იყუნენ მიერთგან მოყუარენი და მიენდო ლანგ-თემურცა.	
	25	47. მაშინ ათაბაგმან აღბუღას შვილმან ივანემ აღიღო მანცა ძღვენი ტურფანი და მივიდა ლანგ-თემურისა თანა. მაშინ შეიწყალა ლანგ-თემურ და მისცა ხალათი და უყო წყა-	
		<hr/>	
		¹ A: ლანგ-თემურს.	
	24		
		ლობა. და მოუვიდენ გარემონი თავადნი სომხითისა, სამცხისა და კარისა.	
		48. და რა სცნა ესე მეფემან გიორგიმ, წარმოევლინა ძმა თუისი კოსტანტინე ძღვენი-თა მრავლითა და მიუმცნო სიტყუა მდაბალი	5
		მორჩილებისაი და იამა დიდად ლანგ-თემურს და შეიწყალა. და წარვიდა მუნითგან მკარესა მას ქურთისტანისასა და დაიპყრა ქურთისტანი.	
		49. და მაშინცა არავე დააცხრო ბოროტმან	10
		ამან გულის წყრომა თუისი ქართლსა ზედა და სწადოდა ქუეყანა გასათათრებელად, და იგონებდა ძვირსა და ბოროტსა ქართლისათუის და უფროსად მეფის გიორგისათუის,	
B 389	v	ჯავრისა მის თუის, რომელი უყო მეფემან ბაგ-რატ. ხოლო წარმოგზავნა პირველად პატრონი შირვანისა სახელად შიხ ბარაიმ. ესე წარმოგზავნა, რა თა შეიტყოს გამოსავალი საქართველოსა გლეხისა და ბეგარა და სარგო	15
A კ~ვ	9	მეფისა გიორგისა. და თუითცა წარმოვიდა	20

და მოვიდა კარს.

50. და რა სცნა ესე გიორგი მეფემან, წარ-
მოუგზავნა კაცი იგი სახელად ესაია, რომე-
ლი იყო თავადი სომხითისა, და მოუმცნო
ესრეთ, ვითარმედ „რომელიცა პირობა მო-
გვიცემია, ყუელა აღგვისრულებია და ურჩობა
არა გვიქნია რა და, რომელსაცა ამიერთგან
გვიბრძანებთ, არა ურჩ გექმნებით. და აწ ის-
მინეთ აჯა ჩვენი და შეიწყალეთ ქუეყანა ესე

25

¹ B+ამან –

25

ჩვენი, ნუ მოხვალ და ნუცა წახდენთ ქუე-
ყანასა ამას, რამეთუ მოსავლისა პირი არის,
და, თუ ახლა თქვენ მოხვალთ, წაჭდება სუ-
ლად ქუეყანა ესე“. რამეთუ თავადი ესე ესაია
იყო ყმა მეფისა გიორგისა, წარგზავნა ესე და
ფეშქაშიცა გაატანა მეფემან.

5

B 390 r

და რა მიათვაფეშქაში, არა აღიღო
ლანგ-თემურ, რამეთუ სწყრებოდა ფრიად და
შეუთვალა ესრეთ, ვითარმედ „უკეთუ გინდა
წაუტდენლობა ქუეყანისა ამის, მოდი ჩემთანა
და გათათრდი. და თუ გასთათრდები, არცა
გთხოვ || ხარკსა და მოგცემ ჳელ-შეუალად ქუე-
ყანასა მაგას და სხვასაცა მრავალსა საბომ-
ვარსა. და უკეთუ არა გათათრდები, დაიდეუ
ხარკი ჩემი და მოდი ჩემთანა და მოგცემ ქუე-
ყანასა მაგას. და, როგორც განუტეუე შვილი
კეისრისა, ეგრეთვე შენცა არას გავნებ და
განგიტეუებ მშვიდობით, რამეთუ იგიცა შენის
სჯულისა იყო. და უკეთუ არა მოხვალ, და-
ვასრულებ ჯა[ვ]რსა ჩემსა შენზედა და ქუეყანა-
სა შენსა ზედა, ანუ დავასრულო ცხოვრება
შენი და ქუეყანაცა. და უკეთუ მოხვიდე, მი-
ფიცავს თავსა მაჰმადისასა, რამეთუ უკეთესი
პატივი მოგცე შენ კეისრისაგან და მშვიდო-
ბით განგიტეუო, და უკეთუ არა, მიეცნენ ძე-
ნი და ასულნი შენნი ტყუეობად“. და რა
წა || ვიდა მოციქული, ლანგ-თემურ განიზრახა
თუისაგან: „ესე უწყი, აღიღებენ მოსავალსა
და განიგულვენ სიმაგრეთა და არღარა მოვ-
ლენ ჩემთანა“. და ამისთუის არა უსმინა ხვეწ-

10

A კ~ვ 10

15

20

25

B 390 v

30

მრავლითა, რამეთუ სწადოდა მიზეზით შეჰყ-
რობა მეფისა გიორგისა.

A კ~ვ 11

51. და რა სცნა || საქმე ესე მეფემან გიორ-
გიმ, დაიხიზნა ყოველივე ქართველი და მოიმ-
კეს მოსავალი და წარიღეს თუისთა თანა. წა-
ვიდა ლანგ-თემურ და ჩადგა შიდა ქართლსა
და იდგა ხანსა რაოდენსამე და ველარა მოახე-
ლეს რა, მისჭირდა და წარმოვიდა.

5

52. და მოადგა ციხესა ბირთუისისასა. და
იყო მაშინ ციხისთავად სახელით ნაზალ და
ოცდაათნი თავადნი ჩინებულნი და სხვანი მრავ-
ვალნი აზნაურნი და მსახურნი ქართლისანი.
და მაშინ სპანი ლანგ-თემურისანი ზარობდენ
ციხისა მისგან, რამეთუ მრავალგზის მრავალი
ჭირი ენახათ ქართველთაგან და, ვითარცა
კან || ჯარი ლომთაგან, ეგრეთ თრთოდენ ქართ-
ველთაგან, რამეთუ ერთი ქართველი ათსა
მათგანსა წარიქცეუდა და იცოდნენ ციხისა
მის სიმაგრე და საზრდელთა სიმრავლე.

10

B 391 r

მაშინ, განმზრახთა თვისთა თანა, არჩივა
ლანგ-თემურ და ცდილობდენ, თუ რამ ეყო
ციხისა მისითუის. ესრეთ ურჩივეს მათ, რამე-
თუ იციან სულად ყოვლმა კაცმან, უკეთუ
შემოადგება ლანგ-თემურ ციხესა რომელსამე,
არა მოეშვების || რომე არა აღიღოს, და დაას-
კუნეს შემოდგომა ციხისა მის და აღება. მა-
შინ მიუდგნენ სპანი ლანგ-თემურისანი ციხე-
სა მას და გამოვიდნენ სპანიცა ციხოსანნი და
შემოუტივეს სპათა ლანგ-თემურისათა. ჰყუნ-
და ლანგ-თემურს უკან ჯარი დამალული და
უკმოეცალნენ თათარნი. მაშინ მიეტეუნეს ცი-

15

20

A კ~ვ 12

25

27

B 391 v

ხოსანი და მოსწყვიტეს და უყუეს მრავალი
ზიანი. მაშინ დიდად || განძვინდა ლანგ-თემურ
და ბრძანა ორისავ კუთხის ციხის აგება. და
თუით მიადგა კარსა ციხისასა და მუნცა
ბძანა აგება ციხისა. და რა გამოვიდა კუი-
რა ერთი, და შეიგნეს დიდათ სიმაგრე ციხი-

5

10 სა და ვერა აღება შინაგან ციხისა მის და
 უშიშრობა ციხოვანთა. და იყო მუნ კლდე ერ-
 თი და მუნითგან პოვეს მცირე რამე აღსავა-
 13 ლი. მაშინ იყო სპათა ლანგ-თემურისათა კა-
 15 ცი ერთი, სახელად ბეგიჯაგ, მისრელი და მან
 A კ~ვ მოიჭელოვნა და აღვიდა ღამე მალვით ში-
 ნაგან ციხისად, აღიყუნა თხა ერთი და დაკ-
 13 ლა მუნ ამისთვის, რომე ესე შ || ეტყო ქართ-
 15 ველთა ციხოვანთა, რომე შემოპარულან ცი-
 ხესა ამას¹ ლაშქარი ლანგ-თემურისანი და მა-
 შინ იყუნენ ქართველნი უშიშრად. მაშინ უჩ-
 ვენა კაცმან მან აღსავალი ციხისა. მაშინ გა-
 ნიხარა ლანგ-თემურ და ბრძანა კელოვანებით
 20 დაწნა კიბისა ბანბისა || და აბრეშუმისა. და
 B 392 r აგზავნეს კაცი იგი პირველ-აღსრული და მან
 კაცმან მოაბა წვერი ერთი კიბისა ადგილსა
 მაგარსა მის კლდისასა და ღამე შეუიდა ჯა-
 რი ლანგ-თემურისა და აღივსო ციხე იგი ჯა-
 25 რითა. და მაშინ წარვიდა ზოგირამე ჯარი და
 განულო ციხის კარი ლანგ-თემურს და სპათა
 მისთა. და რა სცნეს ქართველთა საქმე ესე,
 მაშინ შეებნენ გულ-მესისხლედ და ბრძოდეს
 თავ გამოძეტებით. და იყო ბრძოლა ძლიერი

¹ A და B იმისი.

28

და მოსწყვიტეს ჯარი ლანგ-თემურისანი მრავალნი, და ბოლოს დარჩა გამარჯვება ლანგ-
 თემურს სიმრავლისაგან ლაშქართასა და აღი-
 14 ლო ციხე იგი. და მოართვეს მრავალნი დი-
 A კ~ვ დებულნი, || აზნაურნი დარჩენილნი ლანგ-თე 5
 მურს და წარკვეთნეს ყოველთავე თავნი, და
 ციხის თავსა მას, რომელსა ეწოდა¹ ნაზალ, მას-
 15 ცა წარკვეთა თავი, და ცოლი || მისი მისცა
 B 392 v მპყრობელსა შირვანისასა და ციხისა ამის
 ამღებსა მისცა წყალობა მრავალი, და შეაყე- 10
 ნა ჯარი თუისი ციხესა მას შინა და დაუყე-
 ნა ციხისა მის თავად სახელად მაჰმად, დაუ-
 ყენა მცველნი მრავალნი. და უბრძანა გარე-
 შემოთა წმიდათა ეკლესიათა დარღვევა და
 მოოჯრება და, რაოდენიცა პოვონ, მოსვრა და 15
 სრულიად ამოწყუეტა. და წარვიდა მიერთ-

გან და არღარა შესძინა ლანგ-თემურ მოსულად საქართველოსა შინა.

53. და მოვიდა კვალად მეფე გიორგი და დაიპყრა სამკვიდრო თუისი ქართლი და იყო უშიშრად. 20

54. და დაასრულა ლანგ-თემურ მოოჭრება ქართლისა და წარვიდა სხვათ ქუეყანისა დაპყრობად. და ქმნა მრავალნი საქმენი დიდძალნი ლანგ-თემურ, რომლისა ცხოვრება მისი ვრცელად წერილარს ცხოვრებასა შინა სპარსთასა, ხოლო ჩვენ აღვწერეთ ყოველივე || მოსვლა მისი ქართლად და აო || ვრება ქართლისა, რომელი არასადა მოწეუნილ არს ქართლსა 25

A კ~ვ 15
B 393 r

¹ B+ეწოდა –

ზედა ჭირი ესე-ვითარი, რაოდენი ამან მოაწოვა.

55. ხოლო, შემდგომად წარსვლისა ლანგ-თემურისა, კვალად დაიპყრა ქართლი მეფემან გიორგიმ. და ამა ლანგ-თემურ დაიპყრა ქურთისტანი, ინდოეთი, სპარსეთი, შირაზი, ადრაბაგანი და დაიჭირა ბურსას მჯდომი ხონთქარი, რომელსა სახელად ეწოდებოდა ბაიაზით. 5

ესე იყო თესლი ოსმანისა და, შემდგომად მაჰმადის გამოჩენისა, გამოჩნდა კაცი ერთი ოსმან სახელითა და სჯულითა სუნი. ამან იყო მეკობრობა, განიმრავლა მრავალი საქონელი მეკობრობითა და მით შემოიყარა მრავალი კაცი. და დაიპყრა არაბისტანი და ტახტად ჰქონდა ბურსა და დაჯდა მუნ. და ვიდრე ბაიაზით ხონთქრადმდე ძეთა მისთა ეპყრათ ბურსა. და ესე ბაიაზით ხონთქარი დაიჭირა ლანგ-თემურ და ჩასვა რკინის || ყაფაზაში და რკინის ყაფაზით ატარებდა, და თემი მისი ლანგ-თემურ დაიპყრა. და კეისარმანც მართო მღვენი და მისცა ხარაჯა ლანგ-თემურს. 15

B 393 v
20

და დაიპყრა || რუსეთი, წარმოვიდა და მოვიდა თურქისტანში და მუნ მოკუდა და ბოროტი იგი ბოროტად წარწყმდა. 25

A კ~ვ 16

56. და მაშინ განუყო ძეთა თუისთა თემ-

30
 ნი და ქუეყანანი: რომელსამე მისცა ინდოეთი, რომელსამე ხორასანი და რომელსამე ადრ-ბაგანი. და მიერთგან ველარა შესძინეს ძეთა მისთა ქართლად მოსვლა, რამეთუ იყო ურთიერთას შინა შური და ჳდომა. და დაიწყო

30

- ქართლმა შენობა. და ხანსა რაოდენსამე უკან მოკუდა მეფე გიორგი.
- მეფე დავით¹ ო*** 57. და დაჯდა მის წილ ძე მისი დავით: ქრისტეს აქათ: ჩ¹ ტნე:, მას ჟამსა იჯდა კ¹ოზი ბასილი. და იმეფა კეთილად ამან დავით მეფემან ხანსა რაოდენსამე შინა მშვიდობით და მოკუდა. 5
- მეფე ალექსანდრე² ოა**** 58. და დაჯდა მის წილად ძე მისი ალექსანდრე ქრისტეს აქათ ჩ¹ ტნიბ:, და || ამავე ჟამსა შინა იჯდა კათალიკოზი ბასილივე და მოკუდა კ¹ოზი ბასილი და დაჯდა დორათეოზ. და იმეფა კეთილად ამან ალექსანდრემ მშვიდობით და ხანსა რაოდენსამე უკან მოკუდა. 10
- მეფე გიორგი² ობ.***** 59. და დაჯდა მის წილად ძე მისი გიორგი ქრისტეს აქათ: ჩ¹ ტჟგ: – ამა ჟამსა შინა იჯდა კ¹ოზი გიორგი და მოკუდა კ¹ოზი გიორგი და დაჯდა კ¹ოზი || ელიოზ და მოკუდა კ¹ოზი ელიოზ და დაჯდა მიქელ და მოკუდა კ¹ოზი მიქელ და დაჯდა დავით. და იმეფა ამან გიორგი მეფემ კეთილად და მშვიდობით და ხანსა რაოდენსამე 15 20

B 394 r

A კ¹ზ 1

¹ B ამის ქვევით იმავე ხელით: „ტყუილია. ეს დავით მეფე არც ყოფილა, არც შობილა.

* B-ში: ო –

² B. იმავე ხელით კიდევუ ამ სათაურის ქვევით: „ეს ალექსანდრე ძე იყო გიორგისა ძისა ბაგრატისა. ამან ააშენა მცხეთა.

** B-ში: ოა –

³ B. იმავე ხელით კიდევუ ამის ქვევით სწერია: „ტყუილია“, ეს მეფე არ ყოფილა, არც შობილა“.

*** B: ობ –

31

მეფე ალექსანდრე¹ ოგ* დენსამე შინა მოკუდა და დაჯდა მის წილად ძე მისი ალექსანდრე ქრისტეს აქათ: ჩუიბ
 60. და იყო მას ჟამსა შინა კ¹ოზი დავით

5 და მოკუდა კ~ოზი დავით და დაჯდა ელიოზ/
 მოკუდა ელიოზ კ~ოზი და დაჯდა თეუოდორე
 და მოკუდა კ~ოზი თეუოდორე და დაჯდა შიო.

10 **61.** და ამა ალექსანდრე მეფემან მატა სხვა-
 თა მეფეთა ქართლისათა სიკეთითა, რამეთუ
 იყო კაცი მეცნიერი და მოშიში ღთისა და
 15 ელმოდა გული მოოჯ || რეზისათუის² წმიდისა კა-
 თოლიკე ეკლესიისა, და არა ჰქონდა ღონე
 აღშენებისა, ამისთუის რომე ქუეყანა ლანგ-
 თემურისაგან მოოჯრებული იყო, საუნჯე
 არღარა ჰქონდა. მოიპოვა ღონე ესევეთარი
 20 და დაზდვა იმერთა და ამერთა, ზემო ქართლ-
 სა და კახთა კომლზედ ექუსი შაური. ყო-
 ველს წელიწადს ამა მალს გამოართვემდა და
 ამით იწყო შენებად მცხეთისა და რუის ღ~თაე-
 ბისა საყდრისა. და დაშვრებოდა დიდად და
 25 ხანსა რაოდენსამე შინა აღასრულა და შეამკო
 ყოვლითა || სამკაულითა და შესწირნა სოფელ-
 ნი და აგარაკნი იმერთა და ამერთა, ზემო

¹ ამის ქვეით B -ში სწერია: „ეს კიდევ უფრო მე-
 ტად ტყუილია და ცილი: არაოდეს ამ ქ~ნსა ქვეშე ეს
 კაცი არა ყოფილა. ზემო მეფე ალექსანდრე სწერია
 იმან აღაშენა მცხეთა.

* B:ო~გ-

* B-ში ამ გვერდის ქვეითა კიდევ სწერია იმავე
 ხელით: „კათალიკოზები და წელიწადთ რიცხვი აშ-
 ლით არის. ვახუშტი ბატონისშვილის წერილი უფრო
 შეიწყნარება, თუმცა თავისი სახლის სირცხვილები არა
 დაუფარავს-რა და მეტიც უწერია“.

32

ქართლსა და კახთა. და იმეფა კეთილად და
 მშვიდობით და ხანსა რაოდენსამე შინა გარ-
 დაიცვალა ამიერ სოფლით.

62. და დაჯდა მის წილად ძე მისი ვახ-
 ტანგ ქრისტეს აქათ: ჩუ~ით:, მას ჟამსა იჯდა
 5 კ~ოლოზი შიო.

63. და მოკუდა ვახტანგ მშაიდობასა ში-
 ნა და არა ესვა ძე და დაჯდა მის წილად ძმა
 მისი გიორგი ქრისტეს აქათ: – || ჩუ~მე:, და
 იჯდა ამას ჟამსა შინა კ~ოზი დავით.

64. და ამას ჟამსა შინა განრისხნა ღ~თი
 ქრისტიანეთა ზედა და დაიპყრა კოსტანტინო-

მ~ფე ვახ-
 ტანგ
 ოდ.¹
 გიორგი მე-
 ფე
 ოე²
 B 395 r

5

	პოლი ოსმალთა ქრისტეს აქათ:, ჩუმე ხო-	
	ლო ³ შემდგომად სიკვდილისა ლანგ-თემურისა	15
	კვლავ დაიპყრეს ხვანთქრის ბაიაზითის ძეთა	
	სამკუიდრო მამული თუისი და მიერითგან	
	გაძლიერდენ და იწყეს ბრძოლა კოსტანტინო-	
	პოლისა და დაიპყრეს კოსტანტინოპოლი.	
	და ცხოვრება მათი ვრცელად წერილარს	20
	ცხოვრებასა მათსა. და ჟამსა ამას ოსმალნი	
	ეზრძოდეს კოსტანტინოპოლის.	
A კ ^ზ 3	და სპარსთა შინა იყო ურთიერთას შ ური	
	და ჯდომა. და იყო საქართველო მშვიდობით	
	და მოსვენებით.	
მ ^{ჟე} ბაგ-	65. და მოკუდა მეფე გიორგი და დაჯდა	25
რატ ¹	მის წილად მე მისი ბაგრატ. და ამა მეფისა	

¹ B: ოდ – . B ამის ქვეით იმავე ხელით: „ეს ძე იყო ალექსანდრესი, რომელმანც მცხეთა აღაშენა“.

² B: ოე – . B: იმავე ხელით ამის ქვეით სწერია: „ესეც ალექსანდრეს ძე იყო“.

³ B: + ხოლო –

⁴ B: ამავე ხელით ამის ქვეით „ესეც ტყუილია, ჭეშმარიტად არ ყოფილა ეს მეფე გიორგის ძე“.

	ბაგრატისა ჟამსა ფინა წარმოავლინა ყეენმან	
	უზუნ-ასან სპა თუისი, რამეთუ ესე უზუნ-ასან	
	ყეენი იყო თესლი თურქმანისა. და შემდგო-	
	მად გარდავლენისა ლანგ-თემურისა ძეთასა,	
5	ამან დაიპყრა თავრიზი და მრავალნი სხვა	
B 395 v	ნი თემნი და მრავალი ოჯრება და ჭირი	
	შეამთხვია თემთა სომხითისათა. და ქართლსა	
	ზედაცა მოაწიეს სპათა მისთა.	
	66. და, თუ რაცა იქმნა ჟამსა მას, ანუ	
10	რა ქმნა მეფემ ბაგრატ, ანუ რაცა იქმნა, ყო-	
	ველივე ძველის ქართლის ცხოვრებიდამე აღ-	
	გვიწერია, ვიდრე მეფის ალექსანდრესამდე,	
	ქვემოზე დაგვიწერია. ცხოვრება მეფის ალექ-	
	სანდრესი და მის ჟამისა ყოველივე ძველთა	
15	გუჯართა და სპარსთა ცხოვრებიდამე გარდმო-	
	გუიწერია: –	

სახელითა ღვთისათა ვიწყით ცხოვრება
 ბაგრატის მეფობისა: ოვ¹

20 67. იყო² მეფობასა შინა მეფეთ-მეფისა ბაგ-
 რატისასა კ³ოზი დავით ქრისტეს აქათ: ჩ¹უნე,
 და იყო ჟამსა ამას შინა დიდი მოსვენება
 ქრისტიანეთა ზედა. და ამისა ჟამსა² შინა იყო
 ყენი ასანზეგ მორჭმული, ორისავე საყენო-
 სა მპყრობელი. არაო || დეს დარბეულიყო

A კ³ 4

¹ A-ში ეს სათაური არ არის, მაგრამ ერთი სტრი-
 ქონი დაუწერელია და საფიქრებელია, რომ ამ ალაგას
 უნდა წითურადვე ყოფილიყო ეს სათაური დაწერილი.

² A: ყო.

³ A და B: ჟამსა bis.

34

25 ქართლი დიდისა თეიმურის¹ უკანის და
 შენობა და გამოსვენება იყო²: ამას ჟამსა ში-
 B 396 r ნა არა იყო ხარაჯა, არცა მალი || ქართლსა ში-
 ნა, არამედ განთავისუფლდეს ყოველნი სამ-
 ყოფნი და არენი ქართლისანი მონებისაგან 5
 თურქთასა. ესე მეფე ბაგრატ იყო მორჭმული,
 სახელოვანი. ამას ჰქონდა ქართლი, სომხითი
 და ჰმონებდენ პიტიახნი (sic) ლორის, კახეთისა,
 შირვანისა და სამცხისა და ჰყუეს იმერელნი,
 ოდიშარნი, გურიულნი (sic), აფხაზნი, ჯიქნი, 10
 სვანნი, მთიულნი, კავკასიანნი.

B 396 v
 A კ³ 5

68. ამას შინა უკუდგენეს დადიანი, გურიელი
 და უკუიტანნეს ოდიშარნი და აფხაზნი, შეი-
 ყარნეს ერთად და არღარა მსახურებდეს ბაგ-
 რატ მეფესა. იწყინა მეფემან და შეიყარა და 15
 მივიდა და დადგა ცხენის-წყალზედა. იქით
 ისინი მოდგეს რაზმითა და შეიბნეს. იპრია-
 ნა ლ³თმან და გაიქცნენ დადიანი, ოდიშარნი.
 დაჯოცეს და დაატყუევეს და ამოსწყუიტნეს
 ქართველთა (sic), მიჰყუნეს თანა, ჩაუდგნენ შიგა, 20
 დაწვეს და დააქცივეს ციხენი, სიმაგრენი. მობ-
 რუნდეს გამარჯვებულნი და წარმოიყუანეს
 თანა ტყე || უე, მძეული. ამაზედ არღარა ჰქონ-
 და თავი ჰკელ || თა მეფესა.

69. შეიყარა ყენი უზუნ ასან, მოვიდა სომ- 25
 ხითს, და მეფე ლიხთ იქით იყო, ქართველ-
 ნი თან იახლნენ. მოადგეს ბარათიანთა და
 ორბეთისა ძირსა. დიდათ კარგათ დახუდეს

¹ A და B: თეიმურაზის.

² A და B: „შენობა გამოსვენება“.

ბარათიანნი: დამაგრდენ და ვერა უყუეს რა.
მოვიდეს ტფილის და ილიდის. და თუით ყეე-
ნი მუხრანს დადგა. აღივსო ქართლი ლაშქ-
რითა, მოაოკრეს სრულიად ქართლისა ადგი-
ლი. ივმო ყეენმან ბარათიანნი, მიინდენა¹,
ნახნა და შეიწყალნა: მოსცნა მრავალნი და
აღავსნა პირთამდინ. ამას ზედან ლ~თმან იპ-
რიანა, იწყინა ამოწყუეტა საქრისტიანოსა: შე-
ედვა ყეენსა სენი სასიკუდინე, აიყარა და წარ-
ვიდა. და გამოუშუნა ბარათიანნი შეწყალე-
ბულნი და უბოძნა მრავალნი მოსაცემელნი.

5

10

70. ამაზედა კოსტანტინე წარვიდა თათრებ-
შიგან, და სხვამან ვერვინ გაბედნა (sic) ქართ-
ველმან დარბაისელმან წარსულა თათრებში-
გან და ბატონის ხლება, – დიდად ერთგულად
და კარგად იყუნენ || ბარათას შვილნი: იგინი-
ვე წარყუნეს თანა და მსახურეს.

15

B 397 r

71. იპრიანა ლ~თმან და მოკუდა ყეენი. დააგ-
დეს თათართა ტფილისი და სომხითი. და
დაიჭირა მეფემან ბაგრატ, ჩაუტდეს ბარათიან-
ნი, დაიფორაქეს || ელი და დაჯოცეს მრავალი
თათარი ყეენისგან შეწყალებულნი.

20

A კ~ზ 6

მას უკანის დაჯდა ყეენად ასანბეგის შვი-
ლი იაღუბეგ.

25

72. ამას შინა გამოჰკდა ხანი და სოფელმან
თუისი ბეგარა არ დაიკლო და მიიცვალა მე-
ფე ბაგრატ რაჭას. იყო დიდი გლოვა და მწუ-
ხარება სამეფოსა ზედა. აღიღეს და დამარხეს
გელათს, მათსა სამარხოსა შიგან.

¹ A-სა და B-ში მონდენა.

მწფე კოს-
ტანტინე
ოზ¹

73. ხოლო შემდგომად გარდაცვალებისა ბაგ-
რატისა, დაჯდა მის წილად ძე მისი კოსტან-
ტილე (sic) ქრისტეს აქათ:, ჩუ~და: – ამას
ჟამში იყო კ~ოზი დავით, – და მეფობდა მეფო-
ბითა კეთილითა. და არღარა იყო წყენა თა-

B 397 v	<p>თართაგან, მოიმორჩილნა იმერელნი, ოდიშარ- ნი, აფხაზნი, მსახურებდა ათაბაგი და მორ- ჩილებდეს კახნიცა. არა სადა იყო წყენა ქრის- ტიანეთა: იყო მოსვენება და დაწყნარება.</p> <p>74. მერმე, ვითარცა წესი არს და ჩვეულება 10 ეშმაკისა, აღძრნა ეშმაკმან, მოძულემან კეთილი- სამან, თათარნი ქრისტიანეთა ზედან. და შეკრ- ბა სიმრავლე ურიცხვი თურქმანთა და მო- მართეს სამცხეს. მოვიდეს და მოდგეს ტა- შირზედა. მოუმცნეს მეფესა ქართლისასა, 15 რათა ქუემოთ ქართველნი შეუჴდნენ სამცხესა. და აახლო ყენმანცა ერთი თავადი და მისი ლაშქარი. ჩაუდგეს სამცხეს და იავარ ყუეს ქუეყანა მათი. მოადგეს ციხესა ახალციხესა, ბრძოდეს დიდხანს და ვერღარა დაუდგნა სი- 20 მაგრემან, გატეხეს და დაწვეს ქალაქი და და- იპყრეს კელთა მესხნი დარბაისელნი ციხოვანნი. და მერმე აიყარნეს და მოადგნენ ციხესა და ქალაქსა აწყურისასა. ეზრახნეს ციხოვან- თა და უქადეს მშვიდობა და არა დაქცეუა 25 საყდრისა და ციხისა. ამას ზედა გამოვიდნენ და მიენდგნენ.</p> <p>75. ამას შინა ბრძანა ყენმან რათა სომხითი B 398 r მოარბიონ. ბარათაშვი ლი გაუძახა და მისი</p>
---------	---

¹ B: ოზ – B: ამის ქვეით იმავე ხელით „ეს გიორ-
გი მეფის ძე იყო და არა ბაგრატისი“.

5	<p>უკეთესი ლაშქარი. მალვით მივიდეს და დაეს- ხნეს შეუგებრად დმანისს და ქუეშის კეუსა და წარმოიღეს ტყუე, ალაფი უამრავი. დაუარდა ხმა ბარათიანთა, გარდაუდგეს წინა ცოტას ლაშქრითა. იპრიანა ღთმან და ასრე გაემარ- ჯვათ, რომე ერთისა ქართველისაგან ასი და A კ~ზ 8 ორასი მოიკლ.ა დაჯოცეს და ამოსწყუიტეს და დაატყუევეს და ცოტა რამე გარდმოეხვეწნეს ცხენ-კეთილნი. და თავად კარგი კარგად იყო 10 სულხან ბარათასშვილი: ერთი ასეთი დარბა- ისელი მოკლა, ყენის კარზედ მისთანა არა იყო, და სხვის დანაჯოცის ანგარიში არა იქმ- ნებოდა და, რანიცა გარდაიხვეწნეს, მივიდეს ყენთანა. ერთობ ეწყინა და დაუმძიმდა ლაშ-</p>
---	--

15 ქართა ამოწყუეტა, ამაზედ აიყარა ყეენი, წარვი-
და და დაატყუეუა აწყურისა ლთის მშობელი,
მოქალაქენი და, რანიცა ციხესა შიგან იყო,
დიადი სული წაასხეს. და წავიდა ყეენი თუისსა¹
საყეენოსა.

A 393 v 20 76. ამას შიგან გამოჰკდა ც || ოტა ხანი, და გა-
მოგზავნა ყაენმან ხალიბეგ და დაუწყო შენო-
ბა ქაოზიანსა და არჯა-ყალის ციხესა. იწყი-
ნეს ბარათიანთა და არა დაანებეს: დაუწყეს
მისარჩელი წყენა და მტერობა. გაგულისდა
ყეენი, აშველა ლაშქარი ხალიბეგს. შეიყარნენ
და მოადგნენ ტფილისს, ებრძოლეს მრავალ
დღე და ვერარა ავნეს, რამეთუ სიმტკიცესა
ზედა ეგნეს. და იყუს ყოველთა დღეთა ომი,
და არა იყო ღონე ციხისა წაღებისა.

¹ B:თუისსა – .

38

A კ^ზ 9 მერმე შეიყარნეს ბარათიანი და შემოუთ-
ვალეს მეფესა || კოსტანტინეს და ითხოვეს მის-
გან შეწყუნა. მეფემან გაგზავნა ციციშვილი
ქაიხოსრო და ჯავახისშვილი ჯავახი ცოტათა
აზნაურშვილითა და ლაშქრითა. წაუძღვეს წი- 5
ბარათიანნი, მივიდეს და დაესხნეს ჭანდართა
მდგომთა მონაპირეთა თათართა, გააქცივნეს
და დაჯოცნეს ასრე, რომე თუარ მაცნე წავი-
და სადამე, ვერცა ერთი წაუვიდათ. აივსნეს
აბჯრითა, ალაფითა და ბარგითა პირთამდის. 10
B 399 r ხოლო ვითარცა ესმა ესე ქალაქსა || მდგომ-
თა თურქმანთა, უკუეყარნეს ციხესა ტფილი-
სისასა და წავიდეს ჩაღმა. გარდაუდგენ კუმი-
სისა ბოლოსა, შეებნეს წინამავალსა ლაშქარ-
სა, გაექცნეს და დაჯოცნეს ასე, რომე თათ- 15
რებსა თავსა სჭრიდენ და ვენაჯისა ღობესა
და მარგილზედა აცვემდეს. მერმე გარისხდა
ლთი და მოუკდა ზემოთ ბუსუნი და შუა
შეეყარნეს. და, რაც ბარათიანთა ქაიხოსრომ
ქნა და ჯავახმა, არც წინა გმირთა უქნიათ, 20
ასრე რომე ულუსსა ლაშქარსა ომითა და-
კრმლითა წამოვიდეს || და ცოტა ლაშქარი და-
ზიანდა, და თუით მორჩნენ ნებითა და შეწყე-
ნითა ლთისათა. ამას ზედან თურქმანი ლაშ-

ქარი შერცხვენილი ორბეთისა ძირსა დადგ-
ნენ და ეცადნეს თათარნი, და მუდამ ბარა-
თიანთა და ორბეთის-ძირელთა გაემარჯვის.

77. ამაზედა ადგა ხალიბეგ და სხვანი ყენის
თავადები, მივიდეს და შეეხვეწნეს ყენსა, რა-
მეთუ გამოჰცდა წელიწადი ერთი. აშველა ლაშ-
ქარი, მოირთო ძალი და წარმოემართა სომ-

25

39

- B 399 v ხითსა და ორბეთის-ძირზედა. მომართა || ცი-
ხესა კოჟორისასა, მოადგა გარე. დაუწყეს ომი
და თოფს სროლა, აწყუნდნეს შიგან სოლა-
ლაშვილნი დიდხან. და იყო ომი დიდხან და
5 შეაწუხნა მეტმან თოფის სროლამან და ცოტა
ციხეცა დააქცივეს, და ველარ დაუდგნეს, ამის-
თუის რამეთუ მეშველი არღარა ჰყუათ. ერთ-
სა ღამესა თოვლმან უკუყარნა და გამოვიდ-
ნენ ციხით, და ციხე დაუგდეს ცარიელი და
10 თუით მიმართეს მთათა და სიმაგრეთა. ხოლო,
ვითარცა გათენდა, ნახეს თათართა ციხე უკაცუ-
რი, შევიდეს შიგან და კაცი არა პოვეს, მიჰყვეს
A კ~ზ 11 || ჯელი და დააქცივეს. ვითარცა ესმა მეფესა
აღება ციხისა, დაუმძიმდა, რამეთუ შეყრილი
15 ნიჩბისის წყალზედ იდგა.
ამას ზედა ადგეს თათარნი და მოადგეს
ტვილისის ციხეს. და იყო ყოველთა დღეთა
ომი და ესროდეს თოფსა, და არა იყო ღონე
წაღებისა ციხისა, რამეთუ მჯარი ბარათიან-
20 თაგან ჰქონდა. ეუბნებოდა მეფე კახთა
და არა უშველეს. იმერელნი უკუდგომილნი
იყუნეს და არცარა მესხთ უშველეს, ამის-
B 400 r თუის ომი ვერ გაბედა მეფემან. ადგეს დი||დს
ხანსა ქალაქსა და შეეწყინა ომი თათართა,
25 ციხეს ვერა უყვეს რა. მერმე ჰკაზმნეს ლაშქარნი
და გამოარჩივეს დარბევა ორბეთისა ძირსა¹
აარჩივეს ათას ხუთასი კაცი და სხვა წურილი
კაცი ლაშქრისა მრავალი და ცისკრისა ჟამსა
შეუგრად (sic) ორბეთის-ძირსა დაესხნეს. და-

¹ A და B: ორბეთისა და ძირსა.

იგორიაქეს და ამოსწყვიტეს მთის სოფლები, განძი, ტყუე, ალაფი ურიცხვი.

- A კ~ბ 12 იყუნეს ენაგეთს და მათთანა იყუნეს ქაიხოს- 5
რო თურმანის ძე და სხვანი მეფის || ყმები ცო-
ტაოდენი. დავარდა ჳმა და მომართეს ასე, ვი-
თა ვეფხთა. და წამოვიდა აქეთ სულხან ბა-
რათაშვილი და მისნი ძმანი და აქეთ სხვანი
ბარათიანნი, მოეწიუნეს უკანა, შეიბნეს და
გააქცივნეს და მისჯარნეს ჳევსა ჳირჳალასა. 10
ასე ჳოცა დაუწყეს ¹, ვითა ქათამთა მართვეთა.
ხოლო მოსცა ლ~თმან ძლეუა ქრისტიანეთა,
დაჳოცეს ურიცხვი, რამეთუ არა იყო განცდა
მჳუდრისა, სისხლისა რუ დიოდა. რაცა სიჳუ-
B 400 v დილსა მორჩეს, ჳელთა || დაიჳყრეს. ერთი ასე- 15
თი თავადი დარჩა ბარათაშვილს მერაბს, რო-
მე ყენის კარზედ მას ვერავინ სჯობდა და მე-
ყუისიც იყო ყენისა. ასეთი ძლეუა მოსცა
ლ~თმან ბარათიანთა, რომე ერთი ტყუისა დე-
დაკაცისაგან სამი და ოთხი მუსულმანი მოი-
ყვანებოდა ყელ-დოლბანდიანი. რამეთუ პირ-
ველსა ომსა ველარ მოესწრნეს ქაიხოსრო,
ჯავახი, ქავთარ სოლდაშვილი და სხვანი
დარბაისელნი, მოუჳდეს უკანა მდეუარნი დარ-
ჩეულნი ჩაღდაულად დიდნი ლაშქარნი. აქათ 25
არცა ამათ დაუგდეს გზა: შეიბნეს ოცი კაც-
ნი, სამასამდი სჳასა ² თათარსა ჳმლითა წინა
დაუდგა. იპრიანა ლ~თმან და მორ || ჩეს: და
ორჯელ და სამჯერ ცხენები დაუჳრეს, ჩამოყ-

¹ A და B: დაუწყეს –

² A და B: ისჳასა.

- 5
B 40I r რილნი ჳედვე შესხდეს. ჩვენი ქართველთაგა-
ნი, ერთისა თურმანიძის მეტი, არა დაგვაკლ-
და: იგიცა ჳარმან ფეჳითა გაიტანა. დიდისა
ულუსისა ჳარისაგან ცოტანი ჩაღთაულნი მაც-
ნედ წარვიდეს, და სხვა ყულა ჳელთა დარჩა.
79. რა ესმა ესე ქალაქს მდგომ||თა, შეშინ-
დეს და ადგეს და უჳუყყარნეს ციხესა, და,
თუმცა ბარათიანთა არ გამარჯვებოდა, ძა-
ლად ქალაქსაც წართმეუდენ და ქართლსაც

10 შემოეჭიდებოდენ. ამას ზედან იპრიანა ლ^ა თმან, წყალობით მოხედნა ბარათიანთა მოჭირვება-სა და მასუკანით თათართა ძალი ვედარა უკადრებია და არცა რბეუა: გატყდეს და შემინდეს შეწეუნითა ღთისათა.

15 **80.** ესე მეფე კოსტანტინე იყო ძე ბაგრატისი და იმეფა ამანცა კეთილად, ვითარცა ცხოვრება მისი მოგვითხრობს, და მოკუდა კოსტანტინე მეფე ქრისტეს აქათ:, ჩ^ა უდ (sic).

მგ^ე ალექ-
სანდრე 20
ოც¹
A კ^ა 14

81. და დაჯდა ძმა მისი ალექსანდრე ქრისტეს აქათ ჩუ^ა ძე:, და მას ჟამსა იყო კ^ა ოზი დავით და მოკუდა და დაჯდა ნიკოლოზი. და იმეფა კეთილად, რამეთუ მას ჟამსა || თათართა ძალა არა აქუნდათ, და იმეფა მშვიდობით, და შემდგომად ხანსა რაოდენსამე მოკუდა.

მ^ე ფე კო- 25
სტანტინე
ოთ²

82. და დაჯდა მის წილად ძე მისი კოსტანტი-
ლე (sic) ქრისტეს აქათ: ათას ოთხას ოთხ-
მოცდა თორმეტსა. ამას ჟამსა შინა იჯდა

¹ B: კიდევ ამის ქვევით „ესეც ტყუილია. არა მჯდარა მეფედ, არც ძმა იყო კოსტანტინესი. ძე იყო, მაგრა მეფე არ იყო“.

² B-ში „ო^ა თ“ – B ამის ქვემოთ: „ეს არ ყოფი-
ლა, [არ]ც შობილა“.

42

B 401 v

კ^ა ოზი აბრამ. ამანცა || იმეფა კეთილად, რამეთუ მაშინ ათაბაგი ყუარყუარე იჯდა და არა მორჩილებდა მეფესა კოსტანტინეს (sic).

83. ხოლო ამა ყუარყუარე ათაბაგისა ვაჭარი მივიდა ქუეყანასა არეშისასა სყიდვად აბრე-
შუმისა. და რომელიმე მუნებური ვაჭარი და
ესე ყუარყუარეს ვაჭარი წაიკიდნენ და სძლო
არეშელმან ვაჭარმან და კიდევ გალაკა და აბ-
რეშუმიც წაართვა და ესრეთ კადნიერებით
ეტყოდა: „წარვედ პატრონისა შენისა და აუწ-
ყე ჭირი შენიო, და ესე არ მიყოს ბატონმა
შენმაო, დუქანი არ დამიქციოსო და ჩემს
დუქანზედ ყურით არ მიმაკრასო“. და რა ესე
უყუეს ვაჭარსა მას, წარმოვიდა მსწრაფლ და
მოვიდა ათაბაგისად და აუწყა ყუარყუარეს
ყოველივე საქმე მისი ვაჭარმან მან.

5

10

15

A კ^ა 15

და რა ესმა ესე ყუარყუარეს, წარმოვი-
და || განრისხებული ხუთასითა რჩეულითა სპი-

B 401 r თა, გარდმოვლო ფარავანი და ჩამოვლო დმა-
 ნისი. უმასპინძლეს ორბელიანთა და წარვიდა, 20
 ჩამოვლო ხუნანი, განვიდა მტკუარსა და მივი-
 და არეშს. მი || იძღვანა ვაჭარი სახლსა მის
 არეშელისა ვაჭრისსა, შეუქდუნნა კაცი. გა-
 მოიყუანეს კაცი იგი და მიიყუანეს თავის დუ-
 ქანზედა და ყურითა მიაჭედეს და წიხლიც 25
 უკრა დუქანსა და ეგრეთვე უყო ყოველივე,
 როგორც მას ეთქუა. და აბრეშუმიც გამოა-
 ტანიანა ვაჭარსა მას და წარმოვიდა უშიშრად.
 84. და შემოვლო კახეთი, და შემოიარა ყა-
 რაიაზედა, შეულო¹ მცხეთაზედა და მივიდა 30

¹ A: შევლო.

შიდა ქართლსა. ხოლო შიდა ქართველთა (sic)
 არა ინებეს გზისა დანებება. და მეფემან კოსტან-
 ტინემ არა უწყოდა საქმე ესე და არცა გა-
 მოვლა მისი, და ამისთვის არა ინებეს შიდა
 5 ქართველთა უდასტუროდ განტევება მისი. შე-
 იყარნეს გაღმართელნი ¹ და გამოღმართელნი
 ციციშვილები და უფროსად ზაზა ციციშვი-
 ლი თაობდა. მაშინ დახუდნენ ათაბაგსა და
 აუწყეს ქართველთა გაუშვებლობა.
 10 **85.** || მაშინ რა ესმა ესე ათაბაგსა, მოუგზავნა
 A კ~ზ 16 მოციქული და შემოუთვალა ესრეთ: „მე თქუ-
 ენს მამულში არა წარმიცდენია რაო და თქუ-
 ენი || არა მიმაქუს რაო, ჩვენსა და თქუენსა
 B 402 v მტერობა ხომ არა არის რაო, ძმობისა და მე-
 15 ზობლობის მეტი, თქუენთან საქმე არა მაქუს
 რაო. ჩემს მტერს პასუხი უყავ და ჩემს გზა-
 ზედ მივალო. თქუენ რას სამართლით მიდგე-
 ბით წინაო“. ხოლო ქართველთა არა უსმინეს
 და ეწყუნენ ურთიერთას. იქმნა ბრძოლა ძლი-
 20 ერი ქრისტეს აქათ:, ჩ~უპდ:, თვესა აგვისტო-
 სა: იბ: არადეთს, რომელსა გორასა მას მი-
 ერ დღითგან ეწოდების სისხლის ჯვარი და
 ვიდრე დღეინდელად დღედმდე სისხლის ჯვა-
 რად სახელსდებენ. და იქმნა ეგრეთი ომი,
 25 რომე ყოველივე საჭურველები და საომარი
 იარაღები დაამტვრივეს და დაშვრენ იმიერ
 და ამიერ ომითა და დაიკოცნენ ორგნითვე

მრავალნი კაცნი, და სძლო ათაბაგმან, ამის-

30 თუის რომ არას ემართლებოდენ და სამართალი იმისი სჯობდა.

¹ A: გაღმა რომელნი.

44

A კ~ჰ 1 მაშინ შალიკაშვილი რომელიმე იჯდა ურასა კვიცსა ზედა. || იგი შალიკაშვილი ¹ და მჩაბელი მიხვდენ ერთმანერთსა. შემოს-

B 403 r ცა შუბი შა || ლიკაშვილმა და გაუხეთქა კუბო ფარისა² და განავლო მხარსა შიგან. და გარდ- 5 მოაგდო ცხენიდამა, შეუძახა ესრეთ: „აწყურისა ღ თის მშობლის მადლმა, თუ ურას კვიცს არა ვმჯდარიყავ, შიგ გაგაგდებინებდიო|. მაშინ წარმოიჩოქა მჩაბელმა, გაიკრა ჯრმალს ჯელი, შემოუკრა ცხენსა, ცხენს თავი 10 გაუგდებინა და ტახტაზედ დაასო და შესძახა მჩაბელმა: „სპარსმა წმიდა გიორგიმა, თუ გარდმოგდებული არ ვყოფილიყავ, შუა გაგკუეთდიო“.

მაშინ სძლია ათაბაგმა და შეიქცნენ ქართველნი და მრავალნი იქითაც ამოსწყდნენ. 15

მაშინ წარვიდნენ მესხნი და ჩამოჰდაა ათაბაგი ერთსა ადგილსა, სიახლოვესა ნაომრისსა, მოსასვენად. მაშინ მესხი ამილახორი მოწყენით იჯდა ათაბაგ თანა. ჰკითხა ათაბაგმან, 20 „რასათუის მოგწყენიაო, ნუთუ ომში კაცი ვერ იშოვნეო“. მოახსენა ამილახორმა: „მე ერთსა კაცსა ჯრმალი შემოვკარ და სამკლავიანი ჯელი გავაგდებინეო, და, თუ გინდა, წამოდით დაგიჩვენებო“. წარმოვიდნენ და ნახეს, სამკლავიანი ჯელი ძეძვში ეგდო. მაშინ დას || ჯერდა ათაბაგი და წარვიდა თუისა ადგილსა.

B 403 v

A კ~ჰ 2

¹ A: „შალიკასშვილი“, მაგრამ „ს“ დასწვრივად გადახაზულია.

² A: ბარისა.

45

86. და ვითარცა ესმა მეფესა კოსტანტინესა

საქმე ესე, დაუმძიმდა დიდათ, მაგრამ ველა-
რა გააწყო რა, ხანსა რაოდენსამე შინა იმე-
ფა კეთილად და მოკუდა.

მ^წ ფე დავით
კ¹

87. და დაჯდა მის წილ ძე მისი დავით.

10 აქა² არღარა იცვალეზოდა ერისთავნი და
არცა თავადნი: ყოველნივე ჳევსა და სანახებ-
სა და თემთა და ადგილთა მკუიდრ ქმნილი-
ყუნენ, და, ვისცა მამულს მისცემდა, მკვიდ-
რად მიეცემოდა. და ყოველნივე ძლიერ იყუ-
ნეს: მთავარნი, ერისთავნი და თავადნი.

15 **88.** ხოლო ამა ალექსანდრესა და კოსტანტი-
ნესა ჟამში განდგნენ იმერელნი, ოდიშარნი
და გურიულნი და არღარა მორჩილებდა ათა-
ბაგი, და განდგა კახეთი. რამეთუ თუით ძვე-
ლად ნაწერი რომელიმე ვპოეთ კოსტანტინეს
ცხოვრება, მაშიგან დაგუიწერია, – აღარა შე-
ეწივნენ მოსულასა სპარსეთისა ლაშქართა.

B 404 r
20

89. ხოლო ესე ვერა ვსცა || ნით, თუ ბატონი
იმერეთისა და კახეთისა რომლისა თესლისა-
გან არიან, და ანუ ვითარ უპყრიესთ ქუეყა-
ნანი იგი.

A კ³ 3
25

ხოლო იმერეთისა რომელთამე თქუეს:
„ოდეს მამა ალექსანდრესი ბაგრატ || მეფე ჩა-
ვიდა იმერეთს, მაშინ თუისნი მისნი დაუტეუა
და მიერთგან ძენი მისნი არიან³. ამა ბაგრატი-

¹ B: „პ“ – B-ში იმავე ხელით: „ეს ჳ³ ტია“ (ჳემმა-
რიტია), მერმე რაღაც არის წაშლილი.

² A და B: ქა.

³ B-ში სხვა ძველი ხელით ჩაუმატებიათ „რომელი-
მე იტყვიან: ძეთაგანი: ნარინ: დავითისანი: იყვნენ“.

სა შემდგომად რაოდენნი მამანი გარდაიცვალ-
ნენ, არა უწყით. ხოლო იმერეთისა მპყრობე-
ლისა ბაგრატის ამბავი ქუემორე დავსწერეთ¹.

ხოლო კახეთისა მეზატონეთა მამა იყო
დავით. და ამა დავითის მამა, არა უწყით, თუ
ვინ იყო². ესე დავით დიდოეთიდამე ჩამოი-
ყუანეს და კახთა გაიბატონეს. მოკუდა დავით
და დაჯდა ძე მისი ლეუან, და შემდგომად
ლეუანისა ძე მისი ალექსანდრე.

5

90. ამა კახთა ბატონთა მას ჟამსა ეპყრა:

10

B 404 v

გარდმოღმართი ლეკის მთისა ეპყრა თუშეთი, ხოლო დიდონი არა მორჩილობდენ ნებისა-
 ებრ მისისა, – ზემოთ ფშავი და თიანეთი, სა-
 და შეერთვის ფშავის წყალი არაგვსა. მიერთ-
 გან ვიდრე არაგვს გაღმართი ხეუ-მმორამდის 15
 (sic). ხეუ || მმორიდამე (sic) გაყოლილი ლილოს
 სერამდის, რაოდენის სერსა წყალი გასდის
 და გაერთუის მარტყოფის წყალსა გაყოლით
 ამართულამდე, გაყოლით ვიდრე აჯი-სუმდე,
 აჯისუს ვიდრე მტკურის შესართავამდე, მას 20
 ქუემოთი მტკუარს გაღმართი ვიდრე შაქისის
 სამმღურამდე.

¹ აქ B-ში 404 r-ზე მარჯვენა კიდეზე იმავე ხელით შემდეგი შენიშვნა სწერია, რომელიც შემდეგ მელნით არის წაშლილ-გათხუპნული ისე, რომ დაწერილი შენიშვნის წაკითხვა ძნელია:

„ეგნატაშვილს
 მტერობა უმგარი
 სიცრუე იმას
 რომ იმერთა და კახთა

² B-ში იმავე ხელით: „რომელთამეთაგან: თქმულ: არს: ძენი: აღსართანისნი: არიანო“.

47

A კ~3 4

91. „ხოლო ძესა კოსტანტინესასა, მეფესა და-
 ვითს, ეპყრა: აჯი-სუს ზეით უდაბნონი და სამ-
 გორს-ქუემოთი, ლილო და ლილოს-ქუემოთი
 და ხეუმმარას-ქუემოთი და არაგუს-აქათი
 და ფშავის-წყალს-აქათი, გუდა მაყარი
 და ხეუ-ხილაკას-აქათი და კასრის-ჯევს-აქა-
 თი და წედისის მთის გარდმოღმართი
 და კუდარო და ჭალის მთას გარდმოღ-
 მართი, ერწო და მშვილდაურსა და პე-
 რანგას გარდმოღმართი გორას-ძირს-აქა-
 თი, ლიჩი, ლოდორა, ქეფინისჯევი და ჩხერის
 ციხე და მას-ზემოთი ისრე გაყოლით მთის-
 აქათი ჯეობა, ვიდრე ღვირამდის, – კოდი-
 ანს გარდმოღმართი ნინოს-ჯევი რომ ჩამოივ-
 ლის, – გაღმით სამგორისაკენ, ცივწყაროს
 ჯევ-ჯევ გაჰყუება, || გახშული ბარშიამის მთა
 ჩამოივლის, ჯანჯლის ციხე საღამოს თავსა,
 ბორცვს ზემოთი წაივლის სერ-სერ, სათხე ქუნ-
 ცელის თავსა გარდავლითა ხენჭურის თავსა,

B 405 r

- 20 პალაკაციოს მთამდე, რომელსა თურქნი იელ-
დოლდის ემახიან, – პალაკაციოდამე სერ-სე-
რი ჩამოივლის, კარის სოფლის აქათი ერეუნის
სამძღვრამდის ჩამოყოლით ბანზაკი და ლორე,
ვიდრე ყაზახის სამძღვრამდე, ეპყრა მეფესა
ქართლისსა.
- A კ~3 25 5 **92.** || ხოლო მპყრობელსა იმერეთისასა: წედი-
სის მთის-აქათი, დიგორის მთის-აქათი,
ლენტეხი და თაკუერი, რომელსა აწ ჰქუიან
ლექხუმი, – ცხენის წყალსა ჩაყოლით, გამოლ-
მართი და საჯავახოს-აქათი, გაყოლით ფერ-
- 30
- 48
- სათის მთას-აქათი, ვიდრე ქართლის სამძ-
ღვრამდის.
- 93.** ხოლო დადიანს ეპყრა: ცხენისწყალს
ჩადმართი, ლექხუმს ქვემოთი, სვანეთის¹ მთის
გარდმოლმართი, აფხაზეთის ზემოთი. 5
- 94.** და აფხაზეთი ჯიქეთამდის შარვაშიძეს
ეპყრა. და ესე შარვაშიძე მორჩილობდა არა
ყოველსავე ბ[რ]ძანებასა დადიანისა || სა.
- B 405 v **95.** კვალად ეპყრა დადიანს ზღვას შემოლ-
მართი და რიონს გაღმართი. 10
- 96.** ხოლო გურიელსა ეპყრა რიონს გაღმარ-
თი საჯავახო, იმას-აქათი გამოსწურივ ღომის
ციხეს გარდმოლმართი, ერგე, აჭარა და ჭანე-
თი, რკინის პალოს აქათი.
- 97.** ხოლო ათაბაგს ეპყრა: გურიელის სამძ
ღვარს ზეითი, ფერსათის მთის გარდაღმართი,
დვირს ზეითი, აქათ ქართლის სამძღვრამდის,
იქით კარის სამძღვრამდის, აზრუმისაკენ გურ-
ჯი-ბოლაზს აქეთი. 15
- 98.** ხოლო ამას გარდა საქართველონი (sic), 20
რომელნიმე თავისუფალ შექმნ || ილიყუნენ, რო-
მელიმე სპარსთ მიეტაცნეს, რომელიმე ხონთ-
ქარსა და რომელიმე ხაზართა (sic).
- A კ~3 6 **99.** ხოლო ამან ძემან ალექსანდრესმა კოს-
ტანტილემ შვა ხუთნი ძენი. სახელები მათ ხუთ- 25
თა ესე არს: უხუცესსა დავით, გიორგი, ბაგ-
რატ, ალექსანდრე დრა მეხუთე მონაზონი მელ-
ქისედეკ, რომელი იყო კ~ოზი კათოლიკე მცხე-
თისა. და მოკუდა კოსტანტინე ქრისტეს აქათ:
ჩ-ფდ: –

¹ A: სავანეთის.

B 406 r
ისივ და-
ვით მგ~

5

10

15

A კ~3 7

20

B 406 v

25

100. და დაჯდა ძე მისი და || ვით მეფედ. ამ ჟამში წარმოგზავნა ხონთქარმა სპასპეტი თუისი ლაშქრითა თუისითა უამრავითა საქართველოსა ზედა ქრისტეს აქათ:, ჩ~ ფიდ:, და ააოჭრეს სამცხე, ჩამოვიდეს იმერეთს და დაწვეს ქუთაისი და მივიდეს გელათსა და დაწვეს გელათი და აღიღეს ალაფი მრავალი. და ვერღარა დაუდგა ბაგრატ მპყრობელი იმერეთისა და წარვიდენ და შეიქცენ თუისთავე ადგილსა. და შემდგომად შექცეულისა მათისა ჩამოვიდა ბაგრატ მპყრობელი იმერეთისა და დაიპყრა კვალად იმერეთი.

101. ხოლო ეპყრა კახეთი ალექსანდრესა. და იყო კაცი კეთილი და ესვა ორი ძე. და ძემან მისმან უხუცესმან გიორგიმ უღალატა მამასა თუისსა ალ || ექსანდრეს ჭალასა¹ შინა საფურცლისასა და მოკლა მამა თვისი, და ძმასა თვალეზი დასწვა. და ამიერითგან უწოდეს ავგიორგი. და იქმნა პატრონი კახეთისა.

102. რამეთუ იყო მეფე ქართლისა დავით და ამის ჟამში იყო კ~ოზი ბასილი. და მოკუდა ბასილი და დაჯდა კ~ოზი დორათე || ოს. და იყო ესე დავით კაცი ლმობიერი, მშვიდი და მოშიში ღ~თისა.

103. და აღდგა ავგიორგი დავითზედა და ველარა აღუდგა დავით: სამძღვრამდის იმერეთისამდე მოარბეუდის ქართლსა მრავალგზის. და თუით მეფე დავით შეამწყვდია ციხესა

¹ A და B: ჯერ ყოფილა „ჭალასა“, მერმე ჭ ჩ-დ გადაუსწორებიათ.

ატენისასა, მრავალ დღე ბრძოდა, და ვერ წაულო ციხე და მიიქცა თუისადვე ადგილსა. მაშინ რქუეს ძმათა დავით მეფესა ესრეთ ვითარმედ „მამათა ჩვენთა კახეთი მიუღეს და აწ ქართლისაცა ჰნებავს მიღება, აწ ჩვენცა აღვდგეთ მისზედა და ვბრძოდეთ მათ“. ხოლო

A 33 8 მეფემან დავით არა ინება. მაშინ თქუა ძმამან მისმან უმრწემესმან ბაგრატ: „მომეც მე მუხრანი საუფლისწულოდ ჩემდა და დროშა, დარაჯად ჩემდა იყოს ერისთავი ქსნისა და 10
 კეობა არაგვისა და შეუიწიო ძალი ქრისტესი და თემიცა მისი || იავარ ვყო“. უსმინა ძმამან მისმან დავით მეფემან და მისცა ყოველი თხოვილი მისი. მოვიდა ბაგრატ და აღაშენა ციხე მტვერისა, რომელ არს ციხის მი- 15
 რის || თავსა, და დადგა მუნ.

B 407 r **104.** ხოლო, რაჟამს სცნა პატრონმა კახეთი-სამა¹ ავ-გიორგიმ, იწმო სპა თუისი, რაოდენ ძალ ედვა², ძალითა თუისითა წარმოემართა და მოადგა მტვერის³ ციხესა, ადგა ვიდრე 20
 სამ თვემდე. მერმე მიუვლინა კაცი ერთი ავ-გიორგიმა და გაუგზავნა ღვინო ერთითა საღვინითა და შეუთვალა, ვითარმედ: „ძე ხარ მეფისა, ნუ უკუე უღვინობითა მიგჭირდეს, და სვი ესე“. და ვითარცა მიართვეს ბაგრატს 25
 სიტყუა ესე, მას ჰქონდა ორაგული ახალი და ღვინისა წილ თეუზი გამოუგზავნა და შემოუთვალა: „ხანია რომე დგახარ პირსა ქსნისასა,

¹ A: „კახეთისამან“, მაგრამ „ნ“ შემდეგ წაუშლიათ.
² - ³ A: ² - ³ შუა მოქცეული სიტყვები სტრიქონს ზეით სწერია.

5 და ვერ გიშოვნია ორაგული, და აწ ესე იწმიე და წარვედ ქუეყანასა შენსა“. და რაჟამს მოართვეს ავ-გიორგის, მაშინ- სცნა სიმრავლე საზრდელისა მათისა. და შესწუხებოდა ჯარი მრავალ დღე დგომისაგან, მაშინ წარვიდა თემთა თუისთა.

B 407 v **105.** და ხანსა რაოდენსამე უკანა შეიყარა სპა თუისი ავ-გიორგიმ და წარმოვიდა დარბეუად 10
 ზემო ქართლისა, მივიდა და დაარბია || ზემო ქართლი და დაბრუნდა გამარჯვებული და წარმო || ემართა. და რაჟამს ესმა ბაგრატს, 9
 მპყრობელსა მუხრანისასა, შეიყარა სპა თუისი და დაუმზირდა ჯეგსა მას შინა, რომელ არს ძალისა და ჭაპურს შუა. და ლაშქარნი ავ-გიორგისანი წინა წარმოვიდენ ნაშოვრისა მის- 15
 თუის, რომელი წარმოედოთ. ხოლო ავ-გი-

20 ორგი მცირითა კაცითა უკანა მოვიდოდა და
 მონადირობდა და არავისი ფიქრი ჰქონდა.
 და რაჟამს დაუახლოვდა, სადა მდგომარე იყო
 25 ბაგრატ, მაშინ შეუტივა გულითა სრულითა
 და შეიპყრა ავ-გიორგი და სპანიცა, რომელ-
 ნი მისთანა იყუნენ. პატიმარ-ყო ავ-გიორგი
 მტვერის ციხესა, რომელ არს მუხრანს, ქრის-
 25 ტეს აქათ: – ჩ~ფიდ: – მაშინ მიუმცნო ძმასა
 თუისსა მეფესა დავითს საქმე ესე. და რა ესმა
 საქმე ესე, განიხარა ფრიად. და ხანსა მცი-
 რედსა მოკუდა ავ-გიორგი, და რომელნი იტ-
 ყუიან დაარჩევსო და რომელნიმე იტყუიან
 30 თავისის დღით მოკუდაო. აღაშენა მცხეთას
 მცირე ეკლესია მთავარ ანგელოზისა ჩრდი-

52

B 408 r
A კ~ჰ 10

ლოთ || კერძო და მუნ დამარხეს. და მიერთ-
 გან იტყუიან კახი-ბატონნი, რომე || მცხეთა სა-
 მარხო არისო ჩვენისო.

106. ხოლო, შემდგომად ავ-გიორგის დაჭე- 5
 რისა, დაიპყრო კახეთი მეფემან დავით. და დარ-
 ჩა მე გიორგისა, რომელსა ეწოდა ლეუან, მცი-
 რედი და წარმოიყუანა ყრმა იგი დედითურთ
 და დამალა პატივითა სახლსა ჩოლაყაშვილი-
 სა გარსევანისასა, რომელი იყო სახლთ-უხუ-
 ცესი, რამეთუ ეყოდა დედასა მისსა. და რა 10
 სცნა მეფემან დავით, წარავლინა ძმა თუისი
 ბაგრატ და ერისთავი ქსნისა და ამილახორი,
 რათა დასჩხრიკონ კახეთს მსახლობელნი დი-
 დით ვიდრე მცირემდი, რათა იპოვონ ყრმა 15
 იგი. მაშინ წარვიდენ საძებნელად, დასდვეს
 შიში და ზარი ყოველთავე კაცთა ზედა და
 დააფიცეს, რათა არა უწყოდენ ყრმა იგი, თუ
 სადა არს. და ყოველთავე შეჰფიცეს, რომე
 არა ვიცით რაო. შემდგომად მოვიდნენ სახლ- 20
 სა ჩოლაყაშვილის სახლთხუცესისასა გარსე-
 უანისასა. და მოეპოვა გარსევანს საქმე ესე,
 B 408 v რამეთუ მოიყუა || ნა ყრმა იგი ლეუან მონისა
 თუისისა ძისა მსგავსად და მას დღესა მეღვი-
 ნეთ იმსახურებდა ყრმასა მას, ვითარცა მონა-
 A კ~ჰ 10 სა. და დღესა მეორესა შეფიცა ფი || ცითა სა-
 შინელითა ბაგრატს, ვითარმედ: „რაოდენიცა
 თქუენ ჩემსა სახლში არ იხილენით და რაც

თქუენმა თვალმა არ ნახა, იმის მეტი არა
მყუანდეს, არც დიდი კაციშვილი და არც ცო-
ტასი". შეიჯერა ფიცითა ამით.

30

53

5 **107.** და ესენი რა წამოვიდნენ, ბაგრატ და
ერისთავი და ამილახორი, მაშინ ჩოლაყაშვილ-
მა გარსეუან ველარა თავს იდვა სახლსა თუისსა
დაფარვა ლეუანისა და წარმოიყუანა და შეი-
ყუანა ციხესა მას ოჩონისასა, რომელ არს
თავსა ივრისასა. შემოეხვივნენ ზემოურნი და
გარემონი კახნი და მიერთვნენ ლევანს. წარ-
მოემართა და ჩამოვიდა კახეთად.

10 **108.** და ესმა ესე დავითს მეფესა, შეიყარა სპა
თუისი და წარემართა კახეთად და გარდავ-
ლო გომბორი და ჩავიდა კახეთად. და შემო-
ეყარნენ კახნი ისრეუე მეფესა დავითს და ვე-
ლარა აღუდგა ლეუან წინა: ივლტოდა ¹ და შე-
უიდა ციხესა, რომელ არს თავსა მალნარი-
15 სასა. ხოლო მოიცვა მეფემან გარემონი ციხისა
და დაუწყო ბრძოლა || ძლიერად. მას ჟამსა მო-
ვიდა ოსმალუ და მოეოხრებინა სამცხე. და
ვერავინ წინააღსდგომოდა სამცხესა და მო-
ვიდენ შინა (sic)-ქართლსა და ვერავინ წი-
20 ნააღუდგა ქართველი (sic) ამისთუის, რომე კა-
ხეთს იყუნენ ლაშქრად.

A კ~ჰ 12
25 **109.** ხოლო მეფესა დავითს მთავრთვეს ამბავი
ესე კახეთს. და, რა ესმა ესე, მას ჟამად დაფა-
რა, რამეთუ ციხესა მყოფი ლეუან და დედა მისი
შეეჭირვებინა, საქმისა ამისთუის მუნ დგომა
აღარ ეძლო. და წარუვლინა დედასა მისსა
მოციქული ამილახორი და მთავარეფისკოპოზი
და სთხოვა ციხე. და რა ესმა დედასა ლეუა-
ნისასა და მეციხოვნეთა მოსულა მოციქული-
30 სა, ღონე აღარა ჰქონდათ და შეწუხებულ-

¹ აქეთგან მოყოლებული B-ს დედას აკლია.

54

იყუნენ მიცემისაგან კიდე. მოსულასა მთა-
ვარეფისკოპოზისასა აღდგა დედა ლეუანი-
სა შემთხვევად მთავარეფისკოპოზისა, იღუმალ

A 3~3 13 რქუა მთავარეფისკოპოზმა: „მაგრად იყავ, ამა-
 ლამე (sic) წავალთ“. რა ესმა დედასა ლეუა- 5
 ნისასა, განიხარა და თუისთა ყოველთავე აუწ-
 ყა და ყოველთა თქუეს სიმაგრე და მივცემ
 ლობა. და რა ესმნეს მოციქულთა || ესე, წარ-
 მოვიდენ და მოახსენეს მეფესა დავითს და
 ესევეითარი ციხის მაგრობა. და ველარა დად- 10
 გა მეფე [და] წარმოვიდა.

110. და მოვიდა ზემო-ქართლად და შეება
 ოსმალუს ჯარსა. მისცა ძლეუა ღ~თმან მეფესა
 დავითს და ამოსწყვიტა ოსმალუ და გაე- 15
 მარჯვა. და შეიქცა ოსმალუ თუისსავე ად-
 გილად. ხოლო მცირესა ჟამსა უკან გაილაშქ-
 რა კახეთად მეფემ დავით.

და რაჟამს წამოსულიყო მეფე დავით, გა-
 მოსულიყო ლეუან და მისლოდენ კახნი და
 ექმნა პატრონად მათდა. და იყო ლეუან მა- 20
 შინ წლისა შვიდისა. და რაჟამს მივიდა მეფე
 დავით საგარეჯოსა, შემოეყარნენ საგარეჯონი
 და ამას-აქეთნი კახნი. და წარვიდა მეფე და-
 ვით ქისიყსა. და იყო ლეუან მუნ და ახლდა
 მცირე ჯარი. რა მივიდა მეფე დავით, ეწყუ-
 ნენ ურთიერთას ქისიყსა. დაუმარცხდა მე-
 ფეს დავითს და წარმოვიდა თ¹ || უისთა.

B 409 r 111. ხოლო ლეუან დაიპყრა კახეთი და მოი-
 ყუანა ცოლად ასული გურიელისა თინათინ. ამა
 თინათინისას იტყუიან, სიყრმესა შინა ნახა ჩვენე- 30

¹ B-ს აქამდის აკლია.

A 3~3 14 ბა ესე: „შეგირთავს მთავარი ვინმე და მის || ვლა-
 სა შენსა ადგილსა ერთსა“, უჩვენა (sic) ნი-
 შანი და რქუა ესრეთ: «და მუნ იქმნება შინ-
 დი თეთრი ერთი. და უშენე მონასტერი ერთი
 დედასა ღ~თისასა». ხოლო რაჟამს მოიყუანეს
 შუა-მთასა და ჩამოაჯდინეს განსასვენებელად,
 და რაჟამს იხილა თინათინ ადგილი იგი, იყო
 ყოველივე ნიშნეული ჩვენებისა და შინდი თეთ-
 რიცა. რაჟამს იქორწინეს, შემდგომად აღა-
 5 შენა ეკლესია შუამთისა და დაადგინა მოძ-
 ღვართ-მოძღვარი. და შვა ორ ძე: ალექსან-
 10 დრე და ვახტანგ. და მიიცვალა თინათინ და

		დაემარხა ეკლესიასა თუისსა შენებულსა. ამის-	
	15	თუის არა დაეფლა ქმრისა მისისა თანა, რა-	
B 409	v	მეთუ იყო ლეუან კაცი მეძავი. და შემდგო-	
		მად ისვა ლევან სხვა ცოლი, ყარა მუსალის	
		შამხლის ასული, მანცა უშვა ძე სამი: გიორ-	
		გი, ელიმირზონ და ქაიხოსრო.	
	20	112. ხოლო მეფე ქართლისა დავით იყო თუ-	
		ისთა, ხანსა რაოდენსამე უკანა იქმნა მონო-	
		ზან და ჰყუნდა სამნი ძენი: ლუარსაბ, დე-	
		მეტრე და რამაზ. მისცა მეფობა თუისი ძმასა	
A კ~ჰ	15	თუისსა უმრ წემესსა გიორგის. მეფე დავით	
შ~ფე გი-		ხანსა რაოდენსამე უკანა მიიცვალა ქალაქ-	
ორგი პა ¹ 25		სა ტფილისისასა ქრისტეს აქათ: – ჩ~ფკზ: –	
		113. ხანსა რაოდენსამე მეფობდა გიორგი და	
		მას ჟამსა შინა იყო კ~ოზი მელქისედეკ, ძმა მისი.	
		ხოლო ამას ჟამში წარმოუგზავნა კაცი	
		ხონთქარმან მეფეს გიორგის და მპყრობელ-	
		სა იმერეთისასა ბაგრატს და მპყრობელსა	
		კახეთისასა ლეუანს, ვითარმედ „საფლავი ქრის-	
		ტესი და ადგილნი წმიდათანი სჯულისა	
		თქუენისანი დაიპყრეს უსჯულოთა და შეაბილ-	
		წეს, მოვედით სპითა თქუენითა და განაძეთ	5
		ესენი და თქუენდა მომიცემიაო“. ხოლო, რა	
		ესმა მეფესა გიორგის და მპყრობელსა იმე-	
B 410	r	რეთისასა და კახეთისასა და ყოველთავე მორ-	
		ჩილთა ბრძანებისა მათისა, განიხარეს და	
		შეიყარეს სპა და გაემართნენ. და რა მივიდ-	10
		ნენ იერუსალიმსა და ესმა მუნამყოფთა მისვ-	
		ლა ამათი, წარმოუგზავნა კაცი და ესრეთ შე-	
		მოუთვალა „უკეთუ სტუმარი ხართ, მაშ მტე-	
		რობა რა არისო, და სტუმრათ ბეურნი	
A კ~ჰ	16	ხართო, და უკეთუ ბრძოლად მოსულ-ხართ,ვ	15
		მცირენი ხართო“. ხოლო ამათ მიუმცნეს	
		ბრძოლად მისვლა. რა ესმა მათ საქმე ესე,	
		გამოვიდნენ და ეწყუნენ ურთიერთას და იქმ-	
		ნა ბრძოლა ძლიერად. და მოსცა ღ~თმან ძლეუა	
		ქართველთა და საფლავმა ქრისტესმა და გაე-	20
		მარჯვათ. და მეოტნი შევიდნენ ქალაქსა შინა	
		და გაამაგრეს, ხოლო მიჰყუნენ ქართველნი	

¹ B: „პა“ –

და აართვეს ციხე და ქალაქი და მოსრნეს მუნა-მყოფნი მრავალნი ყოველნივე და განათავისუფლეს ქრისტეს საფლავი და ყოველნი წმიდანი ადგილნი. და მიუმცნეს ხვანთქარსა საქმე ესე და წარმოუგზავნა ხალათი და წყალობა მრავალი: და მოსცა ქრისტეს საფლავი, გოლგოთა, ბეთლემი, ჯვარის მონასტერი და სხვანი მო || ნასტერნი ყოველნივე ხონთქარმა მათ სიგლითა მტკიცითა. ხოლო

25

B 410 v

30

57

განიხარა მეფემან გიორგიმ და ბატონმა ბაგრატ და ლევან და წარმოვიდნენ თვისსა ადგილსა და მოვიდნენ მშვიდობით გამარჯვებულნი და განიხარეს.

5

A კ~თ 1

10

15

20

A კ~თ 1

114. და შემდგომად ამისა ათაბაგი ყუარყუარე მიუდგა ხონთქარსა. და რა სცნა ესე მპყრობელმან იმერეთისამან ბაგრატ, შეიყარა სპა თვისი იმერელნი და მიუვ || ლინა კაცი კახაბერსა გურიელსა და მოჰყუა იგიცა ბაგრატს. გარდავლეს მთა და მიუვდენ ყუარყუარე ათაბაგსა მუჯახეთს (sic) და დახვდა ათაბაგიცა და შეიბნეს და ეწყუნეს ურთიერთას. და იოტნეს ბანაკნი ათაბაგისნი. და მერიქიფემა კახაბერის გურიელისამა, ისაკ ართუმელამემა, ჩამოაგდო ათაბაგი ყუარყუარე, დაიჭირა და მოართვა გურიელსა, და გურიელმა მოართვა ბაგრატს, მპყრობელსა იმერეთისასა. დაიპყრა ბაგრატ საათაბაგო ქრისტეს აქათ:-ჩფლ~დ:-და გარდებხვეწა ოთარი შალიკაშვილი: და წარიყუნა შვილი ათაბაგის ყუარყუა ¹ რესი ქაიხოსრო...

115. მას ჟამსა გამოჩნდა შაჰ ისმაელი ძე შიხისა. და რაჟამს გამოჩნდა ლანგთემურ და დაატყუევა შამი, მუნით მოვიდა არდაველს. მუნ იყო ერთი ვინმე შიხი მოქმედი გრძნე-

¹ B -ში ამის შემდეგი ფურცლები დაკარგულია და დარჩენილა მცირე ნაგლეჯი, რომელზედაც სწერია:

ით ველარ გ.....

ყეს შენება: დაიწყეს სიმაგ.....

წყუიტეს: წართვეს გურიელსა და თვი.....

მაშინ ჰპატრონობდა ბაგრატ იმერეთს და ეპყ..

(ნაგლეჯის მეორე მხარეზე:)

.....ენ:.სცნეს

.....თა არღარა წამოვიდნენ რი
.....ოვიდა ვახტანგ გურიელთანა ბათომსა:
გურიელი და გურიულნი იქ დახუდენ: ვინაითგან..

58

	ბისა, რომელსა მაჰმადიანი ესეუდენ დიდათ, უჩნდათ სასწაულად მოქმედად (sic).	
A კ~თ 2	მაშინ თქუეს ქება მისი ფისისა ლანგთე- მურთანა: და თვთ მივიდა ხილვად მისდა: და ქმნა გრძნება რამე წინაშე ლანგთემური- სათა. ხ~ სათნო უჩნდა ლჰნგთემურს საქმე მი- სი: უბ[რ]ძანა, რაცა გნებავს მოგცე. მაშინ ჰყუანდა ლანგთემურს შამელნი დიდაწულნი მრავალნი სულნი და სთხოვა შიხმა სიმრავ- ლენი მათი სიტყუითა ესე-ვითართა, ვითარ- მედ „შამელნი რომელნი ტყუედ გიყოფიეს, ესე- ნი არიან მუსურმანი: არა არს ბრძანებული მაჰმადისა, ვ~დ ბუსურმანი ტყუე-ყოს მაჰმა- დიანმა: ესენი მომეც, რათა თავისუფალ ვყო“. მაშინ ისმინა ვედრება შინისა ლანგთემურ და მისცა ყოველი დედაწული და ტყუეწი იგი: და უბოძა არდაველი ქალაქი და გარემო სანახები არდაველისა ყოველივე მისი. ხ~ შიხმა განათავისუფლა ტყუენი შამისანი: რომელიმე დადგა თვსთა თანა და რომელნიმე წარვიდა ქუეყანასა მამისასა.	5 10 15 20
A კ~თ 3	116. ხ~ გარდაცვალებასა ლანგთემურისასა, ქუეყანა ერანისა თვთოეულად განიყუენენ: და დაიპყრეს მის ქუეყანისა მთავართა თვთო- ეულად და რომელიმე ამბავი მათი ცხოვრე- ბასა სპარსთასა ვრცელად -წერილარს. ხ~ ესე შიხი იყო არდაველს და იყო ბრძოლა ყოველსა სპარ[ს]ეთსა შინა. 117. ხ~ ამა შიხის შვილისშვილი მპყრობელმა შირვანისამან მოკლა. დარჩა ძე ერთი და მან იპყრნა არდაველი დ.ა იგიცა უკეთურებისათა	25 30
	თვსითა მოიკლა, რომელი სპარსთა ცხოვრე- ბასა შინა ვრცელად წერილარს. დარჩა ძე ყრმა თვსი შვიდისა წლისა შაჰისმაელ და დაუწყუეს დევნა სასიკუდინედ მეფემა თავრი-	59

5 ზისამა. ხ~ შაჰმლუ რომელიმე იყუნენ და წარიყუნეს და დამალეს და, რაჟამს მოიწიფა, მოიყუნეს და დაიპყრო სამეფო თვისი არდაველი. და მიერთგან დაუწყო ბრძოლა ყოველთავე და ყოველივე სპარსეთი დაიპყრო.

10 **118.** ჟამსა ამას მონაზონ-იქმნა მეფე ქართლისა გიორგი. და არა.დარჩა ძე თვისი და მისცა მეფობა ძმისწულსა თვისსა ლუარსაბ[ს], კაცსა ლ~თის-მოყუარესა, მტერთა ურჯულთა მომსრველსა და წყობათა შინა უშიშსა, ქრისტეს აქათ:, ჩ~ფმბ:,

15 **119.** და ჟამსა ამას მონაზონ'იქმნა ბაგრატი, მპყრობელი მუხრანისა, და დარჩა ოთხი || ძე: ვახტანგ, ერეკლე, არჩილ და აშოთან.

A კ~თ 4 **120.** და დაიპყრა ქუეყანა ქართლისა ლუარსაბ. მას ჟამსა იყო კ~ოზი გერმანე, ტფილელი დომეტი, მროველი გედევან.

20 რაჟამს დაიპყრა ქუეყანა სპარსისა (sic) შაჰისმაელ, ეწადა მოსულა ქუეყანასა ქართლისასა და მოვიდა აღჯაყალას.

25 რაჟამს სცნა მეფემან ლუარსაბ მოსულა შაჰისმაელისა, შეიყარა სიმრავლე სპისა თვისისა და დადგა ტფილის[ს] და გამაგრდა ტფილისი (sic). და რაჟამს ესმა შაჰისმაელსა წყობად მოსულა მეფის ლუარსაბისა, წარმოავლინა სარდალი თვისი ყარაფირი ლაშქ-

30

60

ქრითა მრავლითა და შემდგომად განიზრახა და მიაშველა მისკარბაში ელიასბეგ ლაშქრითა მრავლითა. და შემდგომად განიზრახა თვისგან, ნუ უკუე დაუმარცხდეს ლაშქართა მისთა, თვთცა აღიძრა და წარმოვიდა.

5 **121.** რა სცნა ესე მეფემან ლუარსაბ, გამოვიდა ტფილისით სპითა თვისითა და მოვიდა ლელესა თელეთისასა და მუნ განაწყო სპა თვისი. და რაჟამს მოვიდა ყარაფირი, ეწყუნენ ურთიერთას და იქმნა ბრძოლა ძლიერი. ესე-ვითარად ეწყუნენ ქართველნი, რომე სიმძნე მათი სპარსთა ცხოვრებასა დიდად წერილარს.

10 მოისრა ყიზილბაში || ჳელითა ქართველისათა ურიცხვი და სძლიეს ქართველთა და იოტნეს

A კ~თ 5

ციზილბაშნი. და ოტეზასა მათსა მოვიდა მის- 15
კარბაშიცა ელიასზეგ და ოტეზულიცა სპა
იგი დააბრუნა და თვსითაცა სპითა კ~დ
შეუტივა ქართველთა. და იქმნა ბრძოლა
ძლიერი, უდიდეს პირველისა და მოსრეს კ~დ
ქართველთა ციზილბაში ურიცხვი. 20

122. და ოტეზასა ციზილბაშთასა აღმოვიდა
შაჰისმაილ მათსა თელეთისასა, რომელი არს
კერძო ტაზახმელეთისათა, გარდმოხედა და იხი-
ლა სპა თვისი მოსურილი და ოტეზული, და გან-
ლაღებულნი ქართველნი მათ ზედა ვ~ა ლომნი. 25
შეწუხნა და უბრძანა სპათა თვსთა ყარა ყოინ-
ლუსა. ჩამოვიდეს და შემოუტივეს ყარა ყოინ-
ლულა ქართველთა ზურგით კერძოთა. და ქართ-
ველნი დამაშვრალ იყუნენ დიდად ომისაგან
და იძლივნეს სპა ქართველთა და უკუნჩქევნ. 30

61

123. და წარვიდა მეფე ლუარსაბ ზემო-ქართ-
ლად და ენება კ~დ შემოყრა ლაშქრისა და
მოსვლა შაჰისმაილზედა. ხ~ ვერდარა შეუძ-
ლო, რ~ დაფანტულნი იყუნენ ქართველნი და
ჯარი ვედარ იშოვნა:

5

A კ~თ 6

124. მაშინ წარვიდა შაჰისმაელი და შემოად-
გა ციხესა ტფი || ლისისასა და აღუთქუა ნიჭი
დიდი ციხისთავსა ტფილისისასა. და მოენდო
ციხისთავი და მოსცა ციხე და შეუიდა ციხესა
შინა და დაიპყრა თბილისიცა (sic) შაჰისმა-
ელ. და მოაოჯრა და შემუსრნა ხატნი და
ჯვარნი კელითა თვსთა და აღაშენა ყურესა
კიდისასა მეჩითი რჯულისა თვსისა, შეიქცა
და წარვიდა თვსა (sic) და დაუტეუა ციხესა
მცველნი. ხ~ უკეთუ არა მიეცა ციხისთავსა
ციხე და მცირესა ხანსა გამაგრებულიყო, მო-
ვიდოდა მეფე ლუარსაბ შაჰისმაელზედა (sic)
და, უკეთუმცა ლ~თსა ენება, შეამთხვევდა
ჭირსა დიდსა.

10

15

20

125. ხ~ შექცეუასა შაჰისმაელისასა, მოვიდა
მეფე ლუარსაბ და კ~დ დაიპყრა ქართლი.

126. და ამა ჟამსა მოკუდა შაჰისმაელ (sic)
და დაჯდა მის წილად შაჰთამაზ. ხ~ შაჰისმაილ
(sic) იყო კაცი ჭკუიანი და სავსე ხონჯითა. ამან
გამოაჩინა სჯული შიასი და დაუწყო სჯულ-

25

30 თა ოსმანთასა (sic) გინება, და აღამაღლა სა-
ხელი ალიასი და თვთ თავი თვისი მედ ალი-
სა თქუა. და მიერიდგან ირწმუნეს ყიზილბაშ-
თა მედ იმამისა, არა ხ~ მეფობისათვის, არა-
მედ ძეობისა მისთვის იმამისა სწამთ სალოცა-

62

A კ~თ 7

ვად და პა || ტივისცემეწ მ~ლთაებრ დღეინდელად
დღედმდე.

127. ხ~ ძეთა მისთა, რაჟამს გამეფდა მის
წილ ძე მისი შაჰთამაზ, ესე გამდიდრდა ფრიად:
უმეტეს დაიპყრა ქუეყანანი, რომელი დაუშთა 5
შაისმაელს. და ამა ჟამში აელო მეფესა ლუარ-
საბს ციხე ტფილისისა და გაამაგრა თვისად.
და სმენოდა ყარაბაღს მდგომსა შაჰთამაზსა
საქმე ესე და შეეყარა იდუმალ სპა თვისი
რჩეული და წარმოემართა მეფესა ლუარსაბსა 10
ზედა. ხ~ მას ჟამსა მოჰკდომოდა მეფესა
ლუარსაბს ძე ყრმა მცირე და წაელო მცხეთა-
სა დასამარხავად და სიყუარულისათვის მეფე
და დედოფალი გაჰყოლოდა. ხ~ მას ღამესა
შემოვიდა შაჰთამაზ ტფილისად და, უკეთუმ- 15
ცა არა დაეცუა განგებასა ღ'თისასა მეფე
ლუარსაბ და არა გაჰყოლოდა ძესა თვისსა,
ველთ დარჩებოდა თვთ დედოფალითურთ.

A კ~თ 8

128. ხ~ სცნა მეფემან მოსულა შაჰთამაზისა,
წარვიდა სიმაგრესა, და ჯარი ველარა შემოი- 20
ყარა, ამისთვის შაჰთამაზ || იყო ტფილისად, და
ყოველნი ხიზნად განემზადნეს. ხ~ ქალაქი
ტფილისისა დაიპყრა შაჰთამაზ, მოსრა ყო-
ველი დედაწული. და რაჟამსა იხილა
ციხისთავმან ტფილისისამან გულბად, სცნა 25
უგრძნობლად შესვლა შაჰთამაზისა, შეშინდა
მეფისა ლუარსაბისაგან ამისთვის, რომე უგრ-
ძნობლად მოსვლისათვის არა იავარ მყოს, გარდ-
მოვიდა ზემო-ციხით და მოუვიდა შაჰთამაზს.
რა სცნეს ციხის მცველთა საქმე (sic) და წა- 30
ვიდა ციხისთავი, მათგანიცა რომელიმე წარ-

63

ვიდა თვის-თვისად, და რომელიმე მივიდეს შაჰ-
თამაზთანა. და შაჰთამაზ მისცა ნიჭი დიდი

და დაატეუებინა სჯული ქრისტიანობისა და
დაიპყრა ციხე ტფილისისა და გამაგრდა და
5 თვთ წარვიდა ყარაბაღად.

129. და რა სცნა მეფემან კახეთისამან ლეუან,
შეურიგდა იგიცა. და წარვიდა შაჰთამაზ ნახ-
ჩუანს (sic) სომხითისასა და ურჩნი სომხითი-
სანი დაიმორჩილნა.

10 **130.** და მპყრობელი იმერეთისა ბაგრატ იყო
A კ~თ 9 მაშინ || სამცხესა. მოვიდა მასთანა ამა მიზეზი-
სათვის, რომე ოთარი შალიკაშვილი და ძე
ყუარყუარესი ქაიხოსრო რომ ხონთქართანა
წასულიყუნენ და ამათგან ძალი და ზურგი მო-
15 ეცათ, ესეცა ბაგრატ ამისთვის მოვიდა შაჰთა-
მაზთანა, რომე ამისგან ზურგი და ძალი მო-
ეცა.

ხ~ თვთ უცალო იყო შაჰთამაზ და ჯარი
ვერ აშველა, მისცა ნიჭი დიდი და გაისტუმრა
20 და თვთ წარვიდა ქუეით. და რა მივიდა ბაგ-
რატ სამცხესა ოთარ შალიკაშვილისა და
ყუარყუარეს შვილისა ქაიხოსროსათვს ხვან-
თქარს მოეცა ლაშქარი დიდი, სპასპეტად გა-
მოეგზავნა მუსტაფა ფაშა და გამოეტანებინა
25 ზარბაზანი დიდროანნი და მოვიდნენ ზემო
ქართლსა.

და რა სცნა ბაგრატ, შეუთვალა გური-
ელსა. და მოვიდა გურიელი და ეწყუნენ სპა-
სა ხვანთქრისასა. და იქმნა ბრძოლა ძლიერი
და იოტნეს ბანაკნი ოსმალთანი და მოსრნეს
და ივლ[ტ]ოდეს ოსმალნი. და მოკლეს მუსტა-

64

A კ~თ 10 ფა || ფაშა და დარჩათ საგანძური და თოფები
მათი.

131. და შემდგომად ამისა წარვიდნენ ხონთ-
ქართანა ოთარი შალიკაშვილი და ქაიხოსრო
ყუარყუარეს შვილი. და დიდად დაუმძიმდა
ხვანთქარსა დამარცხება ჯარისა თვისისა და
გამოუსია აზრუმისა და დიარბექირის ფაშა
და ჯარი ურიცხვი.

5

132. და რა ესმა ბაგრატს მპყრობელსა
იმერეთისასა, დაჰპატიჟა მეფესა ქართლისასა
ლუარსაბს და დადიანსა და გურიელსა.

10

ხ~ მეფესა ქართლისასა ლუარსაბს დაღა-

ცათუ არავინ ეშველებოდა უსჯულოთა ზედა,
 არამედ თვით რაოდენ ძალედვა არა დაზოგის
 თავი და წარვიდის და მიეშველის, რ~ ეძვინე- 15
 ბოდა საქართველოსათვის, ვ~ ამამასა შვილ-
 თათვის, და შეიყარა სპა თვისი და წარვიდა
 ბაგრატთანა.
 მაშინ ბაგრატს არა შემოეყარა დადიანი,
 და მოსულიყო გურიელი ჯარითა თვისითა და 20
 შემოეყარნენ იმერელნი და მესხნი. და ხვანთ-
 ქრის ჯარიც მოსრულიყო || ბასიანს და მივიდ-
 ნენ ესენიცა.
133. მაშინ ქართველთ მოინდომეს მეწინა-
 ვით მისვლა და მესხთ არა თავსიდვეს საქმე ესე 25
 ამისთვის, რომე პირველადაცა ჩვენ ვყოფილ-
 ვართ და რიგი გვაქუს მეწინავეობისაო და აწ-
 ცა მართებულია, რომ ჩვენ ვიყუნეთ. ხ~ ქართ-
 ველთა არა უსმინეს და მიეტყუნეს ქრის-
 ტეს აქათ ჩ~ ფმე. და იქმნა ბრძოლა ძლიერი 30

A კ~თ 11

65

და მოისრა ორგნითვე. და მესხთა, წინა მისვ-
 ლისათვის ქართველთა ადრიკეს ზურგი და
 არა მიჰყუნენ ქართველთა, და მოკლეს მე
 გურიელისა ქაიხოსრო. და შემუსრეს ყოვე-
 ლივე საჭურველი და საომარი ქართველთა
 და არღარა ჰქონდათ საბძოლველი და და-
 მარცხდა ¹ ჯარი საქართველოსი და ივლტო-
 დენ და წარვიდენ ყოველნივე თვსთვსად.
 და წარვიდა ბაგრატ იმერეთს და მეფე ლუ-
 არსაბ ქართლსა. და მაშინ ჩამოდგნენ ურუმ-
 ნი და, რომელიცა შეიპყრეს, სრვიდენ უწყა-
 ლოდ. და წარვიდა გურიელი თვსად სამყო-
 ფად || და ყოველივე თვსთვსად წარვიდენ.
134. ხ~ ურუმნი დადგნენ სამცხეს და დაიპყ-
 რეს ციხეები სამცხისა განზრახვითა ოთარ შა-
 ლიკაშვილისათა. ესრეთ ეტყოდა ოთარი: „უკე-
 თუ დაიპყრობთ სიმაგრეთა სამცხისათა, ესე
 ქუეყანა მკუიდრად თქუნდა იქმნებისო".
135. და ჟამსა ამას შიგან მესხთა ათაბაგ
 ყუეს ქაიხოსრო მე ყუარყუარესი. და დაემძახლა
 პატრონსა მუხრანისასა და მოიყვანა ცოლად
 აშოთან მუხრანის ბატონისა ასული და ეწო-
 და სახელად დედისიმედი. და იყო ქალი ესე

5

10

A კ~თ 12

15

20

25 გლისპი და შეუპოვარ და ლალი. და რაჟამს სცნეს საქმე ესე ათაბაგმან და ოთარმა შალიკაშვილმან, რომე დაიპყრეს ოსმალთა სიმაგრენი და ციხეები სამცხისანი და ფრიად მძლავრობდენ და უსამართლობდენ ქუეყანასა

¹ A დაამარცხდა.

66

A კ~თ 13 სამცხისასა, მაშინ განიზრახნეს ათაბაგმან და ოთარმა საქმე რამე სარგებელი ქუეყანისა თვისისა: წარავლინეს მოციქული შაჰთამაზთანა და ესრეთ მიუთხრეს, ვითარმედ „ძველიდგან ქუეყანა ესე სა || მცხისა მკვიდრად სპარსთა მეფეთა ყოფილარს და აწ, თუცა გნებავსთ, გაქუს შეწეუნა და უფლება საქმისა ამის, რათა თქუენდა იყოს. მოგვეც შეწეუნა და ნურღარა აუფლებ ჩემზედა ოსმალთა და თქვენდავე იყოს ქუეყანა ჩვენი და გმორჩილობდეთ (sic) შენ, ვ~ა პირველ". ხ~ ესმა რა ესე შაჰთამაზს, განიხარა და წარმოვიდა სამცხედ სიმრავლითა ჯარისათა.

136. და რაჟამს ესმა ესე სულთანს სულეიმანს, წარმოვიდა იგიცა ლაშქრითა მრავლითა და ესრეთ განიზრახა, ვინათგან შემიორგულდა ოთარიცა და ათაბაგიცა და არღარა ნებავს უფლება ჩემი მათზედა, აწ მეცა მუნ წარვალ და შეუმუსრავ და იავარჯყოფ ციხესა მათსა რომელ არს ქაჯეთი: და არა მივსცე სპარსთა ქუეყანა იგი:

137. და ვ~ა სცნა შაჰთამაზ წარმოსულა ხონთქრისა, ვერ ძალედვა წინააღდგომა შაჰთამაზს სულთან სულეიმანისა, მოიპოვა ღონე ესევითარი და შემოუთვალა ოთარსა, ვ~დ „ესე უწყოდე არას კეთილისათვს და არას საქმითა არას ფერობით მე შენ მოუკლავს არ გაგიშვებო". || და, რა ეს წიგნი ოთარს მოუვიდა, ოთარმა სულთანს გაუგზავნა და ესრეთ მიუწერა: „თქუენცა მიწყრებით და უფროსად ყენი მიწყრებაო. რა ვქნა აწ მეო, მოსამართ-

ლე ღ~თი იყოს შუა თქუენსა და ჩვენშიაო" (sic). და იპრიანა ღ~თნ და შეიბრაღა სულ-თანმა და უკუნიქცა და არღარა წარვიღა სამცხეს და შეიქცა თვსად.

5 **138.** ხ~ მპყრობელი იმერეთისა ბაგრატ, რა-ჟამს შეიქცა საბატონოსა თვსსა, აწვია დადიანი ლეუან (sic) ჭალასა ხონისასა, უღალატა და შეიპყრა დადიანი ლეონ (sic) ამის მიზეზისა-თვს, რომ მაშინ ურუშხედ დადიანმა არ
10 ულაშქრა. და ეს რა შეიპყრა, გაუგზავნა გუ-რიელსა კაცი და ესრეთ შეუთვალა: „დადიანი დავიჭირე და კელთ მყავსო, წარვიღეთ ოდიშს, ვილაშქროთო, ნახეუარი შენი იყოსო და ნახეუარი ჩემიო“.

15 და რა ესმა ესე გურიელსა, იფიქრა და თქუა ესრეთ: „დადიანი შეუპყრია და ოდიშს დაიპყრობს და მერმე ჩემს ქუეყანასაც წამართ-მეუსო და სულ გაიერთებსო“, – და ეგრეთაცა სწადდა ბაგრატს, – და აღარ მიუდგა გუ-
20 რიელი.

A კ~თ 14 და მეფემანც ასე გასინჯა: არამც გურიე-ლი || და ოდიშარნი გაერთდენო და მერმე ჩემ-ზედ ბოროტნი გაიზრახონო. დადიანის თვა-ლების დაწვა სწადოდა, აღარ დასწუა და გე-
25 ლათს სამრეკლოში დაატყუეუა.

სცნა ესე რა ათაბაგმან ქაიხოსრომ დადი-ანის ტყუეობა, შემოუყენა ჩხეიძე ხოფილან-დრო, გააპარა იქითგან და მოიყუანა ათაბაგ-თანა. მოიძვრო ათაბაგმან გურიელი და ჩაიყ-
30 ვანა ოდიშს და გააბატონა.

68

139. ამას ჟამსა გურიელს გაუწყრა ხონთქა-რი ამისთვს, რომ მაშინ ბასიანს თუ შენ ბაგ-რატს არ მოჰყოლოდი, იმდენს ჯარს ვერ ამო-მიწყუეტდაო ბაგრატ. გამოუსია ჯარი და მოვიდნენ ბათომს და დაუწყეს ციხეს შენება
5 კატარღებითა და ნავებითა.

შეიყარა გურიელმა სპა თვსი და წარვიღა ოსმალთა ზედა. მოუმართა ღ~თნ კელი და გაე-მარჯვა: კმელეთიღამ (sic) გააგდო და ზღვაში შევიდნენ ნავებითა და აღუდგა ღელვა და
10 ქოროხს გაღმა გავიდნენ. მაშინ იყო წყალ-

5

10

A კ~თ 16

დიდობა და ჭოროხს ცხენით ვეღარ გავი-
დნენ || და მივიდნენ გონიასა და ციხეს დაუ-
წყეს შენება. დაიწყეს სიმაგრე ოსმალთა და
ჭანეთი ამოსწყუიტეს, წაართვეს გურიელსა და 15
თვთ დაიჭირეს.

140. მაშინ ჰჰატრონობდა ბაგრატ იმერეთს
და ეპყრა იმერეთი. მიულინა (sic) კაცი გურიელ-
მა დადიანს ლეონსა და როსტომს: „უკეთუ
ამათ მიერ (sic) წამაჯდინეს, მასუკან თქვენ- 20
ზედაც მოიწყუა ამათ მიერ დიდი ვნება“.

მაშინ დადიანმა შემოიკრიბა სპანი თვსნი
და აფხაზნი, წარმოვიდა, რიონის ლიმონში
(sic) დაისადგურეს.

სცნა რა ესე ბაგრატ, ვინათგან დადიანმა 25
გურიელს უშველა, უფროსად გაერთებიანო
(sic), გაეგზავნა ძმა თვსი ვახტანგ ხუთასის
კაცითა შემწედ გურიელისა ესრეთ და ავედრა
ამას: „ეცადე, რომ დადიანი გურიელს არ მიე-
შველოსო“. 30

69

5
A კ~ი 1

141. და წარვიდა ვახტანგ და მივიდა საჯა-
ვახოს და მაშინ შეუთვალა დადიანს, ვ~დ „მე
ხომ შენი ფიცი (sic) ვარო, ესე უწყოდდე (sic),
რომე ჩემს ძმას ბაგრატს და გურიელს ერთი
პირობა აქუსთ და რაჟამს მოხვალ გურიას,
დაგესხმიან || თავსა და მოგკულენო“. სცნეს რა
ესე მეგრელთა, მოშიშართა, არღარა წარმო-
ვიდნენ რიონითგან. და მივიდა ვახტანგ გუ-
რიელთანა ბათომსა. როსტომ გურიელი და
10 გურიელნი (sic) იქ დახუდენ. ვინათგან დადი-
ანი ვეღარ მოეშველა, კატარღა და ნავები
ვეღარ იშოვნეს და ვერცაღა განვიდნენ გაღ-
მა. მაშინ ოსმალთა სცნეს რა ესე, აღაშენეს
ციხენი და დაიპყრეს ჭანეთი.

142. და შემოიქცა ვახტანგ თვსად სამყოფსა.
და ამას ჟამსა შინა მიიცვალა ბაგრატ. და
დამარხეს გელათს. და დაჯდა მის წილად
ძე მისი გიორგი.

143. და ეპყრა როსტომს გურია წელსა;,
20 ი~ზ;,, და მიიცვალა იგიცა და დაეფლა შემოქ-
მედს. და ესვა როსტომს ძე სამი: და უმრწამესსა
(sic) ეწოდა გიორგი და დასვეს გურიელად. და

- ერთი დაჲ მისი დადიანის შვილს ჰყუ[ა]ნდა ცოლად. და, რა მოკუდა როსტომ გურიელი, 25
 მაშინ განუტეუა ქალი მისი დადიანის შვილ-
 მან და წაართვა ბიძასა თვისა ცოლი და
 A კ̄ ი 2 თვთ შეირთო || და განარისხა ღ̄თი.
144. და გამოჴდა ხანი რამე და კ̄ ღ გაერთ-
 დენ გიორგი გურიელი და დადიანი: შეირთო 30
 ასული დადიანისა გურიელმან. და მცირეთა
 ჟამთა შინა განუტეუა გურიელმანცა ქალი
- 70
- დადიანისა ამისთვის, რომ პირველ ამისი დაჲ
 იმისმა შვილმან განუტეუა.
145. სცნა რა ესე გიორგიმ, [მ]პყრობელმან
 იმერეთისამან, ვინათგან მტერ-ექმნეს ურთი- 5
 ერთას დადიანი და გურიელი, ამ გიორგის ჰყუა
 ერთი ქურივი რძალი და მისცა გურიელსა თვისის
 ქალის მაგიერად და ესენიცა (sic)... მაშინ
 იწყეს შურობად და ლაშქრობად დადიანისა.
 და ვერ ეძლო წინააღდგომა მათი დადიანსა, 10
 გარდიხვეწა და წარვიდა სტამბოლს, მივიდა
 და შეეხვეწა სულთანსა. მაშინ შემწე ეყო
 სულთანი დადიანსა და მისცა ჯარი აზრუმისა
 და ტრაპიზონისა. წარმოვიდნენ და მოიწივ-
 ნეს სატყეპელას.
- 146.** ხ̄, სცნა რა საქმე ესე გურიელმან, ვი- 15
 ნათგან შემწე ეყო სულთანი და გამოგზავნა და-
 დიანი დიდის ჯარი||თა, მაშინ მოიპოვა ღონე
 რამე და იწყო ხვეწნად დადიანისა და წარა-
 ვლინა მოციქული და მისცა სისხლად ფლუ-
 რი ათასი დადიანსა და შერიგდენ. 20
- 147.** მაშინ გიორგი მპყრობელი იმერეთისა,
 ვინათგან ახალი ბატონი იყო, სუსტად ეპყრა
 საბატონო თვისი. მაშინ მოიჴმო გიორგიმ ჯავახ
 ჭილაძე და უღალატა და მოკლა. სცნა ესე გუ- 25
 რიელმან გიორგიმ, დიდად ეწყინა: შერიგდენ
 დადიანი და გურიელი და აღარა დაანებეს და
 ნახეუარი გურიელმა დაიჭირა და ნახეუარი და-
 დიანმა. ხ̄ მას ჟამსა შინა დადიანი მოკვდა
 ესრეთ, რომე ნადირობაში ჯაიანმა ცხენი შეა-
 ძგერა და მო[ა]კუდინა დადიანი. მაშინ დასვეს 30
 დადიანად უფროსი ძე მისი გიორგი.
- A კ̄ ი 3

148. სცნა რა ესე გურიელმა გარდმო[ი]ბირა უმცროსი ძმა მისი მამია, მოიყუნა გურიას და შერთო დაჲ თვისი ცოლად. მაშინ ულაშქრა გურიელმა და წარვიდა თვთვა და მივიდეს ზუგდიდს, შეიბნეს და გაემარჯვა გურიელსა და გარდა[ა]გდეს დადიანი გიორგი || და დასვეს ძმა მისი მამია დადიანად და თვთ გურიელი წარვიდა ტკსადვე.
- 5
A კი 4
- მაშინ დადიანმა გიორგიმ იშოვა ლაშქარი აფხაზისა, ჯიქისა და ჩერქეზისა. და ათხოვა კიდ გურიელმა ჯარი სიძესა თვისსა მამიასა და შეიბნენ. კიდ გაემარჯვა მამიას და გაექცეს (sic) გიორგი დადიანი. მაშინ დაუწყო ლაპარაკი გიორგის მპყრობელსა იმერეთისასა გიორგი დადიანმა და პატრონმა იმერეთისამა პირი მისცა შველისა. და გიორგიმ დადიანმა ასე შემოუთვალა: „რადგან ჩერქეზის ქალი ერთი თქუენ გყავსო და ერთი გურიელსაო, მესამე დაჲ გაუთხოვარი, თქუენ რომ . ზდით (sic), ეგ მე მომეცითო, თვარამ რით გენდოო“. ბატონმა გიორგიმ გურიელს ჰკითხა, „მისცე, თუ ნოო“? გურიელმა ეს უთხრა: „მე იმას ქალი დაუგდე და სისხლი გამომართვაო, იმან მე დაჲ დამიგდო და სისხლი მომცესო. და ეს სიტყუა შეუთვალეს გიორგი დადიანსა. დადიანი დაჰყუა სისხლის მიცემას, და თეთრი არა ჰქონდა, – გარდაეარდნილი იყო, ოდა – ხოფი, რაც გურიელს სისხლი მი || ევა, იმთონის გირაოდ მისცა. და მისცეს მესამე ჩერქეზის ქალი გიორგი დადიანსა, და სამნივ ქუისლნი შეიქმნენ და დამოყურდენ და მამია დადიან-
- 10
15
20
25
A კი 5
30

72

მაც ნება დართო: რადგან უფროსი ძმა არის, მისი წესია დადიანობა და მანცა დაანება. მამია დადიანს ლომკაცი ჭილაძისეული და რეუაზისეული დაანებეს და შეირიგეს და იქმნა მიერთგან მშვიდობა სამსა ბატონთა შუა.

149. სცნა რა ესე დათულიამ, ბიძამან დადიანისამან, შეიყარა საჯავახოელნი და წარმოვიდა

საღალატოდ გიორგი დადიანისა (sic). აგრძნა
 საქმე დადიანმა და ველარ უღალატა. და წარ- 10
 ვიდა თვსად საჯავახოდ დათულია. მაშინ
 დადიანმა გიორგიმ და ძმამან მისმან მამიამ
 და ბატონმა გიორგიმ შეუთვალეს გიორგი
 გურიელსა, მიუწერეს ესრეთ: „რადგან დათუ- 15
 ლიას ღალატი შეაჩნდაო, აწ შენ მაგას უღა-
 ლატე და მოკალო და საჯავახო შენ დაიპყა-
 რო. || მაშინ გიორგი გურიელმა ყო ეგრეთ: 20
 დაიჭირა დათულია და დაატყვევეს ოზურ-
 გეთს და საჯავახო თვთონ დაიპყრა. კ~დ შეუ-
 თვალეს გურიელსა, რომე მოკალო და გური- 20
 ელმა არა მოკლა. და მასუკან ამათ გაგზავნეს
 კაცი და მოაშთვეს დათულია.
150. ჟამსა ამასა შინა მიიცვალა გიორგი და-
 დიანი და დაიპყრა კ~დ დადიანმა მამიამა ოდიში 25
 და გადადიანდა. მაშინ დაშთა დადიანს ერთი
 შვილი ვაჟი და ეწოდა ლეუან. და განარისხა
 ლ~თი გურიელმა გიორგიმ და წაართვა დედასა
 მისსა და წარმოიყუნა ყრმა იგი და შხეფის 30
 ციხეში დაატყუეა. და ველარ გასძლო ყრმა-
 მან მან ტყუეობა და გალავნიდამ (sic) გარდ- 30
 73

მოვარდა და მოკუდა. და იყო იმერეთისა
 მპყრობელსა და დადიანსა და გურიელს შუა
 მშვიდობა და ერთობა.
151. და რაჟამს შეიქცა სულთანნი სულეიმან,
 მაშინ შაჰთამაზ ქუეით იყო, უწყყეს ქართ- 5
 ველთ მეფე, კახმა ბატონმა || და ათაბაგმან
 რბეუა ადრაბაგანსა და ოჯრება.
 მაშინ განუდგა შაჰთამაზს მპყრობელი
 შაქისა ძე ასან-ბეგისა, სახელით დავრიშ მაჰ- 10
 მად. და რაჟამს გაბრუნდა სულთან სულეიმან,
 შემოიყარა ჯარი ყარაბაღს შაჰთამაზ, რ~ მორ-
 ჩილებდა ასან-ბეგ შაჰთამაზს. ხ~ ძემან მისმან
 (sic) დავრიშ მაჰმად არღარა მორჩილ ექმნა 15
 და უკუდგა. ამისთჳნ შემოიყარა ჯარი შაჰ-
 თამაზ ყარაბაღს და მიუგზავნა კაცი კახბა-
 ტონს ლეუანს და ითხოვა მისგან შეწეუნა.
152. წარმოვიდა და მოვიდა ლეუან და
 დაემორჩილა შაჰთამაზს, რ~ ოდეს მორჩილობდა
 ასანბეგ დეურიშ მამადის მამა შაჰისმაილს,

20 მაშინ ეს ლეუან მოუცდა ასანბეგს შაქის (sic)
და მოკლა ასანბეგ და მოარბია შაქი. შემ-
დგომად ამისა მოიყუანეს შაჰქელთა (sic) ძე მისი
დეურიმ მაჰმად და დასვეს ბატონად. და
25 მიერ ჟამითგან მტერ იყუნენ ბატონი ლეუან
A კ~ი 8 და დეურიმ მაჰმად. და რა შეიყარნენ ესენი,
მაშინ წარავლინა შაჰსთამაზ (sic) || ლაშქარი
თჳსი შირვანს.

153. რა სცნა დეურიმ მაჰმად, დაესხა თავსა
და მოსრა ლაშქარი მრავალი. ხ~ , სცნა რა ესე
30 შასთამაზ (sic) დეურიმ მაჰმადისგან საქმე ესე
ქრისტეს აქათ:, ჩემგ:, შეიყარა და წარვიდა

74

შირვანს რა. სცნეს შაქელთა მისვლა შაჰსთამა-
ზისა (sic), შეშინდეს ფრიად. მაშინ მისწერა
შაჰსთამაზ წიგნი დეურიმ მაჰმადს, ვ~ დ „მოდო
ჩემთანა და მიჰატივებია დანაშაული შენი". და 5
მან არა ისმინა და გაამაგრნა ციხენი და
სიმაგრენი თჳსნი და დადგა მტკიცედ.

154. რა ესმა შაჰსთამაზს საქმე მისი, წარავ-
ლინა ბატონი ლეუან და სხვა ხანნი, ორი თჳსი
სარდალი და სპა. და, რა მივიდნენ შაჰქის
(sic), მოაოჯრეს შენი და უშენი და მოადგნენ 10
ციხესა მას, რომელსა შინა იყო დეურიმ მაჰ-
მად. ვერღარა ეძლო ხანსა რაოდენსამე გამა-
გრება ციხისა მის და განვიდა ღამე და ენება
A კ~ი 9 იდუმალ განრინება. და რაჟამს განვიდა || დეუ-
რიმ მაჰმად, სცნა ბატონმა ლეუან, წარვიდა 15
და მიეწია. შეიბნენ და გაემარჯვა ბატონს
ლეუანს: და მოკლეს ლაშქართა ლეუანისათა
დეურიმ მაჰმად. და მოართვა თავი მისი
ლეუან შაჰსთამაზს. და მისცა მრავალი წყა-
ლობა ბატონს ლეუანს შაჰსთამაზ (sic) და 20
წარავლინა ბატონი ლეუან თჳსსა ალაგსა
და თჳთ წარვიდა ყარაბაღს.

155. და რაჟამს მივიდა ყარაბაღად, არა
დაცხრა მტერობად მეფისა ლუარსაბისა და მოიქ-
ცა კ~ დ ტფილისად და ააოჯრა ტფილისი და 25
გარემონი ტფილისისანი და აღიღო ციხე ტფი-
ლისისა და შეაყენა მცველნი თჳსნი. ხ~ ლუარ-
საბ[ს] ვერარა უყო და ენება მტერობა ქართ-
ლისა ამისთჳს, რ~ მეფემან ლუარსაბ ჟამსა

თვსსა არცა მონა (sic) ყეენსა და არცა ხონ- 30
თქარსა ამისთვის, რომე, თუცა დამორჩილებო-

75

A კ~ი 10 და, სხვანი ყოველნი მონებდენ და, თუმცა ესეცა
5 დამორჩილებოდა, ქუეყანა გათათრდებოდა
და სახარკოდ შეიქნებოდა. ამისთვის მრავალ-
ჯერ ამოსწყვიტა ხვანთქრისა და ყეენის || ჯარი
მეფემ ლუარსაბ.

156. ხ~ ამას ჟამსა შინა მოიპოვა ღონე ესე
შაჰსთამაზ: ეზრახა ათაბაგს ქაიხოსროს და
სთხოვა ცოლად ტომისაგან თვისისა. ხ~ ათა-
ბაგს თვისი არა ჰყუნდა რა, და ენათესავე-
10 ბოდა ოთარი შალიკაშვილი ათაბაგსა. ამის-
თვის ნებაყოფლობით გამოართვა ქალი და
ნათესავად თვსად გაუგზავნა ყეენსა და
ყეენმა შეირთო ცოლად.

15 და, რაჟამს შეირთო, ესე იყო საყუარელ
ყეენისა. შეიქნა წყობა შაჰსთამაზსა და ათა-
ბაგს შუა. რა სცნა ლუარსაბ მეფემ ათაბაგის
შაჰსთამაზის (sic) დამორჩილება, ეზრახა ლუ-
არსაბ იჯუსა და შერმაზანს, შეიყარა ესენი და
მიუტდა ათაბაგს ქაიხოსროს და წაუღო თემი
20 მრავალი და აუოჯრა. ხ~ ქაიხოსრომ მიუწერა
შასთამაზს (sic), ვითა „მოვიდა მეფე ლუარსაბ
და ააოჯრა ქუეყანა ჩემი და ისკანდარ ფაშა
აზრუმისაც მომავალი არის“.

A კ~ი 11 157. რა სცნა ესე შასთა||მაზ (sic), შაქისი
25 რომ დაიპყრა, ჯარი ისეუ (sic) ჰყუნდა მოუ-
შლელად, წარმოემართა. და მოეგება ათაბაგი
ქაიხოსრო წინა, წარუძღვა და მიიყუნა სამ-
ცხელ. ხ~ შასთამაზ (sic) ძე მისი მირზა-ისმაილ
გაგზავნა კარსა. და მივიდა ისმაილ მირზა და
30 დაიპყრნა სიმაგრენი და ამოს[წყ]ვიტა კარი
და, რაოდენნი სპანი ოსმალნი იყუნენ, განსდევ-

76

ნა. და შეუიდა სამცხეს შასთამაზ და დაიპ-
ყრა ციხენი და განასხნა ოსმალნი. და რომე-
ლიმე განდგომილნი ათაბაგისნი ციხესა შინა
იყუნენ, აღილო ციხე და ტყუე ყუნა და ეკ-
ლესია, რომელი იყო მას შინა, ააოჯრა, ხატნი

5

	და ჯვარნი დაამტვრივნა (sic)ი და რაჟამს სცნეს ომან და შერმაზან, შეშინდენ და მივიდნენ შასთამაზისა თანა ივჯუზაგა (sic) მივიდა. და შეაბეზლეს ივჯუმ (sic) და შერ- მაზან შასთამაზს, ვ~დ ესენი არიან უარისმყო- 10 ფელნი თქუენნი. მოაკულეუინა შასთამაზ ივჯუზ (sic) და შერმაზან და მამული მათი მისცა ათაბაგს ქაიხოსროს.
A კ~ი 12	158. და რაჟამს განაგო ყოველი საქმე ზემო ქართლისა, წარმოემართა მეფესა ლუარ- 15 საბზედა, ჩამოვლო თრიალეთი და მოაოკრა. და წარმოვიდა საბარათაშვილოზედა და იგიცა ააოკრა. მოვიდა და მოადგა ციხესა ბირთვს[ის]ა- სა. და ადგა ხანსა მცირესა და, რა სცნა სიმაგ- რე ციხისა, ეზრახა ციხეს მყოფთა ბარათიან- 20 თა და აღუთქუა ნიჭი და გამოინდო იგინი. ხ~ არღარა დაინდო: რომელიმე ტყუე-ყო და, რომელნიმე დაადგინნა თვსსა მამულსა ზედა.
	159. ხოლო მეფისა ლუარსაბისა ჩვეულება ეს- 25 რეთ იყუის: უკეთუ ჰყუანდის ჯარი, პირდაპირ არ დარიდის, რაგინდ რომ დიდი ჯარი იყუის, და, უკეთუ ჯარი არა ჰყუანდის, დააცალის და უყურებდის და, სადაც რომ დააჯელის თარეში, ანუ მცირე რამე ჯარი, შემართის 30 და ეწყუის და ბრძოდა ძლიერად და ამოს-
	77
	წყუეტდა მცირითა კაცითა ფრიადსა ჯარსა თათართასა.
A კ~ი 13	160. მაშინ გარდავიდა შასთამაზ და ჩავიდა გორსა და აღილო ციხე გორისა და ციხე ვერი- სა და გარემონი ციხენი ყოველივე და მოადგა 5 ციხესა ატენისასა, რომელ არს თავსა საცივისა- სა, რ~ მას შინა დედა ლუარსაბისა და მრავალნი თავადთა ჯალაზნი და თავადნი იყუნენ, და ამის- თვს უწყო ბრძოლა ძლიერად. და ხანსა რაოდენ- 10 სამე შინა აღილო და ტყუე-ყო დედა ლუარ- საბისა ქრისტეს აქათ:, ჩგ~ნვ:, და მრავალნი თავადთა ჯალაზნი და მრავალნი სხვა ტყუე- ნი ყოველნივე ტყუე-ყუვნა და წარვიდა. ხ~, რა სცნა მეფემან ლუარსაბ ტყუეობა დედისა 15 მისისა და თავადთა მისთა, განუდგა კუალსა

მისსა, დაეწია უკანა ჯარსა და მოსრნა მრავალნი ყიზილბაშნი და წაუღო მრავალი ბარგნი, ხ~ დედა თვისი ვერღარა იკვლთა.

20
A კ~ი 14
161. და რა მივიდა ერეუანს შასთამაზ, მაშინ სცნა დედამან ლუარსაბისამან გაუპატივება თავისა თვისისა და შესვა წამალი სასიკუდინე და მოიკლა თავი თვისი და || არა შეიმთხვია უპატიობა თავსა თვისსა.

25
162. მაშინ მოიქცა მეფე ლუარსაბ მწუხარედ დატყუებებისა დედისა თვისისათვის და ქუეყნის აოხრებისათვის.

30
163. ხ~ შასთამაზცა წარვიდა ადგილსა თვისსა და ციხე ტფილისისა ეპყრა შასთამაზს და მაშინ დასვა ყაზახის ადგილსა და შამშადილუსა ხანი თვისი, ხ~ პირველად ეწოდა რანი ქუეყანასა ამას. და დასვა სულთანნი განძას

78

ბარგუშათს და შაქის[ს] და უთავა სულთანი განძისა და ამცნო მათ: „უკეთუ ემტეროს ლუარსაბ ციხესა ტფილისისასა, რათა ესენი მწე ექმნებოდეს ტფილისის ციხესა შინა მყოფთა თათართა“.

5

164. და შემდგომად ამის ეძვინებოდა ლუარსაბს პყრობა ციხისა თათართა მიერ და გარემოს ქუეყნებისა, შეიყარა სპა და წარმოემართა მასზედა, რაოდენიცა ეპყრათ თათართა კერძონი საბარათაშვილოსანი, ქუეყნა და ციხე, ყოველივე წაართვა და თვთ დაიპყრა თვნიერ ტფილისის ციხისა.

10

A კ~ი 15
და რა ესმა ესე სულთანს შავერდის || განძისასა, შეიყარა სპა ყარაბაღისა და, რომელიცა ჩინებულ იყო, შასთამაზისა მიერ, ყოველივე შემოიყარა და წარმოემართა მეფესა ლუარსაბსა ზედა. და, რა დაახლოვდენ პირისპირ, მეფემან ლუარსაბ პირისპირ მინდვრად ომი არა ინება და მივიდა გარის.

15

165. ხ~ ესხნეს მეფეს ლუარსაბს სამ ძე: სვიმონ, დავით და ვახტანგ.

20

გაუდგნენ ყიზილბაშნი კუალსა მისსა. მაშინ ლუარსაბ მოუძღურებულ იყო დღითა და ძე თვისი სვიმონ თან მოიყენა. მაშინ აახლნა სპანი თვისნი სვიმონს და თვთ უკანა

25

დადგა. და იახლნენ თან ეფისკოპოზნი და მოხუცებულნი ერისგანნი. მოვიდნენ ყიზილბაშნი და, რა იხილა ბატონიშვილმა სვიმონ და ქართველთა, შემოუტივა, ვა ლომმა ჯოგთა კანჯრისათა. მიეტეუნენ და ბრძოდენ ფიცხლად ქართველნი და მოსრეს ყიზილ-

30

79

A კვი 16
5 ბაში ურიცხვი და იოტეს ბანაკი მათი. და ივლტოდა სულთანნი შავერდი და სხვანი სპანი ყიზილბაშისანი და დაიფანტნენ ტყეთა შინა. ხმამად (sic) სულთან || დაიარებოდა შემინებული ტყეთა შინა. მაშინ იხილა მეფე ლუარსაბ მცირედითა კაცითა მდგომარე. და უღონო იქმნა სულთან მამად, ხ არღარა ჰქონდა გზაა (sic) წარსვლისა, შემოუტივა მეფესა ლუარსაბს. მაშინ განმცდენ ეფისკოპოზნი და მცხოვანნი იგი ერისკაც[ნი], რომელიცა ახლდეს მეფესა, და, ვა იქმნენ წლისა (sic) ოცდაათისა და მიეტივნენ ყიზილბაშთა და შეიქმნა ომი ძლიერი. და იოტნეს ბანაკნი მაჰმად სულთნისა და მოსრეს მრავალნი მათგანნი.

15 **166.** და იხილა მეფემან ლუარსაბ მაჰმად სულთანნი, მაშინ შუბი გატეხილი ჰქონდა მეფესა ლუარსაბს და ყოველი საბრძოლი იარაღი დაემტვრია, შეუტია ცხენითა და შეამგერა ცხენი მაჰმად სულთნისა ცხენსა და ქუე დაახეთქა ცხენ-კაცითურთ. შემდგომად ამისა სხვასა A კვი 1 || შეუტივა და გზასა ზედა შეხუდა თხრილი რამე და ჩაუარდა ცხენის ფეჯი დანახეთქსა (sic) მიწისასა და წაექცა ცხენი მეფესა ლუარსაბს. მოუჭდა ყიზილბაში ერთი, რომელსა ერქუა ზაქირ და სცა მახვილი და 25 სწყლა სასიკუდიოდ მეფე ლუარსაბ და შეჯდა თვთ მეფის ლუარსაბის ცხენსა და ივლტოდა. მაშინ დეუნა დაუწყეს ქართველთა და მიეწივნენ და მოკლეს იგიცა და სულთან 30 მაჰმადცა და რაოდენიცა იხილეს ყიზილბაშნი მოსრნეს პირითა მახვილისათა.

80

167. მაშინ ბატონიშვილი სვიმონ სდეუდა

	ყოზილბაშთა და სვრიდა (sic) და მიაართვეს ანზავი (sic) და მოვიდა მამისა თვსისა თანა, ხ~ ყიზილ-ბაშნი წარვიდნენ განძას.	
	168. ხ~ ლუარსაბ იცოცხლა დღენი რაოდენი- მე და მიიცვალა მეფე ლუარსაბ მოწამე, მსგავსი ვახტანგ გურგასალისა. უკეთუმცა მეფესა ლუ- არსაბს ესეოდენი ზრძოლა არა ექმნა, ახლა- მცა საქართველო ქმნილიყო სრულ სარკინოზ და, რაოდენიცა დღეს სახელნი არიან საქარ- თველოსანი, ყოველნივე კლიმისა (sic) მისისაგან არიან: რ~ ესე ლუარსაბ იყო კაცი ზრძენი და გონიერი, მოშიში ღ~თისა და მორწმუნე სჯულიერად, ღვაწლ-მრავალი და ზრძოლასა შინა მკნე და ახოვანი და მაზრძოლი, ლომებრ ძლიერი და სარდალი კეთილი. და აღიღო პატიოსანი გვამი მისი და დაფლეს სამარხოსა მისსა მცხეთას ღვთივ-აღმართებულსა სვეტსა ცხოველსა. და იქმნა გლოვა დიდი და მწუხა- რება ქართველთა მიერ. მიიცვალა მეფე ლუა- რსაბ ქრისტეს აქათ:, ჩაგ~ოზ (sic);,	5 10 15 20
A კ~ია 2	169. და დაჯდა მეფედ მამისა მისისა წილად მეფე სვიმონ და ეკურთხა მუნვე მცხეთას. და ამას ჟამსა შინა იყო კ~ოზი ნიკოლოზ. და მოკუდა კ~ოზი ნიკოლოზ და დაჯდა დომენტი.	25
მეფე სვიმონ	და მაშინდა დაემძახლა მეფე სვიმონ კახს ბატონსა ლეუანსა: და მოსცა ბატონმა ლეუან ქა ლი თვსი, ნაშობი შამხლის ქალისაგან, და ყუეს ქორწილი სახელოვანი. და იყუნენ წელსა ხუთსა განსვენებით. და დაიპყრა საქართველო	30
A კ~ია 3	და პატრონობდა კეთილად, ამისა შემდგომად იწყო ამანცა მტერობა: შემოიყარა სპა თვსი და ჩამოვიდა ციხედიდს და მიუმცნო ცოლის ძმასა თვისსა კახის ბატონიშვილს გიორგის, ითხოვა მისგან შეწეუნა. და მოვიდა გიორგი ცოლის ძმა მისი და შემოეყარა ციხედიდს.	5
	170. მაშინ სცნეს სპარსთა და წარმოვიდეს მსწრაფლ იდუმალ, რ~ მაშინ ხუნანი და ვაშ- ლოვანი და თელეთები აოჯრებული იყო. მო- ვიდენ და დაადგენ იაღლუჯას. მუნითგან წარმოვიდენ იდუმალ, რ~ მაშინ ტფილისის	10
		81

ციხე თათართ ეპყრა და მათ არა განთქუეს და ღამე წარმოვიდენ. და ვერა აგრძნა მეფემან სვიმონ ამისთჳს, რომე ფარეშად გერმანოზის-შვილი ყარაულად იდგა მუხათგვერდს და ის ღამე აღდგომის || ღამე იყო და ასულიყო სოფელსა მუხადგვერდისასა: ამისთჳს რომ ფარეშად გერმანოზიშვილი იყო, ყარაულად რომ იდგა მუხადგვერდს აღდგომის [ს]ასწაულსა, და წირვას გარდიჳდიდა და მერმე წარმოვიდოდა და გზის მცველად დადგებოდა. ამას შიგან შეეველოთ ყიზილბაშთა და ვერა ეგრძნა ფარეშადს და დაესხნეს მეფესა სვიმონს.

25 მაშინ იქმნა ბრძოლა ძლიერი ქრისტეს აქათ:, ჩფო:, რ~ იბრძოდეს ქართველნი მჳნედ და მეფე სვიმონ. და მაშინ მოიკლა ძე ბატონის ლევანისა გიორგი და მოსწყდნა (sic) თავადნი და აზნაურნი და მრავალნი მსახურნი. და მოსწყდა (sic) ყიზილბაშნი ორი წილი, მაგრამე ბოლოს იძლივნეს ქართველნი და ივლ-

82

ტოდა მეფე სვიმონ და სპანი მისნი. ხ~ ყიზილბაშნი შეიქცენ გამარჯვებულნი და წარვიდენგ თჳსად.

A კ~ია 5 და იქმნა გლოვა დიდი ძისათჳს || ბატონის ლევანისა და წარიღეს და დამარხეს სამარხოსა თჳსსა ალავერდს. 5

171. და რა იხილა ძმამან მეფისა სვიმონისამან დავით საქმე ესე, – და ესე დავით იყო კაცი უღ~თო, მოყუარე სოფლისა, მეძავი და მემრუმე, რომლისა გულსა არარა იყო ზრუნვა სულისა და ქუეყნისა ამის, თქმულარს, ვ~დ მამის სიკვდილშიაც ერივაო (sic) მეფის ლუარსაბისაშიაო, – და ამან განსცა ძმა და ქუეყანა თჳსი და წარვიდა ყუენთან და მივიდა შაჳსთამაზთან ყაზმინს. და გაჳყუნეს რომელნიმე თავადნი, აზნაურნი და მსახურნი. გათათრდა და უწოდეს დაუთხან. მუნ დიდად ჰატივსცა შაჳსთამაზ და უწოდა ძმად თჳსად და ასწავლა სჯული მაჳმადისა და გაგზავნა ტფილისსა და რაოდენი ადგილი ეპყრა საქართველოსანი და მოუმცნო სულთანსა განძისასა 10 15 20

შემწეობა მისი. და მოვიდა დაუთხან ტფი-
ლისსა და დაიპყრა ტფილისი.

A კ~ია 6

172. ეპვინებოდა მეფესა სვიმონსა და ყოველ-
სა საქართველოსა საქმე ესე, შეიყარა ჯარი მე-
ფემან სვიმონ || და წავიდა დაუთხანზედა ქრის-
ტეს აქათ:, ჩგ~ძჰ:, და მოვიდა მეფე სვიმონ
დიღვამს. და რა სცნა დაუთხან, მოიცა ძალი
ყვენისაგან და, რაოდენი ჯარი ჰყვანდა ტფი-
ლისსა და გარეშემო საქართველოსანი, შემო-
იყარა და წარმოვიდა და მოეგება წინა მე-

25

30

83

5

ფესა სვიმონს დიღვამსი და ეწყუნენ ურთიერ-
თას და იქმნა ბრძოლა ძლიერი. და მოისრა
დაუთხანისა სპისაგან მრავალი და მისცა
ღ~თნ ძლიუა მეფესა სვიმონს. და ივლტოდა
დაუთხან და შეუიდა ციხესა თბილისისასა (sic).
და მოადგა მეფე სვიმონ გარე და დაიპყრნა
ყოველივე გარემონი და დადგა მრავალხან და
შეაწუხეს და ადგნენ ხანსა რაოდენსამე.

10

173. და რა შეწუხდა დაუთხან, გაგზავნა კაცი
სარდალს უსეინბეგთანა ყარამანლუსა და აუწ-
ყა შეწუხება თვისი და ითხოვა მისგან შეწუხა.
და რაჟამს ესმა უსეინბეგს, მსწრაფლ წარვიდა.
და ვერა სცნა მეფემან სვიმონ მოსვლა მისი და
შემოვიდა ციხესა ტფილისისასა. დაუდგა იმე-
დი დაუთხანს, განიხარა.

15

A კ~ია 7

174. და, რა სცნა სვიმონ, || უკუეცალა, ავიდა
ტაბახმელას. და, რა სცნა დაუთხან საქმე ესე,
განლადდა და განვიდა ბრძოლად. და ეწყუ-
ნენ ურთიერთას ტაბახმელას. შეიქნა ბრძოლა
ძლიერი. და გალომდა მეფე სვიმონ და ქართ-
ველნი და მოსრეს სპა დაუთხანისა ურიცხვი
და იოტეს ბანაკი მისი. და შემოადგა ციხესა
მეფე სვიმონ და შეაწუხა დაუთხან. და ეზრა-
ხა სვიმონ მეფესა რომელნი მასთანა ჰყუნეს
ქართველნი, ხ~ მათ არა ინებეს მოსულა მის-
თანა. და სცნა მეფემან სვიმონ სიმაგრე ციხი-
სა და უკუეცალა.

20

25

30

175. და მიუმცნო დაუთხან შაჰსთამაზს საქმე
ესე. მაშინ მოუწერა შაჰსთამაზ ჩერქეზს-შამ-
ხალს, სულთანსა შაქისასა, რათა წარვიდეს
ლაშქრითა შაქელითა და ყარაბაღელისათა. და

წარმოემართა შამხალ-სულთანის სპითა მრავ-
ლითა და მოვიდა ქართლად.

A კ~ია 8

176. რა სცნა სვიმონ მეფემან, შეიყარა სპა
თვსი და მოვიდა აწუფის[ს] და ისინი მოვიდეს
ფარცხის[ს]. ხ~ წარვიდა კახაბერი ყორღანაშვი- 5
ლი და მიეგება განჯას და მიერიტგან მოუძ-
ლოდა იგი || და ეტიკობდა. და ეძვინებოდა ყი-
ზილბაშთა მოსვლა ქართლად, და ამან ყორ-
ღანაშვილმა გაუადვილა და ესრეთ უთხრა:
„სისხლი თქუენი ჩემსა ქუდსაო, უკეთუ გვე- 10
ნოსთ რამეო“, და მან წარმოიყუანა.

177. და რა სცნა მეფემან სვიმონ მოსვლა მა-
თი, ფარცხის[ს] ჩავიდა და ეწყო მუნ. და იქმ-
ნა ბრძოლა ძლიერი და მოსწყდეს ორგნით- 15
ვე მრავალი. შეუტივა მეფემან სვიმონ ყიზილ-
ბაშსა ერთსა და სცა ოროლი და მოკლა იგი.
და შეუტივა სხვათა და განშორდა სპასა
თვსსა. მაშინ უთხრა კახაბერმან ყორღანა-
შვილმა ყიზილბაშთა, ვ~დ მეფე სვიმონ განშორ- 20
და სპასა თვსსა, და აცნობა. და, რა სცნეს
ყიზილბაშთა, შემოეხვივნენ მეფესა სვიმონს
და შეიპყრეს მეფე სვიმონ და ივლტოდეს
სპანი ქართველთანი.

A კ~ია 9

178. და წარიყუანეს მეფე სვიმონ შაჰსთამაზ-
თანა და, რა მივიდა, შაჰსთამაზ დიდად პატივ 25
სცა მეფესა სვიმონსა და მიანიჭა ნიჭი მრავალი
და ხანსა მრავალსა აიძულა დატეობა სჯულისა.
ხ~ მეფემან სვიმონ არა დაუტეუა სჯული
ქრისტესი და ეგო სიმტკიცესა ზედა, ამისთვის
შეიპყრა და ტყუე-ყო ციხესა ალამუთისასა. 30

179. ხ~ ჟამსა ამას შინა, მიიცვალა ბატონი

5

ლეუან, მპყრობელი კახეთისა, წელსა ქრის-
ტეს აქათ.; ჩ~ფოვ.; და დაჯდა მის წილად
კახეთს ძე მისი პირმშო ალექსანდრე. ხ~
ნაშობნი შამხლის ძალისანი, ელიმიზრონ ძე
ლევანისა და ხოსრო-მირზა, უწინ სვიმონ
მეფის მოყვრობით გათამამებულნი იყუნენ
და განძლიერებულნი არა უმდაბლეს ალექსა-

ნდრესა. და მიერთნენ რომელნიმე კახნი
და, - რ~ ჩვეულებაცა არს კახთა, - და მი-
ვიდეს თორღუას ელიმირზონ და ხოსრო-მირზა.

10

და, რა სცნა ბატონმან ალექსანდრემ, შეი-
ყარა მანცა სპა თვისი და წარვიდა მათზედა.
მივიდა და ეწყუნენ ურთიერთას. და იქნა
ბრძოლა ძლიერი და მოისრა ორგნითვე სპანი
მრავალნი და მოიკლნეს ელიმირზონ და ხოს-
რო-მირზა ორნივე ძმანი.

15

A კ~ია 10 და დაჯდა ბატონი ალექსანდრე. და ჰყუა
ნაშობი დედისა თვისისა გ || ურიელის ქალთან
ძმა ერთი და მოკუდა სენითა თვისითა იგიცა
და დარჩა ბატონი ალექსანდრე მარტოდ.

20

180. ხ~ დაიპყრა დაუთხან საბარათიანო და
დაჯდა დმანის ჳევსა ციხესა ქუეშე.

181. და ცოლი მეფისა სვიმონისა დედოფალი
ნესტანდარეჯან, ასული კახის ბატონისა, იყო
კავთის-ჳეუს და ჰყუა ძე მისი მცირე გიორ-
გი. და რა ნახეს ქსნის ერისთავმა და ამილა-
ხორმან, ნესტანდარეჯან დედოფლის ქმარი
ალამუტის ციხეში დაატყუევეს და ძმანი მის-
ნი მოსრნა ალექსანდრემ და ალექსანდრეც
არ იყო კარგი იმისთვის, ამისთვის რომე არ
იყო ნაშობი დედისა თვისისა, ამაზედ დრო

30

86

იცეს ამილახორმა და ქსნის ერისთავმან და
შეესივნეს დედოფალს ნესტანდარეჯანს და
აიფორაქეს და წარიღეს საქონელი ყოველივე,
რაცა ჰქონდა, რ~ დაუთხანსაც არ ენაღვლე-
ბოდა. და მიერთგან ითქუა, „ვაი ბატონის
სვიმონის საქონელიო" (sic), რომელსა აწცა
იტყვიან ქართველნი.

5

A კ~ია 11 **182.** ხ~ საჩინო ბარათაშვილი იყო სპასპეტი,
|| კაცი ყოვლის კეთილით შემკული და არა-
მორჩილ დაუთხანისა და არცა ყიზილბაშთა,
სიყუარულისათვის სვიმონისა. ხ~ დღესა ერთსა
მოვიდოდა კოჟრისაკენ და, რა მოვიდა ჳევის
თავსა გელიყარისასა, მუნ კახაბერი ყორღანა-
შვილი შემოეყარა წინა, რომელმან უწინამძ-
ღვრა ყიზილბაშთა და და[ა]ჳერინა მეფე სვი-
მონი და რა იცნა საჩინომ კახაბერი ყორღა-
ნაშვილი, შეიპყრა და გარდაადღო კლდესა

10

15

მას გელიყარისასა. და რა მიგორეუდა (sic) ჩაღმა, იტყოდა თვთვე ლექსსა ამას „ყორ-
ღან-ოღლი ქარაფინდა, ჳელი ჳკრეს და გარ-
დაფრინდა". 20

183. ხ~ კახსა ბატონსა ალექსანდრეს ესვა ცოლად ასული ამილახორისა და ესხნეს ხუთ ძე: დავით, ერეკლე, გიორგი, კოსტანტილე (sic), როსტომ, ასული ერთი ნესტანდარეჯან. ხ~ ესე 25
ნესტანდარეჯან მიათხოვა დადიანს მანუქარს, ძესა მამიასასა ზითვთა დიდითა. ხ~ ძე მისი ერეკლე გაუ[ა]რშივდა ალექსანდრეს და წარ-
ვიდა სტამბოლს.

A კ~ია 12 **184.** და, რა ესმა შასთამაზს წარსვლა მისი 30
სტქანბოლს, განრისხდა შაჳსთამაზ და ჳგონებდა

87

ბატონის ალექსანდრესაგან საქმესა ამას. და წა-
რემართა შასთამაზ სპითა ურიცხვითა ალექსა-
ნდრესა ზედა და მოვიდა შასთამაზ ყარაბაღს.

5 **185.** შეწუხდა ბატონი ალექსანდრე. ხ~ იყო სახლთუხუცესი ჩოლაცაშვილი და მან უთხრა კახთა და ბატონს ალექსანდრეს, რომე, „რაც ამა-
ზედ ცოდვა იქნას, ყუელასი იყოსო და მე მოვარ-
ჩენ კახეთსაო ამოწყუეტისაგანაო. და მაშინ
10 მისცეს ჳელით-წერილი ყოველთავე მკვიდრ-
თა კახეთისათა, რაც მაშიგ (sic) ცოდვა იქ-
მნას, ჩვენ[ი] იყოსო. მაშინ განიზრახა ესრეთ:
ქაიხოსრო ათაბაგი მომკუდარიყო და ძე მისი
მანუქარ მცირე დარჩომილიყო. არა ეძლო
15 ჳყრობა ზემოქართლისა მანუქარს და დედის-
იმედი ჳატრონობდა. ესე არჩია კახმა ბატო-
ნის სახლთუხუცესმა ჩოლაცაშვილმა, რომ დე-
დისიმედი უღ~თო ქალი არისო და გლისპიო
და მიუმცნოთ ესრეთ: „ვარაზას შასთამაზ ყეენი
A კ~ია 13 მანდ მოჳყავსო, ნებავს ამოწყუეტა სამცხისაო
20 და ძისა შენისაო მანუქარის სიკუდილით, და
მრავალგზის მოგაყივნა ქუეყანასა ზედაო და
თვთონ უნდა ეგ ქუეყანა დაიჭიროსო და მანდ
გაბატონდესო. და დაიჭირე ვარაზა, მოჳკალ
და მერმე შაჳსთამაზ ყეენი ვეღარ მოვა და
25 გაბრუნდება და წავა და მორჩება ქუეყანაო".

და რა ესმა დედისიმედსა, დაიჯერა ამის-
თჳს, რომ იყო უჳკო და უმეცარი, გლისპი

და ლ~თის უშიშარი ქალი იყო. და შეიპყრა
ვარაზა შალიკაშვილი ღალატითა და მოკლა.
30 ესე ვარაზა იყო შვილი ოთარი შალიკაშვილი-
სა და ცოლის ძმა შასთამაზ ყეენისა.

88

და, რა ესმა შასთამაზს სიკუდილი მისი, გან-
წყრა შასთამაზ და წარვიდა სამცხეს და დაუ-
ტეუა კახეთი. და შეუიდა სამცხეს, მოაოჯრა
და ამოსწყუიტა სამცხე და მრავალი ბორო-
ტი შეამთხვია სამცხესა და შემდგომად ამისსა 5
შემოიქცა და წარმოვიდა.

A კ~ია 14 186. მაშინ გაუგზავნა კაცი სულტანს ოსმა-
ლისასა (sic) და მიუწერა ესრეთ: „ვცოთ მშვი-
დობა ურთიერთას რ~ || სჯულითა ვართ მოსაგნი
მაჰმადისანი“, რ~ მაშინ ბრძოლა იყო მათ 10
შორის. უსმინა სულტანმა და შერიგდენ. მა-
შინ განყუეს ქუეყანანი და დარჩა სულტანს
იმერეთი. ოდიში, გურია ზემო ქართლის სამ-
ძღვრამდი, ქართლისა და კარის სამძღვრამდე,
აბოცისა და ერევნისა სომხითი, რომელი (sic) 15
აწ თურქისტანად (sic) სახელსდებენ, ვიდრე
ბაღდადამდე. ხ~ შაჰსთამაზს დაუგდო ქართლი,
კახეთი, ერეუანი და ქურთისტანს აქათი. და
მშვიდობა ჰყუეს ურთიერთას და მიერიტგან იყო
შასთამაზ მოსვენებით, აღარავინ უძლო მტერო- 20
ბად მისად და იყო ხანსა რაოდენსამე გან-
სვენებით.

187. ხ~ ბატონმა ალექსანდრემ გაუგზავნა ძე
მისი კოსტანტინე (sic) და მრავალი ძღვენი 25
და თავის-მართლება შეუთვალა, რომე ძე
ჩემი ერეკლე ჩემად უნებურად წავიდა სტან-
ბოლოსო (sic) და შეეხვეწა და წავიდა. ისმინა
ვედრება ბატონის ალექსანდრესი, შესჯერდა
და წარვიდა ადგილსა თჳსსა.

A კ~ია 15 188. და ხანსა რაოდენსამე||შინა მოკუდა შას- 30
თამაზ და დაჯდა მის წილ ძე მისი ისმაილ-მირზა.

89

ამან გამოიყუნა მეფე სვიმონ ალამუტის ცი-
ხიდამე და მოიყუნა მისთანა. და ესე ის-
მაილ-მირზა იყო კაცი მესისხლე და მრავალ-

5 ნი კაცნი დაჯოცნა. და შეიძულეს ყიზილბაშ-
თა და რჯულით სუნობასაც ეწამებოდენ და
ექუს თვეს იბატონეს და მოკლეს და დასვეს
მის წილად ძმა მისი შახუდაბანდა. და ესე
იყო შახუდანბანდა კაცი უღონო და თვალი-
10 თა ბრმა და ვერა იპყრა მეფობა ყიზილბაშ-
თა და (sic) წესისაებრ.

189. ამას ჟამსა შინა გამოვიდა ხონთქრის
ჯარი და თავრეზი, ერეუანი, განჯა და ყარაბა-
ლი და ვიდრე სულთანამდე დაიპყრეს ყოვე-
ლივე ადგილი ადრაბაგანისა. და ხანსა რაოდენ-
15 სამე უკანა გამოვიდა ლალა ფაშა, რომელი
იყო გამსდელი (sic) ხონთქრისა ქრისტეს
აქათ:, ჩ~ფოთ:,

მაშინ დახუდა მანუჩარ ათაბაგი, ძე ქაიხოს-
როსი და დედისიმედისა, – და ამას ესვა ცო-
20 ლად დაჰ სვიმონ მეფისა, – და დახუდა ესე
მანუჩარ ათაბაგი და დაესხა რომელსამე თა-
რეშა და ნაწყუედსა || ჯარისასა და მოსრა
რაოდენიმე, და მერმე ველარა დაუდგა და
გარდმოვარდა ქართლს თავის სიდედრთანა.

A კ~ია 16
25 ხ~ ლალა ფაშამ ამოსწყუიტა ყოველი სამ-
ცხე და დაიპყრა ციხე და სიმაგრენი.

190. ხ~ მიესმა შახუდაბანდას საქმე ესე და
შახუდაბანდის დედამ მოიყუნა, ოთარ შალი-
კაშვილის ქალმან, მეფე სვიმონ, ვ~ა წესი არის
30 ქართველთა დედანი ლეჩაქს მოახვევენ, - და

90

იგიცა ქართველი იყო, - მანცა ეგრეთვე ყო და
წარმოუგზავნა ლეჩაქი თვისი და მოუმცნო: „მე-
ფე სვიმონ, გწადდეს ლეჩაქი ესე აიღეო და
გწადდეს ჳმალი, ჩვენც მოგვეჳმარე და შენს
საბატონოსაცა“. და მისცა ნიჭი მრავალი და
სამოსელი სამეფო და წარმოგზავნა თვისსა ქართ-
5 ლად და წარმოვიდა.

191. რა სცნა დავით, უღონო იქნა, რ~ ყიზილ-
ბაშთ იგი გაუშვეს და მეფეს სვიმონს მოე-
კიდნენ, და ქართველნიც არა ჰყუარობდენ
და თვთ მეფესი (sic) სვიმონისა ერჩივნათ.
და ველარც დადგებოდა ქართლსა და ვე-
10 ლარც ენდობოდა ყი || ზი[ლ]ბაშთა. და მიეგზავ-
ნა კაცი ლალა ფაშას და მისცა რაოდენი ცი-

A კ~იბ 1

5

10

ხენი იყუნენ ქართლსა შინა და შეაყენნა მცველ- 15
ნი მათნი და თვთ წარვიდა სტამბოლს ხონ-
თქართანა.

192. ხ~ სვიმონ მოვიდა ქართლსა ქრისტეს 20
აქათ:, ჩგ~ოთ:, და აილო ციხე გორისა და დაი-
ჭირა ქართლი და სომხითი, საბარათაშვილო
და ლორე და ყოველნი სამაგრენი, თვნიერ ცი-
ხეს გარდა.

193. და შეუშინდა ქსნის ერისთავი და ამი- 25
ლახორი დედოფლის ურიგოს კადრებისათვს. ხ~
დაუწყუეს ხვეწნა და ქსნის ერისთავმა მიაართ-
ვა საუპატოოდ მეჯუდის ჳევი და ახალგორი
და ამილახორს გამოართვეს კარბი და კასპი.
ხ~ ყორღანაშვილის კახაბერის ცოლი და შვი- 30
ლი და სახლეულნი დაიპყრნეს და გარდაყა-
რეს კლდესა გელიყარისასა და იტყოდენ პირ-

91

ველსავე მას ლექსსა. ხ~ სხვანი ნათესავნი მის-
ნი ივლტოდნენ და წარვიდეს რომელნიმე ყი-
ზილბაშად და რომელიმე ჳემოქართლად.

ხ~ დარჩა დაუთხანს მეუღლესა მისა თანა
ძე ერთი სახელით ბაგრატ.

5
A კ~იბ 2

194. შემდ || გომად ამისა ჳქონდა შური კახს
ბატონს ალექსანდრეს, ცოლის ძმები რომ დაუ-
ჯოცა სვიმონ მეფესა, - და ალექსანდრე დავი-
თის ცოლის ნათესავიც იყო, - ამ ორის საქ-
10 მისათვს ემტერებოდა მეფეს სვიმონს. და რა-
ჟამს იდგა მეფე სვიმონ დიდვამს დედოფლი-
თა სუბათა, მოუჯდა კახი ბატონი ალექსანდ-
რე, დაესხა თავსა და თვთ მეფე სვიმონ თავ-
15 კაცად ძლივ გარდაესწრა, საქონელი და, თუ
რამე ჳქონდა, ყოველივე აუფორაქა. და სა-
ფარველი ცოლისა, რომელ არს სამოსელი
წვივისა, შუბის წვერზედ მოახვია და ესრეთ
წარილო. და მეფე სვიმონ წარვიდა ლტოლ-
ვილი და შემოიყარა სპა ქართლისა. და ალექ-
20 სანდრეს დაებანაკებინა მარტყოფს ჳეით, ად-
გილსა ჳოტორსა. და რაჟამს შეყრილი წარ-
მოვიდა მეფე სვიმონ, მიუგზავნა ალექსანდრეს
მოციქული და ესრეთ შეუთვალა: „შენ რომ
შეუტყობრად, ქურდულად მოხველ და თავს
25 დამესხი, მე ხომ მაგას არა ვიქ და, თუ კაცი

A კ~ობ 3

ხარ, დამხვდი, ამა-და-ამ დღეს მოვალო.

30 195. და მივიდა იმავე თქმულსა სიტყუასა ზედა მეფე სვიმონ ქრისტეს აქათ:, ჩგ~პბ:, შეიბნეს და იქმნა ბრძოლა ძლიერი. და გაემარჯვა მეფესა სვიმონს. და ივლტოდა ალექსანდრე და კახნი თავადნი სულ ერთპირად კვლად

92

დარჩა მეფესა სვიმონსა და წარმოვიდა გამარჯვებული მეფე სვიმონ და მოვიდა მცხეთას და მუნ დააფიცნა კახნი დარბაისელნი ესრეთ, ვ~დ „ღ~თნ კახს კაცს მი[ს]დღეში ქართველს (sic) კაცზედ ნუ გაუმარჯოსო. და მისცა ხალათები და გაისტუმრა.

5

196. შემდგომად ამისა გამოვიდა სარდალი ხვანთქრისა მაჰმად ფაშა და ჩამოვლო ზემო ქართლი და აიღო გორის ციხე და შეაყენნა მცველნი შინა, თვთ წარმოვიდა და მოვიდა მუხრანს. დახუდა მუნ მეფე სვიმონ შეყრილი სპითა თვსითა. ეწყუნენ ურთიერთას და იქმნა ბრძოლა ძლიერი და ღ~თით გაემარჯვა მეფესა სვიმონს, და ფაშა ლტოლვილი წარვიდა და შეეხვეწა ქალაქს ციხეში ქრისტეს აქათ:, ჩგ~პბ:.

10

15

A კ~ობ 4

|| ჩამოვიდა მეფე სვიმონ დიღვამს და დადგა მუნ, შეჰყარნა თავადნი თვსნი ჯალაბორივ და წარვიდა თვთ დედოფალით და დარბაისელნი და დარბაისლის ცოლნიც თან წარიყუანნა. წარვიდა, დადგა ტბასა ლილოსასა, თავსა რომელი არს გორა მაღალი, და თან ახლდა ჯარი და სპა თვსი. და რაჟამს გამოვიდნენ ქალაქის ციხიდანე მროწეული ურუმთა, გაუსია მეფემა სვიმონ მცირე ჯარი და დაატაცებინა მროწეულნი. და რა იხილნეს მემროწლეთა, ივლტოდენ და ამცნეს ციხესა მყოფთა ურუმთა და გამოვიდა სიმრავლე ჯარი ურუმთა. და რა იხილა ესე მეფემან სვიმონ. თვთცა შემოუტივა სპითა თვსითა და ეწყუნენ ურთიერთას. და მაშინ უყურებდენ

20

25

30

93

დედოფალი და დარბაისლის ცოლები და ამო-

სწყვიტა მეფემან სვიმონ ურუმნი და დახოც-
ნეს მრავალნი და ციხის კარამდი მიჰკოც-
დენ, ამოსწყუიტეს, და ციხე ვერა აიღეს.

5
A კ~იბ 5
10
15
197. მაშინ გამობრუნდა მეფე სვიმონ გამარ-
ჯვებული და განისვენა და იხარებდა მცირე-
თა ჟამთა. და მაშინ ¹ კ~დ შეჰყარა სპა თვისი
და წარემართა ლორესა ზედა. რა მივიდა,
გამოვიდა ფაშა მუნებური და ეწყუნენ ურთი-
ერთას და იქმნა ბრძოლა ძლიერი და ღ~თით
გაემარჯვა მეფესა სვიმონ[ს]. და მოსწყდა
ურუმი მრავალი, კაცი ოთხას სამეოცდაცამე-
ტი, ქრისტეს აქათ:, ჩგ~პვ:., და აღიღო ქუაბე-
ბი ლორისა, დაიპყრა ლორე, და ციხე მათვე
ურუმთ ეჭირა.

და გამოვიდა ხანი, მცირედთა ჟამთა შე-
ისვენა და კ~დ შეიყარა და წარმოვიდა და
მოადგა ციხესა ლორისასა, დაუწყო ბრძოლა
და აღიღო ციხე ლორისა აპრილსა ერთსა.
20 და დაიპყრა ლორე და გამობრუნდა მუნით-
გან, დადგა სახლად თვისსა.

25
A კ~იბ 6
198. და ხანსა რაოდენსამე უკანა გამოვიდა
და დადგა ტაბახმელასა. და, რა სცნა ასან ფა-
შამა, რომელი იყო ქალაქის ციხე შიგან, შეი-
ყარა და გამოვიდა, სწადდა თავს-დასხმა
მეფისა სვიმონისა. შეიბნენ და იქმნა ბრძო-
ლა || ძლიერი და ღვთ~ით გაემარჯვა მე-
ფესა სვიმონს. და შეუტივა ერთს კაცსა მე-
ფემან სვიმონ და გაიქცა კაცი იგი ძლიერად,

¹ A: მაშინ და.

გამოუდგა მეფე სვიმონ და ის გაქცეული კაცი
გარდავარდა ჰევსა მას ტაბახმელისასა. და
ეგრეთ თქმულარს, ვ~დ არა მოკუდა კაცი იგი
ცხენ-კაციანად გარდავარდნილი. და მოისრა
მუნ ურუმნი ვითარ ხუთასნი.

5

199. მაშინ წარმოვიდა მეფე სვიმონ და
მოადგა ციხესა ტფილისისასა და აღიღო ციხე
ტფილისისა და ქალაქი დაიპყრა თვთან და
მოსრა ყოველივე, რაოდენიცა იყუნეს ციხესა
ტფილისისასა ურუმნი.

10

200. და რა ესმა ესე ხონთქარსა, წარმო-

	გზავნა ლაშქარი და სარდალი ერთი. წარმო- ემართა და მოვიდა ლორეს და აღიღო ციხე ლორისა და დაიპყრა. მოვიდა და დადგა ხატი-სოფელეს ბოლოს.	15
A კ~იბ 7	201. რა სცნა ესე მეფემან სვიმონ, შეიყარა სპა თვისი, მოვიდა და დადგა ხრამის გამოღმა. მა- შინ მოიქელოვნა და მოირთო ელჩად მეფე სვიმონ და მივიდა. ფაშასთანა. სვიმონ მეფის მაგიერად წარმოუთხრა სიტყუანი ესრეთ, ვ~დ „სვიმონ მეფემ მოგახსენათ, მეყოფა ამდენის ჯლმის ქნეუა და ომი ყეენის გულისათვისო, თუ გინდათ, თქუენ იყავით ჩემი ბატონი, თუ უნდა ისი. აწ თქუენთვსაც სჯობს და ჩვენ- თვსაც, შეურვიდეთ და მოვისვენოთ ამდონის ლაშქრობისაგან“.	20
	მაშინ, რა ესმა ფაშას სიტყუანი ესე, განიხა- რა და შემოუთვალა ესრეთ, რომე „კარგად შე- მოგითვლია და სჯობს, რომ შეურვიდეთო. და წარმოგზავნა მეფე სვიმონ და მოვიდა თვსსა ჯარში. მაშინ მეფე სვიმონ გასჩხრიკა ყოვე-	25
		30
		95
5	ლივე ძალი, დგომა და საქმე მათი და მოუ- არა ხატის-სოფლის გორებიდამე ღამე და დაესხა თავსა ურუმთა, ამოუსწყუიტა. და გა- ემარჯვა მეფესა სვიმონს და რომელიმე და- ჯოცეს, რომელიმე შეიპყრეს და რომელიმე ლტოლვილი წარვიდეს.	
A კ~იბ 8	202. მოვიდა მეფე სვიმონ გამარჯვებული ტფილის[ს], და შეიყარას პა თვისი და მიადგა დმანისს ¹ , რ~ მაშინ დმანისი ეპყრათ ურუმთა, და მოსრნა ყოველნივე დმანისს მყოფნი ურუმნი და დაიპყრა ყოველნივე გარემონი. და განასხნა ყოველნივე ურუმნი საქართველოსაგან და თვთ დაიპყრა, თვნიერ ერთი გორისა და ლორის მეტე.	10
15	203. და წარვიდა მანუჩარ ათაბაგიცა თვსსა ადგილსა და დაიჭირა ზემო ქართლი და საა- თაბაგო და ველარ შესძინეს ურუმთა მოსულად.	
20	204. რ~ მას ჟამსა ყიზილბაშთ შახუდაბან- და ყეენი გარდეგდოთ თავის ჳელმწიფობიდამე თავის ყმათა და მის წილად ² დაესვათ ძე მისი შაბაზ (sic). და ამან შაბაზ დაიპყრა თავრიზი და,	

რაოდენი ადრაზაგნი იყო, ყოველივე დაიპყრა, თვნიერ ერეუნისა და ბაღდადისა.

25 **205.** და ჟამსა ამას შინა გადიდდა მეფე სვიმონ და მოირჳმო ძლიერად: ყენი აძლეუდა მრავალსა და სხვაცა მრავალი ეშოვნა ომითა და თავისის ქუეყნებიდამ შესდიოდა მრავალი და [მტერი] არღარა სადა ჰყუნდა, რ~ კახ-

¹ A: დმანის.

² A: მისწილად.

96

A კ~იზ 9

ბატონს || მოესწრა ძე თვისი და ამასაც მოე-
სწრა შვილები. ამისი შვილები და კახის ბა-
ტონის შვილი თვთ ეყოდენ ერთმანერთს და
ნათესავნი იყუნენ ერთმანერთისა და, რად-
გან ორისავე ძენი ერთმანერთს არას ეცილე-
ბოდენ და იყუნენ სიყუარულითა, მამებმაც
მშვიდობა ყუეს და იყუნეს მოსვენებით და
თავის მამულის მჭირველნი მშვიდობით.

5

206. და ჟამსა ამას შინა მტერი აღარავინ
ჰყუნდა მეფესა სვიმონს, განძლიერდა და იწადა
დაპყრობა იმერეთისა, შეიყარა სპა და გაემარ-
თა იმერეთსა ზედა.

10

207. ამას ჟამსა მომკუდარიყო პატრონი
იმერეთისა გიორგი და ძე მისი კოსტანტინე
გაბატონებულყო, იგიცა მომკუდარიყო და ძმა
მისი ლეონ გაბატონებულყო. დადიანს მანუ-
ჩარსა და იმას შუა მტერობა იყო. და ამა მა-
ნუჩარს ჰყვანდა კახი-ბატონის ალექსანდრეს
ქალი ნესტანდარეჯან, რომელი მიათხოვა დი-
დის მზითვთა და დიდებითა ჰყუნდა მასთან
ძე ერთი, რომელსა სახელად ეწოდა ლეონ შე-
|| მდგომად შობისა ყრმისა ამის მომკუდარიყო
ქალი იგი და შეერთო ათაბაგის ქალი ქური-
ვი, ცოლ-ყოფილი ვახტანგ გურიელისა, დედა
ქაიხოსროსი, რომელი შემდგომად გურიელ
იქმნა, და ოდიშს იგი ბატონობდა. და გურიას
გიორგი გურიელი მომკუდარიყო და ვახტანგ
ძე მისი დამჯდარიყო გურიელად.

15

20

25

A კ~იზ 10

208. ხ~ არცა ერთი ემწენ მეფესა სვიმონზედა
იმერეთის ბატონსა ლეუანს. შეჰყარა, რაოდე-

30

5 ნნი ჰყუნდა, და დადგა გოფანთოს. და მეფე სვიმონც წარვიდა მისზედა, შემოიყარა ზემო-ური იმერლები და მივიდა გოფანთოს. შეიბ-ნენ მუნ გოფანთოსა და იქმნა ბრძოლა ძლიე-რი. გაემარჯვა მეფესა სვიმონს ქრისტეს აქათ:, ჩფჳბ:, და გაიქცა ლეუან, მპყრობელი იმერეთი-სა, და ივლტოდა. ხ~ სვიმონ მეფემ დაიპყრა იმე-რ[ე]თი: რომელთამე მძეული გამოართვა, რომელიმე ვერა ჩაიგდო ჳელში. და ქართლისაც ფიქრი ჰქონდა, გორის ციხეში რომ ურუმნი იდგნენ მისგან, || და წარმოვიდა მეფე სვიმონ ქართლსავე. გარდმოვლო მთა ლიხისა და ჯა-რიც შემოეცალა, დასტური მისცა.

10 A კ~ იბ 11

20 **209.** და რა გარდმოვიდა მეფე სვიმონ ქარ-თლად, კ~ დ ჩამოვიდა პატრონი იმერეთისა ლე-უან და დაიპყრა იმერეთი. მაშინ ლეუან დადა-დიანი მდურობდენ ამისთვის, რომე, მეფე სვიმონ რომ შეეზა ლეუანს, დადიანი არ მოჰმარებოდა, და უწინდელი სამდურავიც იყო. დაუწყო სამდურავი და მტერობა ჩამოვარდა ორთა-ვეს შინა ესრეთვითარი (sic), რომე აქეთ ეს შეიყარა და იქით ისი, და შეიბნენ. და გაემარ-ჯვა დადიანსა და ბატონი ლეუან ჳელთ დარ-ჩა, წარიყუნა და პატიმრობაში მოკუდა ამავე ქ~ კოსა:, ჩ~ ფჳბ:.

25

210. რა სცნა მეფემან სვიმონ, კ~ დ შეიყარა სპა თვისი და გარდავლო იმერეთი ქრისტეს აქათ:, ჩფჳგ:, ჩავიდა ქუთაისს ¹. და ძმისწულ-სა იმერლის ბატონისასა, ბაგრატს, გაემაგ-

¹ A: ქუთაის.

რეზინა ციხე. და მიადგა ციხესა და აართვა ციხე და გამოიყუნა თვთცა. დამძეულა იმე-რეთი და დაიპყრა თვთ და წარმოვიდა.

A კ~ იბ 12

211. ხ~ || ლეუან, იმერელი ბატონი. უძეო დარჩა და ძმისა მისისა ძე კოსტანტინესი, როსტომ და რჩომილიყო და სხვა აღარავინ იყუნენ. და დაუწყო როსტომ მანუჩარ დადიანს ლაპარაკი შეწეუნისა და შერიგებისა. და უსმინა დადიან-

5

მა და მოვიდა, დააპყრობინა იმერეთი. და მოადგენ ციხესა ქუთაისისასა იმერელნი, შემდგომად ამისა აღიღეს იგიცა. 10

212. და, რა ესმა მეფესა სვიმონს საქმე ესე, შეიყარა სპა, გარდავიდა და აიღო ციხე კურისა, კაცხისა და სკანდა და მოვიდა ქუთაისის¹ და აღიღო ციხე. ხ[~] როსტომ ვერა წინააღუდგა და ივლტოდა და წარვიდა დადიან მანუჩართანა. და წარვიდა მეფე სვიმონ ოდიშედა, ჩავიდა და დადგა ოფიშკვტს დიდებითა დიდითა და ძალითა მრავლითა. 15

213. ხ[~] მანუჩარ დადიანმა მოუგზავნა კაცი და შემოუთვალა: „შეირიგე როსტომ და მეც შენად ყმად ვიქმნები, ამას იმერეთი დაანებე და დაგვიმონე და დაგრჩება ქუეყანა“. რა მოუსმინა მოციქულობა მეფემ სვიმონ, გაჯავრდა და ასე შეუთვალა: „მოვალ და დამხვდით“. და რა ესმა დადიანს მანუჩარს საქმე ესე, შემოიყარა მანცა ჯარი თვისი და, რომელნიმე იმერელნი გარდაჰყოლოდენ როსტომს თანა, 20 25

A კ[~]იბ 13

¹ A: ქუთაის.

იგინიცა თანა წარმოიყუანა, მოვიდა, დაესხა თავსა გარიჟრაჟხედ მეფეს სვიმონსა. შეჯდა მეფე სვიმონ და სპა თვისი: – ხ[~] მეფესა სვიმონს ჰყუა ორი რჩეული ცხენი, ერთსა ერქუა ფალავანი და მეორესა შურდანი. უკეთუ შეჯდის ფალავანსა, გაემარჯვებოდა: იცოდა და იყო ომში გამოცდილი და მრავალი ომი ენახა და გარდახდოდა და შეატყობდა და, თუ გაემარჯვებოდა, ფალავანხედ შეჯდებოდა და, უკეთუ შეატყუის ომსა და გამარჯვება მისვენ არ იყუის, მაშინ შეჯდებოდა შურდანსა და წამოვიდოდა. ხ[~] ესე ყოველივე ზნე და საქციელი მისი უწყოდა ერთმან ვინმე თურქისტანისშვილმა, რომელი იყო შეზდილი მეფისა სვიმონისი, და ესე მან უწყოდა. და რაჟამს გაჭირდა || ომი და შეატყო მეფემან, რომე გამარჯვება დადიანს დარჩებოდა, მაშინ მოითხოვა, „მარქაფა შურდანი მომგვართო. მას ჟამსა მოახსენა თურქისტანისშვილმა: 5 10 15

A კ[~]იბ 14

20 „მეფევ, წასვლის დრო თუ არ არისო, რას-
 თვს მოითხოვე შურდანიო". წარდგა თურქის-
 ტანიშვილი და თქუა: „აქედამ შუბ-მოუქნეუ-
 ლი არ წავალო. შეუტივა და ჩამოაგდო კაცი
 25 და იყო გულსრულად დამარცხებულს ომში
 თურქისტანისშვილი.
214. ხ~ მეფე სვიმონ წარმოვიდა მარტო.
 მაშინ მეფე სვიმონ (sic) რომ გარდმოვლო
 კოლიბაურის მთა, მოვიდა ერთი დედაკაცი
 კოლბეურელი და მოახსენა მეფეს სვიმონს
 30 და შეეხვეწა, რომე ჩემი შვილი იახელითო. ხ~
 მეფემან ასე უბძანა: „დედაკაცო, მე კაციტა

100

მთვრალი ვარო, კაცი არ მეჭირებაო. და
 ოდეს დაუმარცხდა ¹ მეფეს სვიმონს და წარ-
 მოვიდა მარტო, რომ ერთი კაცი აღარ ახლდა,
 მაშინ დედაკაცი იგი სთოჯნიდა ახოსა. და
 განგებით მოჰკვდა, რომე || მეფე სვიმონ იმავ 5
 დედაკაცს შეეყარა. და იცნა დედაკაცმან და
 სცნა, რომ დამარცხებიაო, მაშინ მოახსენა:
 „მეფვო, ვეჭობ, მაშინ რომ კაცით მთვრალი
 იყავ, გამოგნელებიაო". და რა ესმა ესე მე-
 ფესა, მისცა მადლობა ლ~თსა და წარმოვიდა 10
 მსწრაფლ და გარდმოვლო მთა და მიიწია
 ქართლად.
215. ხ~ შეიბა თურქისტანისშვილი და წარ-
 მოვიდა იგიცა. და მეფე მოვიდა კავთისხეუს და
 მიადგა ერთისა კაცისა სახლსა, რომელი იყო 15
 მდაბალი გლეხი, რ~ მეფე დამაშვრალ-იყო
 და ითხოვა მისგან განსვენება. და გამოვიდა
 ქალი ერთი და ვერა იცნა, შეუძღვა და დაა-
 ყენა კარგად, რ~ ქმარი მის ქალისა ლაშქარ-
 ში იყო. და რაჟამს მოუშხადა სერი და მი- 20
 ართვა და იცნია მეფემა, შეატყო არღარა
 ნდომა საჭმლისა. მაშინ ჰკითხა ანბავი მეფი-
 სა და სპისა მისისა, თუ მეფე რ, იქნმაო. ხ~
 სვიმონ მეფემ ესრეთ თქუა: „არა უწყი მეფი-
 სა, თუ რა იქნა". და რაჟამს ესმა დედაკაც- 25
 სა მას სიტყუა ესე, დიდად იწყინა და || იმწუ-
 ხარა და იტირა. და შემდგომად ამისა ჰკით-
 ხა ქრმისა მისისა, ნიშნეულად ანიშნა, რომე

A კ~იბ 16

ამგვარი და ამისთანა კაცი იყო, და ის რა
 იქნაო. მეფემან მისიცი უთხრა, არა უწყიო. მა-
 შინ დედაკაცმან უთხრა, რომე „თუ ლ~თნ იპრი-
 ანა და მეფე მორჩაო და ის მშვიდობით არი-
 5 სო, ჩემი ქმარიც იმის ჭირის სანაცვლო იყო-
 სო და სხვანი, რომელიცა მყვანანო, იგინი-
 ცაო. მაშინ დიდად იამა მეფესა სვიმონსა
 სიტყუა ესე ერთგულობისა დედაკაცისა მის-
 გან და შემდგომად ხანსა რაოდენსამე დაუწყო
 10 წყალობა მეფემან სვიმონ დედაკაცსა მას და
 ქმარიცა მოუვიდა და განააზნაურშვილა (sic).
 და არიან ახლაც გაკეთებულნი კაცნი იგი,
 რომელნი არიან ქულივიძენი.

216. და, რაჟამს სმენოდა ლორეს მყოფთა
 15 ურუმთა დამარცხება მეფისა, მას ჟამსა გამო-
 სულიყუნენ ურუმნი ციხიდამე და || მოერბიათ
 A კ~იგ 1 კერძონი რამე ქართლისანი და დამდგარიყუნენ
 ტაშირზედა და იხარებდენ. მაშინ მეფემან
 სვიმონ შემოიყარა ჯარა მცირე, სპა თვისი,
 20 რომელიცა დარჩომილიყვნენ ქართლსა შიგან.
 წარვიდა მეფე და მიჰკდა ლორეს ურუმთა
 და გაემარჯვა და ამოსწყვიტა და აღილო ცი-
 ხე იგი და გამარჯვებული წარმოვიდა, კ~დ
 დაიპყრა ციხე ლორისა, შემოიქცა და მოვი-
 25 და თვისად სახლად*

217. ხანსა რაოდენსამე უკანა წარვიდა
 ზემოქართლად და რა მიიწია გორისჯვარს, -
 და მას ჟამსა ეჭირა გორის ციხე ურუმთა, - მაშინ
 დაჯდა სვიმონ მეფე გორისჯვარსა და დაუწ-
 30 ყო ღვინოს სმა, რ~, რა ჟამს დაეტყუებინა
 ყვენსა სვიმონ მეფე ციხესა ალამუტისასა, მა-

შინ გასწყობოდა თრიაქის ჭამასა და ღვინის
 სმასა და მიერთგან ეწყობოდა თრიაქსა. და
 მაშინცა, გორისჯვარს რომ მივიდა, ჭამა
 თრიაქი და გამხიარულდა. გახედა გორისაკენ
 და ნახა, რომე ახალი მწვანელი ამოსულყო 5
 და, გაზაფხულის პირიც იყო. ოდეს გამხიარულ-

A კვირ 2

და, მოუნდა აფიონი, ვა წესია აფიონის
 || მჭამელთაგან მონდომება საჭმლისა რისამე.
 მაშინ ქართველნიცა თანა ახლდენ და თქუა
 მეფემან: „ესე როგორ გეკადრებათ ქართველ- 10
 თა, რომე მე მწვანილი მინდა და თქუენ გო-
 რიდამ მწვანილს არ მომიტანთო“. მაშინ გა-
 ვიდნენ ქართველნი და ჩავიდნენ გორის ბოსტ-
 ნებში და დაგლიჯეს მწვანილი. და დაუში- 15
 ნეს ციხიდანე ურუმთა და ისროლეს მრავა-
 ლი და ამოსწყუიტეს ქართველნი მრავალნი,
 დიდ[ნი] და მცირენი. და მაშინ მოკლეს ბატო-
 ნიშვილი გოჩა, რომელი იყო პაპის ძმისწყუ-
 ლის შვილი მეფისა სვიმონისა, და სხვანიცა 20
 მრავალნი თავადნი ამოსწყუიტეს. და მაშინ
 დაგმეს მეფე სვიმონ უჭკუობაზედ, რომ მწვა-
 ნილისათჳს ამდენი კარგი კაცი ამოსწყუიტეს,
 და ამას ურუმნიცა და ყიზილბაშნიცა დელუ-
 სვიმონს ემახდენ, რომელი ითარგმანების ხე- 25
 ლი სვიმონ ჳელმწიფე.

A კვირ 3

218. ხ, რა ნახა სვიმონ მეფემ საქმე ესე
 ურუმთაგან, ეწყინა და შეიყარა სპა და მცირესა
 ხანსა შემოადგა გორსა და აიღო || ციხე და
 მოსრა ყოველი ოსმალი, რომელი იყო ციხესა
 გორისასა. 30

103

5

219. და ესმა რა საქმე ესე ხვანთქარს, იწყინა
 და წარმოავლინა სარდალი ჯაფარ ფაშა და
 სხვა სპა მრავალი. და მოვიდნენ და დადგნენ ¹
 ნაკიდურის მინდორშია და დაიბანაკეს. მუნ
 შეიყარა მეფემა სვიმონცა სპა თჳსი და მივი-
 და, დადგა თავსა საღირაშნისასა. და მცირე-
 თა ხანთა შინა წარვიდა თჳთ მარტო დასახე-
 დავად ჯარისა ათი-ოდენის ცხენოსნითა და
 წარიყუანა თანა ერთი მექანარე. და მივიდა
 10 და გარდადგა თავსა ნაკიდურისასა, რომელ
 არს მცირე ეკლესია, მუნით გამოუჭკვრეტდა
 და სჩხრეკდა ჯარსა ოსმალთასა, რომელსა
 იდგა ურუმნი, რათა დასხმოდა თავსა. და, რა
 დახედა, ჳ[რ]ქუა მექანარესა დამახება ქანარისა,
 15 რათა შეეტყო მეფესა, თუ ვითარ უშიშრად
 არიან. და, რა ესმა ჳმა ქანარისა ურუმთა, უთუ-
 ოდ მეფე სვიმონ მოვიდაო, დაიწყეს კაზმა

და შესხდენ ცხენებსა. ხ[~], რაჟამს იხილა მე-
 20 ფემ სვიმონ, წარმოვიდა თვისისა ჯარისაკენ.
 A კ[~]იგ 4 ოსმალნიცა მის ქანარის კმისაკენ გამოუდგნენ
 უკანა. და მოვიდა ფარცხისსა და მომავალსა
 დახუდა ღია და დაეფლა ცხენი ღიაშიგან. და,
 ვირემ ცხენსა შეჯდებოდა და ანუ გაარჩევდა
 25 საქმესა მისსა, ამაზედან ოსმალნიცა მიესწრ-
 ნენ. და, გაიცნეს რა მეფედ, შემოეხვივნეს
 გარე. და მეფე, ვითა სიკეთესა მისსა ჰფერობ-
 და, ეგრეთ იყო, მაგრამ მარტოობით ველარა
 გააწყო რა და შეიპყრეს მეფე ქრისტეს აქათ:,
 ჩ[~]ქ:, ხ[~] ძე მეფისა სვიმონისა, გიორგი, ლაშქარ-

¹ A: დადგნე.

თა შინა იყო. და მიერთგან აღიყარნეს და
 წარვიდენ და მეფეცა თანა წარიყუანეს და წარ-
 ვიდეს მსწრაფლ, რ[~] ეშინოდათ ქართველთა-
 გან და ძისა მისისა გიორგისაგან, რომე
 ამას არ გაგვატანებნო უსიკუდილოდო. 5

მ[~]ფე
 გიორგი

220. ხ[~] სცნეს რა ესე ქართველთა და გიორ-
 გიმ, გამოუდგა უკანით და სდიეს მოჭირვებით
 და ვერღარა მიეწივნენ. ხ[~] ურუმნი მივიდეს ლო-
 რეს და აღილეს ციხე ღორისა და შეაყენეს ში-
 გან ჯარი თვისი და წარვიდნენ და წარიყუანეს 10
 მეფე სვიმონ და მიიყუანეს სტამბოლს.

A კ[~]იგ 5

221. ხ[~] ძე მისი გიორგი პატრონობდა ქა-
 || რთლსა ზედან და წარგზავნა კაცი ¹ სტამბოლს
 და შეუკვეთა სახსარი მამისა თვისისა. და ესეცა
 თქმულ არს, რომე ხონთქარმა მრავალი წყა- 15
 ლობა და დიდება აძლია მეფესა სვიმონსა, რო-
 მელ ქართლს ბეგარა დასდეს და მეყმეო, მაგ-
 რამ არა ქნა მეფემან. ქართლს ყეენის ბეგა-
 რა სვიმონ მეფემ დასდვა კუამლის თავს მარ-
 ჩილი გლეხსა და იმ თეთრითა იყიდდა შვიდს 20
 ტყუესა და გაუგზავნიდა ყეენსა, – და მიერთ-
 გან დადებულ არს ტყუე ქართველთა ზედა, –
 და არ დასდვა ხვანთქრისა. და სახსარი შეუ-
 კვეთა და გამოგზავნა ძესა თვისსა თანა გი-
 25 ორგისსა კაცი და რაოდენი მათთვის სახსარი
 ეთქუა, იგი თეთრი სთხოა. და მაშინ გაუ-
 გზავნა გიორგიმ საქონელი, რაოდენიცა, ან

მამისა დარჩომოდა, და ან თჳსი ჰქონდა
გიორგის, და ან რაოდენიცა ქართველთა დარ-

¹ A: კაცა.

A კ~იგ 6
5

ბაისელთა ჰქონდათ, ანუ საყდრისა და მო-
ნასტრისა იყო საქონელი, ყოველივე გაუგზავ-
ნეს. და სანამდის საქონელი ესე მივიდოდა,
მანამდი მეფე სვიმონ მო || მკუდარიყო პატიმ-
რობაში და საქონელიც იქ დარჩა.

222. ხ~ მეფე გიორგი მოადგა ციხესა ლორი-
სასა და აღიღო ციხე და დაიპყრა ლორე.

223. შემდგომად ამისა მოკუდა მპყრობელი
იმერეთისა როსტომ ქრისტეს აქათ:, ჩქიდა:, და
10 არა დარჩა ძე. ხ~ მწევლისა ნაშობი ჰყუა ძე
ერთი გიორგი და დასვეს მის წილად პატრო-
ნად იმერეთისა.

224. ხ~ მოკუდა დადიანიცა მანუჩარ და
ჰყუა მას ძე ერთი სახელად ლეუან, ნაშობი კახის
15 ბატონის ქალის ნესტანდარეჯანისაგან. და ესე
ლეუან წარმოეყუანა კახეთს კახს ბატონს ალე-
ქსანდრეს პაპასა მისსა, და გაეზარდა. და, რა-
ჟამს მოკუდა მანუჩარ დადიანი, გამოგზავნეს
ოდიშართა კაცი და სთხოვეს იგი და წარი-
20 ყუანეს, მიიყუანეს და მუნ დადიანად დასვეს
და გაძალიანდა.

225. ხ~ კახეთს იჯდა ალექსანდრე.

A კ~იგ 7

226. მაშინ მოვიდა ყეენი შაბაზ აღებად
ერეუნისა და იჯმო მან მეფე გიორგი და პატ-
რონი კახეთისა ალექსანდრე შველად და აღებად
ერეუნისა. და წარვიდენ ორნივე ესენი სპითა
|| თჳსითა. და სამს კუთხეს თჳთან თავისის ჯა-
რით ადგა და ერთს კუთხეს ესენი დააყენა.
და, რაჟამს ბ[რ]მანა ყეენმა ერიში (sic), მაშინ
უმეტესად ყოველთა ქართველთა მოიჭირვეს
და გარდავიდენ გალავნებში და იომეს დიდად

და, სანამდი ყიზილბაშნი შეუიღოდენ, ქართ-
ველთა აიღეს სიმაგრენი, უჩვენეს ძალი და
მოჭირვება ყეენსა და აღიღეს ციხე.

A კ~იგ 8	<p>227. მაშინ დაიპყრა ერეუანი, და მერმე დაუწყო ყენმან მეფეს გიორგის ლაპარაკი: „რადგან ხვანთქარი ჩემი მტერიც იყო და შენიცაო და ახლა, რადგან მე გავრჯილვარ და აქ მოველო, ლორე ჩემი იყოსო. მაშინ მეფემან გიორგიმ ჯერეთ შორს დაიჭირა, და, რადგან მოჭირვებით სთხოვა, სხვა ღონე აღარ ჰქონდა და დაანება. მაშინ დაიპყრა ციხე ლორისა შაბაზ და შეაყენა ჯარი თვისი ციხესა მას შინა. შეიქცა და წარვიდა თვისსა სამეფოსა. და ესე უყო შაბაზაზ მეფესა გიორგის მამისა მისისა სამსახურისა და თვისის სამსახურის მ აგიერად, რ~ ესე შაბაზ [იყო] კაცი მცბიერი და მოყუარე მზაკუარებისა, მცთუნებელი კაცთა და მატყუარი.</p>	5 10 15
	<p>228. და ვ~ა მოვიდენ მეფე გიორგი და კახი ბატონი ალექსანდრე სამეფოსა თვისსა, მაშინ ინებეს ხილვა და სტუმრობა მეფის გიორგისა ბატონის. ალექსანდრეს ძეთა, დავით და გიორგიმ, რ~ მეფე გიორგის ბიძაშვილნი იყუნენ დედით და, რა მიიწივნენ, მიეგება მეფე ავლაბარში და შემოუძღვა და დააყენნა. დიდათ იამათ შეყრა ერთმანერთისა და ილხინნეს დღესა რაოდენსამე. და მერმე კ~დ უჯმო შიგან თვისსა სერსა ზედა და წარვიდა დავით. ხ~ გიორგიმ მიზეზყო ღვინის უსმელობა და წყენა ღვინისაგან და არა წარვიდა და წარვიდენ იგინი. მაშინ გიორგიმ მოუწოდა მისთანა მყოფ-</p>	20 30
		107
A კ~იგ 9	<p>თა კახთა იდუმალ, რ~ წინათვე განეგულვა აღრჩეუთ საქმე ბოროტი, შურიტა ბელზებულთათა, სიკუდილი ძმისა თვისისა უზუცესისა დავითისი. რ~ ესე დავით იყო კაცი მრისხანე და ამაყი, ხ~ გიორგი იყო კაცი შვენიერი ხილვითა და კეკლუცი და ყმათათჳს კეთილი და უზვი. და ამისთჳს უმეტეს მისდა მიივლტოდა, ვიდრე დავითისა.</p>	
5		
10	<p>და ჰგონებდა გიორგი, ვ~დ მთვრალ იქნების ღვინითა იგიცა და მისთანანი კახნიცა და მაშინ აღასრულეზს ხენეშთა გულის ნებასა თვისსა. და აუწყა ყოველივე მუნ მყოფთა და შემოიფიცნა კახნი და იმარჯვებდა ჟამსა მარჯ-</p>	

15 ვესა და უთხრობდა ყმათა: „მომყევით და მოვკლავ ძმასა ჩემსა და დავიპყრობ კახეთსა“.

20 **229.** და რა შეიფიცა ყმანი თვსნი, მაშინ იყო ვინმე ჩოლაყაშვილი, კაცი ღმთის მოშიში, სახელით ბარამ. ესე წარვიდა მსწრაფლ და აუწყა ყოველივე დავითს და მოახსენა საიდუმლოდ, რაცა განეგო მისთვის გიორგის, ძმასა მისსა. და, რა ესმა საქმე ესე დავითს, მცის წარმოდგა სერისაგან და წარმოვიდა და გამოჰყუნენ ყოველნივე კახნი. და ვა მოიწია ძმისისა (sic) კა || რავსა შინა, მაშინ იხილა გიორგი, რა იჭურვოდა საჭურველითა. მაშინჰქუა: „ძმაო, რას საქმეზედ იჭურვებო“. და ვერარა სიტყუა უგო. მაშინ შეიპყრა ძმა თვსი გიორგი და რაოდენიცა იყუნენ კახნი შეფიცულნი მისთანა. და ვედარც მეფემან გიორგიმ უსაყუე-

25
A კვიგ 10

30

108

დურა საქმე ესე დავითს ამისთვის, რომ უმართლე იყო. და წარმოიყუნა ძმა თვსი და თორღას ციხეში პატიმარ-ყო, და თორმეტნი ყმანი, მისნი შეფიცულნი, ჭოეთის ციხიდანე გარდმოყარნა და დაოცნა, სხვანი შეფიცულნი მისნი პატიმარ-ყუნა. და თვთ ბატონობა მისი მიულო მამასა თვსსა და თვთ გაბატონდა. და თუესა ექუსსა იბატონა და მოევლინა (sic) რისხვა ღთისა მამისა უსამართლობითა და მოკუდა.

5
10

230. და კუალად დაიპყრა მეფობა მამამან მისმან ალექსანდრე და გამოიყუნა ძე მისი გიორგი ციხიდანე, რა არღარა ჰყუნდა ძე მის მეტი: და ამყოფა თვსთა თანა.

A კვიგ 11

231. ხა ამა დავითს ჰყუნდა ცოლად ასული აშოთან მუხრანის ბატონისა || ქეთევან, და დედისიმედისა, რომელი შემდგომად მოწამე იქმნა, და ესე ქეთევან იყო გონიერი: და მაშინ სცნა, ოდეს მოკუდა ქმარი მისი დავით, დარჩა კახეთი გიორგის, და ამას ქეთეუანს (sic) ჰყუნდა ძე ერთი დავითთან, თეიმურაზ, და შეეშინა ქეთევანს, ახსოვდა, ოდეს დაიჭირა დავით ძმა მისი გიორგი და დაატყუეუა ციხესა შიგან, ეშინოდა ქეთეუანს ძმისა მისა

15
20

მისთვის და წარგზავნა ყრმა თვისი ყვენთან ში- 25
 შისათვის გიორგისა, რ~დ ემინოდა გიორგის-
 გან, მაზლისა თვისისა, და მისთვის გამოგზავნა
 (sic) ყვენთანა და თანა გამოატანა (sic) შერ-
 მაზან ჩოლაყაშვილი. და მივიდნენ შააბაზთან,
 და შააზ, ვ~ა ძე, ეგრეთ შეიტკბო. 30

109

232. ხ~ ამას შააბაზს სწადოდა დაპყრობა
 საქართველოსა და მრავალი ღონე და ჯერჯი
 იჭმარა და ცდილობდა, რათამცა დაეპყრა სა-
 ქართველო, და ვერ შეუძლო. მოიპოვა ღონე
 5 ესევეთარი: რომელი მიეცა კახბატონს ალექ-
 სანდრეს ძე თვისი კოსტანტილე ¹, ესე გაე-
 ზარდა შააბაზს და გაეწვართა სჯულსა || ზედა
 A კ~იგ 12 მაჰმადისასა. და ამა კოსტანტილეს ჳელით
 გაუგზავნა ხალათი მამასა მისსა ალექსანდრეს
 10 და გაატანა თანა ჳარი და შირვანელი და
 ესრეთ და[ა]ზარა კოსტანტილეს: „დავით ხომ
 მომკუდარა და სხვა აღარავინ დარჩომილა
 მამის შენის მეტი, წადი და მოკალ მამაშენი
 და ძმა-შენი, და კახეთიც შენ დაიჭირე“.

233. და წარვიდა და წარიტანა ჳარიცა
 15 თანა. და, რა მიახლოვდა, გაუგზავნა კაცი მამასა
 თვისსა და ესრე შეუთვალა, ვითარმედ „ყვენმა
 ხალათი გამოგიგზავნა და მეც დასტური მომ-
 ცა და გამოგზავნა შენად სანახავად“. და რა
 20 მიუვიდა მახარობელი, ესრეთ განიხარა დი-
 დად, რ~ მაშინ იდგა გრემს, წარმოვიდა და
 მოეგება ბაზარს ძესსა თვისსა და შეიყარნენ
 მუნა. და მუნ ჩაიცვა ალექსანდრემ ხალათი და
 დიდად განიხარა შეყრა და ნახვა ძისა თვისისა.
 25 და დღესა რაოდენსამე იყუნენ ლხინითა და
 მოსვენებითა.

234. დღესა ერთსა აწვია თვისსა კარავსა მა-
 30 მაცა და ძმაცა თვისი და || უთხრა ესრეთ, ვი-
 თარმედ „ყვენის საქმე მაქუს“, და დაითხოვნა

¹ A: კოსტანტილეს.

და დარჩა მასთანა რუსთველი და ძმა მისი.
და რაჟამს ესრეთ დაახელა, მაშინ დაპირე-
ბული ჰყუნდა ყიზილბაშის ჯარი და შემოც-
ვივდენ კარავშია და უღალატა და დაჯოცეს. 5
მაშინ მოკლა მამა და ძმაცა თვისი და რუს-
თველი, ყორჩიბაშიცა ძმა მისი, ქრისტეს
აქათ, ჩქიე:.

235. ხ რაჟამს აღასრულა ესევეთარი უკე-
თურება, კ დ შესძინა¹ უკეთურება უკეთურე- 10
ბასა ზედა: და მაშინ მიუგზავნა რძალსა თვისსა
ქეთეუანს კაცი, რომელ იყო ცოლი დავითის
და დედა თეიმურაზისა, და შეუთვალა, ვ დ
„შეგირთავ ცოლად და შენცა მორჩილ-მექ- 15
მენ, რ ესრეთ არს წესი და ჩვეულობა (sic)
სჯულად მაჰმადისასა“.

და რა ესმა საქმე ესე ქეთეუანს, და შე-
წუხნა დიდად: და მოუწოდა რაოდენთამე კახ-
თა და უთხრა საქმე და შეეხვეწა მოდგომასა 20
საქმესა ამას ზედა. მაშინ მისცეს კახთაცა პი-
რობა და შეჰფიცეს, რომე შენს მეტი² ბატო-
ნი ჩვენ არ გვინდაო. და შეიყარნენ და წარ-
ვიდენ და შეეზნენ. || და მისცა ღ თნ ძლეუა
ქეთეუანს და განემარჯვა კოსტანტინესა ზედა: 25
და მოკლეს კოსტანტინე კახთა და გამოაქ-
ცივეს ჯარი ყიზილბაშთა.

236. და, რა გამოაქცივეს ჯარი ყიზილბაში-
სა, მორთვეს ანბავი ესე შააბაზს. და რა ესმა

¹ A: და კ დ შეისძინა.

² A: შენგ სმეტი.

A კ იგ 14

საქმე ესე, მაშინ მოიწმო შააბაზ თეიმურაზ, ძე
კახის ბატონისა, რომელი წარეგზავნა დედასა
მისსა ქეთეუანს ყრმა მცირე, და აგინა დი-
დად კოსტანტინეს, დაგმო და უთხრა თეი- 5
მურაზს: „კოსტანტინეს დაუჯოცია მამა და
ძმა თვისი და აწ იგიცა მოუკლავთ, ახლა
შენთვის მომიცემია კახეთი და წადი ჩაფრად
და დაიჭირე კახეთი“. რ ამისთვის ქმნა საქმე
ესე შააბაზ, რომე დიდად ეშინოდა ქართვე- 10
ლის მეფისაგან, ნუ უკუე კახეთი მან დაიპყრა-
სო, და ამისთვის გამოგზავნა თეიმურაზ ჩაფრად.

15
A კ~იგ 15

237. მაშინ წარმოვიდა თეიმურაზ ჩაფრად და მოვიდა კახეთს. და მივიდა დედისა თვისისა თანა. და იქმნა სიხარული დიდი და მხიარულ-იქმნენ კახნი ფრიად. და გაბატონდა თეიმურაზ, და მაშინ || იყო წლისა ცამეტისა.

მ~ფელუ-
არსაბტარა.

20

238. და მას ჟამსა მოკუდა მეფე გიორგი და დაჯდა მის წილად ¹ ძე მისი ლუარსაბ პა-

25

და ამას ჟამსა შინა იყო ქართლი ფრიად გლახაკი და სახმართაგან უღონო: ლაშქრობისა და ოჯრებისაგან პირველად იავარ ქმნილიყო ურუმთაგან, და უფროსად, სვიმონ მეფე რომ ურუმთ ტყუედ ჰყუეს, მაშინ გამოიღეს სახსარი მრავალი და არღარა დაზოგეს რა ქართველთა თავისის ბატონის გამოხსნისათვის. და ამაში მეტად გლახაკ და უპოვარ იყო ქართლი, ხ~ კახეთი იყო ფრიად მორჭმული და მდიდარი.

¹ A: მისწილად.

112

239. ოდეს მოკუდა გიორგი მეფე, დარჩა ორი ასული შვენიერი და სატრფიალო: სახელი ერთსა ხორაშან, და მეორესა თინათინ, და რა-ჟამს გამეფდა პატარა ლუარსაბ, მაშინ სთხოა ყეენმა შააბაზ და თვისი ცოლად. და მისცა და თვისი თინათინ და ესვა ცოლად შააბაზს.

5

A კ~იგ 161

240. და მაშინ კეთილად პატრონობდა ბატონი თეიმურაზ კახეთსა. და, რა იქნა წლისა ათხუთმეტისა, მაშინ ითხოვა ქალი გურიელისა და ქნა ქორწილი პატოსანი დიდად || გამოჩვენე- ბით. და ხანსა რაოდენსამე უკანა მიეცა ძე ორი: სახელი ერთისა მის ალექსანდრე, მეორისა ლეუან. და ამისა შემდგომად მიიცვალა ცო-ლი ბატონის თეიმურაზისა, ასული გურიელი-სა. და ყო მწუხარება და გლოვა დიდი ბა-ტონმა თეიმურაზ და სრულიად კახთა და იყუ-ნენ დიდსა ურვასა შინა.

15

241. მაშინ მიესმა საქმე ესე შააბაზს, გლოვა და მწუხარება კახის ბატონისა, წარმოგზავნა კაცი და შემოუთვალა, ვ~დ „მესმა შენი მაგ- [გ]ვარი მწუხარება და შეჭირვება, და წარმოვედ ჩემდა და მნახე და განიხარე და მოგცემ წყა-

20

ლობასა და საბოძვარსა მრავალსა".

წარვიდა ბატონი თეიმურაზ და მივიდა
ყეენტანა. და დახვდა ყენი დიდად კარგად
და მისცა მრავალი და გამოიყუნა გლოვისა-
გან: დიდად ლხინობდენ და შეექცეოდენ.
და შემდგომად ხანსა რაოდენსამედ (sic) მიიჭ-
მო ბატონი თეიმურაზ საიდუმლოდ და უთ-
ხრა ყეენმა ესრეთ, ვ~დ „მეფესა ლუარსაბს
სთხოვე და მისი ხორაშან || და შეირთე ცო-

25

30

A კ~იდ 1

113

5 ლად, რ~ იქმნები ქუისლი ჩემი და მოყუარე
ლუარსაბისა და არღარა იქმნება თქუენსა და
იმას შუა მტერობა და შური". ხ~ მეფემან თეი-
მურაზ უთხრა უარი, რ~ ეყოდენ და ნათესავ-
ნი იყუნენ, პაპიდაშვილი იყო, და ამისთვის
უთხრა დიდი უარი. მაშინ არა უსმინა შაა-
ბაზ და უწყინა და, რადგან დაუჟინა, ნება
დართო თეიმურაზ და მორჩილ ექმნა და ჩა-
10 მოჰყუა შერთვასა ხორაშანისასა. და წარმოგ-
ზავნა თვსა ადგილსა და მოვიდა თეიმურაზ
კახეთსა. ხ~ ყეენმანც მოსწერა ლუარსაბს მოყ-
რობა თეიმურაზისა. და სთხოა ქალი თეი-
მურაზ, და ყეენის სიტყუას ვერცა ლუარსაბ
15 გარდავიდა და მისცა და თვსი ხორაშან. და
წარიყუნა ქალი და ქნა ქორწილი პატიოსანი
თეიმურაზ.

242. ხ~ ამა ჟამსა შინა ხონთქარი სულთან
მურად ბაღდადს მოწეუნულიყო და ყირიმის
ჯარი თან ახლდენ (sic). და რაჟამს ხვანთქარს
სულთან მურადს ბაღდადის საქმე გაერიგები-
ნათ, მაშინ || ყირიმის ჯარისათვს ¹ დასტური
მიეცა. მაშინ ერთსა ვისმე თათარხანთათვს
ერჩია, რომე, რადგან წავალთ, ქართლის გზა
25 დიად კარგი არის და ჩვენზედაც მარჯვე არის
და, იმაზედ გავიაროთ და საშოვარიც მრავალი
ვიშოვნოთ და წარვიდეთ უზიანოთ.
წარმოემართნენ ქართლზედ ვითარ სამოცი
ათასი კაცი.

A კ~იდ 2

25

¹ A: ჯვარისათვ.

	243. და მას ჟამსა მეფე ლუარსაბ იდგა ქრცხილვანს. და ამ ჟამში გამდიდრებულ იყო ქართლს მოურავი სააკაძე გიორგი, რომელი იყო მოურავი ტფილისისა, და ესრეთ გამდიდრებულიყო, რომე შემდგომად მეფისა იგი იყო.	5
	და ამას უთხრეს ქუეყნის არევის მოყუარეთა და მეჩხუბართა კაცთა, ვ~დ „მეფე სიძულელს გიპირებს, რ~ სძაგს სიმდიდრე და მორჭმა შენი“. ხ~ მოურავს რა ესმა საქმე ესე, დაიწყო რჩეუა და ლაპარაკი. და მაშინ მიუგზავნა მეფემან კაცი და შეუთვალა, ვ~დ „რა გნებავს ყოფად, რომე დღითიდღე არ დასცხრები ლაპარაკისაგან და ჩურჩულისაგან“. ხ~ მოურავმან მიუგზავნა მროველი ავალიშვილი დომეტი და შეუთვალა ესრეთ, ვ~დ „სიკუდილსა და ლალატს მიპირებთ და რას მემართლები, დანაშაული რა მაქუსო. რომ მიწყრებო და გნებავს სიკუდილი ჩემიო. ხ~ მეფემან უარყო და ფიცით შეიჯერა, ვ~დ არა „მწადს სიკუდილი შენიო.“	10 15 20
	244. და ამა ჟამსა შინა მოუვიდათ ანბავი, რომე თათარხანი თრიალეთზედ მოვიდაო. მაშინ გუნება ვერ დააჯერეს მართლა და გაგზავნეს იარალი, რომე წადი და მართალი შეიტყევო და გზები შეკარო და ადრე გვაცნობეთ ანბავი, თუ მოსულანო. რ~ მაშინ მეფე იყო სუბათ და არავინ ახლდენ, დარბაისელნი ქართველნი, რ~ იყუნენ თავისა, და წარმოვიდა და დადგა მეფე ცხირეთს.	25
	მაშინ წარვიდა იარალი და დანერგა გზები და ერთსა მოსავალსა ალაგსა დადგნენ	30

115

	თვთან და თვთ უგრძნობლად თავს წამოადგენ თათარხანი და მძინარენი ამოსწყუიტეს და დაჯოცეს, და ერთიცა მათგანი არავინ განერა.	
5 A კ~იდ 4	245. და წარმოვიდნენ თათარნი და მოვიდეს და დაწვეს მანგლისი და ყუელთა. და მუნ ყუელთას შეიპყრეს მღდელი ერთი, სახელით თეოდორე, პატროსანი და მოშიში ღ~თისა და ერთგული მეფისა თვსისა და რა მოვიდენ	

10 გოსტიბისა თავსა, დაუწყეს მღდელს თეუა-
დორეს ლახტითა ცემა და ეტყოდენ, ვ~დ „მიგ-
ვიძელ მეფეზედა“, და სწადდათ სიკუდილი
მეფისა. და მღდელმა გულში ასე თქუა: „ჩემის
15 ორის დღის სიცოცხლისათვის ამას რატომ
ვიქ, აწ მიუძღვე და მეფე მოვაკულებინო და
ქართლიც გააოჯრონ, მე რაღა მეშველებაო
და ან ჩემს სულსაო. მაშინ მღდელი წამოუძღ-
ღვა და ქუნადრისის გზაზედ ჩამოუძღვა, ერ-
თაწმინდასა და ცხირეთზედ დიად შორს დარჩ-
20 ნენ. და მაშინ სცნეს ყირიმთა, რომ მეფეზედ
შორს იყუნენ, და გააგდებინეს თავი მღდელს
თეუდორეს. და შეირაცხა წმიდათა მოწამეთა
თანა.

246. და რა მოიცვეს ერთაწმიდა, ახალქალაქი,
25 მაშინ წამოხედეს ცხირეთიდან მეფემან და სპათა
მისთა, რ~ ქრცილვანიდამ წამოსულიყო მეფე და
A კ~იდ 5 ცხირეთს მოს || ულიყო, და ნახეს ჯარისა სიმ-
რავლე. მაშინ თანა ახლდა მოურავი გიორგი და
ციციშვილი ზაზა. მაშინ მოახსენა მოურავმა მე-
30 ფესა, ვ~დ „ნუ ასჩქარდებითო და ვნახოთ ლ~თნ,

116

რა მოახდინოსო“. რ~ იყო ესე მოურავი კაცი
გულსრული და კარგი სარდალი, ჭკუიანი და
გონიერი. და წარვიდა მოურავი და რომელი-
მე იყუნენ გარემონი ჯარნი, მოვიდა და შემო-
ეყარა მეფესა და სხვანიცა ბარათიანნი და 5
რომელნიცა იყუნენ მის კერძონი ქართველნი.
შეჰყარა ჯარი თვისი, რამოდენიცა ჰყუანდა,
და ზაზაცა თანა ახლდა. და წარვიდა მოუ-
რავი ყირიმის ჯარზედ და ჩავიდა ნიაბთ ბო-
ლოსა სხერტის ჭალაზედა და მუნ დახუდენ 10
ყირიმნი. მაშინ შეუტივეს (sic) მოურავმან და და-
ჯოცა ჯარი მრავალი და ყუეს მრავალი მარც-
ხი და ზიანი. ხ~ ციციშვილმა ზაზამ მოკლა
ერთი დიდი ფაშა და ჩამოჰდა, თავსა სჭრი-
და, ამაზედან წამოადგნენ მრავალნი ყირიმ- 15
ნი, და, რა სცნა, ზაზამან მოჭრილი თავი წვე-
რით კბილში დაიჭირა და მოახტა ცხენსა და
წარმოვიდა. და სხვანიცა მრავალნი სახელნი
ქნეს იმ დღესა. მოვიდენ || და მოართვეს მეფესა
A კ~იდ 6 მრავალნი თავნი და ნატყუნავი. 20

247. შემდგომად ამისა აიყარნენ თათარხანნი და წავიდენ საციციანოსაკენ. ხ~ მისწერეს მეფე-მან წიგნი ერისთვებსა და მუხრანის ბატონსა და შიდა ქართლელთა ყოველთავე, რათა შეიყარონ ჯარი თჳსი და სურამის ბოლოს და-
 ხუდენ. ხ~ ყირიმნი წარვიდენ, მივიდენ დოეს[ს].
 და, რა მივიდოდენ, მაშინ ერთი ტერტერა გორელი, გორიდამ მოვიდოდა თავისთჳს უგრძნობელად. და მიმოიხედვიდა იმიერ და ამიერ ტერტერა იგი და, იხილა დოესი და
 ველნი იგი დოესისანი აღვსებული ჯარითა,

25

30

117

5 და, მაშინ სცნა ტერტერამა, რომე არა იყუ-
 ნენ ქართველთაგანი. და სცნა, რომე უსჯუ-
 ლოთაგანნი არიან ვინმე და მარბეუელნი ქუეყ-
 ნისანი. და მსწრაფლ უკუნიქცა ტერტერა
 იგი და მივილტოდა გორისკერძო, განვლო
 ჳიდი მტკურისა და გარდაყარა ფიცრები ჳი-
 დისა სრულიად და ჩაყარა წყალსა შიგან და
 აშალა ჳიდი და მივიდენ ყირიმნიცა ზედა
 მიწევნით, და დახუდა ჳიდი აყრილი და
 10 შეუძნდათ ფრიად და ველარა გაიარეს ჳიდ-
 ზედა.

A კ~იდ 7

248. მაშინ || დაჳმუნებულნი მიიქცენ და წა-
 ვიდენ გზასა საციციანოსასა და შეუღეს საციცი-
 ანოსა ზედა, დაწვეს და დადავის საციციანო. და
 15 წარვიდეს და მივიდეს ბრბონას და დაიბანაკეს
 მუნ. მაშინ დააქციეს სახლები, გადვეს ჳიდი
 და გავიდენ მტკუარსა, მივიდენ (sic) და დადგნენ
 ტაშისკარის ბოლოს ნახვეტაში.

249. ხ~ მეფე ლუარსაზ და მოურავი წარმოვი-
 დენ და მოვიდენ ახალდაბას. მაშინ იყო მტკუა-
 რი დიდი, რ~ თვე იყო ივნისი, და არა იყო ფო-
 ნი. მას ღამესა ათივეს ღამე ვედრებითა და ლო-
 ცვითა მჳურვალითა, და მიანდვეს საქმე ღ~ თსა
 და დაასკუნეს შესულა მტკუარშია ფონად და
 25 ეგრეთ განვლად მიერ წიაღად. და, ვ~ა გათენ-
 და, შეუიდეს წყალსა მას შინა. და იყო მაშინ
 მტკუარი სავსე და არა ეტეოდა კალაპოტში.
 და იყო ღ~ თისა საფარველი მათზედა და გან-
 ვიდეს უვნებელად ¹ ესრეთ, რომე არაფერის-

A კ~იდ 8 თანა არა წამხდარა რა, არცა კაცი და არც ბარგი, და ეგრეთ განვიდეს, ვ~ა ძენი ისრაელისანი ზღვასა მას მეწამულსა. და ჩამოვლეს იდუმალ მათ და უგრძნობელად მტკუროს პირ-პირ ასე ჩამოვლეს, რომე მათ ყირიმთა || ვერა უგრძნეს რა, გამოიარეს და მოვიდენ და შემოიყარეს ქართველნი, რომელნი იდგეს სურამის ბოლოს.

250. მაშინ არჩივა მოურავმა: „თხრილის პირს გარეშემო მეთოფეები შემოვახვიოთო და ცხენოსანი მინდვრათ მივიდნეთო. და დაუჯერეს მოურავსა და მივიდენ ეგრეთ, როგორადაც არჩივა. მაშინ იქმნა ომი დიდი იქით და აქეთ და დიდად მოჭირვებით და გულსრულად შეიბნენ, ძველთა გმირთაგანცა ძნელად შესაძლებელად საგონებელ იყო, რომე, მაშინ მეფე და მოურავი და სრულად ქართველნი იბრძოდენ. და მიმცა ღ~თნ ძლეუა მეფესა ლუარსაბს, ვ~ა პირველ აბრაჰამს და გედეონს. და აღსრულდა წინასწარმეტყუელისა მოსეს მიერ თქმული ლეუიტელთათჳს ¹ ბრძანება უფლისა, ვ~დ „ხუთმან თქუენგანმანო წარიქციოსო ასი და ასმან თქუენგანმან ბეურეული“, და მოციქულისა პავლეს მიერ თქმული: „ძმანო, ღ~თის მოყუარეთა ყოველივე განემარჯვების კეთილად“. ეგრეთვე ამათ სასოებითა ღ || ~თისათა მიეცა ძლეუა დიდი და ესრეთ განემარჯვათ ურჯულოთა ზედა და მოსრეს სრულიად, ბანაკი მათი იავარყუეს: რაც ოდენი ქართლი-

¹ A: ლეუეტელთათჳს.

5 დამ ეშოვნათ, ტყუე, თუ საქონელი, იგიცა ყოველივე წამოიღეს და მათიცა მრავალი წაართვეს. და, რაც ოდენი შეიპყრეს ყირიმნი, მოსრნეს პირითა მახვილისათა.

251. კნინლა მცირედი რამე ნეშტი განერნენ. იხმიეს სივლტოლა და წარვიდნენ მოსაკიდელ-

ზედა¹ შეშინებულნი და დანქრეულნი. შეუი-
დენ ტყესა და სიმაგრესა მოსაკიდლისასა,
10 არა აქუნდათ ღონე გზის განგებისა. და მა-
შინ ჰპოვებდენ დედანი მოსაკიდლის სოფლი-
სანი ტყეთა შინა დამალულთა ყირიმთა კაც-
თა, შეიპყრობდენ, მოჰკდიდენ დოლბანდსა
და, თუ რამე ჰქონდათ, წაართმეუდენ და
15 კაცთა შეიწყალებდენ და გაწუტეუებდენ. ესე-
თი გამარჯვება მოსცა ღმ̄თნ ქართველთა. და
შემოიქცნენ გამარჯვებულნი და აღსავსენი
საქონლითა და ჰქონდათ ლხინი და სიხა-
რული.

20 252. მაშინ არჩივს, რაოდენიცა კაცნი დაე-
A კ̄იდ 10 ჯოცათ ყირიმთაგანი, დასჭრეს თავები და წარ-
მოუგზავნეს ყეენს და || მიულოცეს გამარჯვება.
და გაუძღვანეს² წინა გარასპი ფავნელისშვი-
ლი და, რა მივიდა და მიაართვეს ყეენსა თა-
ვები, იამა დიდათ და დაუმაღლა მეფესა: გა-
25 მოუგზავნა მრავალი წყალობა და მოულოცა
მანცა გამარჯვება.

253. და ამა შინა უფროსად განმდიდრდა
მოურავი: მოიპოვა. ღონე ესე, რ̄ ცოლი არა

¹ A: მოსავიდელზედა.

² A: სწერია „უძღვნეს“, წინ სხვა, უშნო ხელით
სწერია „გ“.

120

ესვა მეფესა ლუარსაბს, ყმაწვილიცა იყო, არ-
ჩივა მოურავმა, დაჰპატიჟა მეფესა და დახუ-
და კეთილად და გამოჩვენებით. და სმაშიგან
გამხიარულდა დიდად მეფე ლუარსაბ. მაშინ
3ყუანდა მოურავსა და ერთი მეტად შვენიე-
5 რი და კეკლუცი და დააყენა მეღვინეთ თავს
მეფესა. და მოეწონა მეტად დიდად და ეტრ-
ფიალა.

254. მაშინ მოურავს წინათვე განეგულა გულ-
სა შინა, რ̄ წინათ რომ მოურავმა ღალატი
10 დასწამა მეფეს, ჰგონებდა არ დამინდობსო,
ესრეთ განიზრახა, ვ̄დ მოეწონება და ჩემი
დიდად მეფესა და ეტრფიალება და მაშინ
მოინდომებს დასა ჩემსა და მივცემ ცოლად,
15 და, უკეთუ არ ინდომებს ცოლად, მაშინ
A კ̄იდ 11 ვინცვინ ჩემნი მოკიდებულნი კაცნი არიან,

უფროსად ყოველნივე მე მომიდგებიან, და მე-
ფეს შეუორგულდებიან¹ და ამით წავახდენო,
და თუ ცოლად შეირთავს, მტერნი ჩემნი
გაუორგულდებიან და მეფეს ჩემის მეტი ღო- 20
ნე არ ექნება, და რა კელთ ჩამომივარდება,
რასაც (sic) მინდა, ვიქო. დაასკუნა რჩეუა ესე.

და იყუნენ ლხინზედა დიდად მხიარულნი და
მოეწონა მეფესა ქალი იგი. დღესა მეორესა
მიუგზავნა კაცი მეფემან და სთხოვა ცოლად 25
და თუსი მოურავსა.

მაშინ მოურავმა მოახსენა ხერხით: „მეფეო,
მე უარ² (sic) ერთი მდაბალი ყმა შენი, და-

¹ A: შეორგულდებიან.

² A: მყუარ.

5 ღაცა თუ ჟამისა ამის წყალობითა და თქუენის
მრავლის კეთილის ბოძებითა განმდიდრებულ-
ვარ და დიდ არს სახელი ჩემიო, არამედ მტერ-
ნი ჩემნი დასა ჩემსა დედოფლად არავინ მიიჩ-
ნეუს და არცავინ¹ განდომებს თავსა ჩემსა, და-
გიწყებენ ბეზლობასა და გამიწყრომებენ თქუენს
თავსაო.

A კ~იდ 12
10 და ამისი რა მოციქული გაუგზავნა, მაშინ-
ლა კ~დ აცნობა მოურავმა || დედასაცა მეფისა-
სა, კ~დ კერვით და შეეხვეწა, რომე „თქვე-
ნი შვილი, მეფე ლუარსაბ, ჩემს დას მთხოვ-
სო ცოლად და მე ჩემის ნებით არ ვაძლეო
და ამაზედ მომეკმარენით, რომ კაის საქმით
მომარჩინოთ“.

15 **255.** მაშინ, სცნა რა საქმე ესე მეფემან, არა
უსმინა და შეირთო და მოურავისა.

20 ხ~ დედა მეფისა იყო ქალი ლიპარტიანისა,
სახელით მარიამ. მაშინ, რა სცნა ქორწილი,
დაუმძიმა და დიდათ, მაგრამ ველარა გააწყო რა.
და მოიყუნა ქალი ტურფად შვენიერი და
ჰყვანდა თვესა რაოდენსამე.

25 მაშინ თავადთა და დიდებულთა ქართლი-
სათა და, რომელიცა არა იყო მოურავის მო-
ყუარე, იწყინეს და დაუწყეს ბეზლობა მოუ-
რავსა და ეტყოდეს მეფესა მტერნი მოურა-
ვისანი, ვ~დ „მოურავი კაცი დიდად კარგი

არისო, მაგრამ ჩვენზედ დიდად უმცირესი არისო და მრწემესი (sic) გვართათო. ჩვენ იმათ ² ცოლნი და შვილნი და თავნი ყმად რად მივ-

¹ A: არცავი.

² A: იმათა.

122

A კ~იდ 13	ციტო და უმეტესად სუფრაჯმან შადიმან ბართაშვილმა დაუცადებლად დაუწყო ბეზლობა მოურავსა.	
	დაღაცა თუ არა ენება მეფესა მოურავის გამომეტება, არამედ დიდად აიძულეს სიტყუითა და ჟამ ყოველ განაზრახებდეს მეფესა განტეუებასა სულიერისა მის წმინდისა ქორწინებისაგან. და დიდად უარის ყოფასა და არა რწმუნებასა წმინდისა სახარებისასა ვ~დ „რომელნი ღ~თნ შეაუღლნა, კაცნი ნუ განაშორებენ“, და ამისთვის დიდად უბრალო იყო მეფე და არა სწადოდა განტეუება ღთისაგან მიცემულისა მეუღლისა. დიდად მიაჭირვეს სიტყუითა და დაჰყუა მეფე რჩეუასა მათსა და ებძანა განტეუება.	5 10 15
	256. და, რა ამაზედ დაიყოლიეს მეფე, კ~დ იკადრეს სრულიად ამოწყუეტა და გათავება მოურავისა. და შეატყუეს მეფესა, რომ ყრმა არისო და რასაც მოვახსენებთ, ვერ ურჩ გვექმნებაო. კ~დ შესძინეს ბოროტი ბოროტსა ზედა და მოახსენეს: „ვინათგან დაუტეობ და დაუგდებ მოურავსა დასა, ესე უწყით, რომე ამას მოურავი არ დასთმობს, დიდად სახელოვანი კაცი არის, გაგიორგულდება და ბეური ავი მოჰყდებაო“. მაშინ ურჩიეს ღალატი და სიკუდილი მოურავისა.	20 25
A კ~იდ 14	257. და იდგა მეფე ლუარსაზ მას ჟამსა წავკისის თავსა. და მაშინ იწმო მოურავი და აწვიეს, ვ~დ ყარაიას ვინადიირებთო; მოდით და შეუქცეთო. მაშინდა მსწრაფლ მოვიდა მოურავი უხაროდ და არა უწყოდა საქმე გაგე-	30
		123

ბული მას ზედა. და სწადდა მეფესა ხვალი-

სა დღე სიკუდილი მოურავისა ღალატითა.

5 258. დაასკუნეს რა საქმე ესე, არა დაფარა
ლ^თნ საქმე ესე, არამედ იკსნა მეფე ლუარსაბ
უბრალოს კაცის სიკუდილისაგან და სისხ-
ლისაგან: და მოვიდა მოურავთანა ფარეშთხუ-
ცესი ხერხეულიძე ბააკა და გაამჟღავნა მეფე.

10 ხ^ს სცნა რა ესე მეფემან ფარეშთხუცესი-
საგან, რომელ არაოდეს უყოფიეს კაცსა გო-
ნიერსა განთქმა საიდუმლო მეფისა თვისისა,
შეიპყრა ფარეშთხუცესი და დააჭრეს ცხვირ-
პირი. და, რაც ოდენ ამას ქუემოთ წერილ არს,
მოთხრა სახლისა მეფისა და აოკრება საქართ-
ველოსი, ყოველივე სიტყუითა || ბააკასითა
15 იქმნა.

A კ^სიდ 15
15

20 259. ხ^ს სცნა რა მოურავმან საქმე ესე, გარ-
დიხვეწა შიშველა სახურავიანის ცხენითა და
განვლო გზა გელიყარისა და მივიდა ნოსტევეს,
აპყარა ცოლშვილი თვისი და მივიდა დიდგო-
რის მთასა. გაპყუნენ ყმანი თვისნი.

25 260. ხ^ს გამოუსია მეფემან სპა და მოვიდენ
ნოსტეუს და მოიცვეს ნოსტევი და შეუკ-
რეს გზები ყოვლგნით. მაშინ მოურავი შეჯდა
და წარმოვიდა ცოლშვილიანათ მთა-მთა,
ჩამოვლო უგზოდ მთები, უგრძნობელად ყოველ-
თა მდეუართაგან და ჩამოვიდა მცხეთას. და
დახუდა საბაჟოს გზა შეკრული და ჯიდიცა. და
მაშინლა განვლო უგრძნობელად მცველთა და
განვიდა არაგვს ზეით ღამით ადიდებულსა
30 მტკუარსა ცხენის ცურვითა ცოლშვილიანად
უზიანოდ, რომე არარა წახდენია წყლითა.

124

მაშინ განსრულმან თაყუანისცა მჭურვალად
(sic) სვეტსა ცხოველსა ღ^თივ-აღმართებულ-
სა და წარვიდა არაგვს ერისთვს ნუგზარისასა.

A კ^სიდ 16

5 261. ხ^ს ესე ნუგზარ არაგვს ერისთვს მამაპაპა-
თა ამოსწყუიტეს პატრონი ჳევისა თექთურმა-
ნისძე და დაიჭირეს ჳევი და მიერიოგან || მისცა
მეფემან რომელთამე ¹ ჳადა, რომელთამე მთიუ-
ლეთი და რომელთამე დუშეთი და ანანური
და იქმნეს ჳევისა მის ერისთავად.

10 და ამა ნუგზარ ერისთვსა ქალი ედგა მოუ-
რავსა და, რა სცნა ნუგზარ საქმე მოურავისა

5

10

და მისვლა მისი სახლად მისა, მიეგება წინა
მისაქციელსა, სოფელსა მუხრანისასა, და წა-
რუძღვა წინა და წარიყვანა სახლსა თვსსა
დუშეთს. 15

262. და ესე მოურავი იყო კაცი მცდელი და
ილათიანი, და ურჩია ნუგზარს გაყოლა თვსთა
თანა მრავლითა რჩეულითა, საქმისა ჩვენებითა.
და დაუჯერა ნუგზარ ერისთავმანცა და და[ა]ს-
კუნეს წარსულა ყეენთანა. და მუნ მეფისა გა- 20
მაგრება არა შეეძლოთ, და გაჰყუა ნუგზარ-
ცა. და წარვიდენ მუნით და განვიდენ ლი-
ლოსა და მუნით გაჰკდეს ყურყუთას მტკუარს
ფონად და განვიდენ და მივიდენ აღჯაყალასა.

263. და, რა ნახეს მისვლა მათი აღჯაყალას 25
მყოფთა თათართა, განიხარეს და მიაჰყრეს პა-
ტივი დიდი. ხანსა რაოდენსამე მუნ იყუნენ
და მოურავმა ცოლშვილი იქ || დაადლო, და თვთ
წარვიდა შააბაზ ყეენთანა. და რა ნახა შააბაზ,

A კ~იე 1

¹ A: რომელმანმე.

განიხარა დიდად, მრავალი ნიჭი და საბოძ-
ვარი უბოძა.

264. მას ჟამსა წარვიდა შააბაზ აღებად
ყანდაარისა, მუნ იახლენ, ბრძოლასა და ციხის
5 აღებაში დიდად კარგად და სახელოვნად იყუნენ.
და მუნით დაბრუნდა შააბაზ და წარვიდა
ბაღდადს. მუნცა თანა ახლდენ, კარგად, მცნედ
და მამაცად იყუნენ და გულოვნად. და რა
10 გაარიგა შააბაზ მუნებური საქმე, წარმოვიდა
და მოვიდა ისპანს.

265. მაშინ მოურავიცა დაჰპირდა ქართლის
დაჭერასა და კახეთისასა და თვთანც უნდოდა
შააბაზს და დართო ნება შააბაზ წამოსვლისა.

266. და ხანსა რაოდენსამე უკან მოვიდა გან-
15 ჯას უგრძნობლად და უცნაურად მეფისა და კახის
ბატონისა. და, რა მოვიდა განჯას, მოუგზავნა
კაცი კახ-ბატონს თეიმურაზს და შემოუთვალა,
ვ~დ „შენი შვილი მომეცო. და რა სცნა
20 საქმე ესე თეიმურაზ, იცოდა, რომ შააბაზ
კაცი ხვანჯიანი და დაუნდობარი და ილათი-
ანი იყო, და ესეც უწყოდა, რომ არც მე

A კ~იე 2 დამინდობსო, იმასთან || გაზდილი კაცი ვარო და არა უნდოდა გაგზავნა შვილისა, რ' უწყოდა, რომ არც შვილს დაინდობდა, არცა მას.

25 მაგრამ დაუჟინეს კახთა და არა დაეხსნენ. რომ მეტად ძალა უყუეს, მაშინ გაუგზავნეს ძე თვისი ალექსანდრე, ნაშობი გურიელის ქალისაგან, და დედაცა თვისი ქეთეუან თან გაატანა ამისთვის, რომე უფრო პატივ დამდებს

30 და არას აწყენს შვილსა ჩემსაო, - და შეეხვეწა გაუწყრომლობასა.

126

267. და, რა მივიდა დედოფალი ქეთეუან, სცა პატივი დიდი. და, რა ნახა შვილიშვილი მისი ალექსანდრე, უთხრა: „ძიძა ხომ არა ვარო, ყენმა, რომ ასეთი პატარა ყმაწვილი გამოუგზავნიაო, რასთვის უფროსი შვილი არ გამომიგზავნაო. თუ ჩემი შერიგება უნდაო, უფროსი შვილი გამოგზავნოსო. და გამოუგზავნა კაცი და სთხოვა უფროსი შვილი. არ უნდოდა კახბატონს თეიმურაზს გაგზავნა უფროსისა შვილისა და დედოფალს ქეთეუანსაც შემოეთვალა, ნუ გამოუგზავნიო. და არა სწადდა გაგზავნა თეიმურაზს, მაგრამ არ დაეხსნენ კახნი და ეტყოდეს: „არ შენც იქ იყო, რა დაგიმარცხდაო ქუეყანასა რასთვის წახდენინებო? რადგან არ დაეხსნენ კახნი, მაშინ გაუგზავნა უფროსი შვილიცა ლეუან. და, რა მოუვიდა ესეცა, მაშინლა გამოუგზავნა კიდეუ კაცი შააბაზ თეიმურაზს: „რადგან ამისთანა ერთგული კაცი ხარო, შენცა მოდი და მნახეო და მრავალს წყალობას გიზამო". და, რა მოუვიდა ანბავი ესე, მაშინ ბატონმა თეიმურაზც დააჯერა გული და კახთაც შეიტყუეს, რომ უნდოდა ამოსავარდნელად.

268. მაშინ ეზრახნენ მეფესა ქართლისასა ლუარსაბს, რომე, „რადგან მოყუარენიცა ვართ და სჯობს ქუეყნისათვის, ამ საქმეზე გავერთდეთ, რ' შენცა უწყი შააბაზ ყენი საქართველოსათვის ავი არის და მოურავიც ხომ მტერი არის შენი და იმას მოჰყავს ყენი და უნდათ ქუეყნის წახდენა, გავერთდეთ". და მაკმინ გაერთდენ და მისცეს ფიცი || მტკიცე ერთმანერთსა.

A კ~იე 3

A კ~იე 4

და შემოიყარა თეიმურაზ კახნი და დადგა
მაგრა.

269. და, რა სცნა საქმე ესე შააბაზ, წარმო-
ვიდა ¹ თვთ და მოვიდა კახეთს. და შეიყარა თეი-
მურაზცა ჯარი და შააბაზ ყეენმ[ა]ც წარგზავნა
5 სპა თვისი წინა და გარდაუყენა ჟალეთს, და
თვთ შააბაზ მივიდა ბატონს თეიმურაზზედა.
და ვერღარა დაუდგა თეიმურაზ და წარმო-
ვიდა. და მოუჰდა წინა გარდაყენებულთა
10 ჟალეთს მდგომთა ყიზილბაშთა, შემოება მჰნედ.
მისცა ღ~თნ ძლეუა, გაემარჯვა ბატონს თეი-
მურაზს: ამოსწყუიტა და მოსრა პირითა მა-
ხვილისათა ყოველნივე. წარმოვიდა და მოვი-
და მუხრა[ნ]ს და შემოეყარა მეფესა ლუარსაბს.

270. პირველ თურმე ერჩივა მოურავს შააბაზ
ყეენისათეს ესრეთ, ვ~დ „ქართლში ზამთარ
მიდიო, ხიზანი მთაში ვერ შეუათ და, რასაც გინ-
და, იქო, და, თუმცა მთაში შეუიდელო, თოვლი
და სიცივე ამოსწყუეტსო. || და ესმინა შააბაზს
A კ~იე 5 სიტყუა მოურავისა და მოვიდა თვესა იანვარსა
20 ხუთსა ქრისტეს აქათ:, ჩქ~კდ:, და აღილო ციხე
თორღისა შააბაზ და გამოილო ყოველივე
საგანძური კახეთისა. და შემუსრა ჯელითა
თვისითა წმინდა გიორგი ალავერდისა და
25 შემუსრნა პატიოსანნი ხატნი და ჯვარნი და
შემოსძარცუნა პატიოსანნი თვალნი და მარ-
გალიტი, მისცა მეძავთა, ცოლსა და ხარჭათა
მისთა და ყო სამკაულად მათდა. და შეაგინნა
წმიდანი ეკლესიანი კახეთისანი, და წარმო-
30 ემართა ქართლსა ზედა.

¹ A: წარმოვიდა.

271. მაშინ ინებეს ქართველთა ომი, მაგრამე
ვეღარა გააწყუეს რა და ვერცა დაუდგენ
სიმრავლისაგან ჯართასა.

მაშინ წარვიდა მეფე ლუარსაბ და კახი-
ბატონი თეიმურაზ იმერეთს. და მოეგება
მკვრობელი იმერეთისა გიორგი, ითვისა კეთი-

ლად და მიუჩინა ალაგები და დააყენა.

A კ~იე 6
272. ხ~ შააბაზ მოვიდა გორსა და დადგა მუნ.
და წარუგზავნა მპყრობელსა იმერეთისასა
კაცი შააბაზ და შეუთვალა ესრეთ, ვ~დ „მო- 10
მეც ეგევე ორნივე მეფენი და აღგავსებ მრა||ვ-
ლითა ნიჭითა და საბოძვრითა“. ხ~ მპყრობელსა
იმერეთისასა რა ესმა საქმე ესე, გაუგზავნა
კ~ოზი აფხაზეთისა მალაქია და აბაშიძე ლეუან
მოციქულად და გამოუგზავნა ფეშქაშიცა მრა- 15
ვალი და შემოუთვალა ესრეთ, ვ~დ „ამათი
მოცემა ჩემგან არ იქნებისო, და ჳელმწიფემ
ამდენი წყალობა გუიყოს და დაგვდვას პატივი,
რომე ესენი ისეუ შაირიგოს და თვთონ წაბ- 20
ძანდეს და დაანებოს ამათ ამათი მამული და
საბატონო.

და რა მოვიდა კ~ოზი მალაქია და აბაშიძე
ლევან, და თანა ახლდათ ყენის გაგზავნილი
კაცი, - და რა მივიდა, დიდათ პატივსცა
ყენმან და დახუდა კარგად. 25

273. და რა სცნა მოუცემლობა მეფისა და
თეიმურაზისა იმერეთის ბატონის გიორგისა-
გან, ველარა გააწყო რა შააბაზ. და მაშინდა
მოიპოვა ჳელოვნება და ღონე ილათისა,
რათამცა ჳერჯით მოაგვაროს. და მოიწმო 30

129

A კ~იე 7
კ~ოზი მალაქია და აბაშიძე ლეუან და შეუთვა-
ლა ესრეთ .მპყრობელსა იმერეთისასა გიორგის:
„რადგან შუა ჩამოსულ || ხარო, მე მეფე ლუარ-
საბთანა არცა რა საქმე მაქუსო და არც- 5
არას ვემდღურვიო და არც მაგის წასახდენად
მოვსულვარო. ბატონი თეიმურაზ ჩემი მტერი
არისო, მაგას არც შევირიგებ და არც მინდა.
მეფეს ლუარსაბს კიდეც შეუიერიგებ (sic) და, თუ
მოვა და შემომრიგდება, წყალობასაც უზამ“.

10 და, რა მათ ესე სიტყვა დააბარა და გაი-
სტუმრა, მოიწმო შადიმან სუფრაჯი, რომელი
იყო გამზდელი ლუარსაბისა, და დაიწყო
ტირილი შააბაზ ყენმა და თქუა: „მე მეფეს
ლუარსაბს როგორ წავახდენო, მეფის სვიმო- 15
ნის შვილის შვილსა და მეფის გიორგის შვილსა
მე ავსა და ურიგოს როდის ვკადრებო, მაგ-
რამ ეს თეიმურაზ მიცდინაო და მომიტყუაო.

20

ესე იცოდე, თუ მეფე ლუარსაბ მოვა და შემომრიგდებო, დიდს წყალობას უზამო და გავამდიდრებო. და მისცა ფიცი საშინელი და საფიცარი და იტირა ბეური.

A კ~იე 8

274. და რა ნახა შადიმან ესევეთარი ტირილი და საფიცარი შააბაზისა, მაშინ დააჯერა გული. რომ მეფეს ლუარსაბს ¹ ყენი დიდს წყალობას უზამსო და კიდევ შეირიგებსო, || ამაზედ დიდად დააჯერა გული.

ხ~ ამას ყოველსავე კერჯითა და ილათითა იქმოდა შააბაზ. მაშინ გაუგზავნა შადიმან

¹ A: ლუარსაბ.

130

სუფრაჯი და გაატანა ერთი გულის სანდო ერთგული ხოჯა ყენმან და მისწერა წიგნი და საფიცარი და გაუგზავნა მურასა ჯმალი.

მაშინლა ჰყუნდა შააბაზს ცოლად და მეფისა ლუარსაბისა და მასცა მიაწერინა წიგნი და იჯმო მეფე ლუარსაბ, რ~ დაატყუა დაცა მეფისა. და მისცა მრავალი საბოძვარი და საჩუქარი კ~ოზს მალაქიას და აბაშიძეს ლეუანს და აღავსო პირთამდი.

5

275. რა მივიდნენ ესენი მეფესა ლუარსაბსა თანა და გიორგის იმერეთის მჰყრობელთანა, მოახსენეს ანბავი ესე ყენისაგან დანაბარები და აუწყეს ყოველივე. და შადიმანც საფიცარი აჩვენა. და ხოჯამ ჯმალი მიართვა, და მიართვეს დისა მისისაგან მიწერილი წიგნი. მაშინ- და დააჯერა გული მეფემან ლუარსაბ და აემზადა წამოსასულელად.

10

15

A კ~იე 9

276. და პატრონმა იმერეთისამა გიორგიმ შეატყობინა დადიანს ლეუანს და გუ || რიელს მამიას, რომელი იყო ესე გურიელი მამია ძე ვახტანგ გურიელისა. მაშინ მოვიდენ ისინი და შეიყარნენ ერთად. ურჩიეს ბატონმან თეიმურაზცა და სრულიად იმერელთა, რომე ყიზილბაშთ მრავალი ტყუილი იციანო და დაუნდობარნი კაცნიც არიანო, არც შენ დაგინდობენო, ნუ წახვალო.

25

ხ~ მან არა უსმინა და წარმოვიდა. გაჰმოყუნენ გზასა რაოდენსამე თანა და გამოესალ-

მნენ და დაბრუნდენ, ისინი იქით წავიდენ
და მეფე ლუარსაბ წარმოვიდა და მოვიდა
შააბაზ ყეენტანა გორს.

30

131

277. და ყეენმა არც იჩემა წინა-მიგებება,
არამედ სანადიროდ ცხენს შეჯდა და წინ შემო-
ყვარა, პატივისცა ლუარსაბს და მოიყუანა
თვსთა თანა და დიდად განიხარა ¹ ყეენმა შაა-
5 ბაზ და სცა დიდი პატივი. ხ~ ხანსა რაოდენ-
სამე იყუნენ შექცეუაშიგან, ხ~ შემდგომად
ამისა თქუა გულსა შინა ყეენმან შააბაზ და ეში-
ნოდა, ნუ უკუე ქართველთა არავინ გამოუ-
A კ~ იე 10 ცვალოს გულიო და არა აღადგინოს || შფოთიო,
10 ხანსა რაოდენსამე უკანა შააბაზ ინება წარსუ-
ლად ტფილისად. და უთხრა მეფესა ლუარ-
საბს: „წარვიდეთ ტფილის[ს]აო და ვილხინოთ
მუნცაო და შეუექცეთო, შენ მუნ დაგაგდებ
და მე წავალო. და რა ჩავიდენ ტფილისს,
15 მუნ რქუა: „წარვიდეთ ყარაიაზედ და ვინა-
დიროთ და შევიქცეთ ნადირობითა და ლხინი-
თაო, შენ დაგაბრუნებ და მე წავალო. რა
მივიდენ ყარაიაში, შემოავლეს ჯელგა დიდი
და არამიცა თანა ახლდენ მაშინ არმისათვს
20 კარავი (sic) და შუაში შემოავლეს თეჯირი,
და თვთ შააბაზ და ლუარსაბ დაკარდენ და
მოემზადნენ სასროლად.

278. რ~ ესე მეფე ლუარსაბ იყო კაცი შვენი-
ერი და კეკლუცი და სანახავად სატრფიალო და
25 არსად გამოსულა ამისთანა შვენიერი და შემ-
კობილი კაცი, ყოვლისა სამღ~თო-საკაცო-
ბოთ ზნეობით გათავებული და უკლები.

მაშინ მოინადირეს ყარაია. და მოკლა მეფე-
მან ლუარსაბ კარზედა ცხრამეტი. და, რა ნახა

1 A: განეხარა.

132

A კ~ იე 11 ესე შააბაზ, უფროსად აღეგზნა გულსა || მისსა
შური მისი და გაუმტერდა, დაღაცათუ პირის-
პირ დიდს ქებას ეუბნებოდა და ეფერებოდა,
ა~ დ გულში დიდად ემტერებოდა და არჩეუდა

	ამისთვის ბოროტსა.	5
	279. მაშინ დამან მეფისამანცა გაუგზავნა საიდუმლოდ წიგნი და ასწავა: „ამას ასე გამოჩვენებით, სიკეთით და შვენნიერებით ნუ ეჩვენებით, მე ვიცი ამისი ანბავი, რომ შურიანი და ხვანჯიანი კაცი არისო და ეწყინებაო შენი სიკეთე გულშიაო, პირად-კი ვერას გეტყუისო, მაგრამ ერიდე და ფრიხილად იყაო. მაშინ მეფემან ლუარსაბ უთხრა: „აწ რა ვქნა, რაგინდ რომ ავად ვეჩვენო და ჰელი შეუწყო, ეს ხომ ვიცი, აღარ გამიშვებსო და, რადგან კი აღარ გამიშვებსო, ისეუ ისეუე კარგად ვეჩვენებო ისი სჯობსო.	10
	280. და ქონდა შური დიდი მისთვის იდუმალ. მაშინ უთხრა შაბაზ: „რადგან ამისთანა მონადირე კაცი ხარო და უებრო მშვილდოსანიო, ყარაბალი დიად კარგი სანადირო და შესაქცეული ადგილი არისო და წარვიდეთ იქაცაო და შეუექცეთო, მოვინადიროთ და ვილხინოთო. და წარიყუნა მუნცა.	20
A კ~იე 12	და ხანსა რაოდანსამე უკანა კ~დ უთხრა: 2 „გილან-მაზანდარა და მისი გარემონი ქუეყნბიცა კარგი სანადირო არისო, წარვიდეთ მუნცაო და შეუექცეთო.	5
	281. და რა მიიყუნა აშრაფს, მაშინ დაჰპატიჟა სჯული, ხ~ მან არა უსმინა და არცა უარყო სჯული თვისი. მაშინ განრისხნა შაბაზ და	30
		133

	იგონებდა ბოროტსა მეფის ლუარსაბისათვის: და აღუთქმიდა მრავალსა ნიჭსა და სიტყუითა ლიქნისათა, ზაკუით ჰგონებდა ცთუნებად და მიქცევად სჯულსა მისსა ზედან, რეცათუ დაარწმუნოს ვერაგობითა თვისითა, და ვერ მძლე ექმნა, ა~დ ამაო იქმნა სიციბილი მისი და ვერ ეწიფა ნებასა გულისა თვისისასა. უმეტესად აღივსო შურითა, ვ~ა იტყუის დავით: „უმზირინ ცოდვილი მართალსა და იღრჭინის მის ზედა კბილნი მისნი, ხ~ უფალი ეცინინ მას, რ~ წინასწარ ხედავს მას“ და შემდგომნი ამისნი. მაშინ ესმნეს სიტყუანი ესე მძლავრისა მიერ მეფესა ლუარსაბსა, არად შერაცხა რისხვა მძლავრისა, ა~დ ეგო, ვ~ა ანდამატი, და	5
A კ~იე 13		10

15 შეუძვრელ ვა კლდე, და უშიშ იყო, ვა
 ლომი საყოფელსა თვსსა, - და არა.იგონებ-
 და წარმავალსა, ქუეყნიერსა ზრუნვასა, ად
 ზეცად მიმართ აღაფრენდა გულსა და გო-
 ნებასა თვსსა. ვა ორბი ზეაღმფრინვალე
 20 ეთერისა მიმართ, ეგრეთ განახლებად ის-
 წრაფდა და შემოსად სულიერისა სამოს-
 ლისასა და განგდებად ¹ თმისა ამის მოკუ-
 დავის და შემოსად უკუდავისა მის, რომელი
 მოსიეს წმიდათა მცნეთა მოწამეთა, და, წარ-
 25 მომთქმელი სიტყუასა მოციქულისა, ვდ
 „გული მითქუამსო განსვლად და ყოფად ქრის-
 ტეს თანა“, განიცდიდა სიმცნესა და ღვაწლსა
 წმინდათა მოწამეთასა და გვრგვნს.ა: და მოსაგე-
 ბელსა მათსა. და უფროსად მოზამავ და სამ-

¹ A: განგებად.

134

A კი 14

ღთოდ მოშურნე ქმნილიყო მეფეთა შორის
 წარჩინებულისა და მოწამისა მეფისა არჩი-
 ლისა და ვახტანგისა და იტყოდა მოციქული-
 სა მიერ თქმულსა მას: „უკეთუ მოვკუდე ქრის-
 ტესთვის, მრწამს, რა მისთანაცა ვსცხონდეთ და, 5
 უკეთუ მან სახიერმან სიკუდილითა თვსითა
 გვკსნა ჯოჯოხეთ || ისაგან ქუესკნელისა, ჩვენ-
 ცა თანა-გვაც)-, რათამცა დავსთხივნეთ სის-
 ხლი მისთვის და არა ვრიდოთ თავთა ჩვენთა:
 მისთვის ნეტარ თუმცა ღირს მყოს სახიერმან 10
 მან, რათამცა არა ერთგზის და ორგზის მივ-
 სცე თავი ჩემი სიკუდილსა, ად მრავალგზის,
 რომელმან მიბრძანა ჳმითა მით საუფ-
 ლოთა «ნუ გეშინინ რომელთა მოგწყუდიდნენ
 ჳორცნი, ხა სულისა ვერ ჳელეწიფების მოწ- 15
 ყუედად» და კდ) «რომელმან აღმიაროს მე
 წინაშე კაცთა, მეცა აღვიარო იგი წინაშე მა-
 მისა ჩემისა ზეცათასა». ვინადგან იგი ესრეთ
 აღმითქუამს გვრგვინსა მას დაუჭნობელსა და
 მოსაგებელსა, რომელი თვალმან არა იხილა 20
 და ყურსა არა ესმა, ხა გულსა კაცისასა არა
 მოუჳდა და ესეცა უწყი, ვითარმედ სიკუდი-
 ლისა თანამდებ ვართ და უნებელად თანა-მაც
 განსვლა სულისა და განშორება ჳორცთაგან,

A კ~იე 15 მეგულვების გარდაცვალება თიჯოანთა ამათ 25
 თბეთა და დაჯსნად ნასხამთა ამათ და ანა-
 ქუსთა ჩემთა. ნანდვილ || კეთილარს ჩემდა,
 რათა მოსწრაფედ ვრბიოდე ასპარეზს მას
 ზედა ძლეუისასა და მოვაკუდინო ასონი ქუე-
 ყანისანი და შევიმოსო უკუდავი, ვინათგან 30
 უეჭველად ესე ყოფად არს. რაღა ყენება არს:

135

ჩემდა და არა ვისწრაფი შესვლად ქორწილსა
 სიძისა მის შვენიერისასა და უკუდავისსა? და
 მზა არს ჩემდა მოცემად ჳელითა თჯსითა
 გვრგვინსა მას უხრწნელებისასა. აჰა, ჟამი
 5 შეწყნარებული და დღე სათნო უფლისა".
 და უწყოდა წინასწარვე არა შეწყალება და
 უღმობელობა მძლავრისა მის შააბაზისა, მა-
 შინ ევედრებოდა გულითა მჯურვალითა და
 ცრემლითა ნაკადულითა და ზედასა ზედა მი-
 10 წეუნითა გარდაიხდიდა დღეთა მარხვითა.

282. კ~ დ აიძულა შააბაზ დატევება სჯულისა
 და არა ისმინა. მაშინდა განუჩინა ტყუეობა
 ციხესა მას, რომელსა ჳქუიან გულაბყალა, და
 მუნ განეგულა აღსასრული მისი.

15 **283.** მაშინ აუწყა ქართველთა, რომელნიცა
 ჳყუეს თანა, და წარმოუთხრა ყოველივე ანდერ-
 ძი თჯსი და უბრძანა ესრეთ: „ესერა დაუტე-
 20 ობ საწუთოსა ამას || სოფელსა და განგეშორე-
 ბი თქუენგან და წარვალ მეუფისა ჩემისა

A კ~იე 16
 20 ღ~თისა წინაშე, რომლისათჯსცა მსუროდა.
 გარნა ნუ დამივიწყებთ და ესე-მებრ სიტყუა
 გეკსენედ და ცრემლით მგოდებდით, რომელ-
 ნიცა ხართ ჩემთანა აღზრდილნი და რომელ-
 ნიმე ხართ გამზრდელნი ჩემნი და ნუ უგულე-
 25 ბელს ჳყოფთ ტკბილად პატრონს ყმურებრ
 მეგობრობასა და სიყუარულსა ჩემსა, რ~ მნე-
 ბავს თქუენ მიერ, რათა წესისაებრ საქართ-
 ველოსა აღუტეოთ ზარი და ჳმა დაფლვისა
 ჩემისა და ეგრეთ სტიროდეთ ჩემზედა, რ~
 30 ამიერითგან არღარა მეგულვების სმენა ჳმისა
 თქუენისა, ა~ დ მეგულვების სმენა ჳმისა მის

ანგელოზებრივისა სიხარულისა და ზატიკობისა".

A კვიზ 1

284. მაშინ აღუტეუეს ქართველთ ჳმა რა მათ გოდებისა და ტირილისა, ვა რაქაელ სტიროდა შვილთა თჳსთა და არა უნდა ნუგეშინის ცემის, და ტიროდენ ზარითა წესსა ზედა საქართველოსასა. და თჳთ მწოლარე იყო მეფე ლუარსაბ და მიუტირებდენ ქართველნი || ჳმითა საზარელითა და ტირილითა უნუგეშინისცემოთა, და ეგრეთვე მეფე ლუარსაბ მიუგებდა და მეტყუელებდა სიტყუასა მწარესა განშორებისა მათისათჳს. და ესრეთ აღასრულეს წესი ცხედრისა და იყო ჳმა ტირილისა და გლოვისა.

285. მაშინ მოუწოდა ეფისკოპოზსა, რომელი ჰყუეს თანა, მღდელთა და დიაკუნთა და უბძანა მოღება წმინდათა ქრისტეს საიდუმლოთა ჳორცსა და სისხლსა ცხოველს(sic)-მყოფელსა. მაშინ აღიპყრნა ჳელნი თჳსნი ზეცად მიმართ და შემჳკვალნა თვალნი გონებისა მისისანი, მგზავსად მწყურნებითა ნეკტარობდა და მცენებელობდა თვალთაგან ნაკადულსა ცრემლთასა, და ნილოსისაებრ რწყუიდა ორნატთა ჯეჯლთა სულისა თჳსისათა და მეტყუელებდა ფსალმუნსა ამას: „შენთჳს მოვწყდები ქრისტე ღთო ჩემო, ვა ცხოვარი კუოლალო და აწ ღირს მყავ ზიარებად წმიდათა შენთა საიდუმლოთა", და მაშინღა ეზიარა ში-

¹ ამ რვეულითგან მოყოლებული უფრო მდარე და უმწო ხელით არის დაწერილი.

A კვიზ 2

5

10

შითა და კრძალულებითა. და ოდეს ეზიარა, მაშინ || მადლობდა ღთსა და იტყოდა „შენ უწყი უფალო ჩემო, იესო ქრისტე, ვითარ არცა ანგარებითა, არცა სიმდიდრის მოყუარებითა დაუტევე მამული და საყოფელი ჩემი და ვერცავინ შემძლებელ იყო შეპყრობად ჩემდა და ვერცა გამოყუანებად სიმაგრეთა მათგან, რომელსა მე ვიყოფოდი, არამედ მანქანებითა და ჳელოვნებითა მძლავრისა ამის ბოროტისათა და ზაკუითა ეშმაკისა, მოყუარეთა

და მსახურთა მისთა, ბოროტთა კაცთათა, წარ-
 მოვედ და მოვედ მძლავრისა ამის. და უფრო-
 სად მწუხარე ვიყავ და მელმოდა გულსა ია-
 ვარ-ყოფა საქართველოსი, შერეუა წმიდათა
 15 ხატთა და ჯვართა და დარღვევა წმიდათა
 ეკლესიათა. და უკეთუმცა ხ~ მე განვერი ჰელ-
 თაგან მათთა, მაშინლა განწყუნელ იყო ხელ-
 თაგან მათთა და მოოჯრებულ, ვ~ ა იერუსალიმი
 20 ნაბუქოდონოსორის მიერ, ეგრეთვე სუროდა სა-
 ქართველოსათსცა მძლავრსა მას და სწადოდა
 სრულიად იავარყოფა, არამედ აღძრულმან და
 A კ~ ივ 3 ბრძანებისა შენისა მსმენელმან || ვყავ წინააღ-
 რჩევით საქმე ესე, რომელმან ბრძანე წმინდა-
 25 სა შინა სახარებასა, ვ~ დ «მწყემსმან კეთილ-
 მან დადვის სული თვისი ცხოვართა თვსთა-
 თვსო». და არა ვიქმენ სასყიდლით დადგინე-
 ბულ, რათამცა დაუტეუე ცხოვარი ჩემი და
 ვივლტოდი და მხეცთა განსარყუნელად და
 შესაჭმელ იყო სიწმიდენი და ალაგნი ქართ-
 30 ლისანი, არამედ, მინდობილმა ბრძანებისა
 შენისამა, დავსდევ თავი ჩემი ქვეყანისათს

138

და განერა თემი ჩემი მოოჯრებისაგან. ესე
 ყოველივე შეწ უწყი, რ~ მეცნიერ ხარ გულის
 სიტყუათა და გონებათა. არა მეწყალვის მე-
 ფობა და შარავანდედობა ჩემი, არცა შვენე-
 რობა, ჰაეროვნება და ახოვნება სიჭაბუკისა 5
 ჩემისა, არცა უებრობა და ყუავილი სიორძი-
 ლისა ჩემისა, არცა კისკასად მორბედობა ას-
 პარეზობისა და ქუელ-ყოვილობა (sic) ჰასაკო-
 ბისა¹ ჩემისა, არცა ბრძოლასა შინა მჯნეობა
 A კ~ ივ 4 და სიმაგრე მკლავისა, და || არცა თეატრონსა შინა 10
 მორბედობა ცხენთა და მსწრაფლმავლობა
 და მარჯვედ სრვა მჯეცთა, დაუშრომელობა
 მკლავთა და ყოველთავე მოსავთა ჩემთა
 უზემთაეს ყოფა, არცა დიდება, პატივი და სა-
 15 ნოვაგენი, მრავალფერი ტაბლანი და გამო-
 ჩვენებით ლხინნი და მხიარულითა პირითა
 მეტყუელეზანი, ზმანი და მღერანი და მეფობ-
 რივი ცხედარი და ტახტ-გვირგვინოსნებანი. ესე
 ყოველივე დამიტევებიან სიყუარულისა შენი
 სათს აწ გევედრები, მეუფეო, რათა სუ- 20

ლი, გული და გონება ჩემი შენდა მომართ
აღამაღლო, რა საშვებელნი და გემონი სოფ-
ლისანი არარად შემირაცხიეს, ქუესკნელად
შთამჯდელნი და ამონი. რა შენდა შვენის დი-
დება, პატივი და თაყუანისცემა მამისა და მი-
სა და წმინდისა სულისა, აწ და მარადის და
უკუნისამდე ამინ."

25

286. და ვა დაასრულნა სიტყუანი ესე, მა-
შინ მიავლინა მტარვალნი თვსნი მძლავრმან

¹ A: ჰიაკობისა.

139

A კვიგ 5 შაჰაბაზ ¹ და წარგზავნეს იგი ტყუედ ციხესა
მას || გულაბყალაბისასა და მუნ ტყუედ ყუეს.
და შემდგომად მცირედისა ჟამისა კდ წა-
რავლინა კაცი და მიუმცნო ხანსა მუნ მყოფ-
5 სა, რომელსაცა ჰყუა პერობილად მეფე ლუარ-
საბ, რათამცა მოაშთოს. და, ვა ესმა ხანსა
მას სიკუდილი მეფისა ლუარსაბისა, დიდად
მწუხარე იქმნა, რა ეწყალოდა სიჰაბუკე და
ახოვნება მისი. და მაშინლა შევიდეს მტარ-
10 ვალნი და აუწყეს სიტყუანი მძლავრისა შა-
ბაზისანი მეფესა ლუარსაბს. და რა ესმა, ეტ-
ყოდა ფსალმუნსა ამას: „იყავნ სახელი უფ-
ლისა კურთხეულ ამიერითგან და უკუნისამდე",
და ევედრებოდა მრავალ-მოწყალესა ლთსა.
15 შემდგომად ამისა ჰქუა წმინდამან ლუარსაბ
მტარვალთა მათ „ადასრულეთ ბრძანებული
თქუენი". და მოიღეს საბელი მშვილდისა,
მოაბეს ყელსა და მით მოაშთვეს. და ესრეთ
20 სრულ ყო წამება თვსი თვესა (sic) და შეი-
რაცხა წმიდათა მოწამეთა კრებულთა თანა
და აწ იხარებს სიხარულსა მას მოუკლე-
ბელსა || და გამოუთქმელსა. და აწ სხენან წმინ-
A კვიგ 6 დანი ნაწილნი მის მეფისა და მოწამის ლუ-
არსაბისანი მუნ ციხესა გულაბყალაბისასა.
25 **287.** ხა დედა ბატონის თეიმურაზისა, ქეთე-
ვან, და ორნი ძენი თეიმურაზისნი, ალექსანდრე
და ლევან, გაგზავნა შირაზს და მუნ ტყუედ ყუეს.
288. ხა რაჟამს უკმოიქცა შაბაზ, ვერცავინ
დასვა ქართლს ბატონი და ვერცა კახეთსა,

¹ A: შაჰაბ.

რ~ ამას ლუარსაბს არცა ჰყუნდა შვილი და არცა ძმა. და მიაზარა შააბაზ კახეთი ნოდარ ჯორჯაძესა და დავით ასლანის შვილსა, და ქართლი იყო უბატონოდ, ~ - თავადნი თვს-თვსად მჯარესა მთავრობდენ და ბატონობდენ ურთიერთას იგინი. 5

289. ხ~ ნოდარ და დავით ქნეს ერთგულობა და ჩამოიყუანეს ბატონი თეიმურაზ იმერეთიდა-მე და გააბატონეს კახეთშია და თანა მოჰყუნენ ბატონს თეიმურაზს ¹ არაგვის პირამდი გი-ორგი, იმერეთის მპყრობელი, დადიანი ² და გურიელი. და, რა ჩავიდა ბატონი თეიმურაზ || კახეთშია, ესენი გამობრუნდენ და წარვიდენ იმერეთს, თვსსა სამყოფსა შინა. და დაჯდა ბატონი თეიმურაზ კახეთს და ბატონობდა. 10 15

A კ~ივ 7

290. და, რა ესმა ³ შააბაზს მოსვლა თეიმურაზისა, განრისხდა, ვ~ა ვეშაპი განძვინებული, და ალიყულიხან წარმოგზავნა მრავლითა ჯართითა და ესე დავედრა, რათა შეუკრას გზები ყოველგნით და არა წარუვიდეს. და თვთცა წარმოემართა, რ~ სწადოდა თვთ მისვლა იმაზედა. და წარვიდა ალიყულიხან და გაჰკრა არაგუზედა გზები. 20

291. და, რა ესმა ბატონს თეიმურაზს ⁴ საქმე ესე, შეიყარა სპა, მოვიდა და დაესხა თავსა წიწამურს ზეით, დაესხა ჟამსა შუადღისასა. 25

¹ A: თეიმურაზ.

² A: დადიან.

³ A: ესმ.

⁴ A: თეიმურაზ.

და იქმნა ბრძოლა ძლიერი და გაემარჯვა ბატონს თეიმურაზს დიდად. და მისცა ლ~თნ ძლევა და შუადღითგან მოკიდებული ხოცეს თათარნი, ვიდრე ბინდამდე, გაემარჯვა ბატონს თეიმურაზს და კახთა და გააქცივეს. 5

A კვიზ 8

292. და ესმა ანბავი ესე შააბაზს და უმე-
 ტე[ს] განძვინდა და წარმოემართა თვთ. და მოვი-
 და შააბაზ, და ვე || ღარა დაუდგა თეიმურაზ და
 წარვიდა იმერეთს. და რომელნიმე ¹ კახნი აიყარ-
 10 ნენ და გაჰყუნენ ცოლშვილიანად თეიმურაზს.

მეფე

ბაგრატქრისტეს აქათ:, - ჩქი¹ თ:, - ნაშობი კახის ბა-
 15 ტონის გვარის ქალისაგან.

293. მაშინ ეზრახა და გაუგზავნა შააბაზ
 ლეკთა კაცი და შეუთვალა ესრეთ, ვ²დ: „მნებავს
 წარმოტყუენვა და იავარ-ყოფა სრულიად
 სანახებისა ამის, კახეთს მე ავეყრი და, რაც
 20 მანდ ხიზანი კაცი და ქალი შემოვიდეს, დაატ-
 ყუე[ე]თო. და წარვიდა და ჩავლო კახეთი და
 ამოსწყუიტა. და წავიდა და მოაოჭრა, და სხვანი
 აჰყარნა და თანა წაასხნა. და რომელნიმე ლეკ-
 25 თა ამოსწყუიტეს და დაატყვევეს და რო-
 მელნიმე მორჩეს თუშეთს, ფშავს და ჳევსუ-
 რეთს და სხვანი ააოჭრეს და ამოსწყუიტეს.
 და რაცოდენნი (sic) შეიპყრეს, ცოლშვილია-
 ნად აჰყარეს და წაასხეს ² || რომელიმე ფე-

A კვიზ 9

¹ A: რომელნიც.

² A: + და.

რეიდანსა ¹, რომელნიმე ახლანან თანა ² აწცა
 წინამძღოლ-მეთოფედ და არიან ვიდრე დღეინ-
 დელად დღედმდე მეთოფედ, წინა უძღვებიან
 ყეენსა. მაშინ შემუსრა, დაამტვრია, რაოდენნი
 დაუმთა პირველ, ხატნი და ჯვარნი და წარმო- 5
 ილო ნაცარცვი და ნატყუნავი მისი.

295. და დასვა მუნ პატრონად ფეიქარხან
 და მოუყენა რომელიმე ჯარი და ელი, და თვთ
 წარვიდა განრისხებული და მივიდა ისპაანს.

296. მაშინ გაუგზავნა კაცი შირაზის ხანსა 10
 და იწმო ბატონის თეიმურაზის შვილი ალექსან-
 დრე და ლევან და, რა მოიყუნა, გამოასაჭუ-
 რისა ორნივე და ამყოფა თვისთა თანა. და
 ერთი ძმა შეიშალა, ლევან, და ისრე იარებო-
 და შეშლილი, და მეორე, ალექსანდრე მოკუ- 15

A კვიზ 10

და. ხ~ ქეთეუანისთვის გაგზავნა კაცი და შე-
უთვალა იმამყულიხანს, ვ~დ „ქეთევან დედო-
ფალი, თუ გათათრდეს, ნურას აწყენთო და, თუ
არ გათათრდეს, აწამე და სასჯელით მოჰკა-
ლო". ხ~ იმამყულიხანს რა ესე ესმა, გამოუბ-
რუნა || მოციქული და მოახსენა ესრეთ, ვ~დ
„ბერი დედაკაცი არისო და ახლა ეს არ გა-
თათრდებისო ³ და, რას აქნეუთო ამის გა-
თათრებასაო, დაეხსენითო. თქვენთვის სირ-
ცხვილი არისოო ამისი სიკუდილი“. ხ~ შაბაზ
იწყინა და გაუგზავნა კაცი, ვ~დ „არ იქნებისო“.

20

25

297. მაშინ იმამყულიხან დაუწყო ლაპა-

¹ A: ფერიასა.

² A: თანაა.

³ A: გათათრდებისო bis.

A კვიზ 11

5

10

15

20

25

რაკი ქეთევანს დედოფალს და აუწყა ყენის
შემოთვლილი და უთხრა, გათათრდიო. ხ~
ქეთეუან არა უსმინა. მაშინ შეიპყრეს და
დაუჭირეს მხლებლები და წინა გაუთათრეს
და ახლდა თან მღდელი ვინმე იმერელი
და იგიცა გაუთათრეს. ხ~ გაუბეს ჳელ-
ფეცი და გააშიშვლეს წმინდა ქეთეუან დედო-
ფალი და განჯურვებულის გაზებით დაუგლი-
ჯეს¹ ძუძუები და გაჯურვებული საჯები ნაგ-
ლეჯს ჳორცზედან შემოაწყყეს და დაგლიჯეს.
გაჯურვეს ლურსმები და დაუყარეს ქუეშე და
ზედ გაატარეს, დააწვინეს და შიშველაზედ
ზედ შემოაყარეს ლურსმა || ნი განჯურვებული.
კ~დ განჯურნებული შამფურები გაავლეს მუ-
ცელსა და ძუძუ-ძკერდ-შიგან, განჯურვებული
ქუაბი დაარქუეს თავსა ჳედან. კ~დ განჯურ-
ვებულს ქუაბსა შიგან შიგ (sic) ჩასვეს და
თავსაც დახურეს და შემოაწყყეს გაჯურვებუ-
ლი ბარები შუბლსა ჳედა და ახეთქა თავის
კეფა. და ყუეს მრავალი სატანჯველი და ეს-
რეთ შეუედრა წმინდა სული თვისი უფალსა
და შეირაცხა წმიდათა ქალწულთა მოწამეთა
კრებულთა თანა. და მოვიდა სამხილებე-
ლად ყოველთა და დაადგა ნათელი. ხ~ მუნ
დაესწრნენ ფრანგნი და აღიღეს წმინდანი ნა-
წილნი წმინდისა ქეთევანისნი ფრანგთა და

წარიღეს თვისთა თანა ნაწილად, ხ⁷ კელი და მკლავი ბატონს თეიმურაზს გამოუგზავნეს. და ესრეთ სრულ-ყო წამება მისი და ღვაწლი

¹ A: დაგლიჯეს.

144

- A კ⁷ ივ 12 წმინდამან ქეთევან, რომლისა ცხოვრება მისი ვრცელად წერილ არს მეტაფრასსა || მისსა. და რომელსა მიწასა ზედან აწამეს, ადგილსა მას არღარა მოვა მწვანე და ჩანს ადგილი იგი ესრეთ, ვ⁷დ უნახველნი სცნობენ აქა ქმნილა რამეო. 5
- 298.** ხ⁷ დაჯდა ქართლსა ბაგრატ, რომელი გარდაქცეულიყო სჯულსა მაჰმადისასა. და არცა იყო ღირსი მეფობისა, და ზურგად განჯის ხანი და მისნი შემდგომნი ჰყუეს. და მაშინ ამან ბაგრატ ვერ დაუჭირა თავი ქართველსა და ვერცა ეუფლა ქალაქს ზეით ზემო ქართლსა. და არცა ჰყუარობდენ ქართველნი და არცარად ახსენებდენ თათრობისათვს და ეძახდენ საბარათაშვილოს ბატონსა და იყოფებოდა ეგრეთ. 10
- 299.** ხ⁷, რაჟამს იყო ბატონი თეიმურაზ იმერეთს, მას ჟამსა შეიქმნა სიყმილი დიდი იმერეთს და მაშინ გაუგზავნა ბატონმა თეიმურაზ ხონთქარსა კაცი, შეეხვეწა და სთხოვა სარჩო. ხ⁷ ხონთქარმა სხვა ვეღარა გააწყო რა და მისცა გონიასა და ახალციხესა და გარეშემო მისსა მამული სარჩოდ. და || სანამდისინ ხვანთქარის კაცი მოუვიდოდა ბატონს თეიმურაზს, ვეღარ გასძლო იმერეთს, წარვიდა და მივიდა მამია გურიელთან. მაშინ მოვიდა ხონთქრიდამ კაცი და წარვიდა, მივიდა ხონთქრიდამ მოცემულს მამულში. 20
- 300.** მაშინ იჯდა ათაბაგად ძე მანუჩარ ათაბაგისა, სახელით მანუჩარ, რომელი იყო დისწული სვიმონ მეფისა. და დააყენა ოლთის[ს] 25

A კ⁷ ივ 13

145

ბატონმა თეიმურაზ ცოლშვილი მუნ და მოუყენა გვერცა (sic) კახი სალთხუცესი ნოდარ,

და თვთ წარვიდა ხონთქართანა შვიდასის
 კაციტა. და, რა ესენი წარვიდენ, მაშინ შე-
 5 ეტყო ყვენს ბატონის თეიმურაზისა ხვანთ-
 ქართან წასვლა და მისის ცოლისა და შვი-
 ლის საათაბაგოს დაგდება. მაშინ შემოუთ-
 ვალა ერეუნის ხანს, ამირგუნა-ხანს, და მოს-
 წერა წიგნი ესრეთ: „ბატონი თეიმურაზ ხონ-
 10 თქართან წასულა და მისი ცოლი და შვი-
 ლი საათაბაგოში დაუგდია, შეიყარე ჯარი,
 A კ~ივ 14 წადი, || დაესხი თავსა, აიფორაქე მისი ცოლ-
 შვილი და საქონელი, და ცოლშვილი აქ გა-
 მომიგზავნე“. მაშინ წარვიდა ამირგუნა-ხან, –
 15 ზამთარი იყო და დიდი თოვლი მთაზედ, –
 გადასთხარა მთა და წარვიდა. ხ~ მას ღამესა
 სიზმარი ენახა ბატონის თეიმურაზის ცოლს,
 ხორაშანს, ვითამ სიზმარში ყიზილბაშნი თავს
 დასხმოდენ და აეფორაქათ მისი ხიზანი და
 20 საქონელი. და, რა გამოღვიძებოდა ბატონს
 ხორაშანს, ღამესა მასვე აყრილიყო და შესუ-
 ლიყო ოლთისის ქალაქიდამ ციხეში, რაც რამ
 ჰყვანდა და ჰქონდა იგიცა ყუელა ციხეში
 შეხიზნა, რკ~უწინ ციხეს დაბლა იდგნენ. და
 25 წარვიდა ამირგუნა-ხან ღამესა მას, მივიდა,
 სადაც ბატონის თეიმურაზის ცოლი და შვილ-
 ნი იდგნენ, იმ სოფელს თავვს-დაესხნენ. და
 მოარბია სოფელი იგი და იავარყო და სხვა ვე-
 რა მოაჯელა რა, გაბრუნდა და წარვიდა. მაშინ
 30 სცნა ნოდარ სახლთხუცესმა, შემოიყარა ცო-
 ლა რამ საათაბაგოს კაცნი და, რაც || თვთან

146

ჰყუანდა, იგიცა და გამოუდგა უკანა, მიეწია
 ამირგუნა-ხანს, მრავალი კაცი ამოუწყუიტა,
 თვით გამოაქცივა და იშოვნა მრავლი საშო-
 ვარი, გამობრუნდა და მოვიდა გამარჯვებუ-
 ლი ბატონის თეიმურაზის ცოლშვილთანა.

5

301. ხ~, რაჟამს მივიდა ბატონი თეიმურაზ
 სტამბოლს, მაშინ იჯდა ხონთქარი სულთან
 იბრაჰიმ და სცა დიდი პატივი ბატონს თეიმურა-
 10 ზს. და შეეხვეწა ბატონი თეიმურაზ, სთხოვა
 ჯარი. ხ~ მაშინ ყიზილბაშთა და ურუმთ შუა
 საფიცარი იყო და შერიგებულყუნენ. როდეს
 გაეყოთ ქვეყნები, პირობა დაედვათ, რომე

10

არღარა იყოს ბრძოლა ერთმანერთშია, და
 ამისთვის არ აჰყუა ხონთქარი, და მოსცა სარ-
 ჩოდ სანჯახები და მრავალი წყალობა უყო 15
 და გამოისტუმრა. და წარმოვიდა ბატონი
 თეიმურაზ. მას ჟამსა იყუნენ ხონთქრის მა-
 მულში მრავალნი ჯალალნი, განდგომილნი
 ხონთქრისანი, დახვდენ ბატონს თეიმურაზს
 წინა. და ამას ახლდა შვიდასი კაცი, და იგინი 20
 იყუნენ || ურიცხვნი და მრავალნი, შემოებნენ
 ბატონს თეიმურაზს. მისცა ღ~თნ გამარჯვება
 და ბატონს თეიმურაზს გაემარჯვა და ამოს-
 წყუიტა მრავალი ჯალალი. ერთსა დღესა 25
 შვიდჯერ შეებნენ და შვიდჯერვე ამას გაე-
 მარჯვა: ასე მოუმართა ღ~თნ ჰელი, რომე,
 შვიდასი კაცი ახლდა, არც ე[რ]თი არ დაჰკლე-
 ბია, და მათი მრავალი ამოსწყუიტა. და მო-
 ვიდა გამარჯვებული ცოლსა და შვილშია, და 30
 მცირესა ხანსა უკანა წარვიდა გონიას და მუნ
 იყოფებოდა.

147

302. და ამა ჟამსა შინა მოკუდა ბატონი საბა-
 რათიანოსი ბაგრატ, ძე დავითისი, ქრისტეს
 აქეთ: ¹. და მიესმა შააბაზს სიკუდილი:ი მისი.
 რ~ არა ჰქონდა იმედი ფეიქარხან (sic), რო-
 მელი იჯდა კახეთს, რათამცა მას კეთილად
 გაერიგებინა საქმე კახეთისა და საქართვე-
 ლოსი (sic). 5

303. მაშინ მოურავი დიდს ხანს ახლდა შაა-
 ბაზს გვერდსა და მრავალი ემსახურებინა მო-
 ურავსა. და დაანდო გული და წყალობაც მრავალი
 ექნა, იცოდა, რომ მოურავმა ჩემს || იქით
 არა იცის რაო. და უბრძანა მოურავს: |მნე-
 ბავს წარსვლა შენი საქართველოში და თანა
 წარგატან ყარჩიხა-ხანს სპითა მრავლითა და
 ძესა ბაგრატისასა, პატარა სვიმონ-ხანს, წარ-
 ვედ და მივედ პირველად და მოიოჯრე სრუ-
 ლიად კახეთი და იავარყავ და მოსარ პირითა
 მახვილისათა ქართლი, აჰყარე ² და ჩამომისხი
 აქა". აღუთქუა ნიჭი დიდი და საბომძვარი 15
 მრავალი. 20

304. ამას შინა გაჰმოკდა ხანი მრავალი და
 იყო მოურავი მუნვე. მას ჟამსა იყო ვინმე ისპაანს

ხოსრო-მირზა სახელით, და ესე ხოსრო-მირ-
ზა იყო ხარჭისაგან ნაშობი დავით მეფისა,
ძმისა დიდის სვიმონ მეფისა. ოდეს წარსული-
ყო ესე დავით შააბაზ ყეენტანა, მაშინ წარი-
ყუანა-წავკისიდამე ქალი ერთი და ეპყრა

¹ A: აქ თავისუფალი ადგილია თარიღისათვის
დატოვებული.

² A: ჰყარე.

A კ~იზ 2

ხარჭად და, ვ~ა მიდგომილ იქმნა დედაკაცი
იგი დავითის მიერ, შვა ძე და უწოდა სახე-
ლად ხოსრო-მირზა. ხ~ ოდეს წარმოგზავნა
ყეენმან დაუთ-ხან საქართველოში, მუნ დაშთა
ყრმა იგი ხოსრო-მირზა და დედა მისი. და იყო 5
ობლად ესე || ხოსრო-მირზა და არავინ იყო
მწედ მისა, თვინიერ დედისა მისის. და შექ-
ნილიყუნენ ორნივე დედა-შვილნი სჯულითა
მაჰმადიანნი და იყოფებოდინ დიდად გლახა-
კად და უღონოდ ყოვლისავე საჭმარისაგან. 10

305. მაშინ მოვიდა ესე ხოსრო-მირზა მოუ-
რავთანა და მცირედი რამე მოართვა მოურავსა.
ხ~ მოურავმან რა იხილა ხოსრო-მირზა, [ა]უდ-
გა ფერვზედ, დაუცალა ადგილი თვისი, მიი-
ყუანა და დასვა იგი და პატივისცა დიდად. ხ~ 15
იყო მოურავი მაშინ ყეენისაგან დიდად პატივ-
ცემული და მორჩილებდენ სულად ყიზილბაშ-
ნი და გვერდს ახლდენ მრავალნი. იხილეს
რა ყიზილბაშთა ესევითარი პატივისცემა
ხოსრო-მირზასი, ჰკითხეს მოურავსა: „ვინ არს 20
კაცი ესე, რომელსა ესრეთ დიდად პატივ-
ეცო“. ხ~ მოურავმან აუწყა მათ, ვ~დ „ესე არ-
სო ძე დაუთ-ხანისა, პატრონისა ჩემისაო. მა-
შინ სცნეს ყიზილბაშთა ესე და უპყრობდენ
დიდსა პატივსა ხოსრო-მირზას. მაშინ დიდად 25
კეთილსა უყოფდა || ყეენი ხოსრო-მირზასა და
მისცა მოურაობა ისპაანისა და ჰყუანდათ ესე
მეტოქად ქართლის ბატონისა.

A კ~იზ 3

მ~ფე
სვიმონ

306. და აემზადა მოურავი, წარმოვიდა
და გამოატანეს მეფე სვიმონ პატარა თანა. და
მოვიდენ ქართლსა ლაშქრითა მრავლითა და

ილუწიდა მოურავი საქმესა მას, რომელ ჰქონდა უწყებული ყეენისაგან და ოდეს გამოგზავნა მეფე სვიმონ ყაენმა, მაშინ მისცა ყეენმა ასული ყორჩიბაშისა ცოლად და წარმოატანა თანა. და იყო ქალი ყორჩიბაშის, შვილისშვილი ყაენისა, სახელით ჯანბანუმ.

307. და ოდეს მოვიდეს საქართველოშია და შემოეყარნენ ქართველნი და, რა ნახეს ქართველთა ჯარისა სიმრავლე, მაშინ იფიქრეს და თქუეს: „ესე საქმე მიზეზი რამე არის იმდენის ურიცხვის ჯარისა გამოგზავნა“. ხ[~] მოურავმან დაუფარა და შეიჯერა ფიცითა დიდითა, ვ[~]დ „ამა ჯარისა სიმრავლე საქართველოსათვის რა არის საზიანო, ნურცა რა ფიქრი გაქუსთ, თქუენი საქმე მე დამადევითო. მაშინ დააჯერეს გული ქართველთა, წარვიდენ და || დადგნენ მუხრანს.

A კ[~]იზ 4

308. ხ[~] გაგზავნეს კაცნი და იკმნეს კახნი. და შემოეყარნენ კახნი ღართისკარზედა. ქმნა მოურავმა ბოროტი დიდი: გამოავლო ყარჩიხან¹ თეჯირი კარავსა თვისსა და დაჰპატიჟა, ვ[~]დ „მოვიდენ კახნი და ხალათებს მივსცემო. და მიადგნენ კარსა კახნი, შეიყუანდენ კახთა და მოსჭრიდენ თავსა, ხ[~] გარეთ-მდგომთა კახთა ეგონათ ხალათის ძლევა და მუნ დასხდომა მათი. მრავალთა მოსვრისა შემდგომად, სცნეს კახთა საქმე ესე და გაიკრეს ჭმალს ჳელი, და თათარნივი დაერიდნენ. და გამოიქცენ კახნი და კნინდა და მცირედნი განერნენ.

20

25

¹ A: ყარჩიხახან.

150

309. ხ[~] შემდგომად ამისსა იყვნენ ხანსა რასმე მუხრანსა და იყუნენ მზადებაშია, რ[~] სწადდათ აყრა ქართლისა. ჰქონდა მოურავს ჩვეულება, წარვიდოდა და მოუტევდა ქორსა. დღესა ერთსა კ[~]დ განვიდა ქორის მოსატევად ჳევსა ლოქინისასა¹ და ნახა, რომე ერთი შათირი მოვიდოდა, და იცნა ყეენის შათირობაზედ. უკმო მოურავმან შათირსა მას მისვ || [ლ]ად მის-

A კ[~]იზ 5

5

თანა, ხ~ შათირმა არ უსმინა, და, ვინათგან არა მორჩილ ექმნა შათირი იგი, მიეწია ცხენითა და შეიპყრა, იძულებით გაჩხრიკა და უნახა წიგნი. წაიკითხა და ესრეთ ეწერა ყარჩიხა-ხანთანა ყეენისაგან, ვ~დ „რა ჟამს მორათ კახნი, აჰყარეთ ქართლი და წამოასხით, ხ~ მოურავს უღალატე, მოსჭერ თავი და გამომიგზავნე“. და, რა წარიკითხა მოურავმა ესე, მაშინ შათირი იგი მოკლა. აღუკდა სიცრუე მისი თხემსა მისსა ზედა, შეწუხდა დიდად და ეძიებდა ღონესა რასმე. მას ჟამსა იყო ნუგზარ ერისთავი მოყუარე და მოყ[უ]ასი მოურავისა. და ეპყრა ძესა მისსა ზურაბს ერისთობა (sic), და ცოლი ზურაბ ერისთავსა ისპანს დარჩომოდა, და შვილი პაატა მოურავსა მუნ ისპანს დარჩომოდათ. მაშინ მოურავმა უთხრა რჩევით ზურაბს, რომე „მოდი ქართლს ნუ ამოვსწყუეტთო, თორემ სულიც დაგვეკარგვისო და არც ჩვენ დაგვინდობენო,

¹ A: სწერია „ლომანისასა“, შემდეგ გადახაზულია და სტრიქონს ზეით უშნო ხელით დაწერილია: „ლოჭინისასა“.

A კ~იზ 6

მრავლის ლიქნითა და სიტყვის რჩეუითა და მრავლის || ცდილობით დასთმო ზურაბ ცოლი თვისი და მოურავმა შვილი თვისი პაატა დასთმო.

5 **310.** მაშინ, ოდეს შეიჯერა ზურაბ მოურავ-
 მან, ურჩია მოურავმან ყარჩიხა-ხანს, ვ~დ „გავგ-
 ზავნოთ ანდუყაფარ ამილახორი და ზურაბ
 ერისთავი და დავიბაროთ სრულიად ქართ-
 ველნი, დავიპყრათ და გაუგზავნოთ ყეენსა“.
 10 მაშინ დაჰყუა ყარჩიხა-ხან და გაგზავნეს ანდუ-
 ყაფარ ამილახორი და ზურაბ ერისთავი და
 სხვანი ქართველნი და დაიბარეს ქართველნი
 და იკმნეს მუნ. ხ~ არავინ უწყოდა, თვინიერ
 მოურავისა და ზურაბ ერისთავის მეტმა. და
 15 წარმოვიდა ზურაბ ერისთავი და ამილახორი
 ანდუყაფარ, დააყენა თვისთა თანა მოურავმა
 პაატა ხერხეულის ძე და ძე მისი ავთანდილ,
 ელია დიასამისე და პაპუნა ვაშაძის შვილი.
 ხ~ ზურაბ და ანდუყაფარ მოვიდნენ და დად-

20 გნენ პირსა არაგვისასა. მაშინ გაგზავნეს
 A კ~იზ 7 კაცი და იქმნეს სრულიად ქართველნი
 მუნ. და ვ~ა მოვიდნენ იქართველნი, მაშინ
 ზურაბ ერისთავმა იდუმალ მოიკმო ქართველ-
 ნი და უთხრა რა ესრეთ, ვ~დ „ჩვენ შააბაზ
 25 ყეენისაგან ასრე გვაქუს დაბარებულობა, რო-
 მე კახნი ხომ დავკოცეთ და ქართველნი, ვინ-
 ცავინ ხართ, აგყართ და ყეენს გაუგზავნოთ,
 და აწ ჩვენ ამას ვარჩეუთ, რომ ქუეყნის გა-
 30 ოკრება სწადიანთ ყიზილბაშთა, და მოდი შე-
 ვიფიცნეთ, მივიდეთ და ამოვსწყუიტოთ ყი-
 ზილბაშნი და ნუ წავაჯდენთ საქართველოსა“.

152

ბ~ ანდუყაფარს არ ენდობოდნენ, რ~ ცოლად
 ჰყუანდა დაჲ სვიმონ მეფის ცოლისა და ნა-
 თესავი ყეენისა, და თვთცა მაჰმადიანის სჯულ-
 ზედ მისულიყო და დიდათ იჭირვოდა ყიზილ-
 ბაშთათვს და დიდად ერთგული იყო. და, რა 5
 ესმა ესე ქართველთა, განცვიფრდენ დიდათ
 და შეწუხდენ და მისცეს ზურაბ ერისთავსა
 A კ~იზ 8 პირობა და შეჰვიცეს საშინელად, || რომ „რა-
 საც თქუენ გვიბძანებთ, იმას ვიქთო. და რა
 შეიფიცნენ, რადგან არ ენდობოდნენ ამილა- 10
 ხორს, დაიჭირეს და ცოლშვილით არშის ცი-
 ხეში გაგზავნეს და მუნ დაატყუევეს.
 311. და მაშინ შეიყარნენ ქართველნი და
 ზურაბ ერისთავი, აცნობეს დიდმოურავსა და
 მოვიდნენ გათენების ხანსა, დაესხნენ ყი- 15
 ზილბაშთა. ხ~ მოურავი დიდად სახელოვნად
 იყო მას ღამესა: მივიდა მოურავი და მოკლა
 თვით შუბითა ყარჩიხა-ხან, და შვილმან მის-
 მან მოკლა ავთანდილ ყორჩიბაშის შვილი. და
 დაუშინეს, ამოსწყვიტეს ქართველთა სრუ- 20
 ლიად¹ ყიზილბაშნი. ესრეთ მისცა ძლევა ლ~თნ
 ქართველთა და გაემარჯვათ: ამოსწყვიტეს,
 გააქცივეს და იქმნა გამარჯვება დიდი. და რა
 გაიქცნენ ისინი, მაშინ გამარჯვებულნი ქართ- 25
 ველნი წარვიდენ ფეიქარ-ხა[ნ]ზედ, რომელი
 იჯდა კახეთს, რ~ ამას ფეიქარ-ხანს ჰყუანდა ცო-
 ლად ბატონიშვილი ლელა. და უნდოდათ დას-
 ხმოდენ თავსა ფეიქარ-ხანს და ისე მოეკლათ,
 და ბატონიშვილი ლელა გამოერთმია || თ და

A კ~იზ 9

¹ A: „ქართველთა სრულიად ქართველთა“.

5 დენ, მაშინ იგრძნა ფეიქარ-ხან და წარვიდა გა-
ქცეული. გამოუდგენ და სდივეს ბარდამდი და
ვერღარა მოეწივნენ. მაშინ მოარბივეს ქართვე-
ლთა ბარდა და განძა და იავარყუეს და იმოვეს
მრავალი, და წარმოვიდნენ და წარმოიღეს.

312. და გაუგზავნეს ბატონს თეიმურაზს კა-
ცი გონიას და იკმეს თეიმურაზ, მოიყუანეს და
კახეთს გააბატონეს.

10 313. ხ~ მაშინ განმგეთ ქართლისა დაადგი-
ნეს დავით მეფის ძმის შვილისშვილი ქაიხოსრო,
მუხრანის ბატონი, და არც განმგებოთა
ემორჩილებოდენ მათ, არამედ თვის-თვისად
უფლობდენ ქართლის თავადნი.

15 314. და იყო მაშინ თავი და უფროსი კაცი
მოურავი და ყოველნივე ქართველნი მას მორ-
ჩილობდენ, რ~ თვით ზურაბ ერისთავი და
ვინცავინ დიდი კაცნი იყუნენ ქართლისანი
დიდს მოურავს ქეშიკში უწევებოდნენ და ყმუ-
რად მონებდენ მას.

20 315. და ამის ჟამსა შინა დაემძახა ზურაბ
ერისთავი ბატონს თეიმურაზს. და მისცა ასული
A კ~ იზ 10 თვისი დარეჯან ზურაბ ერისთავსა || ცოლად,
რ~ ესე ზურაბ ერისთავი გაეზარდა მოურავსა
პატარა ყმაწვილი და იყუნენ ერთმანერთისა-
25 თვინ დიდად ერთგულნი და უწყოდენ, უკეთუ
ესენი ერთმანერთს გაეყრებოდენ, მაშინ წაჯდე-
ბოდა საქმე ამათი და ამისთვის მორჩილობ-
დენ ერთმანერთსა.

30 316. და რა მიესმა საქმე ესე შაბაზ'ს, დაჰყე-
რა ამილახორისა ანდუყაფარისა და ცოლისა მი-
სისა და ციხეში შეგზავნა, განრისხდა ფრიად
და წარმოავლინა ისახან ყორჩიბაში დიდითა

მძლავრობითა. წამოვიდენ, მოვიდენ და დაი-
ბანაკეს ალგეთზედა. მაშინ შეიყარნენ ქართ-
ველნიცა და კახი ბატონი თეიმურაზ შეყრი-

ლი კახითა და მოვიდნენ და დადგენ კოჟორ-
ზედა და წარვიდენ ქართველნი. 5

317. და მას ჟამსა შინა ხვანთქარი გას-
წყრომოდა მანუჩარ ათაბაგსა და ველარ დაუდგა
ურუმსა. მაშინ გარდმოვიდა ახალდაბას სამასის
კაციოთა. და, რა სცნა საქმე ესე მანუჩარ ათა-
ბაგმან, მაშინ წარმოვიდა სამასისა რჩეულისა 10
კაციოთა || და შემოეყარა. და განიხარეს ქართველ-
თა და კახთა სიხარულითა დიდითა, წარვიდ-
ნენ და მივიდნენ, განთიადს დაესხნენ ყორჩი-
ბაშსა. და შეეტყო მათცა და წინათ თოფხანა
გამოეყენებინა და, რა მივიდნენ ქართველნი 15,
დაუშინეს თოფი და ასეთი კუამლი დადგა,
რომ იმათი ჯარი ველარ დაინახეს. რა გარდი-
ყარა კუამლმა, შეუტივეს ქართველთა და იქმნა,
ბრძოლა ძლიერი. და მოისრა ყიზილბაშნი
თოთხმეტი ათასი, ქართველნი და კახნი ცხრა 20
ათასი და მოუკუდა¹ ზურაბ ერისთავს ცხრა
ასი. თავთაგან მოკუდა მაშინ აღათანგი ხერ-
ხეულიძე და მისი სახლისკაცნი შვიდნი და,
ბაადურ ციციშვილი, და კახი დავით ჩოლაყა-
შვილი შვიდი მოკუდა და ცხრა მაჩაბელი და 25
სხვა აზნაურშვილი და მსახური და გლეხი
მრავალი ამოსწყდა. და გაემარჯვა ქართველ-
თა და გაიქცნენ ყიზილბაშნი, და სდიეს ვიდ-
რე გატეხილ-ჭიდამდე და ჯოცეს ურიცხვი.
ხ~ მაშინ ზურაბ ერისთავი შუბლზედ დაკო- 30

¹ A: მოკუდა.

155

A კ~იზ 12 დილი იყო, თოფს გარდაეკრა, || და უსუსტდებო-
და გული. მეფემან და მოურავმან და სხვათა
თავადთა ნახეს იგი და მოუცადეს.

318. მაშინ შაბადა-ხან თავისის ჯარითა წინ-
წყაროს მდგარიყო და წარმოსრულიყო. და 5
მოვიდა ნაომარზედა, დახედა და ნახა, რო-
მე ესე მცირედი კაცი ერთს ადგილს შეყრი-
ლიყუნენ და იდგნენ ქართველთაგანი, და იც-
ნა შაბადა-ხან, მაშინ შემოუტია და შეექ-
ნათ ¹ ბრძოლა ძლიერი, უმეტესი პირველისა.
და ბრძოდენ ქართველნი ფიცხად და მას დღე-
სა ბატონმა თეიმურაზ დაამტურია ყოველი

15 საბრძოლი იარაღი და აღარა შერჩომოდა რა
და ბეჭდებიცა დაემტვრია კაცზედა, და იმ-
დღინდელი მოურავის ნაქმარი ომი და საქ-
მეები პირველთა გმირთაგანცა არა თქმულ-
არს, რაც იმ დღეს მოურავმა სახელი და ომი
20 ქნა. და ძლიერად შეიბნენ მუნ ² აღათანგი ხერ-
ხეულიძე და კახი ასლანის შვილი დავით და
A კ~იზ 13 ორნივე დაივოცნენ მუნ. და შემდგომად ამისა
ძლიერად შეიბა || მუხრანის ბატონი თეიმურაზ,
ძმა ქაიხოსროსი, და მოკლეს იგიცა მუნ. და,
რა მოკლეს თეიმურაზ მუხრანის ბატონი, და-
25 იდახეს თეიმურაზ მოკლესო. და მაშინ. რა
ესმა ესე ქართველთა, ეგონათ, თუ ბატონი
თეიმურაზ მოკლეს, და მაშინლა დამაშვრალ-
ნი³ ქართველნი ივლტოდენ და გაიქცენ.

¹ A: შექნათ.

² A: მუ.

³ A: დამშვრალნი.

156

319. ხ~ ათაბაგი და ყმანი მისნი დიდად
მცნედ და ძლიერად ომობდენ. და ნახა ათაბაგმან
ამირგუნა-ხან, ერევნის ხანი, გამზრდელი თვისი,
შეუტია და დაჰკრა თავსა თაჯიანსა ჯრმალი, 5
თაჯი გაუპო, თავსა დიდი შეჰკუეთა და ჩამო-
აგდო. შემოსძახა ამირგუნ-ხან: „ნამაქაფარმო,
რასთვის მომკლავ, ხომ მე გამიზდიხარო. მაშინ,
რა ესმა ათაბაგსა, გაუშვა, წარვიდა და ივლტო-
და. და რა ეს ნახეს ყიზილბაშთა, მაშინლა გა-
10 მობრუნდენ და თვთ ყორჩიბაშიცა გამობრუნ-
და და მოვიდა პირველსავე მას ნაომარსა.

320. ხ~ ბატონი თეიმურაზ და ქართველნი
A კ~იზ 14 შეიქცენ თვის-თვისად და, რა მივიდა || მოურა-
ვი ნოსტევს, მაშინ შემოიყარა, რაღაც გარ-
15 დარჩომოდა, ჯარი თვისი. და მას ჟამსა გა-
მოსულიყვნენ ქალაქის ციხიდანე მარბეველნი
თარეშნი თათარნი და ლისი მოერბიათ. მა-
შინ წარვიდა მოურავი, რ~ ლისი იმისი იყო
ბატონის წყალობა. მივიდა მოურავცა სამ-
20 ოცის კაცითა და შეემა გულ-მესისხლედ და
ამოსწყუიტა, ლ~თნ გამარჯვება მისცა და მოს-
რა კაცი შვიდასი, გააქცია და ამოსწყუიტა
და ცოლშვილს კაცი უჩინა¹ და სამცხეს გაგ-

ზავნა, თვით განვიდა, წიწამურის გზები ჩა-
 ხერგა და ღართისკარიც შეუკრა თვით და 25
 მუნ მომავალნი ყიზილბაშნი დაჯოცა და ამოს-
 წყუიტა. და ამის ცდაში იყუნენ ყიზილბაშნი,
 რათა ანდუყაფარ ამილახორის ცოლი, რომ
 არშას ციხეში იყო, ის ქალი ყეენის შვი-
 ლისშვილი იყო, სვიმონ მეფის ცოლის და 30

¹ A: უჩინ.

A კ~იზ 15
 5 იყო, და იმისი გამოყუნა უნდოდათ. და და-
 უწყეს ზურაბს ლაპარაკი, რომ ის ქალი მოგ-
 ვეცო. || რ~ მაშინ ის ქალი არშას ჰყუნდათ,
 რომელ არს ციხე ჰევისა, და დაუწყო ყორჩი-
 ბაშმა ზურაბ ერისთავს ლაპარაკი: „გზა მო-
 მეცო, ჯარს გავგზავნი და იმ ქალს გამოვიყუნ
 და წავალ ჩემთვინაო. მაშინ საფიცარი მის-
 ცა ზურაბ ერისთავმა, რომ „გზას ¹ დაგანებებ
 და არას დაგიმარცხებო, შველით ჩემს მამულ -
 10 ზედ შეიარეთო და ჩამოვლით ქსანზედ წამო-
 დითო, რომ ჩემს მამულს დიად ძალი დაემარ-
 თებაო. მაშინ ყორჩიბაშმან უთავა ჯარს ხომ-
 სრო-მირზა, რომელი პირველ ვახსენეთ. წარვი-
 15 დენ შეულეს და გამოიყუნეს ქალი და გარდ-
 მოვლეს ლომისა და ენებათ ქსანზედ ჩამოვლა.
321. მაშინ პირობა მისცეს ზურაბ ერის-
 თავმა, იესე ერისთავმა და მოურავმა გიორგიმ
 და ერისთავის ძმამან და შეკრეს ქსანზედ გზები,
 დაუხუდენ და ამოსწყვიტეს ასე, რომე იმის-
 20 თანა გამარჯვება არა თქმულარს. მოსრეს ეს-
 რეთ, რომე ქსანი შეიღება. სისხლითა და სის-
 ხლის ფერად დიოდა. და მაშინ კარგად იყო
 ხოსრო-მირზა: ხ~ ქალი ვერ წაართვეს, სხვა-
 A კ~იზ 16
 25 ნი ჯარნი || და სპანი ამოსწყუიტეს და სულად
 წაართვეს სალარო და ბარგი. მოვიდა ხოსრო-
 მირზა და მოიყუნა ქალი ყორჩიბაშთანა.
322. მაშინ მოურავი წავიდა სამცხეს, ცოლსა
 და შვილს მიეპატრონა.
323. წარმოვიდა ყიზილბაშის ჯარი და
 30 მოიცვეს საბარათაშვილო და სომხითი, მოი-
 თარემეს და იყუნენ.

324. ხანსა რაოდენსამე უკანა გაგზავნა ყორ-
 ჩიბაშმა ჯარი მოურავის თავს დასასხმელად. მა-
 შინ მოურავი მთაზედ იყო სანადიროდ და გარდ-
 მოხედა და ნახა ყიზილბაშის ჯარი. რ[~] ასპინ-
 ძა ავსილიყო ჯარითა. მაშინ შემოუტივა მო- 5
 ურავმან და მისცა ძლევა ღ[~]თნ და მოსწყუ-
 იტა თათრის ჯარი მრავალი, იმათიც დააყ-
 რევინა, თვარემ ამათი ვერა წაიღეს რა და
 წავიდნენ გაქცეულნი.

325. მაშინ ხერთვისის ციხე და სხვანი რაო- 10
 დენნიმე სამცხის ციხენი ყიზილბაშთ ეჭირა,
 მივიდა მოურავი და აღილო ციხე ხერთვისი-
 სა და სხვანი ციხეები და შინა-მყოფნი ყოვე-
 ლივე ამოსწყუიტა, და მაშინ გაგზავნა ქავთა- 15
 რის შვილი გიორგი ხვანთქართანა და შეეთ-
 ვალა, || ვ[~]დ „ესე ციხეები ყიზილბაშთ ეჭი-
 რაო და აწ მე წამირთმევიო, გამოგზავნეთ
 ჯარი თქუენი და დააყენეთ ციხეებსა ამას ში-
 ნაო. ხ[~] ხონთქარმა დიდად დაუმაძღლა და 20
 მრავალი წყალობა გამოუგზავნა და გამოგზავ-
 ნა ენგიჩრები და დააყენა ციხეებსა მას შინა.

326. ხ[~] ყორჩიბაშმან გაამაგრა ციხე ტფი-
 ლისისა და და[ა]გდო მუნ სვიმონ მეფე ქრისტეს
 აქათ:, ჩქ[~] კცჳ:, და თვით ყორჩიბაში გაბრუნდა,
 წარვიდა და წაიყუანა ქალი თანა. და, ვ[~]ა წარ- 25
 ვიდა ყორჩიბაში, სვიმონ მეფე ვერა გამოვი-
 დოდა ციხიდანე და ვერცა პატრონობდა
 ქართლსა.

327. მაშინ კ[~]დ მოვიდა მოურავი და ზურაბ
 ერისთავმა კ[~]დ დაიპყრეს ქართლი და დასვეს 30
 კ[~]დ მუხრანის ბატონი ქაიხოსრო უფროსად,

და იგინივე პატრონობდენ და უფროსობდენ
 ქართლსა.

328. და ამა ჟამში მოკუდა შააბაზ. მაშინ
 ხოსრო-მირზა ქართლში რომ კარგად ყოფილი-
 ყო და ბეურს გარჯილიყო, მისად მაგიერად მიე-
 ცათ ყულარადასობა და იყო ყულარადასი. 5

A კ[~]იჰ 1

A კვიზ 2

ხ~, რა შაბაზ მოკუდა, || მაშინ აირივნენ ყიზილ-
ბაშნი და კარის ბეგლარებს სწადოდათ ერ-
ნის აშლა. ხ~ ამა ხოსრო ყულარაღასმან გაა-
მაგრა კარი და გამოიყუნა შვილი შაბაზისა
შა-სეფი და დასვა ყეენად და მოუდგა თვით
და გაუმაგრა კარი და დარჩა დიდად ერთგუ-
ლად ყეენზედა. და იყო ყეენი მწყალობელი მისი.

10

329. ხ~ განდიდნა ზურაბ ერისთავი და არ-
ღარა უდებდა მოურავსა თავსა და სიძეცა იყო
ბატონის თეიმურაზისა, ამისთვინცა დიდობდა.

15

იწყინა მოურავმან მისი თავს-დაუდებლობა
და ამანც აღარა ახსენა. და ამაში შეექნათ
შური დიდი და მტერობა: ზურაბ ბატონს

20

თეიმურაზს მიუდგა, და მოურავი ქაიხოსროს,
გამგებელსა ქართლისასა, და ქართლი სულად
შემოუყარა ქაიხოსროს მოურავმან. და არა
მორჩილ ექმნეს ესე ორნი ერისთავნი ზურაბ

და ამილახორი იოთამ და იყო განდგომილე-
ბა ურთიერთას შორის. ხ~ წარგზავნა მოურავ-
მა კაცი და ითხოვა შეწევნა იმერეთის მპყრო-

25

ბელის გიორგისაგან. შემწე ექმნა და წარმო-
სცა გიორგიმ სპანი თვსნი.

A კვიზ 3

330. მაშინ სა || ათაბაგოს საფარ-ფაშა იჯდა,
რ~, მანუჩარ ათაბაგი ოდეს ქართლად იყო, მაშინ
წარვიდა ხონთქართანა. და შეეწყალებინა ხონ-

30

160

თქარსა და მიეცა საათაბაგო თავისის სჯული-
თა, და ოდეს გაბრუნებულიყო, მაშინ წინ
დახდომოდა საფარ-ფაშა მანუჩარ ათაბაგსა,
და იყო ნათესავიცა მანუჩარისა. ხ~ მალვით
მოეწამლა და მოეკლა ათაბაგი და თვით წარ-
სულიყო საფარ-ფაშა და გათათრებულიყო, და
მოეცა საათაბაგო საფარ-ფაშისათვს. წარმო-
ვიდა და მოვიდა საათაბაგოში. რომელნიმე მა-
შინ თავადნი გათათრებულყუნენ ათაბაგისანი,
და, რა ესე საფარ-ფაშა მოვიდა, სრულიად
გათათრა, რანიცა თავადნი იყუნენ ქრისტე-
ანენი, მიერთგან იწყეს თათრობა. და ამა სა-
ფარ-ფაშას სთხოვა მოურავმა ჯარი და ათხოვა.

5

10

331. მაშინ ბატონი თეიმურაზ და ზურაბ
ერისთავი ერთად იყუნენ დუშეთს სახლსა ზუ-
რაბ ერისთავისასა. და შემოიყარა მოურავმა

15

A კ~ი3 4 ჯარი, მოვიდა დუშეთს ბატონს თეიმუ || რაზზედ, რ~ იყუნენ კახნი სრულიად მუნ და ზურაბ ერისთვის ლაშქარი და საამილახორო. და შეიბნენ ბაზალეთს ფიცხლად ასრე, რომე არა 20 დარჩა კაცი, რომ არ დაიჭრა, და მრავალი თავადნი დაიჭოცნენ და თვით ბატონი თეიმურაზც დაიჭრა მას დღესა. და დაუმარცხდა მას დღესა მოურავსა და თვით მოურავიც დაიჭრა, წარმოვიდა. ცოლი ქაიხოსროს გამგებელისა, 25 ძმისა მისისა თეიმურაზისა და ძე მათნი იმერეთს გადვიდენ. ცოლი მოურავისა და ძენი მისნი სამცხეს გარდვიდენ, და თვით მოურავი და ქაიხოსრო გამგებელი ხონთქართან წარვიდენ.

332. და უყო მოურავს ხონთქარმან წყალობა 30 და მისცა სანჯახები. და დააყენა მოურავმან

161

5 ცოლი და შვილი მისი იორამ მუნ სანჯახშია. ხ~ მოურავმან გმო სჯული თვისი და იქმნა მაჰმადიან და სთხოვა ჯარი ხონთქარსა და დააპირა, რომ წავალ და დავიჭერ ქართლსაო და სულ გავათათრებო და დაგამონებ ყმათაო.

A კ~ი3 5 ხონთქარი მა"შინ ყეენის გარიგებული იყო და უთხრა ხონთქარმან: „ერთი ქუეყანა მაქუსო გამდგარიო და იმაზედ გაგაყენებო და, თუ იმაზედ გაგემარჯვება და დაიჭერო, მასუკან 10 მაგასაც გაგირიგებო. გაგზავნა და გაატანა აზამ¹ ვეზირი თანა დიდის ჯართა. რა მივიდნენ, მუნცა დიად კარგად იყო მოურავი; შეება და გაიმარჯვა.

333. აზამ¹ ვეზირს ხონთქრის და ჰყუანდა 15 ცოლად. და, რა ესე ანბავი მიუვიდა ხონთქარსა, იამა დიდად და დიდი სახელი და ჳმა დაუვარდა მოურავსა. მაშინ იწყინა ხონთქრის დამა, რომელი ედგა ვეზირსა, და მისწერა წიგნი: „როგორი საქმე არის და, ან როგორ გეკადრებაო, 20 სულ მოურავის სახელი მოდის და შენი არაო. მაშინ უღალატა ვეზირმან: დაჰპატიჟა და ღალატით მოკლა მოურავიცა და შვილებიცა და გამგებელი ქაიხოსრო და, რაცა ჰყვანდა, ყოველივე ამოუწყუიტა. ერთი შვილი ახლდა 25 თანა ავთანდილ, მოუკლეს იგიცა. მაშინ² თან ახლდა " გორგასალ და შვილი მისი ბეჟან და

A კ~ი3 6

წააყენეს ბეჟან სასიკუდილოდ. მაშინ შეეხვე-
წა და ქრთამი მისცა იასაულს, რომ მაგ ჩემს
შვილს კი ნუ მოკლავ და მე მომკალო, ჩემი

¹ A: აზან.

² A: მაშინ bis.

162

თავი ანგარიშში გაგეთვლებათ და მაგას ნუ
მომიკლანო. მაშინ ისმინა მტარვალმან და არ-
ღარა მოუკლა შვილი, თვთ გორგასალ მოკლა:
თავი მოსჭრა, მიიტანა და ანგარიშში გაარო- 5
ინა. ბეჟან მორჩა და წარმოვიდა.

334. ხ~ ცოლი მოურავისა და შვილი მისი
იორამ დარჩა აზრუმს ქუეყანასა, ხ~ ძენი მუხ-
რანის ბატონის თეიმურაზისანი და ქაიხოს-
როსანი წარმოვიდნენ იმერეთიდან და მოვი-
დნენ მუხრანს. რა სცნა ბატონმა თეიმურაზ ამათი 10
მოსვლა მუხრანს, დაუწყო მტერობა და არა
დაანებეს მუხრანი და იყუნენ ერთის გლახაკის
კაცისას ღარიბად და გლახაკობითა.

A კ~ი 37

335. ამა ჟამსა შინა || უფრო განდიდნა ზურაბ
ერისთავი და არღარა დაუდვა ბატონს თეიმუ- 15
რაზს თავი და ამას შინა დაუწყო საქმობა სვი-
მონ მეფეს პატარასა. და იყო სვიმონ მეფე ციხესა
შინ ტფილისისასა. და მისცა ზურაბ ერისთავ-
მა საფიცარი დიდი და გამოიყუანა ციხიდან 20
და მოუდგა ზურაბ ერისთავი და გააბატონა
და მოუყენა ქართლი. და წამოიყუანა ზემო
ქართლს და მუნ იყოფებოდა. მაშინ სვიმონ
მეფე მამასა ეძახდა ზურაბს და იყო მისი მორ-
ჩილი და არას იქმოდა მის გარდაუალსა. 25

336. და რა ნახა ბატონმა თეიმურაზ საქმე
და განდგომილება ერისთვის ზურაბისა, მოკლე-
ბულ იქმნა ძალისაგან და არა სადა ქონდა
მისალტოლველი. მაშინ წინა აღრჩეუთ განიგუ-
ლა წარსულა ყაენთანა, განემზადა და წარვიდა. 30
და შთავიდა უფადარს, მუნითგან აღწერა ქარ-

163

ტასა ზედა წარმომთქმელმა ესრეთ: „არ ჯერ
არს განწირვა სიძისა მიერ სიმამრისა, ვინათ-

A კ³ი³ 8

გან || შვილი ხართ და სიძე ჩემი. და აწ მე წარვსრულვარ (sic) ყვენთან, ამიერთგან ვიხილო ერთობა თქუენი და მეფის სვიმონისა".

5

337. და ვ³ა ესმა ზურაბ ერისთავსა სიტყუა ესე და წარსვლა ბატონის თეიმურაზისა ყვენთანა, განიზრახა თვისაგან: რო ესრეთ იყო წადილი ზურაბ ერისთავსა, რათამცა ბატონი თეიმურაზ კახეთსა ზედან უფლებდეს, და სვიმონ მეფე ქართლსა ზედა, და თვითონ¹ ორთავე ზედა კადრებდეს და ვერარას მოქმედებდენ, თვინიერ მისსა, და მოსწრაფე იყო წარმართებასა საქმისა თვისისასა, და, უკეთუ რომელიმე არა იყოს ნებისყოფელი მისდა, იგი მეორე მეტოქად ეპყრას, და, რომელიცა არს მორჩილ მისდა, იგიმცა იყოს უფალ მისა. და არს საქმე ესე წინააღმდეგომი ბძანებისა ლ³თისა, ვ³ა იტყუის: „ვერ კელ-ეწიფების ორთა უფალთა მონებად".

10

15

20

338. და ვ³ა სარწმუნო იქმნა წარსვლასა ბატონის თეიმურაზისასა, მაშინ იზრახა ზრახვა ბოროტი, წარსაწყმედელი || თავისა თვისისა, შურითა ეშმაკისათა, და აღდგა მკულელად მეფისა სვიმონისა: და მძინარე სარეცელსა² ზედა ღალატად მოკლა იგი, წარკუეთა თავი და წარსცა ბატონს თეიმურაზს. და აქა დასრულდა თესლი დიდის მეფის ლუარსაბისა. ხ³ ზურაბ ერისთავმან, რა წარგზავნა თავი

A კ³ი³ 9

25

¹ A: თვითო. ² A: მძინარესარეცელსა.

მისი და, მოიყუნა ბატონი თეიმურაზ და უფალყო ქართლსა და კახეთსა ზედა.

339. და ვ³ა გამოჰკდა მცირედი ხანი რამე, მაშინ მოიკსენა ძვირი იგი წახეთის სულთნისა ბატონმა თეიმურაზ, რ³ მას ჟამსა ოდეს შააბაზ ყვენი მოიწია იავარყოფად კახეთისა და მოაოკრა სრულიად კახეთი, მაშინ თანა-მწე ეყო სულთანი იგი წახეთისა და ქმნა მრავალი ბოროტი მან კახეთსა ზედა. ამისთჳს იდუმალ მოუწოდა სპათა ქართლისა და კახეთისათა ბატონმა თეიმურაზ, განილაშქრა და წარემართა წახეთსა ზედა. და, ვ³ა მიიწია ალონსა

5

10

A კ~ი3 10

შინა, უბრკმა ცხენსა მას, რომელსა მჯდომარე იყო ბატონი თეიმურაზ, || და იქმნა მომტეხელ კელისა, და თვით ვერღარა ეძლო და უთავა ზურაბ ერისთავი და გაატანნა სპანი თანა. და წარვიდენ და მიიწივნეს უგრძობელად და დაესხნენ თავსა სულთანსა წახეთისასა. და მოსრეს პირითა მახვილისათა ყოველივე მუნ მყოფნი, მოაოჯრეს და იავარყუეს ყოველივე სანახები და თემნი სულტანისანი და თვთ იგიცა სულტანი შეიპყრეს და მოკლეს. და წარმოიღეს მრავალი ნატყუნავი და იავარი მათი, შემოიქცეს გამარჯვებულნი და მოვიდეს ბატონს თეიმურაზსა თანა. და იამა ბატონს თეიმურაზს და დიდად მხიარულ იქმნა.

15

20

25

340. და ამას შინა გამოჰჰდა ჟამი რამე და მოიკსენა პირველი ძვირი ზურაბ ერისთვსა და ჰქონდა შური მისთვს ფრიად და იმარჯვებდა ჟამსა, რათამცა ბოროტი რამე

30

165

A კ~ი3 11

5

შეაჩვენა, და განიგულა სიკუდილი მისი. და არა რიდა სიყუარულსა სიძისსა და არც ქურიობასა ასულისა თვისისსა დარეჯანისასა. მაშინ, ბატონი თეიმურაზ [იყო] მუხრანსა || და მუნ ლამოდა ღალატსა ზურაბ ერისთვსასა. მაშინ მოუწოდა ბატონმა თეიმურაზ სარწმუნოთა მონათა თვსთა და განუცხადა საიდუმლო გულისა თვისისა, წარმომთქმელმან ესრეთ: „ვინათგან ესრეთ განდიდნა ერისთავი ზურაბ და არავისი ნებავს უფლება ქართლსა და კახეთსა ზედა და, რომელი უნებს, დააყენებს და, რომლისაცა არა უნებს, რომელსამე მკულელი ექმნების და რომელსამე განამებს, და აწ მნებავს სიკუდილი მისი და თქუენ დაიდუმეთ საიდუმლო ესე და, რომელსა მე¹ ჟამსა გამცნო სიკუდილი მისი, თქუენ ნუ ურჩ მექმნებითო. და ესრეთ განამტკიცნა მონანი თვსნი და წარავლინა კაცი და უკმო ზურაბ ერისთავსა. და მოვიდა იგი, იშვებდენ და ლხინობდენ და ვერა აგრძნა ერისთავმა. და დღესა ერთსა მსხდომარე იყუნენ მონანი მისნი, მაშინ წამ-უყუნა ბატონმა თეიმურაზ. ხ~ მათ აღი-

10

15

20

A კ~იპ 12

ღეს მახვილები უგრძობელად ერისთვისა || და ინაწით მჯდომარესა უღალატეს და მოკლეს. და აღსრულდა ბრძანება უფლის მის ზედა, ვ~ დ, „რომელმან აღიღოს მახვილი, მახვილითა-ცა წარწყმდეს“. და იძია შური ბატონმა თეიმურაზ, წარვიდა დუშეთს და წარმოიყუნა ასული თვისი დარეჯან, მოვიდა და დადგა მუხრანს.

25

¹ A: რომელსამე.

166

341. მაშინ განიზრახა მზახობა იმერეთის მპყრობელისა გიორგის ძის ალექსანდრესათვის, რ~ გიორგის, იმერეთის მპყრობელს, ესხნეს სამნი ძენი: ალექსანდრე, მამუკა, და უმრწამესი იყო ზერი. და მისცა ასული თვისი დარეჯან, ცოლყოფილი ზურაბ ერისთვისა, ალექსანდრეს, იმერეთის მპყრობელის ძესა. ივმო იმერეთიდამე და მოიყუნა მუხრანს, სოფელსა ქინძათსა, და უკურთხა გვირგვინი მცირესა ეკლესიასა ქინძათისასა და გარდაიხადა ქორწილი. რ~ ამა ალექსანდრესა პირველად ედგა გურიელის ასული ცოლად, მაშინ დაეწამა ცილი რამე ქალსა მას გურიელისა და მისთვის იგი განუტევა ალექსანდრემ || და ესე დარეჯან ისეა ცოლად. მისცა და წარიყუნა იმერეთს.

5

10

15

A კ~იპ 13

342. ხ~ ჟამსა ამას მპყრობელი იმერეთისა გიორგი და დადიანი შურად ედგნენ ერთმანერთსა და იყო ჯდომა და შური ურთიერთას, აოჯრებდენ ქუეყანასა ურთიერთას.

343. მაშინ ბატონმა თეიმურაზ შემოიყარნა სპანი თვისნი, წარვიდა და მიუჭდა ულიკოსორს ლეკსა, რ~ იგინი უკდებოდნენ კახეთს, ავაზაკობდენ და სვრიდენ კაცთა და ტყუეჰყოფდენ და ჰყიდდენ. და ამისთვის შური იძია ბატონმა თეიმურაზ, მიუხდა და გაემარჯვა და მოსრა პირითა მახვილისათა ყოველივე მუნ მკუიდრნი. და წარმოვიდნენ მუნითგან მძლეუელნი მტერთანი, შემოიქცეს კახეთს.

25

344. და, ვინათგან არღარავინ ჰყუათ ქართველთა მკვიდრი, არცა მეფე და არცა ძენი მეფი-

30

5
A კ~იპ 14

სანი, მცირედ ოდენ მორჩილ-იყუნენ კახის ბატონის თეიმურაზისა და ჭმუნვიდენ უმკვიდროებოსათუს მეფისა საქართველოსათა, ამისთუს არა მსასოებელნი მკვიდრობისა, არამედ ჟამადმდე მგებელნი საქმისა, ერჩდეს ლაშქარ-ნადირობასა შინა და არა || რას მზრუნველნი მკვიდრობისა მისისათუს, თვინიერ მისა მეტყუელნი: „დღეს არს და ხვალე არაო. და მას ჟამად დაეპყრა ქართლიცა კახს ბატონს თეიმურაზს და ამისთვის ლაშქრობდა, ვინათგან ჰყუა სპათა სიმრავლე, მით მძლავრობდა ყოველთა წინააღდგომთა თვისთა და იძია შური პირველი მტერთაგან მისთა.

15
345. მაშინ კ~დ მოუწოდა ქართველთა და კახთა, შემოეყარნეს ყოველნივე და წარვიდა წარტყუნვად და მოოჭრებად ყარაბაღისა. და, უგრძობელად თავსა დამსხმელთა, იავარყუეს და მოაოჭრეს სრულიად ყარაბაღი, წარმოსტყუნვეს და წარმოიღეს მრავალი ნატყუნავი და შემოიქცეს ძლევაშემოსილნი, მოვიდეს კახეთს.

25
A კ~იპ 15

346. ხ~ ჟამსა ამას იყო გვარეულად უნდილაძე, სახელით დაუთ-ხან. და ესე უფლებდა განჯას თვით აღზრდილი ყიზილბაშსა შინა. და იყუნენ ძმანი და სახლეულნი მისნი მრავალ-გვარად ნამსახურნი და ცნობილნი შააბაზ ყეენისა მიერ და იყუნენ თანამდგომნი და ერთგულნი ყეენისა. და უყოფდა მრავალსა || კეთილსა შააბაზ ყეენი მათ, არამედ: კ~დ სძლია ჩვეულებამან მიუნდობელობისა მათისამან და სიბოროტისამან, ვ~ა თქმულ არს: „ჩვეულება

სჯულსა უმტკიცე არსო" და არსცა ¹ ჭემმართად ჩვეულება მათი სჯულსა მათსა უმტკიცე². ამან შა-სეფიმ შეიპყრა ძმა დაუთ-ხანისა და წარკვეთა თავი და შვილსა მისსა დასთხარა თვალეზი და ექუსი ძმისწული მოუკლა.

5

347. და, რა ესმა დაუთ-ხანს საქმე, წარმოვიდა განჯიდანე და მოვიდა ბატონს თეიმურაზთანა კახეთს და თანა ჰყუა ჯარი ყაჯრისა ცოლიან-

როსტომ
მწვე
A კ³ იჰ 16

შვილიანად და დაასახლა იორზედა. 10
348. და რა ესმა ესე შა-სეფი ყეენსა, ძესა 10
შააზაზისასა, საქმე ესე, იწყინა დიდათ.
მაშინ იყო ვინმე სააკაძე როსტომ, რომე-
ლი აღზრდილიყო ყეენის კარზედა. და იყო
ესე სააკაძე როსტომ კაცი გამოჩენილი და
დიდად პატივცემული ყიზილბაშთაგან. და მის- 15
ცა მას სპასალრობა (sic) და გამოაყენა ქარ-
თლსა ზედა და წარმოატანა თანა ბატონად
ქართლისა ხოსრო-მირზა, ძე დაუთ-ხანისა, რომე-
ლი პირველ ვახსენეთ, რ¹ ამა ხოსრო-მირ- 20
ზას || მისცა ყეენმა ქართლი და უწოდა როს-
ტომ-ხანი და წარმოგზავნეს ორნივე ზოგად³
როსტომ-ხან და როსტომ სპასალარი სააკაძე.
ბ- კახეთი მისცა სალიმ-ხანს და იგიცა თანა
წარმოატანა. წარმოემართნეს და მოვიდნეს
ხუნანს და დაიბანაკეს მუნ ხუნანს, რომელ არს
გატეხილი ჳიდი.
349. მაშინ ბატონმა თეიმურაზ, სცნა რა
საქმე ესე, შემოიყარა სპანი თვსნი, მოვიდა და

¹ A: არცა.

² A: უმტკიცეა.

³ A: ზოგან.

169

5
10
A კ³ ით 1
15

დადგა საფურცლეს და მოუწოდა ბარათიან-
თა ცოლშვილიანად და მოასხა მუხრანს და
იყუნენ მუნ. და, რა სცნეს ბარათიანთა მოსუ-
ლა როსტომ მეფისა ხუნანს, დაუტევეს ცოლ-
შვილი და წარვიდენ როსტომ მეფესთანა. და,
რა სცნა ბატონმა თეიმურაზ წასულა ბარათი-
ანთი, განრისხნა ფრიად და ინება ცხვირპი-
რის დაჭრა ბარათიანთ ცოლშვილისა, ხ¹ ხო-
როშან დედოფალმან აღარ დაანება. და ველა-
რა დადგა ბატონი თეიმურაზ მუხრანსა და
არცაღა ძალედვა წინააღდგომა როსტომ მე-
ფისა. მაშინ წარვიდა ცოლშვილით იმერეთს
და თანა წარყუ || ნენ რომელნიმე კახნი.
350. და, რა ესენი წარვიდენ, მაშინ ეპყრა
მუხრანი ვახტანგს, ძესა თეიმურაზისასა, წარვი-
და ესე ვახტანგ და მივიდა როსტომ მეფესთანა.
და, რა სცნეს ყიზილბაშთა წასვლა ბატონის
თეიმურაზისა, გამოუყენეს უკანა თარეში. ბა-

20 ტონმა თეიმურაზ და რომელთამე კახთა გარ-
და[ა]სწრეს იმერეთს, ხ[~] რომელთამე მოეწივნეს
პერანგაზედა, რომელიმე მოსრეს, რომელიმე
შეიპყრეს და ტყუე ყუეს ხიზანი, წარმოვიდნენ
და მოვიდნენ როსტომ სპასალართანა.

25 **351.** ხ[~] იყუნენ მრავალნი და ურიცხვნი ყი-
ზილბაშნი, მოიყუანეს და გააბატონეს როსტომ
მეფე ქართლში და შემოეხვივნენ ქართველნი,
ხ[~] სალიმ-ხან ჩაიყუანეს და დასვეს კახეთშია.

30 **352.** მაშინ აღაშენეს ციხე გორისა და შეაყე-
ნეს მცველნი და კ[~]დ შეაყენეს მცველნი სურამის
ციხეშიაცა.

173

353. მაშინ როსტომ მეფეს მოსცეს მომშვე-
ლებლად ლორის ხანი, ყაზახის ხანი და შამშადი-
ლოს ხანი, ხ[~] სალიმ-ხანს უჩინნეს მომშველებ-
ლად განჯის ჯარი და ყაჯარისა.

A კ[~]ით 2 **354.** || და იყო მეფე როსტომ დიდათ მორ- 5
ჭმული და საქონლით სავსე ამისთვის, რომ ყენი
აძლეუდა მრავალსა და იყო ყულარადასი
და ტარულა ისპანისა. და იყო დიდად მწყა-
ლობელი ყენი როსტომ მეფისა და უგზავნი-
და მრავალსა. 10

355. ხ[~] როსტომ მეფე აძლეუდა ქართველთა
ლეინის ხალათებსა და მცირესა მისაცემსა, რ[~]
მაშინ ქართველთა არ იცოდნენ კაბა და არცა
ჰყუარობდენ მორთვასა. და ამა მცირედითა
მისაცემითა დაიერთგულნა და შემოიყარნა 15
ქართველნი, რ[~] მაშინ იყუნენ ქართველნი გულ-
წრფელნი და გამოუცდელნი ყიზილბაშის ხერ-
ხისა და ტყუილისაგან, და ესე როსტომ მეფე
იყო კაცი ხერხიანი და ილათიანი და მცდე-
ლი საქმისა. და მას ჟამსა, ვინცავინ ქართველ- 20
ნი იყუნენ ყიზილბაშში დატყვევებული და
გათათრებულნი, ყოველივე წარმოიყუანა ქარ-
თლში და სწადოდათ გათათრება ქართლისა.
და იყო წესსა ზედა ყიზილბაშისასა და გაა-
რიგა რიგი სახლისა თვისისა ყიზილბაშურად 25
და განაწესა მოკლენი და გამრიგენი თათარ-
თანი და არცა მო || შალა ქართველი მოკლელე
და იქცეოდა დიდებულად.

A კ[~]ით 3

356. და მაშინ მეფეთა ქართლისათა სასახ-

ლე იყო ციხესა შიგან, სადა დგას საყდარი წმი- 30
დისა ნიკოლოზისა, და ამან როსტომ დაუტე-

171

5 ვა და მუნ დასვა მინბაში (sic) ყიზილბაშისა,
თვით გამოვიდა და დასახლდა პირსა მტკურისა-
სა ანჩის საყდარსა და სიონს შუა. მუნ ციხეშიაც
აღაშენა მეჩიტი აბანოს პირდაპირ და ხეუს
გამოდმა და თვისსა სასახლეშიაც აღაშენა მე-
ჩიტი. და კ~დ აღაშენა ბაღი იშიტურტუქს
ქუემორე და მუნცა აღაშენა მეჩიტი.

10 **357.** და ამა ჟამსა შინ იჯდა ერისთვად და-
თუნა ერისთავი არაგვისა და არა უდებდა თავსა
როსტომ მეფესა და ესაქმებოდა ბატონს თეი-
მურაზს და როსტომ მეფესაც ემსახურებოდა.
შეუტყო ჳერტი ესე როსტომ მეფემა, შემოი-
ყარა ჯარი და მივიდა მუხრანს, შეუთვალა
დათუნა ერისთავსა: „პირობა მომეცი, რომ
15 ყვენთან წახვიდე, მოგიმართავ ჳელსა და გაგ-
გზავნი, თუ არა და, შემოგიკდები და შენს
ქუეყანას ავაოკრებო. და არა ძალ ედვა წინა-
აღგომა მეფის როსტომისა და წარმოვიდა მ || ე-
ფესთანა და მოვიდა. უღალატა მეფემ როსტომ
20 და მოსჭრა თავი და გაუგზავნა ყვენსა. შემო-
უთვალა, რომ ეს მჩხუბეუდა ბატონს თეიმუ-
რაზთანა, და თვით საერისთოს შეუკდა.

A კ~ით 4

25 **358.** მაშინ იყო ძმა დათუნა ერისთავსა ზაალ.
შემოიყარა ამან ზაალ ჯარი თვისი და დაუბ-
და წინა, გაემარჯვა და გამოაბრუნვა. მა-
შინ გაუგზავნა ზაალ კაცი ბატონს თეიმუ-
რაზს და შეუთვალა ფიცი საშინელი და გაუ-
გზავნა მძეუალი და საფიცარი: „მოდით და გა-
გაბატონებო. რა მიუვიდა ბატონს თეიმუ-
რაზს კაცი, მაშინ ვერ ძალედვა ქართლზედ
30 მოსვლა და წარვიდა იმერეთიდანე დვალეთ-

172

ზედ, გარდმოიარა და მოვიდა ანანურს და
მუნ დადგა.

359. მაშინ შემოუჩინეს კაცები და ემტერე-
ბოდენ როსტომს მეფესა, მაგრამე ვერსად მოი-
კვლეს: ფთხილობდა და იყო ქალაქის ციხეშია. 5

მაშინდა ერთგულად მოუდგნენ რომელნიმე წვრილნი კაცნი ქართველნი, ციხეში იჯდა და ვერას უმტერებდენ.

A კ~ით 5 **360.** სალიმ-ხან, რომელი იჯდა ქუყყანასა კახეთისასა, მოსაბრუნს, || და მუნ აშენებდა 10

სახლსა და რა ნახეს ესე, რომე როსტომ მეფეს ველარა უმტერეს, მაშინ მიუჯდენ სალიმ-ხანს, დაესხნეს თავსა. და თვით სალიმ-ხან გარდაუსწრა, ვერ დაიჭირეს და სხვანი, რომელნიც ყმანი მისნი თათარნი მოიკელნეს (sic), დაკოცეს და ზოგი დაიჭირეს. 15

და წარმოვიდა ბატონი თეიმურაზ და დაიჭირა კახეთი. მაშინ კახეთი დამცრობილი იყო და ვერ დადგა როსტომ მეფის შიშით, მივიდა და დადგა ანანურთა და მუნითგან ქართლსაცა ცდილობდა. 20

361. ამა ჟამსა შინა ინება როსტომ მეფემა და დადიანმა ერთმანერთის მოყურობა. მაშინ დადიანი ლევან და იმერეთის მკყრობელი ერთმანერთს უკდებოდენ და იყო შური დიდი ერთმანერთშია. და ამისთვის მოინდომა დადიანმა როსტომ მეფის მოყვრობა და როსტომ მეფემაც ამისთვის მოინდომა დადიანის მოყურობა, რომე ბატონი თეიმურაზ ამისი მტერი იყო და იმერეთში მაგრობდა და დადიანს იმისთვის ემტერებინა. 25 30

173

A კ~ით 6

362. || მაშინ არა ჰყუანდათ რა, რომ ერთმანერთისათვის მიეცათ. დადიანს ჰყუანდა და, სახელით ¹ მარიამ. ესე ესვა ცოლად სვიმონს გურიელს. ესე მარიამ იყო ნაშობი ათაბაგის ქალისა. მაშინ სვიმონ გურიელმან გმო ღ~თი, შურითა ეშმაკისათა აღბორგებულმან, მოკლა მამა თვისი ² გურიელი: სარეცელსა ზედა მწოლარეს უღალატა. და, ვ~ა სცნა საქმე ესე ლევან დადიანმა, მიზეზ-ყო საქმე ესე, შეუთვალა სვიმონ გურიელსა: „ვინათგან ჰყავ საქმე ეგე ბოროტი, მე ჩემს დას შენ აღარ მოგცემო. შეიყარა დადიანმა ლევან ჯარი და მიუკდა ლანჩხუტს ³. შეიყარა იქიდან სვიმონ გურიელმა ჯარი. ესე სვიმონ გურიელი იყო კაცი მკნე და გულოვანი და მივიდა ესეც

5

10

15

20
A კით 7

ლანჩუტს, შეიბნენ. და გაემარჯვა ლევან დადიანსა, შეიპყრა სვიმონ გურიელი და დასწვა თვალები და გამოართვა და თვისი მარიამ. და დასვა გურიელად ქაიხოსრო, გურიელის სახლისკაცი. და ესე ქაიხოსრო || გურიელი იყო მარიამ დედოფლის დედით ძმა.

25

363. და წარმოუგზავნა როსტომ მეფეს კაცი და აღუთქუეს ქალის მიცემა. იამა როსტომ მეფესა და აემზადა წარმოსაყუანელად ქალისა. შემოიყარნა ქართველნი და წარმოემართა. მაშინ იყო დადიანი ლევან დიდად მდიდარი საქონ-

¹ A: სახელი.

² A: ამ სიტყვის შემდგომ კიდევ გამეორებულია |მამა".

³ A: ლანჩუტს.

174

A კით 8

ლითა და სპითა. აქედამ როსტომ მეფე წარვიდა სპითა მრავლითა და იქიდან დადიანი წარმოვიდა შეყრილი და თანა წარმოიყვანა და თვისი მარიამ, რ[~] მაშინ ეშინოდათ იმერეთის მპყრობელისა გიორგისაგან. და წარმოვიდა სამიქელაძეოზედა, გამოიარა ფოკე, გამოჰყდა რიონს და ამოვლო საჩხეიძო და მოვიდა კაკას-ჯიდსა დადიანი. და წარმოვიდა როსტომ მეფეც სამცხეზედ და შეიყარნენ როსტომ მეფე და დადიანი კაკას-ჯიდსა და დადგნენ პირდაპირ სიახლოესა. მაშინ იმერეთის მპყრობელი გიორგი შეიყარა სპითა მისითა და წარვიდა იგიცა მათზედა, რ[~] გაუბედა ჳმალი და არა უტევებდა, მივიდა იგიცა სიახლოვესა (sic) იმათსა და დადგა. არჩია გიორგიმ და განიზრახა თვისგან ¹, წარვალ სუბად და დავხედავ ჯარსა მათსა, და წარვიდა. ურჩიეს იმერელთ, მარტო ნუ წახვალო, და არა დაიშალა. და წარვიდა ათის კაცითა და დახედა მალლიდამე ჯარსა მას მათსა. და შეუტყო საქმე ესე დადიანმა ლევან, წარმოგზავნა სპანი თვისნი. და ნახეს გიორგი, რომ სუბად იყო, შეუტივეს და შეიპყრეს და მ[ი]იყუანეს დადიანთანა. ამ ჟამს იყო ქრისტეს აქათ:, ჩფ[~]ლბ. ხ[~] დადიანს იამა და გამხიარულდა დიდად და ტყუე-ყო, ხ[~] მოსცა ქალი როსტომ მეფესა და

5

10

15

20

25

წარმოვიდა როსტომ მეფე და წარმოიყუანა.

364. მაშინ გაბრუნდა დადიანი და წარიყუანა გიორგი თანა და დაატყუევა ციხეშია და ჰყუან-

¹ A: თვისგა.

და ტყუეთა. ხ~ ძემან გიორგისმან ალექსანდრემ დაიპყრა მამისა წილ თვისისა.

365. და, რა წარმოვიდა როსტომ მეფე მასვე გზაზე, რომელსაცა მისულიყო. მა[ს] ჟამსა თათრად იყო ათაბაგი და არღარა სახელსდებდენ || ათაბაგად, არამედ ოსმალის ენითა ფაშად სახელდებდენ. და მაშინ იჯდა ფაშად საფარ-ფაშის ძე, უსუფ-ფაშა. ამან დაანება გზა როსტომ მეფესა, გარდმოვლო ოცხე და ჩამოვიდა ქართლსა და ქნა ქორწილი ჳემწიფური და სახელოვანი.

366. მაშინ სთხოვა ალექსანდრემ, ძემან გიორგისმან, დადიანს მამა თვისი და შეუკვეთა სახსარი. ხ~ დადიანმა სთხოვა ჩიხორსა და ჩხარს სომხები სახსრად. აჰყარა და მისცა, რაც შემოუკუეთა, და გამოიხსნა მამა თვისი და მოიყუანა იმერეთს. და იცოცხლა გიორგიმ ხანსა რაოდენსამე შინა და მოკუდა. და დაჯდა მის წილად ძე მისი ალექსანდრე.

367. და მიერითგან მძლავრობდა დიდად დადიანი იმერეთზედა: ესრეთ გაუჭირა საქმე ალექსანდრეს, რომე ქუთაის[ს] გალავანი შემოივლო და იჯდა მას შინა და ვერა წინააღუდგებოდა დადიანს. ხ~ დადიანი მოუჭდებოდა ყოელს საუფლოს დღეს, შობასა, ახალწელიწადსა, ნათლისღებასა და აღდგომასა და აოჭრებდა ქუეყანასა იმერეთისასა: რომელსამე || ჳოცდა და რომელსამე ტყუე ჰყოფდა და ჰყიდდა და დაირჩენდა და თავს დაახსევინებდა.

368. და ამას ჟამსა შემოიღო ლევან დადიანმა ტყუის სყიდვა და თავის დახსნა, რ~ არა იყო

მანამდი. და იყო დადიანი მდიდარ ფრიად და მორჩილებდენ სრულიად აფხაზნი და

5
A კ~ით 9

10

15

20

25

A კ~ით 10

30

შარვაშიძენი ყმობდენ და ულაშქრებდენ დადი-
ანსა.

369. ხ~ როსტომ მეფე განდიდნა ფრიად და 5
ვერღარა დააკლეს რა მტრებმან.

370. ამა[ს] შინა გარდაჯდა წელიწადნი სამნი.
მაშინ უკუდგნენ არაგვის ერისთავი ზაალ და
ქსნის ერისთავი ბატონს თეიმურაზს და აბატო-
ნებდენ კახეთსა შინა და ესენი ეკერძებოდენ მას. 10
და იყო მას ჟამსა კახეთი გაოჯრებული, და
ჩავიდნენ ლტოლვილნი კაცნიცა და რაც მუნ
იყუნენ, მცირედ ოდენ იწყო შენობად და მო-
სახლეობად. მაშინ ზოგჯერ გაუგზავნის ყაენს
ფეშქაში და შეურიგდებოდა ბატონი თეიმუ- 15
რაზ და ხან აეშლებოდა, იყო კახეთშია და
ესრეთ ბატონობდა.

A კ~ით 11 **371.** მაშინ ბატონმა თეიმურაზ || იზრახა და
განიგულა დაპყრობა დიდოეთისა და სწადდა 20
იქიდამე რუსეთის გზის შოვნა და ზურგის მობ-
მა რუსეთის კელმწიფისაგან და მუნითგან
რუსის ჯარის მოსულა, რ~ ესე იყო წადი-
ლი მისი. შეიყარა ჯარი და წარვიდა დიდო-
ეთზედა, ენება მოქცევა დიდოეთისა. და მი-
უჭდა დიდოეთს და აღილო რომელიმე კომპე- 25
ბი და ალაგები.

372. ხ~ დიდოთა ითხოვეს შეწევნა ლეკთაგან,
რ~ მაშინ დიდათ ემტერებოდენ ლეკნი კახთა,
რ~ ბატონი თეიმურაზ მიჰკდომოდა და მრ-
ვალი ბოროტი შეეჩვენებინა ლეკთათვის, და
პირველითგანაც მტერ იყუნენ, ამისთვის მტე-

რობდენ ლეკნი კახთა. მოეშველნენ დიდოთა
და შემწე ეყვნენ. და დახვდენ სიმაგრეშია
ბატონს თეიმურაზს, დაუშინეს საგორავები
ქუა და ისარი და ამოსწყუიტეს მრავალი. და
5 გამოაქცივეს ბატონი თეიმურაზ, და, რომელ-
ნიც ჰყუანდა გამოჩენილი ეფისკოპოზნი, დარ-
ბაისელნი, ყოველივე მუნ ამოსწყუიტეს. და
ჩამოვიდა კახეთს და იტირა ვაი || ეფისკო-
პოზ-დარბაისელ-ამოწყუეტილს.

A კ~ით 12 **373.** ამაში გამოჰჭდა ხანი რამე, შეკრეს
პირობა ერისთავმა, იოთამ ამილახორმა, ნოდარ
10 ციცისშვილმა, კ~ოზმა დიასამიძემა ეუდე-

15 მოზ (sic), გოჩაშვილმა გიორგიმ და ზოგ-
მა რომელმამე ქართველმაცა, ამათ ინებს
განდგომა როსტომ მეფისა. და უფროსდა
ცდილობდა კოზი ევდემოზ ამისთვის, რომე
ამისი ძმის ასული დათუნა ბატონი თეიმურა-
ზის შვილს ცოლად ესვა. ამათ გაუგზავნეს ბა-
20 ტონს თეიმურაზ[ს] კაცი და მისცეს საფიცრე-
ბი და პირობა დიდი და იკმეს: „კდ მოდი
ქართლში და გაგაბატონებთო. ამაში ნოდარ
შემოიყარა ჯარი და წარვიდა.

25 **374.** რა სცნა საქმე ესე როსტომ მეფემ,
შემოიყარა ჯარი და წარმოემართა იგიცა ნო-
დარზედა, მოვიდა და დადგა საჯავახიანოს.
ვა ესმა ნოდარსა წარმოსვლა როსტომ მე-
ფისა, გაიქცა და წავიდა. დევნა უყო როსტომ
მეფემ უკანა. მაშინ ახლდა ნოდარს ორნი ძმანი
A კით 12 || ჩხეიძენი გარდმოვარდნილნი და იყუნენ ნო-
30 დართანა. რა მიეწივა როსტომ მეფე ნოდარს,
გამოუბრუნდენ ორნიც ძმანი ჩხეიძენი, შემო-

178

ებნენ, იომეს და დაჯოცნეს. იგინიცა. ხ ნო-
დარ ივლტოდა და შევიდა ციხესა ატენისასა.
მივიდა როსტომ მეფე და შემოადგა გარს და
ვერცალა მუნ გამაგრდა ნოდარ და წარვიდა
ზემო ქართლად, რომელ-არს საათაბაგო. 5

375. ხ როსტომ მეფემ აღილო ციხე, დაამ-
ტვრია და წარმოვიდა მუნითგან. და დადგა
ცხირეთს და მუნ იკმო დედოფალი მარიამ და
იყოფოდენ მუნ. ხ კოზი ეუდემოზ იყო მუნვე
როსტომ მეფესთანა. კდ შეუთვალა ბატონს 10
თეიმურაზს კოზმა, ვდ: „ნოდარ რომ წა-
სულიყოს, მაგისთვის საქმეს რატომ წა[ა]ხდენ
და ან რატომ გაბრუნდ“!? მაშინ ბატონს თეი-
მურაზს შეეყარა ზაალ ერისთავი, მოვიდენ
და დადგნენ მუხრანს. კდ გაუგზავნა კოზმა 15
კაცი: „ნუღარ ჰყოვნითო, მოდითო და რაც
გინდა გაქნევინებ“.

A კით 14 **376.** მაშინ, სცნა რა საქმე ესე მუხრანის ბა-
ტონმა ვახტანგ, წარმოავლინა || კაცი მსწრაფლ
და ამცნო საქმე ესე როსტომ მეფესა. მაშინ დე- 20
დოფალი წარავლინა გორის ციხეშია და თვით-
ცა უკან ჩამოუდგა და მივიდნენ გორის ცი-

ხეშია და მუნ გამაგრდენ.

377. ხ~ ბატონი თეიმურაზ მივიდა უფლის-
ციხესა და ველარა გააწყო-რა, გამობრუნდა და 25
წარმოვიდა. და დახვდა წინა ვახტანგ მუხრა-
ნის ბატონი და უყო მრავალი ზიანი და წარ-
ვიდა კახეთს.

378. ხ~ შეიპყრა კ~ოზი ევდემოზ როსტომ 30
მეფემან და წარავლინა ქალაქის ციხეშია და
ტყუე-ყო და, ხანსა რაოდენსამე უკანა, მუნ-

179

ვე ციხეში მოაშთობინა. ხძ~ გაჩაშვილი გიორ-
გი შეიპყრა და დასთხარა თვალეზი და სხვა-
ნი, რომელნიცა იყუნენ როსტომ მეფის ორ-
გულნი, რომელნიმე გაახეიბრა და რომელიმე
5 მამულით ¹ გაადარიბა და განაძო თვისის ქვე-
ყნიდამე, თვინიერ ზაალ ერისთვისა და იო-
თამ ამილახორისა. ხ~ იოთამ ამილახორი,
ხან მოუდგებოდა როსტომ მეფესა და ხან
ბატონ თეიმურაზს, და, სიტკენაც (sic) დრო
10 დააჯელის, იქითკენ იყუს.

379. და ამისგან რა მოიცალა როსტომ მე-
ფემა, || შემოიყარა ჯარი ქართველთა და, რო-
მელიცა ყიზილბაშნი იყვნენ მიჩენილი ყენისა-
გან, იგინიცა შემოიყარა და წარვიდა კახეთს
15 ბატონს თეიმურაზზედა. რ~ მაშინ ბატონი თე-
იმურაზ მაღაროს იდგა სუბათა და კახნი თავ-
თავისთვინ იყუნენ, მიუჯდა როსტომ მეფე. და
დაუწყო სროლა ვიწროებში ბატონმა თეიმუ-
რაზ და, რაც ოდენ შეეძლო, იომა ბატონმა
20 თეიმურაზი. და ველარა დაუდგა როსტომ მე-
ფე, გაიქცა და წარვიდა ტფილისს. და აღარა
დევნა უყო ბატონმა თეიმურაზ, იშოვა მრავა-
ლი ბარგი მისი, აიკლო და წამოიღო და
წამოვიდა და მოვიდა თვისსა სახლსა.

380. და, რა ნახა ესე ზაალ ერისთავმა და
იოთამ ამილახორმა, რომ ველარცა რა ამ დამარ-
ცხებით დააკლეს რა, დაუწყუეს როსტომ მე-
ფეს ლაპარაკი და ხვეწნა: „შეგვირიგე და გვიმ-
სახურეო“. ხ~ როსტომ მეფემ ესე უპასუხა

¹ A: მამამულით.

ზაალ ერისთავსა: „უკეთუ წარხვალ ყეენთან, შეგირიგებ და, უკეთუ არა წახვალ, ჩემთან ჰელი არა გაქუს“. მაშინ დაჰყუა ზაალ ერისთავი: მოიყუნა და შეირიგა. და გაგზავნა ყეენთანა და მისწერა ყეენ || თანა კაი წიგნები. 5

381. და რა მივიდა ზაალ ერისთავი ყეენთანა, სცა პატივი დიდი და კეთილად მიიჩნია სიტყუითა როსტომ მეფისათა და უყო წყალობა მრავალი: გაუჩინა წელიწადში სამასი თუმანი ჯამაგირი, გაათათრა და გამოისტუმრა ქართლს. და მოვიდა როსტომ მეფესთანა და მიერთგან იყო ერთგული როსტომ მეფისა. 10

382. და მას ჟამსა იწყო ქართლის წესმა და რიგმან გარდაცვალება და ყოველთავე შეიყუარეს ანგარება და სიმდიდრის-მოყუარება, ჯამაგირი და სოფლის მიცემა ყეენისაგან, და განმრავლდა ტანთ-ცმა ყიზილბაშურად, და საქართველოს დიდებულნი და თავადნი ყაენისაგან განმდიდრდებოდენ და რაყმით იმოვნოდენ მამულებსა. 15

383. და თვით მეფის როსტომის წადილი და ნება ესე იყო, რომ უყეენოდ არავის რა მისცემოდა, და, თუ ვინმე გასაკეთებლად უწლოდა, ყეენს შეეკითხვოდა. და იყო მეფე როსტომ მორჩილი ყეენისა და მოყუარე სჯულისა მაჰმადისასა. 20

384. ამან აღაშენა სახლი ყიზილბაშური, || კეკლუცად და ტურფად ნაგები, [შემოიღო] მოფენილობა, სმა-ჰამა, გამოჩვენება და კეკელობა. და მიიქცნენ სრულიად წესსა ზედა ყიზილბაშისასა და განმრავლდა სახლსა შინა მისსა 25

A მ 1 30

სიძვა და არა-წმინდება, ცოდვა იგი სოდომ-გომორული და მეძაობა და დედათა თანა აღრეუა.

385. კ~დ ინება სიმაგრე ციხისა და თავისუფლობა ციხესა შინა მყოფთა თათართა: განძლიერდენ თათარნი და კადნიერებდენ ქართველთა ზედა. და რომელნიცა იყუნენ ქართველ-

5

ნი, მოყუარენი წესისა მათისა, მეძავნი და ბილ-
წების მოქმედნი: დიდად პატივსცემდა მეფე
10 როსტომ და ჰკითხეუდა და უსმენდა მათსა,
და, რომელნიცა იყუნენ სიმართლის-მოქმედნი
და წრფელნი გულითა და ცოდვის მორიდალი,
მათ არას პატივსცემდა და ცუდს კაცს ეძახ-
დენ და შეუძლებელსა.

15 **386.** და იყუნენ დღითიდღე სმასა, გან-
ცხრომასა შინა, ხ[~] სულისათვის არარას ზრუნვი-
დენ: მოიყუნა მეჩანგენი და მუტრიბნი. და
A მ[~] 2 აქებდენ ქართველნი დარბაისელნი და || მათცა
ეგრეთვე იყოლიეს მუტრიბნი და მრავალნი
20 მკვევალნი და არლარა იყო სირცხვილი სიძვისა
და მეძაობისა.

387. და ქართველთაცა ისწავეს სმა და ჭამა
ყიზილბაშური და დიდათ სირცხვილი უჩნდათ
სერსა ზედა უფლაობა და არა-კეკელაობა.
25 და, რომელსაცა არა შეეძლო ამ წესისა ქმნა
და უღონო იყუნენ მონაგებთაგან, განყიდეს
მამაპაპათაგან დაგდებული მამული და აგა-
რაკები და იცვემდენ ტანთა და სჭამდენ და
სმიდენ და არარას ზრუნვიდენ შვილისათვის.
30 და ამიერითგან შემოვიდა ზოგ-ზოგან ტყუ-
ის სყიდვა თავადებისაგან და, რომელნიც

182

იყუნენ ობოლნი და ქურივნი, გამოიყუნებდენ
და გაჰყიდდენ და განმრავლდა ცოდვა.

388. ხ[~] სამღვდელონი ეპისკოპოზნი ამითი
დაიერთგულნა, რომე ყოველთავე ჯამაგირი
განუწესა, თავდაბლად და ტკბილად ექცეოდა. 5
ამისთვის არალარას ზრუნვიდენ სამღვდელონი
A მ[~] 3 კრებულნი. ხ[~] აღაშენა || წმინდა კათოლიკე
ეკლესია, მცხეთის გუმბათი და სხვანიცა რო-
მელნიმე მოოჯრებულნი ეკლესიანი აღაშენნა.

და კ[~]დ აღაშენა გატეხილი-ჯიდი. 10

389. და იყო სმისა და ჭამისა მოყუარე და გას-
ცემდა [არა] მცირედსა საბოძვარსა სმასა ზედა
და ამისა ჟამსა შინა არა იყო ზრუნვა სულიერი
ერისკაცთა შორის ა[~]დ იყუნეს ფუფნეულ და
ჯორცთ-მოყუარე, რ[~] თვით სამღვდელონიცა და 15
მღვდელთ მთავარნიცა მიდრკეს კეთილისაგან
და აღერივნეს ერთა თანა, გოდებისაებრ იერე-

მიასა, რდ იყუნეს მოყუარე ღვინისა და ზმისა და შვებისა და განცხრომისა, ემღერდენ ურთიერთას სიძვა-მრუშებასა და მეძაობასა. 20
ამას შინა მოუძღურდა სჯული და განირყუნა წესი ეკლესიისა, რ~ არღარა ეძიებდენ სულიერსა საქმესა, არამედ ჯორცთათვის ზრუნვიდენ ყოველნივე.

A მ~ 4 390. ხ~ რაჟამს მოკლა კ~ ოზი დიასამიძე ევდე- 25
მოზ, მაშინ მისცა როსტომ მეფემან || წინასწარ აღრჩევითა თვისითა და მოწამებითა ყოველ-
თავე საქართველოსა მღვდელთ-მთავართა და სამღვდელთა დასთა მიერ გამორჩევით[ა] მი- 30
სცეს კ~ ოზობა ურდუბეგაშვილს ქრისტე-
ფორეს.

183

5 391. ესე ქრისტეფორე კ~ ოზი იყო კაცი მო-
ყუარე სიმართლისა, მშვიდი, მდაბალი (sic),
გულტკბილი ყოველთათვის მოწყალე, სი-
წმიდის მოყუარე, სახითა შვენიერ და ღირს
ხარისხ-მპყრობელობისა თვისისა, კ~ დ აღზდი-
ლი და გამოცდილი საეროსა, სამამაცოსა
ლაშქარ-ნადირობასა შინა. და არა ჰქონდა
გამოცდილობა (sic) წერილითა, მცირედ ოდენ
10 წურთილ იყო. ხ~ განაგებდა კეთილად წმი-
დასა კათოლიკე ეკლესიასა.

A მ~ 5 392. და ამან როსტომ მატა ყოველსა ფეშ-
ქაშსა და მეტადრე ტყუისასა. რაჟამს დაიდვა
სვიმონ მეფემან, ამ წესით იქმოდა: ანუ ძესა
15 ურიისსა, ანუ ნასყიდსა და ანუ ოსთასა გაგ-
ზავნიდა, ხ~ ამან გამოიყუნა ქართველთა
გლეხთა, აზნაურთა, დიდებულთა || ასულნი და
ძენი და მას გაუგზავნიდა. ამი[ე]რითგან დაიდვა
20 ესე და ყოველნი მეფენი საქართველოსანი
ესრეთ ჰყოფდენ, ვიდრე მოდღეინდელად
დღემდე.

25 393. მაშინ დაიმორჩილა როსტომ მეფემ
სრულიად ქართველნი და იყუნენ დიდად ერთ-
გულნი, შემოიყარნა სპანი თვისნი, მივიდა და
დადგა საფურცლეს და მუნითგან მოუწოდა
ციხილბაშის ხანებსა, რომელი იყო ყენისაგან
მი[ს]უხედა ჩენილი. მოვიდეს და შემოიყარნენ
იგინიცა და წარვიდა ბატონს თეიმურაზხედა,

რ~ მაშინ ბატონი თეიმურაზ იდგა თიანეთს.

30

394. და ურჩია ბიძინა სუფრაჯმან ბატონს თეიმურაზს, ვ~ დ წარგზავნე მე შენი დავით და მე თანა ვეახლები და რომელნიმე კახნიცა

184

გამოგვატანე, წარვალთ ქისიყსა და ვემტერებით როსტომ მეფეს იქიდამე. და უსმინა ბატონმა თეიმურაზ და წარგზავნა მე თვისი დავით.

A მ~ 6

395. ხ~, რა ესმა როსტომ მეფესა, მანცა წარგზავნა ყიზილბაშის ჯარი იმათხედა, და || თვით წარვიდა ბატონს თეიმურაზხედა. და უთავა სარდლად ვახტანგ მუხრანის ბატონი და ზაალ ერისთავი და გაატანა სპანი ქართველთანი. მივიდნენ ესენი უღლისს, იქიდამ ბატონი თეიმურაზ მოვიდა და შეიქმნა ომი და თოფის სროლა ძლიერი. 5 10

396. მაშინ ჰკრეს თოფი რეუაზ სახლთხუცესსა ჩოლაყაშვილსა, რომელი იყო კაცი კეთილი და რჩეული სარდალი. ესე იყო ბატონის თეიმურაზის მეწინავე, ამას ჰკრეს თოფი და დაკოდეს სასიკუდინედ. და, რა სცნა სიკუდილი თვისი, არა აშალა ჯარი და მუნ დაუტევა ძენი თვისნი, და თვით გაბრუნდა სახლთხუცესი და მივიდა ბატონს თეიმურაზთანა. 15 20

A მ~ 7

მაშინ დალოცა ბატონი თეიმურაზ ესრედ, ვ~ დ „მე მომკუდარვარ (sic) შენის სამსახურისა და ერთგულობისათჳს, ჩემი თავი თქუენი ჭირის სანაცლო იყოს“. გამოესალმა და აკოცა ჳელსა და იტირეს ორთავე მრავალი. წარვიდა და მივიდა სახლთხუცესი || მუნვე ადგილს, სადაც დაიკოდა, და მუნ მოკუდა. 25

და რა ნახეს სიკუდილი მისი კახთა, მოშალა თავი, შეშინდენ და უკუნ იქცნენ და წარვიდნენ, უკუნ იქცა ბატონი თეიმურაზცა და წარვიდა. 30

185

397. ხ~ მუნცა შებმულიყუნენ ყიზილბაშნი და დავით, მე ბატონის თეიმურაზისა, გამარჯვებოდა ყიზილბაშთა და მოეკლათ დავით და

5 ჯარიცა მისი ამოეწყუიტათ. მაშინ ბატონი
 თეიმურაზ შეწუხდა დიდათ: არას გზით ღონე
 აღარა ჰქონდა დადგომისა და შემაგრებისა.
 წარმოგზავნა ხორაშან დედოფალი, რომელი
 იყო მამის ძმის შვილის-შვილი როსტომ მე-
 10 ფისა. ესე მოვიდა როსტომ მეფესთანა და
 შემოეხვეწა. ხ~ როსტომ მეფემ, რა სცნა მო-
 სვლა მისი, სცა პატივი დიდი და აღუსრულა
 სათხოვარი: დაანება გზა, გაუმძღვანა კ~ოზი
 ქრისტეფორე წინა და ბარგიცა ამან გარდა-
 15 უტანა იმერეთსა. ბატონმა თეიმურაზ გაუშვა
 კახეთი და ჩავიდა იმერეთს. მოეგება სიძე
 მისი ალექსანდრე, მპყრობელი იმერეთისა,
 A მ~ 8 ჩაუძღვა || და დააყენა და ისტუმრა კეთილად.
 მაშინ განუმჟღავნეს ბატონს თეიმურაზს ძე
 მისი დავით და იქმნა მათ შორის ტირილი
 20 და გლოვა დიდი.

393. ხ~ როსტომ მეფემა ¹ დაიპყრა სრულიად
 კახეთი და პატრონობდა ქართლსა და კახეთსა,
 გაუგზავნა თავი დათუნასი ყეენსა და მიუ-
 ლოცა გამარჯვება და არღარა ჰქონდა ფიქრი
 25 როსტომ მეფესა იშვებდა, ლხინობდა.

399. ხ~ ამა ჟამსა შან მომკუდარიყო სამცხეს
 უსუფ-ფაშა და იჯდა მის წილად ძე მისი
 როსტომ-ფაშა, ნაშობი მძევლისა. მაშინ იქმნა

¹ A: სწერია „მეფემან“, მაგრამ შემდეგ ნ წაუ-
 შლიათ

რისხვა დროისა საათაბაგოსა ზედა, სიმრავ-
 ლისათვის ცოდვათა მათთა: გამოგზავნა კაცი
 ხონთქარმა და დაპატიჟეს სჯული მაჰმადისა
 ცოლსა როსტომ ფაშისასა. ხ~ ქალსა მას რა
 5 ესმა, შეძრწუნდა ფრიად და ზარი დაეცა და
 განიგულა სიკუდილი თავისა თვისისა და
 არა დატევება სჯულისა დაეწება გარდა-
 A მ~ 9 ვარდნა თავისა თვისისა კლდესა შინა, || და
 არავინ უტევა. კ~დ განიზრახა მოშთობა თა-
 ვისა, და ვერცა იგი აღასრულა, რ~ ჰყუნდათ
 10 შეპყრობილი და სულს იქით ღონე აღარა
 ჰქონდა. და, რა მისჭირდა ქალსა მას, მაშინ
 უთხრა: „უკეთუ ყოველსავე საათაბაგოში

შინა მყოფსა ქალსა და კაცსა, ყუელაკას
გათათრებ, მეცა გავთათრდებო, და უკეთუ 15
არა, თავს მოვიკლავო და არა ვიქო. მაშინ
დაათათრეს ყოველივე და იგიცა გათათრდა:
და ყოველთავე მუნ-მყოფთა დაუტევეს სჯული
ქრისტიანობისა და იქმნეს მაჰმადიან.

400. მიერთგან იქმნა რისხვა ღ-თისა საათა- 20
ბაგოსა ზედა: განირყუნა წმიდანი ეკლესიანი,
შეირია და იავარ-ყუეს ყოველივე უსჯულოთა
თათართა, დაიპყრეს და ყუეს წმინდანი მონა-
სტერნი სამროწლედ და ცხოვართა სადგუ- 25
რად. და დაუტევეს მნეთა ეკლესიისათა და
სამღვდელოთა კრებულთა, ეფისკოპოზთა ¹ და
მოწესეთა კაცთა, საყოფელი თვისი, წარიდეს
თანა წმინდანი || ხატნი და ჯვარნი და ნაწილნი

A მ^ა 10

¹ A: ეს სიტყვა ორჯერ სწერია, მაგრამ პირველი „ეფისკოპოზ“ მეღნიით არის განივად გადახაზული.

და წარმოვიდეს, რომელნიმე საქართველოსა
შინა, და რომელნიმე გურიას და იმერეთს და
დაემკვიდრნენ იგინი სანახებთა ქართლისათა.
და იმერეთისათა, და, რომელიცა დაშთეს მუნ 5
ნემტნი ქრისტიანენი, იგინიცა მძლავრებით
და იძულებით მიიზიდნეს თჳსათ და მცირედ-
მცირედ ვიდრე აქამომდე მიდრკეს ქრისტიანო-
ბისაგან და აწ სრულიად არღარა იპოებიან
მუნ მორწმუნეთაგანი, თვინიერ კლარჯეთისა ¹
10 მსხემთა, რომელ არს ჯავახეთი (sic).

401. ხ- როსტომ მეფესა არა ესვა ძე. ფრიად
მზრუნველმან უქმობისამან, წინააღრჩევითა
რომელთამე განმზრახთა თვისთათა, წარავლი-
ნეს კაცი ისპაანს და მოიყუანეს სპარსეთით
15 ძისა ვახტანგისა, თეიმურაზის, ძე ლუარსაბ,
რომელი დაშთა სპარსთა შინა. ესე იყო სჯუ-
ლითა მაჰმადიანი და ესე ისვა ძედ თვისად მე-
ფემან როსტომ. ხ- იყო სულელ და ხელ და
A მ^ა 11
20 აღტაცებ || ულ გონებითა, რომელი არა შვენის
ძეთა მეფისა საქართველოსათა, და ზრდიდენ
და სწურთნიდენ კეთილად და საყუარელ იყო
მეფისა მიერ

402. ხ- ბატონი თეიმურაზ იყოფოდა სანა-

ხეზსა იმერეთისასა.

25 **403.** მას ჟამსა იყო დადიანი ლევან მდიდარი საუნჯითა ურიცხვითა და სპითა მრავლითა დიდად მძლავრობდა მპყრობელსა იმერეთისასა ალექსანდრეს: ესრეთ იყოფებოდა ქუთათის[ს], აღმშენებელი ზღუდისა, და მჯდომარე

¹ A: ამის წინ ერთი სიტყვაა ამოფხევილი.

188

იყო მას შინა თვით და ძმანი მისნი და თავადნი ჩინებულნი იმერთანი დედაწულითურთ ყოველნივე თანა ჰყუეს გარეშეზღუდვილსა მას შინა შიშისათვის დადიანისა, ო ფრიად მძლავრობდა შურით მჯდომი და იავარ-მყოფელი სანახებსა იმერთასა ზემოთა, ქუემოთა. არასადა დაშთა დაბანი და შენობანი და სიმაგრენი, რომელ არა მიემძლავრა. და არარას ჟამსა მოქმედებდა, თვინიერ დღესასწაულსა მას საუფლოსა, შო || ბა- ნათლისღებასა, ახალწელიწადსა.

A მ 12

ამათ შინა არა დასცხრებოდა მოოჭრებად ქუეყანისა, სრვიდა და ტყუეჰყოფდა მრავალთა და ჰყიდდენ ნაშოვართა ტყუეთა და დარჩენილთა კაცთა.

404. ეჰა, რისხვა ღთისა ულხინებელი მოქმედთა ამის ბოროტისათა, რ მან განაწესა ბოროტისა მის მტერისა მიერ წარმოთხეული გესლი იგი იუდაებრივი, რომელმან განყიდა ვეცხლად შემოქმედი და მოძღვარი თვისი.

მიერთგან განეწესა განსყიდვა უსჯულოთა ზედა ტყუეთა ქრისტეს-ნათლისღებისათა და წინააღმდეგომთა ღთისათა კაცთა მყოფთა სანახებთა იმერთა, ოდიშართა და გურიულთასა (sic), რომელი ნუ ყოს ღთნ საქმე ქართლსა ზედა ბოროტი იგი! ხ მუნ უფროსად და 25 უმეტესად განმრავლდა და გარდაემატა ცოდვა იგი ვიდრე დღეისამდე. ზი ჩემდა, რ თვით მუნ-მყოფნი მღვდელთ-მთავარნიცა და სამღვდლოთაგანნი შეირინნეს ბოროტითა მით სენითა, რ არა იყო || პირველ ლევან დადიანისა

A მ 13

და ალექსანდრესა, ამათთა ჟამთა შინა შემო-
ვიდა წარსაწყმედელად სულთა მათთა, რ~ ესე
ესრეთ იქმნა და აწ მივლტოდეთ პირველსავე
სიტყუასა ზედა.

5 **405.** ხ~ მიიმძლავრა დადიანმან ლეუან სრუ-
ლიად იმერეთი და ვერ ეძლო წინააღდგომა და
შემთხვევა ალექსანდრეს, მპყრობელსა იმიერე-
თისასა, და ვერცა გამოვიდოდა ზღუდისა მისგან.

10 **406.** ხ~ მამუკა, უმრწამესი ძმა მისი, იყო
ყრმა¹ ჰასაკად მიწვენული, შვენიერი და ახოვანი,
მსგზავსი მამისა თვისისა, განთქმული რაინ-
დობასა შინა, კისკასად და უებროდ მორბე-
დი, რ~ კნინლა და ჟამსა მას არა სადა აღზ-
რდილ-არს ესე-ვითარი მოასაკეთაგანი ზნე-
15 სრული და გულოვანი გოლიათებრივი. ესე
მამუკა მცირედითა სპითა თვისითა გამოვი-
დოდა ზღუდისა მისგან, განმსტრობელმან თა-
რემთამან სპათა მათ დადიანისათა, შეემთ-
ხვივის მზირად მცირედითა სპითა და მრავა-
20 ლი მოსრის და მრავალი დარჩენით შეიპ[ყ]რის
A მ~ 14 და ტყუე-ყუის და შემოიქცის || გამარჯვებული
და მსგავსად მათსა ჰყიდდენ დარჩენილთა
კაცთა თათართა ზედა. და, ვ~ ა კ~ დ მოუჭდა
დადიანი და მოაოჭრა ქუეყანა, დღესა ერთსა
25 ჩვეულებრივ გაუჭდა მცირითა სპითა თარეშსა
დადიანისასა, მიეტევა მწნედ, და მაშინ წარ-
მოექცა ცხენი სისწრაფისაგან და დაეცა ქუე.
მაშინ შეუტივეს ოდიშართა და შეიპყრეს და
წარიყუანეს და მიჰგვარეს დადიანს, და და-
30 დიანი მხიარულ იქმნა შეპყრობისა მისისათვის.
წარიყუანეს და ტყუე-ყუეს ოდიშს ციხესა შინა.

¹ A: ამის შემდგომ ერთი სიტყვა ამოფხევილია

407. ხ~, რა ესმა ესე ალექსანდრეს, მპყრო-
ბელსა იმერეთისასა, დაუმძიმდა ფრიად, მოი-
პოვა ღონე ესევითარი და აწვივა ბატონი თეი-
მურაზ წარსვლად ოდიშად დადიანსა თანა. ხ~
მორჩილ ექმნა ბატონი თეიმურაზ სიძესა თვისსა 5
ალექსანდრეს და წარვიდა. და, ვ~ ა მივიდა,
მიეგება დადიანი ლევან წინა, ისტუმრა კეთი-
ლად, დაუმზადა სერი დიდი და ჳელმწიფური

A მ 15 და მხიარულ იქმნეს ურთიერთას ხილვითა, რ[~] მეყუისნიცა იყუნეს ეს || რეთ: მე იყო ლევან 10
 თეიმურაზის მამის დისა. დღესა რაოდენსამე
 უკანა წარმოუთხრა მიზეზნი მისვლისა მისისა
 და მოქენე იყო გამოვსნისათვის მამუკასა და
 განტევებად მისა და არღარა შურობად და
 ჯდომად¹ ურთიერთას. 15

408. ხ[~] იყო მუნ წულუკიძე პაატა წუწვი, მკე-
 ლობელი, მეყუისი და თანა-განმზრახი დადი-
 ანის ლევანისა. და ესე, პირველვე განქვე[ვე]ბუ-
 ლ² მეფის ალექსანდრესაგან სამყოფთაგან
 თვისთა, ლტოლვილი წარვიდა ოდიშსა და 20
 მიერთო დადიანსა ლევანსა და დიდად მტერ
 იყო იმერეთის მპყრობილსა ალექსანდრესი:
 რ[~] ენება დადიანს პატივის დადება ბატონის
 თეიმურაზისა და განტევება მამუკასი, ხ[~] იგი 25
 სავსე შურითა არა უტევებდა. რ[~] ესრეთ იყო
 დამორჩილებულ დადიანი, რ[~] არა რას მოქ-
 მედებდა, თვინიერ მისსა, მაშინ მოიმტკიცა
 დადიანი პაატა წუწვი ენითა მზაკუარითა

¹ A: ჯმობად.

² A: ამის შემდგომ სწერია „მეფისათა“, მაგრამ
 მელნით არის წაშლილი.

191

A მ 16 და უარყო დადიანმაცა არა განტევება მამუკასი.
 || აუწყეს¹ ბატონს თეიმურაზსა, მეტყუელთა ეს-
 რეთ: „ვერ ეგების ჩვენგან განტევება მისი“. და
 5 იყო ხანსა რაოდენსამე მუნ ბატონი თეიმურაზ
 და არც ბატონმა თეიმურაზ დაუჟინა და წარ-
 მოვიდა, მოვიდა იმერეთს სიძესა თვისსა თანა.

409. მაშინ არავე დასცხრა ბოროტისაგან
 10 საქმისა და არცა შეიშინა რისხვისაგან ღ[~]თისა:
 კ[~]დ შესძინა შურსა თანა სიკუდილი მართლი-
 სა მის, წარავლინა კაცი და დასწვა თვალები
 მამუკას ციხესა შინა და მოკუდა.

410. ხ[~] ჟამსა მას მოკუდა. და იქმნა დიდად
 15 საღმობიერ სენითა სასიკუდინეთა გიორგისა
 შვილისშვილი თეიმურაზისა, რომელსა ზდი-
 და ალექსანდრე, მოკუდა და მიიცვალა იგი-
 ცა და ყუეს გლოვა დიდი და მწუხარება და
 აღასრულეს წესი გლოვისა. და იყო მუნ ბა-
 20 ტონი თეიმურაზ, ვიდრე შვიდ წლამდე.

A მ^ა 1
25
30

411. ხ[~] როსტომ მეფე მეფობდა მშვიდობით, არარას მზრუნველი, თვინიერ ლხინისა და შვებისა და მოსვენებისა. და გარდაიჭდიდა || დღეთა თვისთა სიხარულით, ნადირობდა და შეექცეოდა. და მას ჟამსა მოვლო რომელიმე სანადირონი და იყუნენ ხუნანს², რომელ არს გატეხილი-ჭიდი, და თანა ჰყუა მედ მისა წოდებული ლუარსაბ. მაშინ დაეთხოვა როსტომ მეფესა ყარაის სანადიროდ. ხ[~] მეფემან დართო ნება და წარვიდა. და გაჰყუნენ თანა ყრმანი, მსგავსნი მისნი, ახალ-მოა-

¹ A: აწყეს.

² A: ხუნას.

102

საკენი ქართველნი. და, ვ[~]ა მიიწივნეს მუნ, მოირეკეს ტყე და მოვიდა ჯოგი ირემთა და შეექნათ სროლა ძლიერი. და აღირივნეს ურთიერთას და ისროდენ ურთიერთას ყოველნივე დიდნი და მცირენი, განირყუნეს სანადირონიცა. და სროლასა მას შინა მოხუდა თოფი ლუარსაბს და მოკუდა მუნ. ვ[~]ა ესმა როსტომ მეფესა, მწუხარე იქმნა და იყო გლოა და ტირილი წესისაებრ.

A მ^ა 2

412. მაშინ ბატონი თეიმურაზ იყო მუნვე იმერეთს დიდად გლახაკად, უღონოდ საჭურჭლითა და საზრდელითა მოუძღურებული წლისა სამოცდა ათისა || და ვერღარა ძალ-ედვა წინა-აღდგომად როსტომ მეფისა ფრიადისა უძღურებისაგან. და დიდათ მოკლებულ იქმნა საზდელთა (sic) და საჭიროთა საცმართაგან.

413. მაშინ წარგზავნა შვილისშვილი თვისი ერეკლე რუსეთის ჯელმწიფესთანა, და შეემთხვივნეს წინა ავაზაკნი და მათ მოსრეს პირითა მახვილისათა ყმანი ერეკლესნი და კნინდა თვით განერა, რ[~] ერეკლე ყრმა იყო, მათგან მოუწყულელად, და დასტაცეს მკევალნი და ბარგნი. და წარიყუანეს თვით რუსეთს და მივიდა ხელმწიფესთანა. ამაში გამოჰჰკდა ხანი რამე და თვით ბატონი თეიმურაზცა წარვიდა რუსეთს, რ[~] წლისა იყო სამოცდა თორმეტის ¹, მივიდა. და დიდად პატივსცა რუსე-

თის კელმწიფემა. სთხოვა შეწევნა და ჯარი ქართლზედა. და უთხრა კელმწიფემან მიზეზი:

¹ A: „სამოცდა თორმეტის“ სტრიქონს ზევით სწერია უშნო, განსხეავებული ხელითა და მელნით.

A მ ა 3 „ჯერეთ მოცლა არა გვაქუსო“. და რა სცნა
ბატონმა თეიმურაზ, რომ შემწე არა ეყო,
ხანსა რაოდენსამე || უკანა დაეთხოვა და წარ-
მოვიდა. და აჩუქა მრავალი კელმწიფემან. ამა
5 ჟამსა შინა დიდად მოუძღურებულყო ბა-
ტონი თეიმურაზ, წარმოემართა და მოვიდა
ასტარხანს.
414. ხ~ ამა ჟამსა მომკუდარიყო იმერეთს შვი-
ლიშვილი მისი ლუარსაბ, ყრმა კეთილ-მოასაკე,
10 შვენიერი და მჭვრეტელთათვის სატრფიალო.
მოუვიდა კაცი ასტარხანს და გაუმჟღავნეს
მუნ და ყო გლოვა მუნ დიდი და მწუხარება.
ხ~ ერეკლე დაუტეუა რუსეთის კელმწიფესთან.
415. და ამა ჟამსა შინა მომკუდარიყო და-
დიანი ლევან. ხ~ შემოიყარა ალექსანდრემ,
მპყრობელმა იმერეთისამა, ჯარი, ჩავიდა
ოდიშსა. და ვერა წინა აღუდგნენ და დაიპყ-
რა ოდიში და მრავალი ბოროტი მოაწივა
ოდიშსა და იძია შური პირველი, რომელი
20 ყო დადიანმან მათ ზედა, ვ~ ბძანებს წმიდა
სახარება: „რომლითა საწყაულითა მიუწყით,
მოგეწყოსო თქუნ“ და ზედა დაგერთოსო.
A მ ა 4 || აიკლო საქონელი დადიანისა და საუნჯენი
მისნი ყოველნივე თვით დაიპყრა და ტყუედ
25 ყო მრავალნი ოდიშარნი. მრავალნი იშოვნეს
სრულიად ოდიშიდამ იმერელთა. და გამოარ-
თვა დიდებულთა ოდიშართა შვილები მძეუ-
ლად და თვით დიდეგულიცა შეიპყრა, დაახ-
სნევიანა თავი, ხ~ ძენი მათნი მძეულად წამო-
30 ასხა. და დასვა მუნ დადიანად ვამიყ, ძმის-
წული ლეუან დადიანისა, და წარმოვიდა

ალექსანდრე ნაშოვრითა მრავლითა მოვი-
და იმერეთს.

	416. ხ~ განუყო ქუეყანა დადიანს: დაიპყრა უნაგირას აქეთი ალექსანდრემ და უნაგირას ჩადმართი დადიანს მისცა.	5
	417. ხ~ ესე ვამიყ დადიანი იყო კაცი შეუფერებელი სიდიდისა და შეუგვანი. კ~დ იყუნენ დადიანის ძმისწულები მამუკა და ლიპარიტ: ესენი არა უდებდენ თავსა დადიანსა და არცა მორჩილებდენ. რ~ არა თავს იდვეს დადიანობა მისი, წარვიდენ და შეეხვეწნენ ათაბაგს როსტომს ფაშასა და კ~დ როსტომ მეფესაცა დაუწყეს ლაპარაკი და შემწედ ივმიეს, რ~ მარიამ დედოფალი ახლოს ნათესავი იყო ამათი, და სთხოვეს ჯარი.	10
A მ~ა 5	ხ~ როსტომ მეფემან გაატანა ავალიშვილი და ციციშვილები და სხვანი ჯარნი მრავალნი და როსტომ ფაშამაც გაატანა საათაბაგოს ჯარი. წარმოვიდნენ და ჩავიდნენ გურიას და წაჰყუა გურიელი ქაიხოსრო თანა ჯარი-20 თა და მივიდნენ ოდიშსა და შემოეყარნეს ოდიშარნიცა.	15
	418. და ვ~ა სცნა საქმე ესე იმერეთის მპყრობელმა ალექსანდრემ, შემოიყარა სპანი თვისნი, წარვიდა და განვიდა ცხენის-წყალსა. ხ~ მიქელამე და ჭილამე უწინაც ლევანს დადიანს ახლდენ და წარვიდნენ და მივიდნენ მამუკასა და ლიპარისა თანა, და მოვიდნენ იგინიცა. და შეიყარნენ ბანძას და შეიბნენ მუნ და იქმნა ომი ძლიერი. და გაემარჯვა მპყრობელსა იმერეთისასა ალექსანდრეს და დაჯოცნა მრავალნი ოდიშარნი თავადნი. და მაშინ დანირჩინეს ქართლის თავადები და აზნაურ[ებ]ი და მესხნი და ყოველთავე და[ა]ხსნევიანა თავები, და, რომელნიც იყუნენ ოდიშარნი განდგომილნი, ყოველივე დაიმორჩილა და მოირიგა. და კ~დ მტკიცედ დაიპყრა ოდიში და დასვა მუნვე ვამიყ დადიანად. და მიადგა ქაიხოსრო გურიელსა და ველარ დაუდგა ქაიხოსრო გურიელი, მოვიდა და შომოეხვეწა იგიცა ალექსანდრეს. და შეირიგა გურიელიცა და მისცა შვილისშვილი ბატონის თეიმურაზის, ქეთე-	25
		30
		195
A მ~ა 6	ვალნი ოდიშარნი თავადნი. და მაშინ დანირჩინეს ქართლის თავადები და აზნაურ[ებ]ი და მესხნი და ყოველთავე და[ა]ხსნევიანა თავები, და, რომელნიც იყუნენ ოდიშარნი განდგომილნი, ყოველივე დაიმორჩილა და მოირიგა. და კ~დ მტკიცედ დაიპყრა ოდიში და დასვა მუნვე ვამიყ დადიანად. და მიადგა ქაიხოსრო გურიელსა და ველარ დაუდგა ქაიხოსრო გურიელი, მოვიდა და შომოეხვეწა იგიცა ალექსანდრეს. და შეირიგა გურიელიცა და მისცა შვილისშვილი ბატონის თეიმურაზის, ქეთე-	
		5
		10

ვან, ცოლად გურიელს ქაიხოსროს და მოიმო-
ყურა.

15 ესე ქაიხოსრო გურიელი იყო კაცი მკნე
და ახოვანი და ბრძოლასა შინა გამოცდილი.

419. ამას შიგან მოვიდა ბატონი თეიმურაზ-
ცა, და მას ჟამსა მიცვლილიყო ბატონი დედო-
ფალი ¹ ხორაშან და არღარა ჰყუნდა რა, რ[~]
ერეკლე რუსეთს გაეშვა.

20 **420.** და ამა ჟამსა მოკუდა მეფე როსტომცა.

421. და ამა როსტომ მეფესა, ლუარსაბის
შვილი რომ მოუკუდა, მას უკან მუხრანის ბატო-
ნის ვახტანგისათვის მოეკიდნა ჯელი და ეშვი-
ლებინა და უყუარდა || როსტომ მეფეს დიდად.
A მ[~] ა 7 და იყო საქმის ჯელ-გამომავალი, მკნე და ახო-
25 ვანი და გამარჯვებული. მას ჟამსა ² მოუძღურ-

¹ A: ეს სიტყვა სტრიქონს ზეით სწერია სხვა
მელნითა და ხელით.

² A: მაჟამსა.

196

და როსტომ მეფეცა და არღარა ეძლო შემო-
ვლა, ქართლისა და მაშინ გაგზავნა ვახტანგ
მუხრანის ბატონი ყეენთანა და მისწერა წიგნი
ყეენს. და უჯერებდა ყეენი დიდად როსტომ
მეფესა და უშოვნა ჯანიშინობა ქართლისა. 5

422. და რა ჩავიდა ყეენთანა ვახტანგ, სცა
დიდი პატივი და დიდად მიიჩნივეს. და შეუ-
კვეთეს სჯული მაჰმადისა, და უთხრა პირვე-
ლად ბევრი უარი, და არღარა ¹ და ღონე
ჰქონდა, მაშინ მორჩილ-ექმნა. გაათათრეს და 10
წარმოგზავნეს ჯანიშინად ქართლისა და მო-
ვიდა ქართლსა.

423. მაშინ მოუძღურებულიყო როსტომ მე-
ფე და არღარა ეძლო (sic) და სრულიად სარე-
ცელზედ მწოლარე იყო, ლხინობდა და განისვე- 15
ნებდა, ქართლს ესე არიგებდა.

A მ[~] ა 8 **424.** ესე ვახტანგ იყო თესლი კოსტანტინე
მეფისა: თვით კოსტანტინედამ || თავი მეოთხე,
რ[~] კოსტანტინემ შვა დავით მეფე, გიორგი, მე-
ფე ალექსანდრე, ბაგრატ და მელქისედეკ კ[~]ოზი. 20
ამან მეფემ დავით მისცა მუხრანი ძმასა თვის-
სა ბაგრატს. და ამან ბაგრატ ² შეიპყრა ავ-
გიორგი, და ამან ბაგრატ შვა ვახტანგ, აშო-

თან, მამა მოწამის ქეთევან დედოფლისა და დედისიმედისა, რომელი იყო ცოლი ათაბაგისა, არჩილ და ერეკლე. ხ~ სამნი ესე ძმანი უძეო ეგნენ, და ვახტანგ შვა: თეიმურაზ და

25

¹ A: ამის შემდგომ სწერია: „მოეშვნენ“ მაგრამ მელნით არის წაშლილი.

² A: ამის შემდგომ ერთი სიტყვაა „შეიპყრტ“, რომელიც მელნით არის წაშლილი.

197

ქაიხოსრო, გამგებელი ქართლისა. ხ~ თეიმურაზ შვა ვახტანგ, რომელსა სპარსთა უწოდეს შანვაზ, და კოსტანტინე.

5 დიდითა შვებითა და განცხრომითა და მაშინ მოუძღურდა სიბერითა და სალმობიერ იქმნა. ხ~ ვახტანგ ჯანიშინმა წარავლინა კაცი და ამცნო ყენსა სალმობიერობა და მოუძღურება მეფისა როსტომისა.

10 A მ~ ა 9 ხ~ მას ჟამსა მომკუდარიყო შა-სეფი ყე-ე || ნი და დაჯდა მის წილად ძე მისი შ ა ა ბ ა ზ . ამან შააბაზ წარმოავლინა კაცი და მოვიდა ტვილის[ს] და ნახა როსტომ მეფე მოუძღურებული და სალმობიერი.

15 **426.** და ამა ჟამსა შინა მოკუდა როსტომ მეფე, წაიღეს და დამარხეს ყუმსა.

ხ~ დედოფალი მარიამ შეიყუანეს ტვილისის ციხეში ქრისტეს აქათ ¹ ყენის ბძანებითა.

20 **427.** მაშინ მოვიდა ზაალ ერისთავი შეყრილი და დადგა ავლაბარში.

მას ჟამსა ეპყრა კახეთი მურთუზლყული-ხანს ² და ზაალ ირისთავსა. და მურთუზლყული-ხან ³ იმისის ზურგით იდგა: ზაალ ერისთავის

¹ A: „ქრისტეს აქათ“ შემდეგ ადგილია ცარიელი თარიღისათვის.

² A: სწერია „სალიმხანს“, მაგრამ წაშლილია მელნით და სტრიქონს ზევით ეს სახელია უშნო, სხვა ხელით დაწერილი.

³ A: სწერია „სალიმხან“, მაგრამ წაშლილია მელნით და სტრიქონს ზევით იმავე უშნო, გასხვავებული ხელით ეს სახელია დაწერილი.

შეუკითხავი არა იქნებოდა რა კახეთში, როსტომ მეფეს დაედგინა იგი კახეთის გამგებელად და ეპყრა ზაალი ერისთავსა ¹ ერწოთ-იანეთი.

428. ხ[~] ქართლსა განაგებდა ვახტანგ, შანავაზ წოდებული, და ესე არიგებდა საქართველოსა. 5

A მ[~] ა 10

429. ხ[~] თათართა ეპყრა მონასტერი ალავერდი ციხედ და იყუნენ შიგა და სხვადა მრავალი || ადგილი კახეთისა დააპყრათ (sic), ბახტრიანი ციხედ ჰქონდათ. და მრავალი ელი ცოლშვილით ჩამოსახლდენ კახეთშია და მრავალსა ბოროტსა უყოფდენ მკვიდრთა კახეთისათა, რ[~] ენებათ სრულიად კახეთი გასათათრებლად და ელის დასახლება. და ყარაღაჯში მურთუზული-ხან ² იჯდა. 10

430. და მა[ს] ჟამსა იდგა ზაალ ერისთავი შეყრილი ავლაბარში, რ[~] ესე ვახტანგ მოყუარე იყო ზაალ ერისთავისა. ამა ვახტანგის ასული ზაალ ერისთავს ძის ზურაბისათვის თხოვილი იყო, არამედ ვერცა მოყურობით მოიყენა და დიდად შურობდა და მტერ იყო საქართველოს გამგების (sic) ვახტანგისა ზაალ ერისთავი. 15

431. ხ[~] რაჟამს მიიცვალა როსტომ მეფე, გაგზავნა კაცი ვახტანგ განმგებელმან საქართველოსამან, ყეენთანა და სთხოა საქართველოს ბატონობა. მაშინ ზაალ ერისთავმანცა – ძვინად შურობად მისა, – წარგზავნა მანცა კაცი და ითხოა თავისუფ || ალ-ყოფა თვისი ყეენისაგან, 20

A მ[~] ა 11

¹ A: სწერია „თავის მამისა და პაპის“ და კიდევ ერთი გაურკვეველი სიტყვა, მაგრამ ისეა მეღნიით წაშლილი, რომ აღარ იკითხება.

² A: სწერია „სალიმხან“, მაგრამ წაშლილია მეღნიით და სტრიქონს ზეით ეს სახელია სხვა ხელით.

რ[~] ჟამსა მას ფრიად მიემძლავრა საქართველო ყეენსა და ვერვის ძალ ედვა თვითფლობით პყრობა საქართველოსი, თვინიერ ყეენისა.

5

432. ხ[~] მოსცა ყეენმა ვახტანგს მეფობა საქართველოსი. ამას ჟამსა იყო ზაალ ერისთავი ფრიად განმდიდრებული და მორჭმული საუნჯითა. ამას შინა მოუვიდა ყეენისაგან რა-

შანაოზყამი და ბატონობა ქართლისა შანავაზს. ხ~

მ~ფე

10 რა ესმა საქმე ესე, წარვიდა ჳევსა არაგვი-
სასა, განუდგა და არა მორჩილ ექმნა მეფესა
შანავაზს.

15 **433.** ხ~ ამა შანავაზ მეფესა ესვა ცოლად ასუ-
ლი ყაფლანისა, სახელით როდამ, ქალი ¹ ფრიად
პატიოსანი და შემკული ყოვლითავე საქმითა
კეთილითა, სრული სწავლითა სამლოთოთა და
საეროთა, შვენიერი და პირის-წყალი დედათა.

A მ~ა 12

20 ხ~ ოდეს უბოძა ყეენმან ქართლი მეფეს შანა-
ვაზს, || მაშინ მოსწერა შერთვა მარიამ დედო-
ფლისა და ვერღარა ურჩ ექმნა ყეენსა და არ-
ღარა ღონე ჰქონდა, შეერთო მარიამ დედო-
ფალი. და ქმნეს ქორწილი სახელოვანი და
ესვა ორივე ცოლად, რ~ ესხნეს როდამთან
ძენი და ასულნი.

25 **434.** და გაბატონდა შანავაზ. თვით ესე შანა-
ვაზ მეფე იყო კაცი საკვირველი, ძლიერი საქმი-
თა და გამარჯვებული. და ამას სჭირდა ოთხნი
ესე საქმენი: ბრძენ იყო უპოველი ², ბედნიერ
იყო საკვირველი, სარდალი და მამაცი უამხა-

¹ A : ქარი.

² A: ჯერ სწერია „უპოვარი“, შემდგ წაშლილია
და მერმე ეს სიტყვა დაუწერიათ.

200

ნაგო, პირად შეუბედავი და გულით მოწყალე
უცხოდ.

435. და მისცნა ღ~თნ ძენი და ასულნი მსგავს-
ნი მისნი: არჩილ იყო უხუცესი. ესე იყო კისკას,
შვენიერ, მობურთალი, მოისარი. ყოვლის კა- 5
ცის ¹ ისარზედ ერთი ჳელის დადება ისარი
უგძე ჰქონდა. და არა იყო მსგავსი მისი.

A მ~ა 13

მეორე || შვილი გიორგი ძლიერი გოლია-
თებრ, სამჯედროთა საქმეთა სრული და ჳელ-
გამომავალი. ასეთი სირება ჰყონდა, მტერნი 10
მოყურად შეცვალის.

და ალექანდრე გაეზარდა ყეენსა. ესეთი
იყო, რომ ყოველნი ყმანი ყეენისანი, ვ~ა ყეენ-
სა, ეგრეთ პატივს სცემდენ.

ლევან იყო ბრძენი და მეცნიერი შორ- 15
დამნახავი საქმისა და განსწავლული სამეცნი-
ეროთა წიგნითა.

ლუარსაზ იყო მკედრობის რიგის მცოდნე და სულუიმან კაცი პატოსანი. მაგრამ მძათ სიკეთე ჰფარევედა ასულთაგან: ანუკა ყეენმან ცოლად წაიყუნა და სულ ერანში მისი სიკეთე ასე განფენილიყო, რაც ქალი კარგს იქმნოდა რასმე, იტყოდენ, ანუკა ბატონის შვილისაგან უსწავნიაო. და შვენერი დიდათ თამარი იყო მსგავსი დედისა, მოღვაწე, მართალი || ღთისა და კაცთ მოსაწონი, მაკეთებელი სამდლოსა და ეკლესიათი.

A მ ა 14

436. მაშინ, ვ ა ესმა შანავაზ მეფის განძლიერება და წყალობა ყეენისაგან ზაალ ერისთავსა,

¹ A: კასცის.

201

ეწყინა ფრიად და ყეენისაგანც გულკლებულ იქმნა და შანაოზ მეფესაც შეუორგულდა, უკუუდგა. და იყოფებოდა დუშეთსა, ეპყრა მტკიცედ საერისთო და განაგებდა კახეთსაცა. და გული უთქმიდა მხოლოდ თვით ¹ პყრობად კახეთისა, არა მრწმუნებელი მეფობასა შანავაზისასა.

5

437. ხ შამსა ამას შინა მიიცივალა მპყრობელი იმერეთისა ალექსანდრე და მოიყუანეს ძე მისი ბაგრატ, ნაშობი გურიელის ასულისა მიერ, რომელი ცილ-წამებულ იქმნა მემრუშედ. ესე ბაგრატ იყო ოდიშს, მოიყუანეს იმერელთა და გააბატონეს.

10

438. ხ ბატონი თეიმურაზ დაშთა სკანდას ციხეში?... || კვდა როსტომ ფაშა და დაჯდა, ძე მისი ასლან ფაშა. რ ხონთქარი მათ ჰკითხეუდა და მათის შეკითხულობით იპყრობდა იმერეთს, და იგინი განაგებდენ და არიგებდენ. მაშინ წარმოემართა ასლან ფაშა ლაშქრითა და ჩამოვიდა იმერეთს. ვერვინ წინააღუდგა, წარმოიყუნა თანა ჭუჭუნაშვილი ქეთევან და დარეჯან, მამიდა და ძმისწული. ესენი წარიყუნა ასლან ფაშამ და დააყენა ოლთის[ს] პატივითა დიდითა. ხ ბაგრატ თვალდამწუარი გააბატონა მუნვე იმერეთს.

A მ ბ 1

15

20

25

439. და გამოჰკვდა ხანი რამე, მაშინ იმერლებმა დაუწყეს მეფეს შანავაზს ლაპარაკი და.

დადიანმაც, რა არა მორჩილეჲქმნეს ბაგრატს,
იქიდამ დადიანი მოუჲდა და დაიპყრა იმერე-

¹ A: თვი.

² A: ამ მე-11 რვეულს უკანასკნელი ფურცელი მო-
ხეული აქვს.

202

თი. ხა მეფე შანავაზ წარვიდა და მივიდა ფცის-
წყალზედა.

A მზ 2

440. და მას ჟამსა ზაალ ერისთავი არა მორ-
ჩილებდა მეფესა შანავაზს და იყო განდგომილ,
ამისთვის ვერღარა წარვიდა იმერეთს. || ხა მენი 5
არავის ერისთვის გიორგისა ოთარი, ედიშერ
და იასონ ¹ ახლდენ მეფეს შანავაზს თანა. ხა
გიორგი, მამა ამ ოთარისა, ძმა იყო ზურაბ
ერისთვისა. ესე გიორგი იყო კაცი ამაყი და
უარშო და არა მორჩილებდა ძმასა თჳსსა. ხა 10
შეიპყრნა ზურაბ ერისთავმა და ბატონმა თეი-
მურაზ და დაკლებულ-ყო ორთავე თვალთაგან.

441. ხა ამა გიორგის ესვა ცოლად და შანა-
ვაზ მეფისა და ამა ქალისაგან ჰყუანდა გიორგის
ძენი: ოთარი, ედიშერ, იასონ, პაპუა და და- 15
თუნა. ამათ მოახსენეს მეფეს შანავაზს: „ვინათ-
გან ბიძა ჩვენი ესრეთ თქუენი ორგული და
ურჩი არის და ჩვენთჳსაც მრავლის ავის მქნე-
ლი არის, დაგვჩაგრა და ჩვენის სამკვიდროს
მამულის პური არ გვაჭამაო, გვიბოძე დასტუ- 20
რი, წავალთ და მოვკლავთო. ხა მეფემან შანა-
ვაზ მისცა დასტური და მივიდნენ დუშეთს.

A მზ 3

442. მაშინ უსჯულოთა აგარიანთა მიიმძლავ-
რეს სრულიად კახე||თი და მრავალსა ბოროტსა 25
უყოფდენ მკვიდრთა კახეთისათა, მოაოჯრეს
და განრყუნეს წმინდანი ეკლესიანი. მაშინ
მგზავრი² ვინმე ერთი კახი ხუცესი მარტო

¹ A: ეს სახელი ორჯერ სწერია, მაგრამ პირველი
მელნით არის გადახაზული.

² A: მგზავრნი.

203

მივიდოდა გზასა თვისსა კახეთში, ხა დამთ-
ხვევით შეემთხვივნეს გზაზედა მღვდელსა მას

5 თათარნი რაოდენნიმე. და შეიპყრნეს (sic)
 უსჯულოთა მათ ხუცესი იგი მტერთა მათ და
 მოშურნეთა ქრისტეს სჯულისათა, შეკრეს ხუ-
 ცესი იგი მძლავრებითა და შეამთხვიეს საქმე
 სიბილწისა, რომელ არს ცოდვა სოდომური, და
 განუტეუეს. ხ~ წარვიდა ხუცესი იგი და მი-
 ვიდა დუშეთს. ზოგად ისხდენ ზაალ ერისთავი
 10 და ცოლი მისი, დაუჩოქა ხუცესმან და შეს-
 ჩივლა: „შენ ზაალ ერისთავი ხარო და კახე-
 თის გამგებელიო, გააოჯრეს სრულიად კახეთი
 უსჯულოთა აგარიანთა და მე გზაზედ შემიპ-
 ყრეს და შემამთხვივეს საქმე უშვერი და ჯელ-
 A მ~ბ 3 შეკრულ განმხრწნეს და ყუეს || ჩემზედა საქ-
 15 მე სათქმელადაც უშვერი. და აწ ამისი მაგი-
 ერი პასუხი ლ~თს შენ მიეც და შენ უნდა გა-
 სცე, ვინათგან შენდა რწმუნებულ არს კახეთი".
 443. ხ~, რა ესმა საქმე ესე ზაალ ერისთავსა,
 20 დიდად მწუხარე იქმნა და იყო მას ჟამად
 ზაალ ერისთავი ყეენის მომდურავი. მაშინ
 შემოიფიცა ქსნის ერისთავი შალვა და ელის-
 ბარ და კახი სუფრაჯი ბიძინა ჩოლაყაშვილი.
 და შემოიფიცეს მთის კაცნი თუშნი, რ~ შალ-
 25 ვა ქსნის ერისთავი სიძე იყო მისი. ამათ გაა-
 ტანა თანა ზურაბ, ძე თვისი, და წარვიდენ
 ღამესა ერთსა. დაესხნენ თავსა სულტანსა
 ბახტრიანს (sic) და ამოსწყუიტეს, და მოსრეს
 ბახტრიანის ციხეში მდგომნი ელნი, და რაც
 30 იყუნენ, მიჰყუნენ იქიდამე ჯოცითა, ჩავიდნენ
 ალავერდს და, რომელნიცა მუნ იყუნენ, თა-

204

A მ~ბ 5 თარნი და ელი, რაც ესახლა, ყოველი მოს-
 რეს პირითა მახვილისათა. და ამოსწყუიტეს
 დედაწულითურთ და, აკუნაში || რომელნიც
 ყრმანი იწუნენ, იგინიცა დაჯოცნეს. სადაცა
 კახეთს თათარი და ელი ესახლა, ყოველივე 5
 ამოსწყუიტეს და არა სადა დაშთა, რომ ყო-
 ველივე არ მოკლეს. და რომელნიმე ივლტო-
 დეს, წარვიდეს და განაძეს: კახეთში თათარ-
 ნი აღარსად იპოებოდენ, თვინიერ ყარაღა-
 10 ჯისა. მაშინ ყარაღაჯს იჯდა მურთუზალი-ხან,
 და გაემარჯვათ და იშოვეს მრავალი საშოვა-
 რი. და განათავისუფლეს კახეთი თათართაგან

	და არა სადა იპოვებოდა თათარი. წარმო- ვიდნენ და მოვიდნენ გამარჯვებულნი ზაალ ერისთავთანა.	15
	444. ხ~, ესმა რა ესე ანბავი შაბაზს ყეენსა, იწყინა დიდათ. მაშინ ყეენმაცა მოსწერა წაჭ- დენა და სიკუდილი ერისთვისა ზაალისა და, რომელნიცა ერივნენ თათართ სისხლსა შინა, იგინიცა დაჯოცეთო.	20
A მზ 6	445. მაშინ ოთარი და მისი ძმები იმარჯვებ- დენ საქმესა და ცდილობდენ ღალატსა ზაალ ერისთვისასა. დღესა ერთსა იყო ზაალ ერის- თავი დუშეთს, სუბათ ფანჩატურში იჯდა, არავინ ახლდა. მოიპოვეს დრო და მივიდნენ. ერისთავი ნარდს შეექცეოდა. მაშინ უღალა- ტეს ოთარმან და ძმებმან მისმან და მოკლეს ზაალ ერისთავი, ხ~ ბენი მისნი ივლტოდენ და წარვიდენ სამცხეს. ხ~ მეფემან შანავაზ გაუ-	25
		205
	ყენა უკანა კაცები, მოეწივნეს ტბის-ყურზედა, კაცები დაუკოცეს და ორნი ძმანი, ზურაბ, და ნაბერალი, შეიპყრეს და მოჰგვარეს მეფე- სა, და მან გაუგზავნა ყეენსა.	
5	446. ხ~ შალვა ერისთავი და ელისბარ, ძე მისი და სუფრაჯი ბიძინა, ჩოლაცაშვილი არა მივიდეს მეფესა შანავაზთანა, არამედ წარვიდეს ყარაღაჯში მურთუზალყული-ხანთანა. მან შე- იპყრა და ყეენს გაუგზავნა.	
10	ხ- ზურაბ, ძემან ზაალ ერისთავისამან, დაჰ- ყო რამე მცირედი ხანი ისპაანს და მოკუდა. უმცროსი ძმა მისი გაათათრა ყეენმან და ამ- ყოფა თვისთა თანა.	
A მზ 7	447. მაშინ, ჩოლაცაშვილი ბიძინა ¹ სუფ- რაჯი, შალვა და ელისბარ, ესენი მისცეს, მკუდ- რის პატრონთა, ვ~ა წესი და ჩვეულება არს თა- თართა, რ~ მკულელს ჳელში მისცემენ მოსის- ხარსა, და ყუეს სამართალი ჩვეულებისაებრ მათისა. ხ~ დაჰპატიუეს სჯული მაჰმადისა ბი- ძინა სუფრაჯს ჩოლაცაშვილსა და შალვასა და ელისბარს. მაშინ დიდად მქნელ გამოჩნდეს სამნივე ესე მოწამენი და უმეტესად ბიძინა ჩოლაცაშვილი სუფრაჯი წადიერად ილუ- წიდა წამებისათვის: განბასრეს მათ და გინე-	
15		
20		

25 ბულ ჰყუეს სჯული მაჰმადის. მაშინ ბიძინა ჩოლაყაშვილი განამწობდა შალვასა და ელისბარს, და ეტყოდა: „ნუ მოვმედგრდებით და ნუ შეუშინდებით, არამედ მივსცეთ თავი ჩვენი ქრისტესთვის სიკუდილსა, რ~ სიკუდილი

¹ A: ბიძინას.

206

A მ^ბ 8

უნებლად თანა-გვაც და ვერვინ წინააღუდგების სიკუდილსა. აჰა, ჟამი ესე არს შესვლად სასუფეველსა შინა. ერთჯმობით სამთავე || აღიარეს ქრისტეს სარწმუნოება და უარ-ჰყუეს სჯული მაჰმადისა. ხ~ მათ მახვილებითა დაჭრეს იგინი ასოეულად და დაჭურიტეს რომელიმე თოფითა და რომელიმე მახვილებითა დაჭრნეს. და აღსასრული სარბიელი წამებისა მიიღეს და იქმნეს, ვ~ ა სხვანი პირველნი მოწამენი, გვირგვინოსან და აწ იხარებენ ზეცისა 10 სასუფეველსა შინა.

5

448. ხ~ რაჟამს მოკლეს ზაალ ერისთავი, მაშინ მისცა ერისთობა ოთარსა მეფემან შანავაზ და მსაჯულობა საქართველოსი მისცა ედიშერს, ხ~ ქსნის ერისთობა მისცეს იესეს. და დაიპყრა მეფემან შანავაზ მტკიცედ საქართველო და იყუნენ დიდად ერთგულნი ოთარ ერისთავი, ედიშერ ქართლის მსაჯული, ქსნის ერისთავი იესე და სრულიად ქართლის დიდებულნი. და დაიერთგულნა სრულიად ქართველნი და მრავალსა კეთილსა უყოფდა მათ.

15

20

A მ^ბ 9

449. || და ამათ ჟამთა შინა შერიგდენ მეფე შანავაზ და ვამიყ დადიან: ამათ განიყუეს იმერეთი და დაანება ბუჯას გაღმართი დადიანს ვამიყს, და ბუჯას გამოღმართი თვით მეფემ დაიპყრა. და მეფობდა მეფე შანავაზ სამთავე სამეფოთა: ქართლსა, კახეთსა და იმერეთსა ზედა, ესრეთ განდიდნა და აღემატა მეფობა და სიმდიდრე მისი საქართველოსა შინა.

25

207

- 5 **450.** და განამდიდრნა ყოველივე მკვიდრნი სამეფოთა თვისთანი: უკეთუ ვინმე იყო გლახაკი და უპოვარი მონაგებთაგან, აღივსნეს (sic) უხვად წყალობითა და საკმართა ბოძებითა მისითა, უკეთუ იყო ვინმე ნაკლულოვან აგარაკთაგან, ანუ მონათაგან, ასუ საჭურჭლეთაგან, ყოველნივე განმდიდრდეს (sic). და გარდაემატათ სიმდიდრე და მორჭმულობა მკვიდრთა საქართველოსათა.
- 10 **451.** და სადაცა იყო იატაკი მათათა შინა. ანუ ბართა უქმად მყოფი, ყოველივე საკმარად კაცთა შერაცხილ იქმნა: უშენნი აღშენდეს
- A მზ 10 და || მრავალნი დაბანი და დიდ დიდნი თემნი შესძინნა სამეფოსა საქართველოსასა. და სა-
- 15 დაცა იყუნენ თანამდებნი, მოვახშეთაგან განათავისუფლნა.
- 452.** და წმინდანი ეკლესიანი ზეშთა აღმატებულ-ყო შესაწირავითა აგარაკთა და ყოველთა სამკაულთა მიერ განაშვენა. გლახაკთა და
- 20 უღონოთათვის ფ~დ მოწყალე და ქველის-მოქმედი იყო: ტყუენი გამოკსნილ იქმნეს.
- 453.** ქურივთა და ობოლთა მოწყალე, მართლმსაჯულ და ჯელის-ამპყრობელ. და იყო ყოველთათვის მოსამართლე და მოწყალე, მსჯავრ-
- 25 სა შინა პირ-უთნებელ, უქრთამო და სწორის, სამართლის მოქმედ, უხვი, უშურველ-უტყუარ ერთგულთათვის უხვად წყალობის მიმნიჭებელ, ურჩთა და ორგულთა ძლიერად შემრისხველ, დიდებისა და სახელის მეძიებელ, მტერთა მი-
- 30 მართ უძლეულ და ახოვნად წინა-განმწყობ, წინააღმდეგომთა თვსთა უშიშრად შემმართველ
- 208
- A მზ 11 რაზმთა და წყობათა შინა კეთილად || განმზრახი სარდალი, რაინდობათა შინა უებროდ მორბედი და ყოველსავე სამამაცოსა ზნეობასა შინა უსწორო. და ესრედ კეთილად მართებდა (sic) სამთავე სამკვიდროთა სამეფოთა თვისთა და თვით სვე-სრულობით მეფობდა და განაგებდა განსაგებელთა თვისთა. 5
- 454.** და ამა ჟამსა შინა მიიცვალა კ~ოზი ქრისტეფორე, და დასვა მის წილად ბიძაშვილი თვისი დომენტი ¹, კაცი სრული საქმითა, 10

რ ამან მატა სჯულსა და წესსა ეკლესი[ი]სასა:

455. ხ ესხნეს ფ დ პატიოსნისა და სჯულიერის მეუღლისა თვისისა როდამისაგან ძენი ექუსნი და ასულნი ორნი. სახელი ასულთა მათ ანუკა და თამარი, ხ ძეთა მათ სახელები: პირმშო და საყუარელი არჩილ, გიორგი, ლუარსაბ, ალექსანდრე, ლევან და სულეიმან. 15

456. აღზარდნა მეფემან ესენი დიდად სახელოვანნი და პატიოსანნი ძენი და ასულნი თვისნი მრავლითა ფუფუნებითა (sic) და ყოვლითა ფუფუნებითა (sic) და საჯელმწიფოსა სწავლითა და სიბრძნე-მეცნიერებითა. პირველად განსწავლნა სამღთოთა წერილთა სწავლა-თარგმანებათა და განმარტებათა მიერ, ხ უმეტესად საეროთა და სავაჟკაცოთა მკედრობითა გამოცდილობითა ყოვლითურთ, სამამაკაცო ზნეობითა ესრედ სახედ, რომე არაოდეს არ აღზრდილ-არს საქართველოსა შინა მათებრივ არცა ძენი მეფეთანი და არცა დიდებულთანი. 20 25 30

A მზ 12

¹ A: დამეტი.

457. რ ჟამთა შინა მეფისა როსტომისასა ფ დ მიდრკა ქუეყანა ქართლისა სწავლისაგან სამღთოთა წერილთასა, რ კნინლა და თვით სამღვდელონიცა კრებულნი და დასნი არღარა მზრუნველ და მეძიებელ იყუნეს სამღთოთა სწავლათათვის, არამედ, უფროსლა და უმეტეს აღმრჩეუელთა საქმეთა მსოფლიოთა და ჯორციელებრთა, მიერ უკმარ და უდებ ყუეს სრულიად ღ თივ სულიერნი და სამღთონი სწავლანი რომელ ესე ფ დ უმეტეს ჯერიყო || შეწყნარებად და არა დატევებად. ხ ამათ ჟამთა შინა კ დ იწყეს მოქცეუად ბოროტისაგან და ქმნად კეთილისა: სწავლად და გულს-მოდგინედ წურთად ღ თივ სულიერთა საქმეთა მოქმედებად. და განშვენდეს წმინდანი ეკლესიანი და მონასტერნი და ყოველნივე წესნი ეკლესიათანი განმრავლდეს საქართველოსა შინა მიზეზითა ძეთა მეფისა შანავაზისათა, ვ დ ესე სიტყუანი ძველითგან

5

10

A მზ 13

15

20 თქმულარს: „ჟამნი მეფენი არიანო“. და დედოფალმან მარიამ შეამკო ეკლესიანი შესამოსლითა ხატითა, ჯვართა და წირვის იარაღითა, ნაკურითა მარგალიტითა და თვალითა. და ედვა ამა დედოფალსა პატივი დიდი

25 ყეენისაგან და ყოველთა საქართველოსა კაცთაგან და ქალთაგან მთავართა და დიდებულთაგან, იყო ყოვლითურთ შემკული კეთილთა, რომლისა მსგავსი თამარ მეფისა შემდგომად არღარავინ ||¹...

¹ A: ამაზე წყდება ხელნაწერი და მომდევნო გვერდებზე არაფერია, თუმცა შემდეგ 5 გვერდია დაუწერელი.

210

B 411 r

.....
458. ||მაზ¹ სარდალი² და სხვანიცა მივიდეს და დაეგნეს ნაზარალიხანს. ხოლო³ ჟამსა ამას დიდად მძლავრობდეს ლეკნი კახეთს და მტერობდეს ურიცხვითა⁴ ავაზაკობითა და პარვითა, ამისთვისცა განილაშქრეს მათზედა კახთა. და მისცა ქალბალიხანცა ნება და შეკრბა სრულიად მკუიდრნი კახეთისანი და შეუხდეს ჭარსა. ხოლო ლეკნიცა განეწყუნეს სიმაგრეთა შინა და დიდად იზღვივნეს კახნი ლეკთა მიერ: მოისრნეს მრავალნი თავადნი, აზნაურნი და უფროსად გლეხნი, მოსწყუიდნენ[ს] პირითა მახვილისათა და იოტნეს იგინი და იავარ-ყუეს ხვასტანგი და ქონებანი მათნი, და ესრეთ ოტებულნი წარმოვიდეს:

459. მაშინ ნაზარალიხან განაზრახა ქალბალიხანს და წარგზავნეს წინაშე ყეენისა მუხრანის ბატონი პაპუა, ქსნის ერისთავი დავით და სარდალი თამაზ⁵ ძისა თვისისა მამუკათურთ⁶. ხოლო ოდეს შთავიდეს ისპანს პაპუა მუხრანის ბატონი და თამაზ სარდალი⁷ და ქსნის ერისთავი⁸ პერობილნი წარგზავნეს ქირმანს.

B 411 v

ხოლო ქაიხოსროს, ძმის || წულსა მეფისასა არა კეთილად შემწყნარებელმან ნაზარალიხან მიუ-

¹ აქეთგან B -ში გვ. 411 v სხვა ხელითა და მელნით გვერდის თავში სწეროთ (ვ): ბაგრატოანი.

² B -ში „სარდალი“ გადახაზულია.

³ B -ში ამ სიტყვის ალაგას ამოგლეჯილია.

⁴ B-ში ამ სიტყვის მართო პირველი სამი ასოა დაცული, დანარჩენი ამოგლეჯილია.

⁵⁻⁶ B-ში ჩამატებულია.

⁷⁻⁷ B-ში კიდევ სწერია.

ლო დაბანი და მამულნი, რომელნიც ეპყრა მას, და ამისთვის აღარ დაიმდაბლა თავი და წარვიდა წინაშე ყეენისა, რამეთუ თანაშემწე აქვნდა ქალბალიხან, და მემანდრიტა და პატივიტა წარგზავნა იგი. და ვითარცა შთავი-
5 და ისპანს ქაიხოსრო, განიხარა ყეენმან და, პატივისცა მამასაცა მისსა და თვით მასცა, ხოლო ერეუნის ხანი და ქალბალიხან მოშურ-
10 ნე იყვნეს ურთიერთას და ამისთვის განი- ზრახა ერეუნის ხანმა და მისწერა წიგნი მეფე-
სა გიორგის, რათა პირობითა და თავდებო- ბითა მისითა დაეგოს იგი ყეენსა, რამეთუ
15 ეტყოდა, ვითარმედ „არარა ბოროტი გიქმ- ნიესო სპათა მისთა ყიზილბაშთა ზედა, ამის-
თვისცა მე ვიყო თავსმდები შენი, რათა არა გეყოს შენ ზღვევა, არამედ უფროსად სარ-
გებელი და წყალობა და მრავალწილად კე- თილის ყოფა ყეენის მიერ“. კვალად ამასვე
20 პირობასა აღუთქმიდა და დიდად წადიერე- ბით ეზრახებოდა მეფესა ქალბალიხან და
ილუწიდა პირითა მისითა დაგებასა ყეენისასა, არამედ არა ინება მეფემან მისმიერ, არამედ
B 412 r მიერჩდა || ერეუნის ხანსა და იქმნა მეგობარ
25 მისსა. ხოლო ერეუნის ხანმა აუწყა ესე ყეენ-
სა და განიხარა სიხარულითა დიდითა შაჰ- სულთან უსეინ ყეენმა დაგებად მეფისა გიორ-
გისა და მისცა ერეუნის ხანსა წყალობად თო- ფანგჩიაღასობა, რომელ არს ყოვლის მეთოფი-
სა ბატონობა და უფროსობა, და წაიყუანეს
30 კარსა ზედა ყეენისასა. მაშინ მეფემან გიორ- გიმ წარავლინა ზურაბ ზურაბიშვილი ყეენ-

თანა და მივიდა თოფანგჩიაღასთანაი და, ვითარცა შთავიდა ისპანს, განიხარეს თვით მან ყეენმა და ყოველთავე დიდებულთა მისთა შთასვლა მეფის გიორგისა და მსწრაფლ აღუს-

რულეს ყოველივე სათხოველი მეფესა: და მოს- 5
წერეს რაყმები და წყალობა და წარმოგზავ-
ნეს მალემსრბოლი. და მოვიდა იმერეთს სახლ-
სა შინა წერეთლისასა საჩხერეს. და ერეუნის
ნაიბი და სხვანიცა დიდებულნი ყეენის ბძანე-
ბითა წარმოგზავნეს, რათა მრავლითა დიდები- 10
თა და პატივითა კელმწიფურად კელისა წარმარ-
თებითა მსახურ-ექმნენ მეფესა და მიართმი-
დენ შემსგავსებულსა ულუ || ფათა და სანოვაგე-
თა განწესებითა. და განემზადა წარსლვად.

460. მაშინ იყო ვინმე იმერელთ ბატონის ბაგ- 15
რატის ნაბიჭვარი დამას მიერთნეს რომელნიმე
თავადნი იმერეთანი (sic) და აუწყეს ხვანთქრის
ვეზირ-აზამსა და ქრთამითა მოიმადლეს იგი.
და მისცეს ბატონობა და შთამოიყუანეს იგი
და გააბატონეს, რამეთუ იყო ესე კაცი შეუ- 20
გვარი (sic) და უღირსი ბატონობისა. ხოლო
არჩილ¹ მეფე გარდააგდეს. და მისცა აბაშიძემ
გიორგიმ ცოლად ასული თვისი, ცოლყოფი-
ლი ალექსანდრესი. და წარვიდა არჩილ მეფე
ზრამაგას. 25

461. ამასზედა მოუიდა მეფესა გიორგის მე-
მანდარი ყეენისა და გარდავლო მთა და მივიდა
ალს. მაშინ დაუტეუა ქართლს სულაიძან ძმა
თვისი ცოლშვილითა და კ³ოზი ნიკოლოზ, რა-

¹ B-ში არჩი.

მეთუ ჟამსა ამას შინა გარდაცვალებულიყო
ამილახორი გივი, კაცი¹ პიტოსანი ყოველი-
თურთ ², იმერეთს, და ძე მისი ანდლუყაფარ და
და ესენი ყეენის ბრძანებითა დააყენეს ქართლს.
5 და წარიყუანა თანა ისპაანს არაგუის ერის-
თავი გიორგი და წარვიდა მეფე და მოართვეს
ყიზილბაშთა არმადანი მრავალი და დიდისა
დიდებითა შთავიდა ისპაანს*.

¹⁻² B-ში ეს სტყევები სტრიქონს ზეით სწერია
სხვა მელნით.

*აქ სწყდება სავსებით B ხელნაწერი.

ს ა ძ ი ე ბ ლ ე ბ ი

I გეოგრაფიული და ტომობრივი სახელების საძიებელი

ა

- აბოცი 9², 89¹⁵.
 აგარიანნი უსჯულონი 203²³, 204¹³.
 ადრაბაგანი 30⁷, 28, 74⁷, 90¹⁴, 96²².
 აელაბარი 107²⁴, 198²⁰, 199¹⁶.
 აზრუმი 49¹⁸, 65⁷, 71¹², 76²³.
 აზრუმის ქუეყანა 163⁷.
 ალავერდი 83⁶, 204³¹.
 ალავერდის მონასტერი 199⁶. იხ. აგრ. წმინდა გიორგი ალავერდისა.
 ალამუთის (ალამუტის) ციხე 85³⁰, 86²⁸, 90¹, 102³¹.
 ალგეთი 155².
 ალი 213²⁸.
 ალინჯა 23¹¹, 13.
 ალონი 165¹².
 ამართულა 47¹⁹.
 ამერნი 5¹⁴, 15²⁶.
 ანანური 125⁸, 173¹, 20.
 ანჩის საყდარი 172³.
 არაბისტანი 23⁷, 30¹⁵.
 არაგვი 22¹, 47¹⁴, 124²⁹, 141²⁴, 172⁹, 177⁸.
 არაგვის პირი 141¹⁰, 152²⁰.
 არაგვის ჯეობა 51¹¹.
 არაგვს გაღმართი 47¹⁵.
 არაგვის ჯევი 21²⁹.
 არაგუს-აქათი 48⁴.
 არადეთის გორა 44²¹.
 არდაველი 58²³, 59¹⁷, 27, 31, 60⁸.

- არეშელი 43⁸, 23.
 არეში 43²².
 არეშის ქუეყანა 43⁵.

არშის ციხე 153¹¹, 157²⁹.
არჯა-ყალის ციხე 38²² იხ. აღჯაყალა.
ასპინძა 159⁴.
ასტარხანი 194^{7, 11}.
ატენის ციხე 51¹, 786, 179².
აფხაზეთი 49⁶, 129¹⁴.
აფხაზეთის ზემოთი 49⁵.
აფხაზი 72¹⁰.
აფხაზნი 132, 35^{10, 13}, 37⁷, 69²³, 177².
აღჯაყალა 60²⁵, 125^{24, 25} იხ. აგრეთვე არჯა-ყალის ციხე.
აშრაფი 133²⁹.
აწუფისი 85⁴.
აწყურის ციხე და ქალაქი 37²⁴.
აწყურის ღთის მშობელი 38¹⁶, 45⁶.
აჭარა 49¹³.
ახალგორი 91²⁶.
ახალდაბა 118²⁰, 155⁸.
ახალქალაქი 116²⁴.
ახალციხე 145²².
ახალციხის ციხე 37¹⁹.
ახრუნჩი 3²⁰.
აჯი-სუ 47^{19, 20}, 48².

ბ

ბაზალეთი 161²⁰.
ბაზარი 110²².
ბათომი 58 მნშ. 1,-70⁹.
ბათომის ციხე 69⁵.
ბაიაზი 30¹⁷.
ბანბაკი 48²³.
ბანძა 195²⁹.
ბარათიანნი 3527, 36^{1,5,10}, 77²⁰, 170^{1, 3}.
ბარგუშათი 79¹.
ბარდა 10¹⁰, 14¹⁷, 23²⁸, 15^{42, 4}.

216

ბარშიამის მთა 48¹⁶.
ბასიანი 65²², 69².
ბაღდადი 23^{6, 7}, 89¹⁷, 96²⁸, 114^{18, 20}, 126⁷.
ბახტრიანის ციხე 199⁸, 204^{28,29}.
ბეთლემი 57²⁹.
ბირთუისის ციხე 27⁹, 77¹⁸.

ბორცვს ზემოთი 48¹⁸.
ბრბონა 118¹⁵.
ბურსა 30⁷, 16, 18.
ბუჯას გამოდმართი 207²⁶.
ბუჯას გადმართი 207²⁵.

ბ

განძა 78⁸¹, 79², 13, 81⁴, 154⁴.
განჯა 85⁶, 90¹², 126¹⁴, 16, 145⁹, 168²⁴. 169²⁴, 171⁴.
გარეშემო საქართველოსანი 83³⁰. იხ. აგრ. საქართველო.
გარი 79¹⁹.
გატეხილი ჳიდი 155²⁹, 169²⁶, 183¹⁰, 192²⁷.
გელათი 36²⁹, 50⁵, 7, 68²⁴, 70¹⁷.
გელაქუნის ტბა 23¹⁴.
გელიყარის კლდე 9180!
გელიყარის გზა 124¹⁸.
გილან-მაზანდარა 133²⁶.
გილან-მაზანდარელნი 11²⁰.
გოლგოთა 57²⁹.
გონია 145²², 147³⁰.
გონიას ციხე 69¹³.
გორას-ძირს-აქათი 48¹⁰.
გორი 78⁴, 96¹³, 103⁴, 11, 13, 28, 117²⁸, 129⁸, 131³¹.
გორისკერძო 118⁵.
გორის ციხე 78⁴, 91¹⁹, 93⁹, 98¹⁰, 102²⁸, 103²⁸, 29, 170²⁸, 179²¹, 22.
გორისჯვარი 102²⁷, 103³.
გოსტიბის თავი 116¹⁰.
გოფანთო 93¹, 3, 4.
გრემი 110²¹.
გუდამყარი 48⁵.
გულაბყალა 136¹³.

217

გულაბყალაბის ციხე 140², 24.
გურია 70⁵, 19, 72², 89¹³, 97²⁶, 188², 195¹⁹.
გურიელის სამძღვარს ზეითი 49¹⁵.
გურიულნი 35¹⁰, 46¹⁴, 189²³.
გურჯი-ბოლახს აქეთი 49¹⁹.

ღ

ღვალეთი 172³¹.

დვალნი 13².
დვირი 48¹³.
დვირს ზეითი 49¹⁷.
დიარბეჭირი 65⁷.
დიგორის მთის აქათი 48²⁷.
დიდგორის მთა 124¹⁹.
დიდი კონის ქალაქი 3³⁰.
დიდოეთი 476, 1771⁹, 28, 33
დიდოელნი 177²⁷, 178¹.
დიდონი 47¹².
დიღვამი 83²⁸, 84¹, 92¹¹, 93¹⁷.
დმანისი 382, 431⁹, 96⁹, 10.
დმანისის ჯეკის ციხე 86²².
დოესი 117^{26, 30}.
დოესის ველნი 117³¹.
დუშეთი 125^{8, 15}, 161^{15, 17}, 166²⁸, 202³, 203²², 204⁹, 205²⁴.

ე

ელი 36²¹, 199^{9, 13}, 205^{1, 5}.
ელნი 204²⁹.
ენაგეთი 41⁴.
ერანი 160⁸, 201²¹.
ერანის ქუეყანა 59²³,
ერგე 49¹³.
ერევანი 48²², 78¹⁹, 89^{15, 18}, 90¹², 96²³, 106^{24, 26}, 107⁴, 157³, 212^{8, 10, 23, 24, 27}, 213⁸.
ერთაწმინდა 116^{18, 24}.
ერინჯაგი (ციხე) 22¹⁵.
ერწო 48⁹.
ერწოთიანეთი 199³.

218

ვ

ვაშლოვანი 82⁸.
ვერის ციხე 78⁴.

ზ

ზემოურნი (კახნი) 54⁶.
ზემოური იმერლები 98², 189⁶. იხ. აგრ. იმერლები.

ზემო ქართლი 20¹⁷, 32^{15, 22}, 52^{9, 10}, 55¹², 62¹, 64²⁵, 77¹⁵, 88^{14, -}
89¹³, 92³, 93⁸, 96¹⁶, 102²⁷, 145¹², 179⁵. იხ. ქართლი.
ზრაგმა 213²⁵.
ზუგდიდი 72⁵.
ზღვას შემოღმართი (იგულისხმება შავი ზღვა) 49⁹.

თ

თავრეზი თავრიზი) 4²⁴, 23⁹, 34⁵, 60⁴, 90¹², 96²¹.
თათარი 36²², 41²⁷, 159⁷, 205⁵.
თათარნი თათრები) 14⁶, 15^{2, 3, 4, 11}, 20³⁰, 21¹³, 27³¹, 36^{12, 14,}
19, 37^{5, 12}, 39^{7, 15, 26}, 40^{11, 16, 24}, 42^{12, 22}, 78², 79^{5, 7, 9}, 82^{12,}
116⁵, 125²⁶, 142⁴, 150²⁸, 157¹⁷, 173¹⁵, 182^{5, 6}, 190²⁸, 199^{6,}
204^{3, 31}, 205^{8, 12, 19}, 206¹⁶.
თათარხანნი 114²², 117²¹.
თათრობა 145¹⁴.
თაკუერი (აწინდელი ლეჩხუმი) 48²⁸.
თბილისი 62¹⁰. იხ. აგრე ტფილისი
თბილისის ციხე 84⁵. იხ. აგრ. ტფილისის ციხე.
თელეთები 82⁹.
თელეთის მთა 61²².
თელეთის ღელე 61⁷.
თემები 21¹⁴.
თემი 3020'
თიანეთი 47¹⁸, 184²⁸.
თორელნი 4¹⁰.
თორღას ციხე 109², 128²¹.
თორღუა 86¹⁰.
თრიალეთი 9⁴, 77¹⁶, 115²².
თურქეთის ქუეყანა 6¹⁷.
თურქეთის ქუეყანისა მკვიდროანნი 62².

219

თურქისტანი 30²⁴, 89¹⁶.
თურქმანი 34³, 39²⁴.
თურქმანნი 37¹³, 39¹².
თურქნი 8⁴, 35⁶, 48²⁰.
თუშეთი 47¹¹, 142²⁵.
თუშნი მთის კაცნი 204²⁴,

ო

იაღლუჯა 82¹⁰.

იელდოლდი 48²⁰.

იერუსალიმი 57¹¹, 138¹⁸. იხ. აგრ. ქრისტეს საფლავი.

ივრის თავი 54⁶. იხ. იორი.

იმერეთი 5⁹, 46^{20, 23, 25}, 47², 50^{5, 8, 12, 26}, 66⁹, 69^{17, 18}, 71²¹, 72¹⁴,
74¹, 89¹³, 97^{11, 12}, 98^{7, 16, 27}, 129^{5, 6, 27}, 130², 131¹⁸, 141^{8, 11},
14, 142⁹, 145^{18, 25}, 160^{26, .} 161²⁶, 163⁹. 1671, 7, 16, 17, 170^{12, 20},
172³¹, 173³⁰, 175^{4, 11}, 176^{17, 21}, 186^{14, 15}, 16, 188^{2, 4}, 190⁶,
191^{2, 22}, 193¹⁰, 194^{8, 16}, 195^{2, 28}, 202^{17, 20, 24, 28}, 203⁵, 207²⁴,
28, 213^{7, 17}, 214³.

იმერეთის სანახები 188²³.

იმერეთის ქუეყანა 176²⁷.

იმერელი 144⁵.

იმერელნი 35⁹, 37⁶, 40²¹, 46¹³, 58⁸, 65²¹, 99²⁸, 175¹⁸, 194²⁶, 202^{11, 25}.

იმერნი 5¹³, 15²⁶, 47 შნშ. 1, 189^{2, 6, 23}.

იმერნი და ამერნი 17⁴, 32^{15, 22}.

ინდოეთი 30^{6, 27}.

იორი 169⁹. იხ. აგრ. ივრის თავი.

ისპანია 126¹⁰, 143⁴; 148²², 151^{23, 24}, 171⁸, 188¹⁴, 206¹¹, 211¹⁹, 212⁶,
213², 214^{5, 8}.

ისრაელის ძენი 119².

იშიტურტუქს ქუემოთ 172⁶.

კ

კავთის-ჯეუი 86²⁵, 101¹⁴.

კავკასიანნი 11¹⁹, 35¹¹.

კავკასიის მთა 15¹¹.

კაკას-ჯიდი 175^{8, 10}.

კარბი 91²⁷.

220

კარი 25^{2, 21}, 76^{29, 30}.

კარის სამმღვარი 49¹⁸, 89¹⁴.

კარის სოფელი 48²².

კასპი 91²⁷.

კასრის-ჯევს-აქათი 48⁶.

კაცხის ციხე 99¹⁴.

კახეთი 5^{12, 11}, 11¹⁴, 31¹, 35⁸, 43²⁹, 46^{15, 20}, 47⁴, 50^{13, 19}, 51^{4, 17}, 53⁵,
13, 54^{10, 11, 20}, 55^{17, 28}, 86^{1, 3}, 88^{8, 10}, 89^{3, 18}, 108^{16, 22}, 108¹⁵,
109²⁰, 110¹⁴, 112^{7, 8, 10, 13, 28}, 113⁸, 114¹¹, 126¹², 128^{4, 28, 29},
140²⁹, 141^{2, 9, 13, 15}, 142^{11, 19, 21}, 148^{5, 6, 17}, 154⁸, 164¹⁰, 165²,
5, 7, 9, 10, 166¹¹, 167²⁸, 29, 168²¹, 179⁸, 28, 170²⁷, - ოვო) 18,
177^{10, 11, 16}, 178⁸, 179²⁸, 180¹⁴, 186^{15, 22}, 198²¹, 199^{1, 2, 8, 10},

12, 202⁴, 5, 203²⁴, 25, 204¹, 10, 11, 12, 18, 205⁵, 8, 12, 207²⁸,
211³, 7.
კახეთის მკვიდრნი 199¹¹, 203²⁵.
კახეთის ქუეყანა 173¹⁰.
კახი 146², 155³, 4, 24, 156¹⁹, 204²³.
კახი კაცი 93⁴.
კახი ხუცესი 203²⁷.
კახნი 32¹⁶, 37⁸, 40²⁰, 47⁷ და შნშ. 1, 54⁷, 12, 55¹⁹, 86⁸, 9, 88⁶, 93³,
108¹, 10, 13, 24, 29, 111¹, 18, 20, 25, 112¹⁵, 113¹⁶, 126²⁵, 127¹³,
15, 22, 128¹, 142⁵, 9, 150¹⁸, 19, 22, 23, 27, 29, 151¹⁴, 152²⁶, 155¹²,
20, 161¹⁸, 168¹⁵, 170¹³, 19, 178¹, 180¹⁶, 184³¹, 185²⁸, 211⁵, 9.
კახნი თავადნი 92³¹.
კახნი საგარეჯოს აქეთნი 55²³.
კერძონი საბარათაშვილოსანი 79¹⁰. იხ. აგრ. საბარათაშვილო.
კლარჯეთი 188⁹.
კოდიანს გარდმოდმართი 48¹³.
კოლბეურელი 100²⁹.
კოლიბაურის მთა 100²⁸.
კოჟორი 87¹², 155⁴. იხ. აგრეთვე კოჯორის ციხე.
კოსტანტინოპოლი 33¹², 17, 21.
კოხტის თავი 3²⁵.
კოჯორის ციხე 40². იხ. აგრ. კოჟორი.
კუარის ციხე 99¹³.
კუდარო 48⁸.
კუმისის ბოლო 39¹³.

ლანჩხუტი 174¹³, 16.
ლეუიტელნი 119²¹.
ლეკი 167²³.
ლეკნი 11¹⁹, 142¹⁷, 28, 177²⁷, 28, 30, 178¹, 211³, 8.
ლეკის მთა 47¹¹.
ლენტეხი 48²⁸.
ლეჩხუმს-ქვემოთი 49⁴.
ლილო 48³, 125²².
ლილოს სერი 47¹⁶, 17.
ლილოს ტბა 91²¹.
ლილოს ქუემოთი 48³.
ლისი 157¹⁷, 18.
ლიჩი 48¹¹.
ლიხთ იქით 35²⁶.
ლიხის მთა 98¹².
ლომისა 158¹⁵.

ლორე 35⁸, 48²³, 91²¹, 94⁸, 14, 20, 95¹⁴, 96¹³, 102¹⁴, 21, 105⁸, 106⁷.
107⁸. იხ. აგრ. ლორის ციხე.
ლორის ციხე 94¹⁸, 19, 95¹³, 102²¹, 24, 105⁹, 106⁶, 7, 107¹¹.
ლორის ქვაბები 94¹³
ლორის ხანი 171².
ლოჭინის ჯევი 151⁵. შნშ. 1.

მ

მანგლისი 20²⁵, 21²⁸, 22²⁴, 24⁴, 116⁶.
მარტიანა 24⁵.
მარტყოფი 92²⁰.
მარტყოფის წყალი 47¹⁸.
მაღარო 180¹⁶.
მალნარის თავის ციხე 54¹⁴.
მაჰმადიანი 20³¹, 59¹, 13.
მეგრელნი 70⁷.
მესხნი 5¹, 17⁴, 37²², 40²², 45¹⁷, 19, 65²¹, 25, 66¹, 19, 196³.
მეწამული ზღვა 119³.
მეჯუდის ჯევი 91²⁶.
მთიულეთი 125⁷.
მთიულნი 13¹, 35¹¹.

222

მისრელი 3⁸, 28¹¹.
მოსაკიდელი 120⁶.
მოსაკიდლის სოფელი 120¹⁰.
მოსაკიდლის ტყე და სიმაგრე 120⁸.
მტვერის ციხე 51¹⁵, 20, 52²³.
მტკუარი 14²¹, 43²¹, 118¹⁷, 20, 24, 124³⁰, 125²³.
მტკუარს გაღმართი 47²¹.
მტკურის პირი 172².
მტკურის პირპირ 119⁴.
მტკურის შესართავი 47²⁰.
მტკურის ჯიდი 118⁶.
მუსულმანი (მუსურმანი) 41²⁰, 59¹², 13.
მუხათგვერდი 82¹⁵, 17, 19.
მუხრანი 18², 36³, 51⁹, 52¹², 23, 93¹¹, 125¹³, 128¹⁴, 150¹⁷, 151²,
163¹⁰, 11, 12, 166⁴, 29, 167⁸, 170², 10, 15, 172¹³, 179¹⁵, 197²¹,
211¹⁹.
მუჯახეთი 58¹¹.
მშვილდაური 48⁹.
მცხეთა 10²⁵, 31, შნშ. 2, 32¹⁸ და შნშ. 1, 33, შნშ. 1, 43³⁰, 49²⁸, 52²⁹,

53², 63¹², 81^{18, 23}, 93², 124²⁶, 183⁸.

ბ

ნაომარი 157¹¹.
ნახვეტა 118¹⁸.
ნახჩუანი სომხითისა 64⁷.
ნაჯიდურის თავი 104¹⁰.
ნაჯიდურის მინდორი 104⁴.
ნიაბთ ზოლო 117⁹.
ნილოსი 137²³.
ნინოს-კევი 48¹⁴.
ნიჩბისის წყალი 40¹⁵.
ნოსტევი 124^{18, 22}, 157¹⁴.

ო

